F-834
1987

სრულიად
საქართველოს
საპატრიარქო

საღვთისმეტყველო კრებული

2

თბილისი
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიდასაეკლესიო მოხმარებისათვის

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო

კ რ ე ბ უ ლ ი

№ 2

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ი ლ ი ა II
ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით

თ ბ ი ლ ი ს ი
1987

F 55-73

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II-ის აღსაყდრების 10 წლისთავი

კურთხეული იყო ქართული ეკლესიისათვის 1977 წლის 25 დეკემბერი. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად დადგენილ იქნა ახალი მამამთავარი, რომელიც ეკლესიის ისტორიაში შევიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახელწოდებით. ზღვა ხალხს იტევდა დეკემბრის იმ სუსხიან დილას მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი და მისი შემოგარენი. უცხო სიხარულს დაესადგურებინა ირგვლივ, ყველას დანათოდა იმედის სხივი. როგორი იქნებოდა ქართული ეკლესიის მომავალი, რა გაკეთდებოდა მისი კეთილდღეობისათვის? რა გზით შესძლებდა ახალი კათოლიკოსი შეეკრიბა და დაემწყსო გაბნეული და სულიერად ძალზედ დასუსტებული ქართველი ერი? - აი კითხვები, რაზედაც ფიქრობდა მაშინ თითოეული ჩვენგანი და რომელზედაც შემდგომ თვით კათოლიკოს-პატრიარქს უნდა გაეცა პასუხი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციოდა მაშინ საქართველოში. ციოდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმართულ სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარშიც, მაგრამ სრულიად საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევამ გაათბო ჩვენი ერი და მამული. მშობლიური სითბოთი და სიყვარულით იყო სავსე ის სიტყვაც, წირვის დასასრულს რომ იქნა ახალი მამამთავრის მიერ წარმოთქმული ღვთივკურთხეული სამწყსოსადმი. ქართველმა ხალხმა ახალ სულიერ მეთაურში დაინახა ჭეშმარიტი მწყემსი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამწყსოს გადარჩენისათვის. ხალხმა ეკლესიის ახალ მეთაურში იცნო მოსიყვარულე მამა და პატრონი და ამიტომაც შეიყვარა იგი ნამდვილი მამაშვილური სიყ-

ვარულით. მერე როგორ სჭირდებოდა ჩვენს ხალხს ეს სიყვარული, ზოგს ხომ იმედიც ჰქონდა გადაწურული. ხანდაზმულთა გარდა აღარავინ დადიოდა ტაძრებში, ახალგაზრდობა ვერ პოულობდა ადგილს ეკლესიაში, რადგან ვერ გაეცა პასუხი იმ რთულ კითხვებზე, მათ წინაშე ცხოვრების მიერ რომ იყო დასმული. დედა ეკლესიისაგან მოწყვეტილნი ჭეშმარიტებას ეძებდნენ არაჭეშმარიტ რელიგიებსა და წარმავალ ქვეყნიურ გატაცებებში. ახალგაზრდობის გარეშე კი ზედმეტი იყო უკეთეს მომავალზე ფიქრი. აი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ახალი მამამთავრის მიერ რომ იქნა ეკლესიის წინაშე დაყენებული. საჭირო იყო შეკრება გაბნეული სამწყსოსი და პატრონობა მისი. მართლმადიდებლური სარწმუნოების განსამტკიცებლად ასევე საჭირო იყო ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაც ქართველთა შორის, რამეთუ სარწმუნოება და მამული ოდითგან ერთ მცნებას წარმოადგენდა ქართველი კაცისათვის.

საკვირველი ძალაა სიყვარული, - მამამთავრის სითბოს სამწყსომ უპასუხა უმეტესი სიყვარულით, ამ სიყვარულს შეეძლო გაეკეთებინა საქმე შეუძლებელი. მას ვერაფერი დაუდგებოდა წინ. ჭეშმარიტად საერთო სიყვარულით დაიძლია წლების განმავლობაში ქართულ ეკლესიაში არსებული სიძნელენი.

პირველ რიგში კათოლიკოს-პატრიარქმა მიაქცია ყურადღება ქართული ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებას ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში. სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან და რელიგიურ საზოგადოებებთან ურთიერთობა საჭიროებდა ავტოკეფალური ეკლესიისათვის დამახასიათებელი სახის შეძენას, რაც უპირველესად უნდა გამოხატულიყო მღვდელმთავართა რიცხვის გაზრდასა და გაუქმებული კათედრების აღდგენაში. ამტომაც სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და

დიდი მონდომებით ქართულ ეკლესიაში მღვდელმთავართა რიცხვი თორმეტამდე იქნა გაზრდილი, რასაც ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ არ ჰქონია ადგილი და რაც, ვფიქრობთ, ერთ-ერთ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მთელი ქართული ეკლესიისათვის. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდა მღვდელმსახურთა რიცხვიც, რომელთა აქტიურმა მოღვაწეობამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის მოზიდვას ეკლესიაში.

მაგრამ ეკლესიაში მოსულთ ჭირდებოდათ სულიერი საკვები, საჭირო იყო მორწმუნეთა დაპურება ისეთი საზრდოთი, რომელსაც ძნელად შეიძენდა კაცი ერში. საჭირო იყო მეტი სასულიერო წიგნები, რომ მით განვითარებულიყო ჩვენი მრევლი. საამისოდ მარტო საეკლესიო კალენდარი არ იყო საკმარისი, ამიტომ კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ მისი აღსაყდრებისთანავე დასვა საეკლესიო ჟურნალის გამოცემის საკითხი. ღვთის შეწევნითა და მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით საერო ხელისუფლებისაგან საქართველოს საპატრიარქომ მიიღო უფლება გამოეცა საეკლესიო ჟურნალი, რომელიც ასახავდა ეკლესიურ ცხოვრებას ჩვენში. ახლად დაარსებულ ჟურნალს ეწოდა „ჯვარი ვაზისა" - ქართველთა სათაყვანებელი სიწმიდის სახელი. მაღე კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შიდა საეკლესიო მოხმარებისათვის დაარსდა „საღვთისმეტყველო კრებული", რომელმაც მიზნად დაისახა ღვთისმეტყველური ნაშრომების გამოქვეყნება ეკლესიის მსახურთათვის. ზემოაღნიშნულ გამოცემათა რედაქციების გაზაზე საქართველოს საპატრიარქოსთან ჩამოყალიბდა საგამომცემლო განყოფილება, რომელმაც ერთგვარ სისტემაში მოიყვანა საგამომცემლო საქმე ქართულ ეკლესიაში. აღნიშნული განყოფილების მიერ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით დაისტამბა და მკითხველს მიეწოდა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიცაა: ძველი და ახალი აღ-

თქმის წიგნები, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარება“, იოანე სინელის „კიბე“, „დიდი სჯულისკანონი“, ლოცვანი და სხვა. მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება: ახალ ქართულზე ითარგმნა ბიბლიის ყველა წიგნი, რომელიც უკვე ბეჭდვის პროცესშია და მაღე მიიღებს მკითხველი. ბიბლიის სრული სახით გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მთელი ქართველი ერის ცხოვრებაში და ამ საქმეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დამსახურება განუზომლად დიდია. პატრიარქ ილიას ლოცვა-კურთხევით დაარსდა ბიბლიის შემსწავლელ-დამდგენი მუდმივი კომისია, რომელიც ბიბლიური წიგნების გამართვაზე იმუშავებს მომავალშიც.

ძველი ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოსთან მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით კარგა ხანია მოქმედებს სარესტავრაციო განყოფილება, რომელმაც ბევრ კეთილ საქმეს მოაბა თავი. შეკეთდა და მოიხატა სიონის საპატრიარქო ტაძარი, რომლის ახალი ქვის კანკელი, უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით რომ იქნა გამართული, დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. მოიხატა თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესია. შეიქმნა საპატრიარქო რეზიდენციები მარტყოფსა და მანგლისში. რესტავრაციები ჩაუტარდათ ტაძრებს ეპარქიებშიც.

კათოლიკოს-პატრიარქ ილიას მამამთავრობის პერიოდი იმითაც გამოირჩევა, რომ ეკლესიაში ახალი სიცოცხლე დაიწყო რამდენიმე ტაძარმა, მათ შორის ნიკორწმიდის, ახალციხისა და წალკის საკათედრო ტაძრებმა. პატრიარქის მოთხოვნით, ეკლესიას გადაეცა შენობა საპატრიარქო რეზიდენციისათვის. აღნიშნულ შენობაში უკვე მოთავსდა საპატრიარქოს საფინანსო, საგარეო, საგამომცემლო და სარესტავრაციო განყოფი-

ღებანი. კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამონასტრო საქმის აღორძინებას საქართველოში. მონასტრული ცხოვრება აღდგა ბეთანიის მამათა მონასტერში, სადაც ბერები ასკეტური ცხოვრების პარალელურად ეუფლებიან ხატწერას, ხეზე კვეთასა და ხელსაქმესაც. გაუმჯობესდა პირობები ჯიხეთის, თეკლათისა და სამთავროს დედათა მონასტრებშიც.

კათოლიკოს-პატრიარქმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სწავლა-განათლების საქმეს ეკლესიაში. მცხეთის სასულიერო სემინარიაში სამოღვაწეოდ მოწვეულნი იქნენ საუკეთესო პედაგოგ-მასწავლებლები. სასწავლებელში ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელიც წარმართავს მეცნიერულ საქმიანობას როგორც მასწავლებლებში ისე სტუდენტებში. დაარსდა სასულიერო სემინარიის საღვთისმეტყველო კრებული. მასში იბეჭდება საუკეთესო გამოკვლევა-ნაშრომები. დაწესდა გადიდებული სტიპენდიები ფრიადოსან სტუდენტებისათვის და მატერიალური წახალისება მასწავლებელთა მეცნიერული გამოკვლევებისათვის. მნიშვნელოვნად გამდიდრდა ბიბლიოთეკის ფონდი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ ქართული ეკლესიის წინაშე კარგა ხანია დასვა მეტად რთული ამოცანა: სასულიერო სემინარიის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი სასულიერო აკადემიის სახით. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას უკვე შეუდგა სასულიერო სემინარიის რექტორატი კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით. მისი უწმინდესობის ლოცვაკურთხევით თვით საპატრიარქოსთან ჩამოყალიბდა ახალი „საღვთისმეტყველო განყოფილება", რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ღვთისმეტყველების განვითარება ეკლესიაში. დასახელებულმა განყოფილებამ სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამეცნიერო საბჭოსთან ერთად უნდა მოამზადოს საჭირო მეცნიერული გამოკვლევები მომავალი უმაღლესი

სასწავლებლისა და აგრეთვე საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კრებულისათვის. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი ქართველ სასულიერო პირთა განათლებას ღვთისმეტყველებაში.

განუზომლად დიდია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დამსახურება საერთაშორისო ეკუმენურ მოძრაობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მიტროპოლიტობის ხარისხში ყოფნისას მან პირველმა გაიტანა კვალი ამ საქმეში, რომელსაც დღესაც თამამად მიყვებიან ქართველი იერარქიები და სამღვდელონი. განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დასახელებული ორგანიზაციის ერთ-ერთ პრეზიდენტად იქნა არჩეული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაურის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში მოღვაწეობამ აამაღლა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი. უძველეს ქართულ ეკლესიასთან მსოფლიოს ეკლესიებმა და რელიგიურმა საზოგადოებებმა დაამყარეს კარგი ურთიერთობანი. პირველად საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს ეკლესიის პატრიარქი მიწვეულ იქნა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში, სადაც შედგა ისტორიული შეხვედრა მასა - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მსოფლიო პატრიარქს შორის. ასევე პირველი იყო მსოფლიო პატრიარქის ვიზიტიც საქართველოში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორი უძველესი ეკლესიის მომავალი ურთიერთობისათვის. საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა მოინახულა აღექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის და სხვა ეკლესიები. საპასუხო ვიზიტებით იყვნენ საქართველოში დასახელებულ უძველეს ეკლესიათა მეთაურნიც. ვიზიტებმა დიდად შეუწყო ხელი ეკლესიათა დაახლოებას, რაც არის თანამედროვე ეკუმენური მოძრაობის ძირითადი მიზანი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა

და რომის პაპის ისტორიული შეხვედრა ვატიკანში, რაც პირველი შემთხვევაა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში.

ეკუმენური მოძრაობის ფონზე ნათლად იკვეთება კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის, როგორც მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლის სახე. საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში გამორჩეული მწყემსმთავარი, მისი დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით. ეს იყო სახელმწიფოს მიერ აღიარება და ღირსეული დაფასება იმ დიდი პატრიოტული მოღვაწეობისა, რომელსაც ეწევა ქართული ეკლესია და მისი ღირსეული მეთაური.

ათი წელი გავიდა იმ კურთხეული დღიდან, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საპატრიარქო ტახტზე იქნა დადგენილი. ათი წელი არც ისე დიდი დროა ეკლესიისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენი კარგი საქმის გაკეთება მოხერხდა მაინც. ძნელია მათი ჩამოთვლა პატარა წერილში, ამაზე, ალბათ, შემდგომ იმსჯელებენ თაობები. მაგრამ ერთი მაინც უნდა აღინიშნოს: მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ისტორიაში ბევრს არ რგებია სამწყსოს ისეთი დიდი სიყვარული, როგორიც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ხვდა მამამთავრობაში. სიყვარული „ზეგარდმო ნიჭია" ღვთისაგან მოცემული და თუ ამ ნიჭით უხვადაა დაჯილდოებული კათოლიკოსი, ეს ნიშნავს იმას, რომ მასზე ღვთის განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევა არის. იგი დიდი ხანია წმიდა ეკლესიის კუთვნილებაა; ამიტომ აძლევს მას ძალასა და სიკეთეს შემოქმედი, რამეთუ როგორც მეფსალმუნე დავითი ბრძანებს „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცის, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით" (ფს. 28, II).

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრები, სამღვდელოება და მთელი მორწმუნე ერი გულითადად ულოცავენ

საქართველოს ეკლესიის მამამთავარს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს აღსაყდრების მე-10 წლისთავს და შესთხოვენ უფალს მისი მეუფების მრავალჟამიერ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას ღვთის სადიდებლად და საკეთილდღეოდ წმიდა ეკლესიისა. ისპოლა ეტი დესპოტა.

ა მ ი ნ!

წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზ ო ს ი მ ე

საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების

თავმჯდომარე

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ი ლ ი ა II 1977-1984 წლების ეპისტოლეები გამოქვეყნებულია „საღვთისმეტყველო კრებულის“ 1984 წლის მესამე ნომერში. წინამდებარე კრებულში ქვეყნდება 1985-1987 წლების ეპისტოლეები.

უწმიდესისა და უნეტარესის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ია II

ეპისტოლეები

1985-1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა შ ო ბ ა ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერ შვილებს:

„ყოვლითა დაცვითა დაიცევ გული შენი, რამეთუ ამისგან გამოვლენ წყარონი ცხოვრებისანი“ (იგავნი 4,23)

ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერნო და მონოზონნო, ღვთივკურთხეულნო სულიერნო შვილნო ჩვენი წმიდა ეკლესიისა, მკვიდრნო საქართველოჲსა და მცხოვრებნო მის ფარგლებს გარეთ! „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა. ამინ“ (2 კორინ. 13,13).

აღსრულდა ძველი წინასწარმეტყველება წმიდა ესაიასი მაცხოვრის ამ სოფლად მოვლინებასთან დაკავშირებით: „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ (ესაია 7,14).

ახლადშობილი ყრმის, იესო ქრისტეს სახით ღვთაებრივი სიყვარული გარდამოვიდა ქვეყნად, რათა ადამიანი საუფლო დიდების თანაზიარი გამხდარიყო. ღვთის განკაცების დიად საიდუმლოს ბოლომდე ვერასდროს შეიცნობს ჩვენი გონება. უფალმა განხორციელებით ცხადყო თვისი უნაპირო სიყვარული კაცთა მოდგმისადმი, სიყვარული, რომელი არს

აღმადგინებელი, მკურნალი, შემაკავშირებელი, გადამრჩენელი. ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მწოლი ჩვილი მაცხოვარი მარადიული მაგალითია თავმდაბლობისა, მასწავლებელი თანადგომის, ძმობის, თანასწორობის, თანხმობისა და სიყვარულის.

ამ სათნოებებით რომ შევიმოსოთ, ჯერ საკუთარ სულში ჩახედვა უნდა შევძლოთ, უნდა შევიცნოთ თავი თვისი; *nosce te ipsum*, - როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ; ერთი შეხედვით, ეს იოლი საქმეა, მაგრამ სინამდვილეში მრავალთათვის ქცეულა იგი ლოდად შებრკოლებისა. ბრძენთ უთქვამთ: ადამიანში სამი პიროვნებაა: პირველი ის, თუ რას ფიქრობენ მასზე სხვანი, მეორე ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ საკუთარ თავზე და მესამე - რასაც სინამდვილეში წარმოვადგენთ.

როდესაც მთელი სიმართლით დაინახავ საკუთარ შინაგან სახეს, უკვე იოლად გადაჭრი მრავალ საკითხს, ადვილად იპოვი შენს ადგილს ცხოვრებაში. საკუთარი თავის ძიების პროცესში აუცილებლად წამოიჭრება მარადიული კითხვები: ვინ ვარ, რატომ ვარ დედამიწაზე, რა არის ჩემი მოწოდება?.. ღვთისმეტყველთა განმარტებითა და ქრისტიანთა შეხედულებით, ადამიანი ღვთის იდეა და ქმნილებაა ამქვეყნად ყველაზე სრულყოფილი, მაგრამ მაინც დაუმთავრებელი. სრულქმნის პროცესი პიროვნების თავისუფალი ნებით იწყება დედამიწაზე და შემდეგ მარადიულ სამყოფელში გრძელდება. კაცს აქვს თავისი დანიშნულება საწუთროში და ღვთის ნების განსახორციელებლად გააჩნია კიდეც შესაბამისი სასიცოცხლო სწრაფვა და მოთხოვნილება, ოღონდ ამისთვის საჭიროა მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოყენება, ნიჭისა და მადლის გამომზეურება.

„უფლის წყალობით, ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ თითოეული ადამიანი მონაწილეობას ღებულობს სულიერ წინსვლაში თავისი არჩე-

ვანის თანახმად. მარადიულ ცხოვრებას ვეზიარებით ღვთის კურთხევით, ოლონდ დამსახურებისამებრ. წინსვლა ხორციელდება არა მარტო შემოქმედის ძალაუფლებითა და წყალობით, არამედ ადამიანის თანაშოქმედებითა (სინერგია) და ძალითაც. მსგავსად ამისა, ღვთის ნების სრულ განხორციელებას, თავისუფლებასა და განწმენდის მთელ სისავსეს მოვიპოვებთ არა მარტო ჩვენი შესაძლებლობებით, ძალითა და სიმტკიცით, არამედ სულიწმიდის დახმარებითა და მეოხებით", - ვკითხულობთ ღირსი მამა მაკარი დიდის შრომებში (ვრცელი ეპისტოლე, გვ. 238).

მიზანს რომ მივაღწიოთ, ყოველი წუთი გონივრულად უნდა მოვიხმაროთ. დრო სწრაფწარმავალია; „აწმყო იმდენად ხანმოკლეა, რომ გვეჩვენება, საერთოდაც არ არსებობს იგი. თითქოს დაბადებამდევე დაასრულაო სიცოცხლე", - წერდა სენეკა. ჩვენ კი არ ვაფასებთ დღევანდელ დღეს, ყველაფერს მერმისისთვის გადავდებთ ხოლმე; ბრძენი სოლომონი გვასწავლის: „ნუ იქადი ხუალისა დღისათჳს, რამეთუ არა უწყი, რასა შობს შემომსულელი დღე" (იგავნი 27,I).

ხშირად ისეც ხდება, რომ პიროვნება თავის უნარს ფუჭად ახმარს რაღაც წვრილმანებს, საკუთარი ნებით ეჯაჭვება მატერიალურ სამყაროს, წვალობს, იტანჯება. ტანჯვის მიზეზი კი ის არის, რომ დაკარგული აქვს სულიერობა, კავშირი მასთან, ვინც არის სიცოცხლისა და სიხარულის მომნიჭებელი; თუ არ აღვზრდით ჩვენში სულიერ ფასეულობებს: ღვთის რწმენასა და მისგან გამომავალ სიკეთეს, არ ექნება აზრი და მიზანი ჩვენს ფიზიკურ ძალას, ჯანმრთელობას, გონებრივ განვითარებასა და თვით სიყვარულის უნარს. აუცილებელია პიროვნების სულიერი და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიული განვითარება და არა მისი ცალკეული შესაძლებლობის წინ წამოწევა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ ვიყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი დიდებული წინაპრებისა, რომელთა ღვაწლნი და საქმენი საამაყოდ გვაქვს მიჩნეული.

ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ვიყოთ სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა არა მარტო მომხმარებელნი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, შემქმნელნი. ამ პრინციპით უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილებიც.

მამათა და შვილთა დამოკიდებულების საკითხი რთულია. ზოგიერთი ფილოსოფოსი გამოთქვამს მცდარ აზრს, თითქოს, ახალი თაობა ძველის მიმართ ყოველთვის ქვეცნობიერი სიძულვილითაა განმსჭვალული. ეს ასე არაა. ახალგაზრდის ფსიქოლოგია მყიფეა, სინდისი - თავანკარა წყაროსავით სუფთა; უყვარს სიმართლე, ეძებს ჭეშმარიტებას, ესწრაფვის იდეალს, აღვსილია ენერგიით და მზადაა ბოროტებასთან საბრძოლველად; მაგრამ, როცა მშობლებში, პედაგოგებში და საერთოდ მათში, ვინც წვრთნიდა და არიგებდა, იდეალს ვერ იპოვის, ღიზიანდება, დრტვინაცს და იჩენს სიმკაცრეს. იგი მოუმზადებელია ცხოვრებისათვის, ვერ ითვალისწინებს იმ დაბრკოლებებს, რაც ჩვეულებრივია მიწიერი ყოფისა და ადამიანთა ურთიერთობისათვის. ყოველივე ეს იწვევს უიმედობას, გულგატეხილობას... და ჩნდება ნაპრალი თაობათა შორის.

ყოველ ახალ თაობას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი აზრები, ინტერესები, რომელთაც ხშირად ვერ იზიარებენ უფროსები, მაგრამ თუ მამებსა და შვილებს აკავშირებთ ერთი საერწმუნოება, ერთი მსოფლმხედველობითი პოზიციები, იდეალი და მიზანი, თუ უფროსები სამაგალითონია, ცალკეულ შეხედულებათა სხვაობის მიუხედავად, შვილები მამათა საქმის ერთგული გამგრძელებელნი ხდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების სიჯანსაღის საზომი ახალგაზრდობაა. ისინი ყოველთვის იყვნენ და არიან ჩვენი ყოფის უშუალო მონაწილენი, დიად საქმეთა თანაზიარნი. მათი ცხოვრების ჭეშმარიტების გზით წარმართვა აუცილებელია, რადგანაც ისინი ერის სასიცოცხლო ძალას წარმოადგენენ.

ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები დაინტერესებულნი არიან სულიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-55-73

საკითხებით, ეძებენ შინაგანი ფერისცვალების გზებს, მაგრამ გამოუცდელობით ზოგჯერ შეცდომა მოსდით. ამის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ ამ ბოლო დროს ახალგაზრდობის ნაწილი გაიტაცა აღმოსავლურმა რელიგიებმა და მათგან გამომდინარე ისეთმა მიმდინარეობებმა, როგორიცაა ინდუიზმი, ბუდიზმი, იოგა, თეოსოფია, ანთროპოსოფია და სხვა.

ინდუიზმი მრავალღმერთიანობას აღიარებს, კაცს ღვთის ნაწილად სახავს, ხოლო მის აზროვნებას მხოლოდ ერთიანი მთელისგან მომდინარედ მიიჩნევს. ამ სწავლების მხედვით, გაუგებარია, რატომღა არსებობს ცოდვა, რომლის გამოც ასე ხშირად ეწინააღმდეგება ადამიანი შემოქმედს, რა აზრი აქვს სულთა გადასახლებას, რაც მათი რწმენის შემადგენელი ნაწილია და სხვა.

ბუდიზმი უფრო მწყობრი მოძღვრებაა. თავის დროზე მან დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთის ქვეყნების სულიერ განვითარებაში, ჩაუნერგა რა ბუნებით მებრძოლ ჩინეთის, ინდონეზიის, ტიბეტის, იაპონიის ხალხებს აზრი მშვიდობის, მორჩილების, გულმოწყალების, სახიერების, ჭირში ურთიერთთანადგომის შესახებ. ბუდიზმი ადამიანს თუმცა მოუწოდებს თავგანწირვისაკენ, სიყვარულისა და სიკეთისაკენ, მაგრამ ფაქტიურად უარყოფს ღვთის არსებობას, უარყოფს ადამიანის უკვდავი პიროვნული სულის იმქვეყნიურ ცხოვრებას.

თეოსოფიისა და ანთროპოსოფიის წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ აღმოსავლურ რელიგიებს და ცდილობდნენ მათთან შეეთანხმებინათ ქრისტიანობა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. დღეს დასავლეთში ამ სახის ლიტერატურით ცოტა ვინმეღაა დაინტერესებული.

აღნიშნულ მიმდინარეობებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ ერთი რამ აკავშირებთ და აერთიანებთ. ესაა მეტად საშიში და არარეალური განდიდება პიროვნებისა, მასში ჩანერგვა აზრისა თავისი უნაპირო შესაძლებლობების შესახებ, რაც სინამდვი-

ლეში ადამიანთა სისუსტეზე თამაშია. მაგალითად, იოგას ერთგული მიმდევრისათვის უცილობელია, რომ ზეადამიანური შესაძლებლობები მისი პირადი მიღწევა და მადლმოსილობის გამოვლინებაა. ის კი ავიწყდება, რომ სასწაული შეიძლება მოხდეს არა მარტო ღვთის შეწევნით, არამედ ბოროტი ძალითაც. გავიხსენოთ თუნდაც წმ. მოსესა და მის მოწინააღმდეგე ეგვიპტელ გრძნეულთა საოცრებანი და მოვიგონოთ მაცხოვრის სიტყვები: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს“ (მათე 12,39).

ქრისტიანული სწავლებით, წმიდანობა არ ნიშნავს სნეულთა განკურნვის, წინასწარმეტყველებისა და სხვა სასწაულთა მოხდენის აუცილებელ უნარს. წმ. მამები ყოველთვის ერიდებოდნენ ამის მისაღწევად ზრუნვას, ანდა ამგვარი შესაძლებლობების ჩვენებას. მათთვის მთავარი სულიერი სრულყოფა - მოყვასისადმი თავგანწირული სიყვარულისა და ღმერთთან შესაძლებელი სიახლოვის მოპოვება იყო.

სასწაულმოქმედების ბოროტ ძალას იყენებს მაგია და ოკულტიზმი, რათა თავის უძირო ჭაობში მიიზიდოს შეცდომილნი. „...ვაი რომელნი იტყჳან ბოროტსა კეთილად, და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად, და ნათელსა ბნელად, და რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად, და ტკბილსა მწარედ“, - წერს წმ. ესაია წინასწარმეტყველი (ესაია 5,20).

აღმოსავლურ რელიგიებში ადამიანის ღმერთამდე ამაღლებისა და თვით მასზე უფრო მეტად თავის განდიდების სწრაფვა ეყრდნობა ჰიპნოთერაპიისა და ფსიქიკის უკიდურესად აღგზნების მეთოდს. იგივე საფუძველი უდევს აღკოჰოლით, მორფითა და სხვა გამაბრუებელი ნივთიერებებით ამ ცხოვრებისაგან განდგომის იდეას. განსხვავება ის არის, რომ აქ შედარებით გამარტივებული გზაა მოძებნილი, ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი საშუალებებია გამოყენებული, ოღონდ ამ მოჩ-

ვენებითი ნეტარებისათვის მსხვერპლად შენი და შენი შვილების ჯან-მრთელობა უნდა გაიღო, სული უნდა გასწირო. ამ საწამლავით დაავადებულნი სჩადიან დანაშაულს, რომელიც თვითმკვლელობის ტოლფარდია და სულიწმიდის გმობას ნიშნავს. „ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტევოს კაცთა" (მათე 12,31), - ბრძანებს მაცხოვარი.

ლოთები, ნარკომანები საკუთარი ხელით შეგნებულად ისპობენ უფლისგან მომადლებულ უნარსა და შესაძლებლობებს, რომელთა გონივრული გამოყენებითა და ყოველდღიური სულიერი შრომის წყალობით უნდა განეხორციელებინათ დიადი მიზანი - მოემზადებინათ სული მარადიული ნეტარებისთვის.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ამ უმძიმესი ცოდვის მსხვერპლია, დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანები ეძიებენ იოლ გზებს მატერიალურ სიკეთეთა შეძენის მიზნით, იოლადვე უნდათ მიაღწიონ წინსვლას სულიერ ცხოვრებაშიც, მაგრამ სწორედ აქ ცდებიან; დაბნეულნი და შეცდომილნი სინათლის ნაცვლად ბნელის გავლენის ქვეშ ექცევიან და ეჩვენებათ უკუნი ნათლად.

„მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს... რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი" (იოანე 10 9,1), - გვასწავლის ჩვენთვის ვნებული, დაფლული და კვლავაც მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი და იტყვის ამას: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ" (იოანე 8,12). ამ გზით, ქრისტეს ერთადერთი გადამრჩენელი გზით, ვიდოდნენ ჩვენი წინაპარნი, მას უნდა შევუდგეთ ჩვენც და აღვასრულოთ მცნებანი მისნი. ამიტომ აუცილებელია, ვიცნობდეთ წმიდა წერილს - ბიბლიას, რომლის მეოხებითაც უფალმა მოგვაწოდა ცოდნა ჩვენი მიწიერი ყოფის იმგვარად წარმართვისათვის, რომ ღირს ვიქმნეთ იმქვეყნად სასუფევლის დამკვიდრებისა.

ბიბლია არის როგორც ადამიანური, ისე ღვთაებრივი წიგნი, დაწერილი ღვთივგანბრძნობილ წმ. კაცთაგან, რომელთა ბაგეებით თვით სულიწმიდა მეტყველებდა. მკითხველი ყოველი ავტორის ხასიათს, ცხოვრებისეული დაკვირვების სიღრმეს, მხატვრული აზროვნების უნარს, ეპოქას... ადვილად იგრძნობს. და მაინც ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ქმნილებაა, საუნჯეა ჭეშმარიტი საგანძურისა.

საღვთისმეტყველო განათლებისა და სულიერი წინსვლის მისაღწევად ასევე დიდმნიშვნელოვანია წმიდა მამათა: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის, ეფრემ ასურის, იოანე დამასკელის, გრიგოლ პალამას, ანტონ დიდის, წმიდა თეოდორიტეს, წმიდა თეოფანეს, გიორგი მცირის, ივანე ზედაზნელის, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელთა, გრიგოლ ხანძთელის... და ყოველთა სხვათა დიდთა მოძღვართა ცხოვრებისა და შრომების გაცნობა. ისინი იყვნენ ბიბლიის არა მარტო შესანიშნავი მცოდნენი და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულნი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიდი სულიერობით გამორჩეულნი, რადგანაც ათობით წელი ჰქონდათ გატარებული განმარტოებით ლოცვასა, მკაცრ მარხვასა და განდგომილ ცხოვრებაში. შემდეგ კი მათ თავიანთი გამოცდილება გადასცეს მოწაფეებს და შრომებისა და წერილების სახით გაგვიზიარეს ჩვენ, ქრისტიანებს.

წმ. მამათა სწავლანი მიზნად ისახავს ადამიანის ღმერთთან დაახლოებას, ნეტარებასა და წარუვალ სიხარულს. „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყჳ: გიხაროდენ" (ფილიპ. 4,4), - გვარიგებს პავლე მოციქული.

განა შეიძლება ჩვენი სიხარული იყოს დაუსრულებელი, როცა გარშემო ამდენი მწუხარება, გაჭირვება, ავადმყოფობა, სხვადასხვა გაღიზიანება და შფოთია, როცა სულ ახლოს ჩაივლის ხოლმე სიკვდილი და გრძნობ, მაღე შენც შეგეხება? მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს

სიტყვები ეკუთვნის იმ ადამიანს, ვინც მრავალჭირნახული ცხოვრება განვლო და მოწამებრივად აღესრულა. სწორედ იგი, ქრისტიანობის ქადაგებისთვის ყველაზე მეტად დამაშვრალი, დაკინებით და თანაც არაერთხელ მოგვიწოდებს მარადიული სიხარულისაკენ, იმ სიხარულისკენ, რომელსაც ვერავითარი მიწიერი განცდა ვერ განაქარვებს, იგი იესოს შობით მოენიჭა კაცთა მოდგმას.

„გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოველსა ერსა, რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელი არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა" (ლუკა 2, 10-11), - ამ სიტყვებით მიმართა ანგელოზმა შობის ღამეს ბეთლემელ უბრალო მწყემსებს. თითქმის ოცი საუკუნეა, რაც კაცობრიობა ისმენს ზეციურ უსხეულო ძალთა საგალობელს, პირველად იმ იდუმალ ღამეს რომ მოეფინა დედამიწას: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ" (ლუკა 2,14). ამ ხნის მანძილზე დიდი ძვრები მოხდა ადამიანთა სამყაროში, შეიცვალა პიროვნება, მისი შეხედულებანი სულიერ და მატერიალურ ფასეულობებზე, მაგრამ უცვლელი და ჩვენთვის ახლა უფრო აუცილებელი გახდა ანგელოზთა ამ სადიდებლის მოწოდება მშვიდობასა და ურთიერთ სიყვარულზე, რადგანაც დღეს მსოფლიო თავისი არსებობის მეტად საშიშ პერიოდში შევიდა. მეცნიერება და ტექნიკა დიდი ტემპით მიიწევს წინ; თუ არ მოხდა პიროვნების გონიერი და სულიერი საწყისის შესაბამისი სისწრაფით განვითარება, სიცოცხლე ქვეყნად ბირთვული კატასტროფის საბედისწერო საფრთხის წინაშე დადგება.

გვწამს, უფალი და ხალხის კეთილი ნება არ დაუშვებს, რომ ჩვენი აყვავებული დედამიწა ნაცარ-მტვრად იქცეს.

ქრისტესმიერნო დანო და ძმანო!

სულიერი სიხარულით აღვსილი, გულითადად მოგესალმებით და

მოგიღოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს. დაე, ყოვლისშემძლე ღმერთმა არ მოგიშალოთ მშვიდობა, ჭეშმარიტი სიყვარული და სიხარული მარადიული.

„მოწყალებანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიან შენ; შეიბენ იგინი ყელსა შენსა და დაწერენ იგინი ფიცართა გულისა შენისათა და ჰპოო მადლი წინასწარგანზრახვად კეთილისა წინაშე ღმრთისა და კაცისა" (იგავთა 3,3-4).

გწამდეთ, არა ხართ მარტო; გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

ი ლ ი ა II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი

ქრისტეს შობა

1985 წ.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს, მკვიდრთა საქართველოჲსა და უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთ

„მიეახლენით ღმერთსა, და მოგეახლოთ თქვენ"
(იაკობი 4,8)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძღევამოსილნო ივერნო, ძენო და ასულნო ღვთისანო, „კურთხევა უფლისა თქვენ ზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარეებითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ".

ყოველ ახალ წელს იმედით ვხვდებით, რადგანაც რაღაც ახალი მოაქვს მას. ღმერთმა იმედი არ მოგვიშალოს! დღეს ვტოვებთ იმ სავანეს, სადაც ერთი წლის მანძილზე ვიმყოფებოდით და ჩვენს წინაშე იხსნება ახალი კარი; ვიდრე მას შევაღებდეთ, უნდა გადავხედოთ განვლილ გზას, გავიხსენოთ საქმენი ჩვენნი და ისინი, ვინც ჩვენს გარშემო იმყოფებოდნენ; მოვიგონოთ, შევძელით კი იმისი გაკეთება, რაც გვევალებოდა; შევუმსუბუქეთ შრომა ან ტანჯვა მოყვასსა ჩვენს, მოვწმინდეთ ცრემლი მტირალსა, მივაწოდეთ პური მშიერსა, წყალი - მწყურვალსა, ყურად ვიღეთ თხოვნა მათი, ვინც შველას ჩვენგან ელოდა,

თუ დავიხშეთ სასმენელნი და ჩვენს თავში ჩაკეტილნი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ვზრუნავდით?

კარგია, თუ ყოველივე ამას გაიაზრებ და დაფიქრდები, რადგანაც მომავალში მაინც შეძლებ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

როდესაც ახალი წლის იდუმალ სახლში შეაბიჯებ, ხელი შენი გაუწოდე უფალსა და მიჰყევ მის ნებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნები დაცული, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებ სწორი პასუხი გასცე ჩვენს წინაშე მდგარ ამ უმნიშვნელოვანეს კითხვებს: ვინ ვარ მე, რას ვაკეთებ და საით მივდივარ?

ვინ ვარ მე, როგორც ადამიანი? ნუთუ მხოლოდ ევოლუციის შედეგი და მეტი არაფერი? თუ ასეა, რატომ შეჩერდა ეს პროცესი ჩვენზე? და თუ იგი არ გაჩერებულა და კვლავ მიმდინარეობს, მაშინ ვინ უნდა შეგვცვალოს, იქნებ ზეადამიანმა?

ქრისტიანობა არ უარყოფს განვითარებას, არც ტრანსფორმიზმის (ორგანიზმის დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის) თეორიას. საიდუმლოებითაა მოცული არსი ევოლუციისა; იგი ეხება საერთოდ ცოცხალ არსებებს, მაგრამ არა ადამიანს.

ბიბლიისა და წმ. მამათა სწავლანის მიხედვით, კაცი არის განსაკუთრებული მოვლენა, გვირგვინი ქმნილებისა, მეფე და უფალი ამა სოფლისა, მიკროკოსმოსი, მომცველი თავის თავში ყოველივე არსებულისა, რადგანაც ორი სამყაროს – სულიერისა და ხორციელის – მიჯნაზე დგას; ერთის მხრივ, იგი შემოფარგლულია სივრცით და დროით; არის გარკვეულ ეპოქაში რომელიმე ერის წარმომადგენელი ამა თუ იმ ქვეყნიდან, თუმცა ამავე დროს შეუძლია სულიერად მოსწყდეს კონკრეტულობას, განსაზღვრულ გარემოს და იცხოვროს იდეათა და განყენებული აზროვნების სფეროში, სადაც ჭეშმარიტების, მშვენიერების, სამართლიანობის, სიყვარულის, ბედნიერების ძიების სურვილი მისი მუდმივი

თანამგზავრი იქნება. კაცობრიობამ შორეულ წარსულშივე იგრძნო თავისი ორბუნებოვნება. აი, რას წერდნენ ძვ. ჩინელი ფილოსოფოსები: „ადამიანისათვის დამახასიათებელია თვისებები მიწისა და ცისა, მასში ერთმანეთშია შერწყმული ნათელი და ბნელი, შეერთებულია სული და სამშვინველი“ (ძვ. ჩინური ფილოსოფია, მოსკოვი, 1973, გვ. 106).

მაგრამ სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან ადამიანის მთავარ განმასხვავებლად მაინც ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. იბადება კითხვა: როგორ შეიძლება მოკვდავ, ვნებებისა და გრძნობების მორჩილ, დროითა და სივრცით განსაზღვრულ პიროვნებაში აირეკლოს ის, ვინც უკვდავი, დაუსაბამო და სრულქმნილია? რომ ნაწილნი ვართ უფლისა, ვლინდება ღვთისადმი ჩვენს სწრაფვაში, ხოლო გარეგნულად ეს გამოისახება თავისუფალ ნებისყოფასა და შემოქმედებით უნარში. ეკლესიის დიდი მამა გრიგოლ ნოსელი ღვთის ხატებას ჩვენში ადარებს სარკის ანარეკლს. სარკე შეიძლება გატყდეს ან დაიორთქლოს, დაედოს მტვერი ან ჭუჭყი. სარკე შეიძლება იყოს შებრუნებული ისე, რომ არ ასახოს ის, რის დანახვაც გვინდა. მსგავსად ამისა ადამიანმაც შეიძლება დაკარგოს ხატება ღვთისა, აღარ იყოს მისი ანარეკლი, მაგრამ ღვთის სახის აღდგენის უნარი ყოველთვის რჩება მასში. იგივე წმიდა მამა, გრიგოლ ნოსელი, ბიბლიაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სახელი ადამი არის საერთო, კრებითი სიტყვა, ამსახველი არა მარტო ცალკეული პიროვნებისა, არამედ მთელი კაცობრიობისა. აქედან გამომდინარე, ადამი, როგორც ანარეკლი შემოქმედისა, არის მთელი კაცობრიობა, მოწოდებული ერთიანობის, ურთიერთგაგებისა და ღვთის ხატად ქცევისთვის.

თითოეულმა ჩვენგანმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: ვარ მე სახე უფლისა, თუ ეს ხატება უკვე დაკარგულია ჩემში? აი, მიზეზნი, რომელთა გამო პიროვნება შორდება ღმერთს: „თუალნი მაგინე-

ბელნი, ენა ცრუ, ჭეღნი დამთხეველნი მართლისა სისხლისა, და გული რომელი ზმის ზრახვასა ბოროტსა, და ფერჯნი ისწრაფიან ბოროტისა ყოფად, მოსპოლვად. აღაგზნის ტყუვილი მოწაფემან ცრუმან, და მოავლინის სასჯელი შორის ძმათა"(სოლომონი, იგავნი 6,17-19).

მოციქული იაკობი კი წერს: „სადა არს შური და ხდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე.

ხოლო ზეგარდამოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშვიდობაჲ, სახიერებაჲ, მორჩილებაჲ, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთაჲთა, განუკითხველ და შეურგულებელ"(იაკობი 3,16-17).

ადამიანის ბუნება არ არის სრულყოფილი არც კაცში და არც ქალში, არამედ ორივეში ერთად. ღმერთმა დანერგა ქალსა და მამაკაცში ურთიერთ ლტოლვის სურვილი, სწრაფვა ერთ არსად ქცევისა მათი შვილების სახით ახალი სიცოცხლის წარმოსაქმნელად. ამ შეკავშირებისათვის მამოძრავებელი ძალა სიყვარულია. სიყვარული ძნელად ასახსნელი გრძნობაა, რომელიც გამოდის ღვთისაგან და ამავე დროს ჩვენი მიმყვანებელია ღმერთთან. ჯვარდაწერილი და სიყვარულით შეულლებული ცოლ-ქმარნი ღვთაებრივი შესაქმის გამგრძელებელნია, მაგრამ თუ ადამიანს ამოძრავებს მხოლოდ ქვენა გრძნობები, ხორციელი ტკბობის სურვილი, ეს უკვე აღარ არის სიყვარული. ვნებას აყოლილი პიროვნება მიწიერ სიამოვნებას ესწრაფვის და ვეღარ ამჩნევს მეუღლის ჭეშმარიტად მშვენიერ, სათნო სულიერ თვისებებს. ბრძენი სოლომონი ასეთ დარიგებას აძლევს ახალგაზრდებს: „იხარებდი ჭაბუკი სიჭაბუკესა შინა შენსა, და რათა განატრიდეს შენ გული შენი დღეთა შინა სიჭაბუკესა შენსა, და ვიდოდი გზათა შინა გულისა შენისათა უბიწოდ, და არა ხედვასა შინა თვალთა შენთასა, და სცან რამეთუ ამათ ყოველთა ზედა მოგიყვანოს შენ ღმერთმან სასჯელსა ზედა" (ეკლესიასტე 11,10).

გახსოვდეთ, ქორწინება სიყვარულთან ერთად თავდადებასაც გული-

სხმობს. საუკუნო სიყვარულისა და ერთგულების ფიცით შეკავშირებული მეუღლენი მიემართებიან ერთი გზით, რომელიც მარტო ია-ვარდით არ არის ფენილი და რომელზეც ხშირად ნარ-ეკალი გვხვდება. ის, ვინც ოჯახს ქმნის, მზად უნდა იყოს, მსხვერპლად გაიღოს ყოველივე სხვისი ბედნიერებისათვის; უნდა შეეძლოს, ებრძოლოს ეგოიზმს, დაძლიოს თავისი ჩვევები, მოთხოვნილებები, სურვილები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თავიც გასწიროს. ცოლ-ქმარს ერთმანეთისა უნდა სჯეროდეს.

ოჯახის საკითხთან დაკავშირებით მინდა ყურადღება შევაჩერო ჩვენში გავრცელებულ უმძიმეს ცოდვაზე - დედათა მიერ მუცლის მოშლაზე. ეკლესია, ღვთის კანონის საფუძველზე დაყრდნობით, ერთხელ კიდევ მოაგონებს ყველას, რომ ეს არის უდიდესი დანაშაული ღვთის, ერისა და თვით სიცოცხლის წინაშე. ყოველი ჩანასახი მისი განვითარების პირველი დღეებიდანვე უკვე ადამიანია; უფალი თავიდანვე ასახლებს თავის უკვდავ სულს მუცლადღებულის ნაყოფში; ამიტომაცაა იგი ისეთივე ძვირფასი და გასაფრთხილებელი, როგორც ნებისმიერი პიროვნება, ამიტომაცაა მისი მოსპობა კაცის მკვლელობის ტოლფარდი. ამ ცოდვით დამძიმებული მშობლები მკაცრად დაისჯებიან ღვთისაგან, რადგან მათი ხელები საკუთარი ნებით დახოცილი შვილების სისხლითაა გამთბარი.

შვილნო ჩემნო, განერიდეთ ამ საშინელ დანაშაულს, ნუ შეგაშინებთ ძეთა და ასულთა სიმრავლე, ისინი ხომ თქვენი სიბერის მშვიდი ნავსაყუდარი, იმედი და ნუგეში იქნებიან.

დაე, დაგლოცოთ უფალმან, ჩვენო ქალწულნო და ჭაბუკნო, ღვთივკურთხეული ქორწინებით შეუღლებულნო, რათა იხილოთ სიხარული შვილთაგან. ძალი შემოქმედისა, რწმენა, სიმტკიცე, სიხარული და წყალობა მისი თანამავალ გეყავნ თქვენ მარადის!

ხშირად გვხვდებიან პიროვნებანი ერთი შეხედვით ბედნიერად მცხოვრებნი: ჰყავთ ოჯახი, აქვთ სიმდიდრე, უკავიათ თანამდებობა, სარგებლობენ ავტორიტეტით, დაჯილდოებულნია ნიჭით... მაგრამ სინამდვილეში უბედურზე უბედურნია, თუ ვერ განურჩევიათ, რა არის სიკეთე და რა - ბოროტება, თუ არ იციან, რისთვის ცხოვრობენ, რაში მდგომარეობს სიცოცხლის აზრი, თუ დაკარგული აქვთ კავშირი ღმერთთან. ის, ვინც იგრძნობს სულის სიობლეს, სიცარიელეს და აღეძვრება სურვილი ჭეშმარიტების ძიებისა, ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ყოველთვის იპოვის; საწყალობელი კი იგია, ვინც ღატაკია და ვერ ხედავს, ღვთისაგან მიტოვებულია და ვერ გრძნობს, ცოდვილია და არ განიცდის. ილია ჭავჭავაძე წერს: „ადამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი?“(ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1885 წ.).

მე და შენ. შენ და მე. რამდენი რამ შეიძლება ითქვას ჩვენს ურთიერთობაზე. შენ ასაკით უფროსი ხარ, უფრო გონიერი, ნასწავლი, მაღალ წრეში ტრიალებ, ყველა პატივს გცემს, გაქებს და გადიდებს. მე კი უბრალო მოკვდავი ვარ, არაფრით გამორჩეული. ჩვეულებრივია ჩემი გარეგნობა, ცოდნა, მდგომარეობა, თუმცა ორივენი ერთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ... შენ მსოფლიო მარადიული პრობლემები გაწუხებს, მე კი - ყოველდღიური წვრილმანები და ზრუნვა არსობის პურზე. შენ თავაზიანი და შესანიშნავად აღზრდილი ხარ, შეგიძლია თავის დაჭერა, მე კი გრძნობებს ვერ ვფარავ, რის გამოც ხშირად უსიამოვნება მხვდება; მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა, მაინც ახლობელნი ვართ ჩვენი უკვდავი სულის წყალობით და ამიტომაც ერთად უნდა ვიაროთ, „გზითა მით იწროჲთა“, ეკლიანითა და ქვიანითა; იმ გზით მაცხოვარმა რომ გვიჩვენა. იესო ქრისტე მოგვიწოდებს, მივსდიოთ მას.

ამაოდ გაქვს იმედი შენი განსწავლულობისა, სიმდიდრისა და ამასოფ-ლიური დიდებისა; როდესაც ნამდვილად გაგიჭირდება ეს ყოველივე ვე-რარას გარგებს. დღეს შენი თაყვანისმცემელნი ხვალ დაგივიწყებენ და ახლა სხვას შეასხამენ ხოტბას. თვით ნაპოლეონი ამბობდა: ყვე-ლაზე დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო. ერთადერთი იმედი ჩვე-ნი შემოქმედი უფალია.

გწამს შენ ნათლისა დაუსაბამოჲსა და უსასრულოჲსა, უმწიკვლოჲ-სა და ჩვენი განმწმედელისა, ნათლისა, რომელი ბნელსა შინა ჩანს და თვისითა ელვარე სხივებითა სძლევს და განაგდებს უკუნსა? თუ გწამს, მიხარის, რამეთუ მეც მწამს. მაშ, ყოვლისშემძლე და მხსნე-ლი ძალა ნათლისა გვაერთიანებს, გვაახლოებს და განგვამტკიცებს ჩვენ. მაშ, მეც და შენც გვესმის მოციქულთა დარიგება: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ-ატ. 6,2).

მოიხილენ ჩვენზედა, უფალო, რათა ვიყოთ ერთ სამწყსო და ვიდო-დეთ ბილიკითა შენითა; გვჯერა, მოვაღწევთ შენამდე, რამეთუ ხარ უნაპირო სიყვარული და შეგვინდობ მონანულთა, ხოლო ჩვენ გვახსოვს სიტყვები შენი: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“.

რას ვაკეთებთ და რა უნდა ვაკეთოთ? – აი, ჩვენს წინაშე მდგა-რი მეორე კითხვა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვისწავლოთ ცხოვრება ღმერთში და ყოფ-ნა ადამიანთა გარემოცვაში. როგორც ერთი, ისე მეორე საჭირო და აუცილებელია ჩვენთვის. უფალი მხოლოდ გულსა გვთხოვს, რათა იქ და-ივანოს და სულიერად განგვაცისკროვნოს. საკითხის მთელი არსი მდგო-მარეობს იმაში, ვართ თუ არა მზად ამისთვის? თუ გვსურს, სათნო ვეყოთ ღმერთსა და აღვივსოთ მადლითა მისითა, უნდა მოვამზადოთ ჩვე-ნი გული და სული ამ მაცხოვნებელი ნიჭის მისაღებად. ძველი სიბრძნე

გვასწავლის: გრძნობითი ცდუნებანი აღაგზნებენ ადამიანს. მხოლოდ ცნებებისაგან გათავისუფლებული სული შეიძლება გახდეს ნათელი. ნათელი სული მიდრეკილია სიმშვიდისაკენ, სიმშვიდე – მაღალგონიერებისაკენ, სრულყოფილი გონება საშუალებას იძლევა ერთი მიმართულებით წარიმართოს ჩვენი ყურადღება, რაცაა წყარო შორსმჭვრეტელობისა. შორსმჭვრეტელობა სულის თვისებაა. სული ამქვეყნად ყველაზე დიდი საუნჯეა. თუ საცხოვრისი დაულაგებელია, წარჩინებული პიროვნება იქ არ დაბინავდება, მსგავსად ამისა, არც სული დაიმკვიდრებს იქ, სადაც უსუფთაობაა" (ძვ. ჩინური ფილოსოფია, მოსკოვი, 1973, გვ. 28). ღმერთთან მიახლების პროცესი მთელ ცხოვრებას გრძელდება. ადამიანები განსხვავებულნია; ზოგნი სიყრმიდანვე უფლის სიყვარულითა და რწმენით არიან დაჯილდოებულნი. სხვანი, თუმც ცდილობენ იწამონ, მაგრამ ვერ ახერხებენ, რადგანაც არ ან ვერ მისდევენ მაცხოვრის ხმას.

კაცი იმიტომ კი არ უნდა იყოს მორწმუნე, რომ ტრადიციულად მის ოჯახში ყველა ქრისტიანია, – არამედ მას თვითონ უნდა სჯეროდეს ქრისტიანობის ჭეშმარიტებისა, უნდა აღიარებდეს და იცავდეს იმ წესჩვეულებებს, რაც დადგენილია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. პიროვნების რელიგიურობა მტკიცდება არა იმდენად რაციონალური განსჯით, რამდენადაც ადამიანის თავის გულთან კავშირითა და ერთობით, რადგანაც რწმენა არ არის სამეცნიერო დისციპლინა ანდა აზროვნების გარკვეული სახის გამოვლინება, იგი თვით სიცოცხლეა.

ზოგჯერ ამბობენ: მეცნიერება და რწმენა ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო. არ არის სწორი. განა შეიძლება ისინი დაუპირისპირდნენ ურთიერთს, როდესაც ჩვენი ყოფის სულ სხვადასხვა სფეროს მოიცავენ: რწმენა – სულიერს, მეცნიერება – მატერიალურს? ერთიცა და მეორეც კი არ გამორიცხავს, ავსებს ერთმანეთს და აუცილებელია პიროვნებისა

და საზოგადოების ნორმალური განვითარებისა და არსებობისათვის.

II საუკუნის დიდი ღვთისმეტყველი და მეცნიერი კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „რწმენასთან დაკავშირებული და მასზე დაფუძნებული გამოკვლევები მსგავსია იმ მშვენიერი და დიდებული შენობისა, სადაც უმეტესწილად, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტება სახლობს“ (კლიმენტი ალექსანდრიელი, სტრომატები, გვ. 86); სხვა ადგილას ის წერს: „ნამდვილი გნოსტიკოსი (მეცნიერი) იგია, ვინც მოინდომა ბიბლიის შესწავლა, ვინც შეურყევლად იცავს მის დრომდე მოღწეული ეკლესიისა და მოციქულთა სწავლანის სიწმინდეს“ (იქვე, გვ. 82); მართლაც, მარტო რწმენა არ არის საკმარისი, აუცილებელია ეკლესიურობა. ეკლესია ქრისტეს სხეულია, მაცხოვრის ამქვეყნიური სამყოფელია. მრავლად არიან მორწმუნენი, რომელნიც თავს ქრისტიანად მიიჩნევენ, ტაძარში კი არ დადიან და დიდადაც ცდებიან. მორწმუნე აუცილებლად უნდა მისდევდეს ეკლესიური ცხოვრების წესს, იცავდეს და ასრულებდეს მარხვის, ლოცვის, ნათლობის, აღსარების, ზიარების, სახლის კურთხევის, ჯვრისწერის და სხვა საიდუმლოებებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია განწმედა. ნეტარი ავგუსტინე გვასწავლის: „სულიწმიდის მადლით შემოსილი პიროვნება ნაწილი ხდება ეკლესიისა, რომელიც ყველასათვის გასაგები ენით მეტყველებს; სულიწმიდა განშორებულია მათგან, ეკლესიის გარეშე რომ დგანან... თუ სხეულს მოვკვეთთ რომელიმე ნაწილს, იგი შეინარჩუნებს ფორმას, ვთქვათ, თითისას, ხელისა ან ყურისას, მაგრამ სიცოცხლე არ იქნება მასში; ამის მსგავსია მდგომარეობა მათი, ვინც არაეკლესიურია“ (ქადაგებანი, 268,2).

განვიხილოთ თუნდაც ზიარების საიდუმლო.

ეს არ არის უბრალო რიტუალი; იგი შეერთებაა პიროვნებისა მაცხოვართან, მისტიური ცენტრია როგორც ქრისტიანული ცხოვრებისა, ისე მთელი ღვთისმსახურებისა. ზიარების წინ ყველა ლოცვა ამზადებს ადამიანს ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედთან მიახლებისთვის.

მათთვის, ვინც ღირსეულად მოემზადება, შიშით, ღრმა და ჭეშმარიტი სინანულით მიიღებს იესოს ხორცსა და სისხლს, ეს სიწმიდე იქნება განმწმენდელი ცეცხლი, გარდამქმნელი და აღმადგინებელი მათი სულისა.

წმიდა მამის, ღირს სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის შრომებში ვკითხულობთ: „აღდგომა სულისა არის მისი შეერთება იმ ცხოვრებასთან, რომელსაც ქრისტე ჰქვია. თავისთავად სული ვერ იარსებებს, თუ უხილავი კავშირით არ შეერწყა უფალს, რომელიც ჭეშმარიტად არის ცხოვრება საუკუნო. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ღმერთს მიეახლება და ამის წყალობით ქრისტეს ძალით აღდგება, ღირს იქნება იგი საიდუმლოდ იხილოს და გონებით მისწვდეს ქრისტეს სულიერ აღმშენებლობით ძალას" (ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის ცნობილი სიტყვები, მოსკოვი, 1892, გვ. 256).

სიწმიდით მზიარეებელნი საოცარი მადლით იმოსებიან, რადგანაც პური ესე არის დაუღევნელი და უხრწნელი საზრდელი, ხოლო ღვინო, რომელიც ღვთის სისხლია ნამდვილი, - ხელთუქმნელი ნათლის, გამოუთქმელი სიტკბოებისა და საუკუნო სიხარულის მომნიჭებელი.

განა შეიძლება, თავს ქრისტიანად თვლიდე, ლოცვისა და მარხვის გარეშე ცხოვრობდე? თვით მაცხოვარი ბრძანებს, რომ მხოლოდ ლოცვითა და მარხვით შეიძლება ჩვენგან განვდენოთ და დავამარცხოთ ეშმაკი.

ლოცვა ღმერთთან შეხვედრაა, საუბარია მასთან. ლოცვა, რა თქმა უნდა, ყველგან შეიძლება, მაგრამ ეკლესიაში მას განსაკუთრებული მადლი აქვს.

ეკლესია ის ღვთაებრივი და მისტიური ძალაა, რომელიც აკავშირებს პიროვნებას უფალთან და მოყვასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მოვალეობაა, ვიცხოვროთ ღმერთში და კაცთა შორის. პირველი შედარებით უფრო ადვილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს ადამიანისადმი რწმენის დაკარგვას. პირიქით, ჩვენს ყოფას საღი თვალით უნდა შევ-

ხედით, უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყნად არსებობს ბოროტებაც და სიკეთეც და დავიხსომოთ: „ყოველნი ერთზრახვა იყვენით, მოწყალე, ძმათ მოყუარე, შემწყნარებელ, მდაბალ; ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინაალმდგომსა აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ ამისთვის მებრ იჩინენით, რაჲთა კურთხევაჲ დაიმკვიდროთ" (I პეტრე 3,8-9).

„კაცი მოყუარული მოყუასისა უფროისად საყუარელი იყოს, ვიდრე-ღა ძმაჲ" (იგავთა I8,24).

„რომელი იხარებდეს შეჭირვებასა ზედა სხვისასა, მას მიუვლინოს ღმერთმან სასჯელი" (იგავთა I7,5).

„უკეთუ დაეცეს მტერი შენი, ნუ მოგცხრებინ და შებრკოლებასა მისსა ნუ აჰმაღლდები... ნუ გიხარინ ბოროტის მოქმედთა ზედა, ნუცა ჰბრძავ ცოდვილთა ზედა, რამეთუ არა ესუას ნაშობი უკეთურთა და ბრწყინვალებაჲ უღმრთოთა დაშრტეს" (იგავთა 24,17-20).

ერთმანეთისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, მთავარია, დაკვირვებული თვალი გვქონდეს და გულისხმავყოთ, რა არის ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო.

ერთხელ ერთ ეგვიპტელ მოძღვართან სამი ახალგაზრდა ბერი მივიდა, ორმა მათგანმა დაუწყო გამოკითხვა სულიერი ცხოვრების გზების, ლოცვისა და მარხვის ძალის, ასკეტიზმის შესახებ. მესამე ხმას არ იღებდა და მდუმარედ შესცქეროდა სულიერი მოღვაწეობით ნატანჯ მის წმიდა სახეს. მოძღვარმა ბოლოს თვითონ ჰკითხა ამ ბერს, ხომ არ სურდა მასაც რაიმე საკითხზე საუბარი. - ჩემთვის თქვენი წმიდა სახის ხილვაც საკმარისიაო, - იყო პასუხი.

საით მივდივართ? - აი, მესამე საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ. ეგების გაურკვეველია, სად მივემართებით? ეგების იგი მხოლოდ არარაობაა? თუ შენს წინ მხოლოდ სიბნელე და არაფერია, მაშინ

რაღა საჭიროა ამდენი ტანჯვა, გაჭირვება და განსაცდელი? რატომ უნდა მოითმინო, აპატიო, დაიმდაბლო თავი, რად გინდა სინდისი, პატიოსნება? მაშ, მოასწარი, სვი, ჭამე, დრო ატარე, ყველაფერი ხომ მაღე დამთავრდება და არარად იქცევა. ბევრი კი ინატრებდა ამას, მაგრამ ეს ასე არ არის.

მორწმუნე ხარ თუ ურწმუნო, მნიშვნელობა არა აქვს, შენს წინაშე შეუვალი მარადიულობაა საუკუნო ნეტარებით ან სატანჯველით სავსე. მიწიერი ჩვენი სიცოცხლე წამისყოფაა, მომზადებაა უსასრულო ცხოვრებისათვის. ყოველი წელი, თვე და დღე გვაახლოებს იმ კარიბჭეს, როცა წარმავალიდან წარუვალში გადავინაცვლებთ. მაცხოვარი გვმოძღვრავს და გვაფრთხილებს: „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემთანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიც ყოფად არცა ერთი“(იოანე 15,5).

ჩვენი ვალია, ვიყოთ ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი, ჩვენი ქრისტიანი ხალხის ერთგული შვილნი, ვიცხოვროთ და გონიერად მოვიხმაროთ მიწიერი სიკეთე ისე, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი სულის წინსვლასა და სრულყოფას.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, რომლითაც ასე ამაყობს ჩვენი საუკუნე, მეტად შეზღუდულია და არ იძლევა საფუძველს აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მიახლოებისათვის, რადგანაც ის ეყრდნობა ადამიანის გრძნობებს და არ ძალუძს, მოსწყდეს ჩვენი პლანეტის მასშტაბებს. დედამიწის მიზიდულობის დაძლევის მიზნით მეცნიერებამ ახლა კოსმიზაციის პროცესი დაიწყო. კაცობრიობას ემუქრება ატომური ომის საფრთხე, შექმნილი ბირთვული ენერგიის მარაგი უდიდეს საშიშროებას ქმნის და ზღუდეს მართავს კაცსა და ბუნებას შორის.

ატომური ფიზიკის ერთ-ერთმა მამათმთავარმა, კვანტური ფიზიკის ფუძემდებელმა, ნილს ბორმა (რომლის დაბადების 100 წლისთავი წელს

სრულდება), კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა ატომის სიღრმეში დაფარული ძალა, ამიტომაც ხშირად ლაპარაკობდა მშვიდობაზე. 1950 წელს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წერილიც გაუგზავნა, სადაც შიუთითებდა ჩვენს ეპოქაში ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აუცილებლობაზე.

დღეს ეს დრო დადგა. ყველა გრძნობს საფრთხეს. ამიტომაც კეთილი ნების ადამიანები, განურჩევლად პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური სხვაობისა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეინარჩუნონ მშვიდობა და იხსნან მსოფლიო კატასტროფისაგან.

„მჯერა, ადრე თუ გვიან ხალხი გამოფხიზლდება, გათავისუფლდება ტექნიკის ტყვეობისაგან, თავს დაანებებს სიამაყეს თავისი სიძლიერის შესახებ და დაუბრუნდება ჭეშმარიტ ღირებულებებს: მშვიდობას, ადამიანურ სიყვარულს, მორჩილებას, ურთიერთპატივისცემას, დიდ ხელოვნებას, ნამდვილ მეცნიერებას“, – წერდა მეორე ცნობილი ფიზიკოსი მაქს ბორნი.

მართლაც, ყოველად აუცილებელია სულიერობისაკენ მობრუნება და, რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესია კაცთა მოდგმისათვის.

„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედენ ვენახსა ამას, და განამტკიცე იგი, რომელ დაასხა მარჯუენემან შენმან“. „უფალო, შენი ვართ, გვაცხოვნე ჩუენ“.

„ადამიანი და ნამეტნავად ერი, – ბრძანებს დიდი ილია ჭავჭავაძე, – არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა. ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და

ურორციდ სული, სააქაოსთვის მაინცა. ამიტომაც, ვინც სჩივის და ჰდაღადებს სახორციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არა მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისთვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“; - აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა“ (შინაური მიმოხილვა, 1895 წ.).

ღვთის სიყვარულით განმტკიცებულო ძმანო და დანო, გილოცავთ უფლის წყალობით აღვსილ ბედნიერ ახალ წელს. დაგბედებოდეთ კეთილ სურვილთა ახდენა, მშვიდობა შინა და გარეთ, განგმტკიცებოდეთ რწმენა და ურთიერთსიყვარული, გაკურთხოთ უფალმან თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ!

მარადჟამს თქვენთვის მლოცველი

ი ლ ი ა II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი

1985 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ა ღ დ გ ო მ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

ღვთივკურთხეულნო და ღვთისსაყვარელნო ივერნო, ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა

„მცირედითა ჟამითა დაგიტევე შენ, მაგრამ
დიდითა წყალობითა შეგიწყნარებ შენ"
(ესაია 54,7)

დღეს მსოფლიო სიხარულის დღეა, დღესასწაულობს სიცოცხლე სიკვდილისა დამთრგუნველი და ამიტომაც უფრო მეტად გულშიჩამწვდომი და საზეიმოა წინასწარმეტყველ ოსიას სიტყვები: „ სადა არს ძლევა შენი, სიკვდილო, სად არს საწერტელი შენი, ჯოჯოხეთო" (ოსია 13,14). სიკვდილი დაემხო; ჯოჯოხეთი შეიმუსრა;

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა!

აღდგომილი უფალი დღეს შედის ყოველ სახლში და რეკს კარზე ჩვენი გულისა, რათა მოგვემადლოს მშვიდობა და სიხარული, რაც ასე მტკივნეულად გვაკლია და რასაც ვესწრაფვით.

ყური მიუპყარ, შვილო ჩემო, ამ მშვიდ ხმას, განმარტოვდი მასთან და გულისხმაჰყავ ყოველი. იგი მოვიდა შენთან. ის შენს გვერდითაა; გაუღე გული, რათა დაივანოს იქ და გაგათბოს თვისითა ღვთაებრივითა სიყვარულითა.

უფალს მყუდროება უყვარს, შინაგანი სიმშვიდე და წმიდა გული. „მშვიდობა თქვენდა", - ასე მიმართავს იგი თითოეულ ჩვენგანს. მიიღე, შვილო, ეს წყალობა, ქრისტეს ეს ნათელი და გიხაროდენ, რადგანაც ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ ინება მან შენთან შეხვედრა და საუბარი. ისმინე და დაიმახსოვრე მისი სიტყვები: „აჰა ესერა მე გამცნებ შენ, განძლიერდი და მკნე იყავ, ნუ შეძრწუნდები, ნუცა გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ უფალი ღმერთი შენი ყოველსა ადგილსა ვიდრეცა ხვდოდი" (ისუ ნავე I,9).

აღდგომილი მაცხოვრის მიერ მოფენილი მშვიდობა მომცველია ყოველისა სიკეთისა: კურთხევისა, ღვთის მოწყალებისა, ცოდვათა მიტევებისა, განმართლებისა, სიმშვიდისა, სიხარულისა, მარადიული ცხოვრებისა... მოციქული პავლე ამის შესახებ ბრძანებს: „აწ უკუე განმართლებულ ვართ სარწმუნოებითა და მშვიდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა" (რომ. 5,I).

მშვიდობა ღმერთთან ნიშნავს მშვიდობას საკუთარ თავთან და მოყვასთან.

ბრძენთ უთქვამთ: ბუნებით კაცნი ახლობელნია ერთურთისა, თუმცა თვისებანი განაშორებენ მათ. დიად სახეს ფორმა არ გააჩნია.

ალბათ, ამიტომაა ძნელი ადამიანის შეცნობა, იგი ხომ ღვთის ხატადაა შექმნილი. ალბათ, ამიტომ მიაჩნდათ ფილოსოფოსებს უდიდეს სიბრძნედ საკუთარი შინაგანი მრავალსახოვანი სამყაროს შესწავლა, რადგანაც სხვა რომ შეიცნო, პირველ რიგში შენ თავს უნდა იცნობდე კარგად.

სული, სამშვინველი, სხეული - აი, ჩვენთვის ცნობილი ადამიანის შემადგენელი ნაწილნი. სულ ეს არის, თუ კიდევ სხვაც რაიმეა ჯერაც მიუკვლეველი ჩვენთვის? როგორ ავხსნათ, მაგალითად, აზროვნების უნარი, რა არის სიცოცხლე, რას წარმოადგენს გონება, გული?

ასე წერდა გულის შესახებ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში ჩინელი მოაზროვნე სიუნ-ცზი: „გული მპყრობელია სხეულისა, განმგებელია სიბრძნისა. იგი მბრძანებლობს, თვით კი არავის ემორჩილება; ის კრძალავს ან აიძულებს რაიმეს, იმოძრაოს, აღძრავს სურვილს მითვისებისას, აღებისას, მოქმედების ან გაჩერებისას. ამიტომაც შეგვიძლია, ჩვენი ნებით დავიდუმოთ ენა ან ვილაპარაკოთ, სხეული მოვხაროთ ან გავშალოთ. გულს ვერ დააშინებ, ვერ შეაცვლევინებ გადაწყვეტილებას. იგი იღებს მხოლოდ მას, რაც მართებულად მიაჩნია და განაგდებს, რაც მისთვის შეუწყნარებელია“ (ძვ. ჩინური ფილოსოფია, ტ. II, მ., 1973, გვ. 186).

ასე რომ, ადამიანი სამყაროს განსაკუთრებული მოვლენაა, დაჯილდოებული აზროვნებითა და სხვა ღვთივმომადლებული უნარით. მისი მიზანი და დანიშნულებაა ცხოვრება ღმერთში და ნეტარი მარადიულობის მოპოვება.

კაცი შემოქმედის განსაკუთრებული ქმნილებაა უკვდავებას ზიარებული. უკვდავება მარტო მისი სულის თვისება არ არის მხოლოდ, არამედ სხეულისაც, რომელიც მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს უნდა აღდგეს.

წმ. მღვდელმოწამე მეთოდე ამბობს: სწორი არაა სულის განდიდებისათვის ხორცის დამცირება. სამოთხეშიც სხეული ჰქონდა ადამიანს; თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მომაკვდინებელი ვნებანი სწორედ ხორცში ისადგურებენ.

ამგვარად, როცა ხორცს ვთრგუნავთ, ამით სხეულს კი არ ვგვემთ, არამედ ვებრძვით მასში ცოდვის გამო დაბუდებულ ბოროტ ვნებებს. თავისთავად კი განწმედილი და განსპეტაკებული სხეული იმდენად მშვენიერი და სათნოა, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტეს განხორციელების შემდეგ იგი წმიდა სამების სიდიადეში დაემკვიდრა.

ადამიანი უმშვენიერესი წმიდა სახეა შემოქმედისა, ხატებაა ღვთისა. ამიტომაა იგი გონიერი და უკვდავი. მსგავსება კი თვითონ უნდა მოიპოვოს თავისუფალი ნების წყალობით, რაც წმ. მამათა სწავლებით, ცოდვებისაგან თავის შეკავებას გულისხმობს. ყველას გვმართებს დაუღალავი ზრუნვა ჩვენში ღვთის ხატების შენარჩუნებისა და მასთან მსგავსების მიღწევისათვის.

კაცთა მოდგმის ცოდვით დაცემის შემდგომი მთელი ცხოვრება დაპირისპირებაა ბოროტსა და კეთილს შორის. რაკი ბოროტი ძალა ღვთის წინაშე უძლურია, იგი ებრძვის ადამიანს, როგორც შემოქმედის უძვირფასეს ქმნილებას. ამიტომაც იქცა კაცი ცოდვის სუბიექტად და ობიექტად. სამწუხაროდ, ჩვენი ბუნებითი კანონი სიკეთისა, ჩვენი ნების სისუსტის გამო, ხშირად ვერ სძლევს ხოლმე მაცდურის ზრახვებს. უკეთურებისაგან თავის დაღწევისათვის ერთადერთი ნუგეში და იმედი მაცხოვარია, ჩვენი ხსნისათვის ამ ქვეყნად მოვლენილი, „რამეთუ სჯულმან სულისა ცხოვრებისამან ქრისტე იესოჲსა მიერ განმათავისუფლა მე სჯულისაგან მისგან ცოდვისა და სიკუდილისა“ (რომ. 8,2).

სად და როგორ ხდება ეს გათავისუფლება?

ქრისტეს საქმეს, სულის ხსნისა და გადარჩენის საქმეს ემსახურება ქრისტეს ეკლესია, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენი განმანათლებელი და განმაბრწყინვებელი უძლეველი ძალა. ლოცვითა და ადამიანის ცოდვილი ბუნების საიდუმლო განახლებით იგი ასრულებს თავის დიად მოვალეობას. ეკლესიის გარეშე სულის გადარჩენის მოიმედენი მწარედ ცდებიან.

მაინც რა არის სიკეთე ან ბოროტება, ასე გამუდმებით რომ ებრძვიან ერთმანეთს და რა მონაწილეობას იღებს ადამიანი მათ დაპირისპირებაში?

ბიბლიაში შესაქმის დამთავრების შემდეგ ვკითხულობთ: „და იხი-

ლა დმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა კეთილ ფრიად" (დაბადება I,3I).

სიკეთის ერთადერთი წყარო და სათავე ღვთაებრივი სიყვარულია. იგი „სულგრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხჳნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არ განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა, ყოველსა თავსიდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების"(I კორინ. I3,4-8).

წმ. ისააკ ასური კი წერს: „ღვთაებრივი სიყუარული ესე არს სამოთხე ზეციური, ხე ცხოვრებისა, სუფევა უფლისა, ღვინო, რომელი „ახარებს გულსა კაცისასა" (ფს. I09,I5);„შესვეს იგი განლაღებულთა - და შეიმოსეს კდემა, იგემეს ცოდვილთა - და განუდგენ გზასა ბოროტისასა, იხილეს გემოჲ მისი უჯეროდ ღვინის მსმელთა - და მმარხველ იქმნენ, მიიღეს მდიდართა - და შეიყვარეს სიგლახაკე, შესვეს უბადრუკთა - და აღივსნენ იმედითა, დაღიეს უძღურთა და განძლიერდნენ, იგემეს უმეცართა - და შეიძინეს სიბრძნე" (ისააკ ასური, სიტყვა 83).

„სიყვარული არის საძირკველი, წყარო და დედა ყოველთა კეთილთა"; - ბრძანებს იოანე ოქროპირი.

მაშ, საიდან მოვიდა ამ ფრიად „კეთილად" ქმნილ, ღვთის სიყვარულით სავსე სამყაროში ბოროტება? როდის ან როგორ დაიძლევა იგი?

წმიდა მამების განმარტებით, ბოროტება არ არსია, არ წარმოადგენს სუბსტანციას. ადამიანმა ბოროტად გამოიყენა მინიჭებული თავისუფლება და ღვთის მცნების საპირისპირო გზას დაადგა. თავისთავად ბოროტებას არა აქვს თვითმყოფადი სახე. იგი არ არის სულდგმულთა და საგანთა ბუნება, რადგანაც ყოველივე ღვთისგან შექმნილი თავისთავად კეთილია.

ესა თუ ის არსება ან საგანი ბოროტად იქცევა მისი არასწორი გამოყენების გამო. ამდენად, ყოველი ბოროტება ბოროტმოქმედებისაგან მომდინარეობს. ბოროტება ცოდვაა, სიკეთის ნაკლებობაა.

წმიდა დიონისე წერს: „ბოროტსა არარაისა ძალუძს ქმნა, მხოლოდ ნგრევა და რღვევა არსებულისა". ამიტომაც დიდი შეცდომაა მასში მნიშვნელოვანის ანდა შემოქმედებითი საწყისის დანახვა. ბოროტება არაფერს არ ქმნის, იგი არღვევს მხოლოდ.

– რატომ არის ცოდვა ასე მიმზიდველი? – ჰკითხეს ერთხელ ბასილი დიდს.

– ცდებით, მეგობარნო, – უპასუხა წმიდა მამამ, – მომხიბლავი მისი სამოსელია, თვით იგი კი არასოდეს ყოფილა მიმზიდველი.

ცოდვა არის საფუძველი პირველი და მეორე სიკვდილისა; ანუ საბაბი როგორც ფიზიკური სიკვდილისა, რომელიც ყოველი კაცის ხვედრია, ისე მიზეზი სულიერი სიკვდილისა, როცა სული მარადიულ ნეტარებას კარგავს და ჯოჯოხეთში მკვიდრდება. ამავე დროს, ცოდვა არის ადამიანსა და ღმერთს შორის და კაცთა შორის უთანხმოებისა და შუღლის მიზეზი.

„ერთისა მის კაცისათვის ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს" (რომ. 5,12), – წერს პავლე მოციქული. ყოველივე დამოკიდებულია ამქვეყნად ადამიანის თავისუფალ ნებაზე; რომელ მხარეს აირჩევს იგი: კეთილ საწყისს, თუ ბოროტების მოჩვენებითი მომხიბვლელობა ჩაითრევს თავის მორევში.

ნეტარი ავგუსტინე პირველი ადამიანის ზნეობაში ორ მდგომარეობას გამოყოფდა: „უცოდველობის შესაძლებლობას" და „ცოდვის შეუძლებლობას". მისი განმარტებით, სამოთხის მკვიდრთა „უცოდველობის შესაძლებლობის" მდგომარეობა გამუდმებული სიკეთის ქმნადობით უნდა გა-

დაზრდილიყო „ცოდვის შეუძლებლობაში“, მაგრამ ყოველივე ეს მოისპო ადამ და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევის გამო.

თუ პირველ ადამიანს შეეძლო „უცოდველობის შესაძლებლობიდან“ „ცოდვის შეუძლებლობამდე“ ამაღლება, ჩვენ იესო ქრისტეს მეოხებით მოგვენიჭა ცოდვილი მდგომარეობიდან სულიერი განწმედით „უცოდველობის შესაძლებლობამდე“, ანუ სამოთხის ადამამდე ამაღლების საშუალება.

სამწუხაროდ, დღევანდელი ადამიანი ხშირად ვერ აფასებს ცოდვის სიმძიმეს და ანგარიშს არ უწევს მის შედეგებს. ზოგჯერ ისეც კი ფიქრობენ, თითქოს ცოდვა საერთოდ არ არსებობს, რომ ამ სახელს ვუწოდებთ ადამიანის ბუნებრივ თვისებებს. ამგვარად მოაზროვნენი ჭეშმარიტებისაგან შორს დგანან და თავს მეორე სიკვდილისათვის ამზადებენ. ბოროტება სიკეთის ნაკლებობა კი არ არის მხოლოდ, არამედ მისდამი სრული დაპირისპირება, არა ნაწილობრივი დარღვევა კანონისა, არამედ მთლიანად უარყოფა მისი. „ცოდვაჲ იგი არს უსჯულოებაჲ“ (I იოანე, 3,4). - ბრძანებს იოანე ღვთისმეტყველი.

თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ჩვენთვის ხშირად აუხსნელ ციკლს გადის, რაც გულისხმობს დაცემასა და ამაღლებას, დამარცხებასა და გამარჯვებას, იმედის გაცრუებასა და სასოებას, ამ რთული პროცესის მიზანი სულის ხსნა და მეორე ცხოვრების მოპოვებაა.

ყოველი განვლილი დღე მარადიულობის კარიბჭესთან, სიკვდილის იდუმალებასთან გვაახლოებს. სხვადასხვანაირად ხვდებიან ადამიანები ამ უმნიშვნელოვანეს მომენტს. ნაწილს მიაჩნია, რომ სიკვდილთან ერთად არსებობაც მთავრდება, რომ შემდეგში მიმდინარეობს მხოლოდ ქიმიურ ელემენტებად დაშლის პროცესი. ამტომაც ესწრაფვიან ცხოვრებისაგან ყოველივეს მიღებას, თუმცა ბოლომდე ვერც ამას აღწევენ. სხვანი შეძლებისდაგვარად ემზადებიან სიკვდილისა და ახალი ცხოვ-

რების დაწყებისათვის; რწმენითა და სიყვარულით აღვსებულთ მუდამ ახსოვთ მოციქულის სიტყვები: „ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“ (Iიოანე 4,5). ამიტომაც გულმოდგინედ ცდილობენ შეუდგნენ „სიმართლესა, ღმრთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყვარულსა, მოთმინებასა, სიმშჳდესა“ (I ტიმ. 6,II), რათა აღასრულონ წმ. პავლეს დარიგება: „მოიღუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისაჲ“ (I ტიმ. 6,I2).

როცა მეორე სიცოცხლეზე საუბრობს უფალი, ასე გვაფრთხილებს: „...იწრო არს გზე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას“ (მათე 7,I4).

გადის თვეები, წლები... დიდთა და მცირეთ, ჩინებულთა და უჩინოთა, ბოროტთა და კეთილთ - ყველას დაუდგება მიწიერ ყოფასთან განშორების დღე. გარდაცვალება სინამდვილეში ხელახლა შობაა სხვა სამყაროში. ბედნიერი ხარ, თუ ეს სიტყვები შენც შეგეხება: „ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ დღეს, სულო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მოგელის შენ“ (კურთხევანი).

მტკივნეულია ახლობელთან განშორება, მაგრამ ცრემლებისა და მწუხარების მიღმა უნდა დავინახოთ ნათელი დაუღამებელი, რომლითაც მოცულია განსვენებულის სული; უნდა დავინახოთ ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევა.

გულდასმით უნდა ვიკითხოთ დიდებულთა და ღვთისსათნო ჩვენთა წინაპართა ისტორია, უნდა საფუძვლიანად გავეცნოთ წმიდათა ცხოვრებებს, რათა ვისწავლოთ, როგორ განვლიოთ საწუთრო და როგორ შევხვდეთ აღსასრულს.

მორწმუნისათვის სიკვდილის საიდუმლო იგივე თავისუფლების, მარადიული სიყვარულის საიდუმლოა.

ახლა ბევრი მიიჩნევს თავს მორწმუნედ, აღიარებენ სულის უკვდავებას, მაგრამ მაინც არ ძალუძთ, გული მთლიანად მიუძღვნან უფალს.

გვხვდებიან ისეთნიც, მიწიერ განსაცდელს რომ ვერ უძღებენ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. ამ საშინელი აქტით ისინი უარს აცხადებენ იმ მიზნის განხორციელებაზე, რისთვისაც ამქვეყნად მოივლინნენ, უარს ეუბნებიან უფალს თავისი ვალის აღსრულებაზე. თვითმკვლელთათვის ლოცვაც არ შეიძლება, არც პანაშვიდის გადახდა და წესის აგება.

იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და მუდამ გახსოვდეთ: ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება; მასზე ძვირფასი არა არის რა კაცისათვის. იგი განსაზღვრავს ჩვენი მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ამიტომაც გრძანებს მარკოზ მახარებელი: „რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳსი იზღვიოს“ (მარკ. 8,36). ჭეშმარიტად, მთელი ქვეყნის სიმდიდრეც არ არის ერთი სულის ფასი.

ცხოვრებას სურს გაგთელოს; მისთვის სულ ერთია, დიდი ხარ შენ თუ პატარა, მეცნიერი თუ უბრალო მუშა, მაგრამ გახსოვდეს, შენს გვერდით უხილავად მუდამ დგას უფალი, გამხნევებს და გეუბნება:„მე ვარ ღმერთი შენი, მპყრობელი მარჯუენისა შენისა, რომელმან გარქუ შენ: ნუ გეშინინ, რამეთუ შეგეწიო შენ“ (ისაია 41,13).

მთავარია, ვიცოდეთ, ვართ თუ არა მზად ღმერთთან შესახვედრად, ღია არის ჩვენი გული იესო ქრისტესათვის, შეგვიძლია წარმოვთქვათ მეფე დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „უფალმან მწყსოს მე და მე არაჲ მაკლდეს ადგილსა მწუნვილსა, მუნ დამამკჳდრა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათჳს. ვიდოდეღათუ

შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რა-მეთუ შენ ჩემ თანა ხარ, კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან - ამათ ნუგეშინის-მცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლაჲ წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან" (ფს. 22,I-5)?

ძალიან ხშირად მწუხარების გზით მივდივართ უფალთან, ამიტომაც ამბობს ანტონი დიდი: შეიყვარე განსაცდელი, რათა შეიძინო ღმერთი. ქრისტესთან ყოფნა, ცხოვრება მასში სიცოცხლის აზრის მიგნებას ნიშნავს. სიცოცხლის აზრი - თავგანწირული სიყვარულია.

ხშირად გვიჭირს, ვიტანჯებით უსამართლობით, ძალადობით, გაუტანლობით; განა ცოტაა შემთხვევა, როცა ჩვენ ვცრუობთ, თვალებში ვუყურებთ მოსაუბრეს და მაინც ვატყუებთ; ვატყუებთ მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობთ, მსმენელს არა სჯერა ჩვენი... ცუდი ზნე დაგვჩემდა. ჩვენი მამა-პაპანი, ალბათ, არ იყვნენ ჩვენსავით განათლებულნი, მაგრამ მათ ჰქონდათ უბრალოება და სიწმიდე. მათი სიმარტივე ანათებდა, იზიდავდა და ათბობდა სხვათაც; ერთმანეთსაც კარგად უგებდნენ და ყურის დაგდებაც შეეძლოთ, შეეძლოთ სმენა თვით სიჩუმისა.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი სერიოზულ საფრთხესაც ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობისათვის. გამაღებული შეიარაღება შთანთქავს აურაცხელ თანხებს რისი გამოყენებაც ცხოვრების ნორმალური პირობების შენარჩუნებისათვის გაციღებით საჭირო და აუცილებელი იქნებოდა.

ძალები სიკვდილისა ძლიერია, ხოლო სიცოცხლისა და სიყვარულისა - უძლიერესი. ბოროტების სიმტკიცე მოჩვენებითია, უძლურია სიკეთის წინაშე.

წელს ჩვენი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე გა-

მარჯვების 40 წლისთავს. რამდენი სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, რამდენი მწუხარება, ცრემლი და გაჭირვება დაატეხა თავს ყოველ ოჯახს. ამიტომაც კარგად გვესმის მშვიდობის ფასი. ჩვენი ხალხი და მათ შორის საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს მის შესანარჩუნებლად. „უნდა ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ, ვიდრე იგი არ დაწყებულა. ისტორიის ეს გაკვეთილი, როგორც არასდროს, აქტუალურია დღეს, ბირთვული იარაღის საუკუნეში" (მსოფლიო მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის დეკლარაცია, მოსკოვი, 1985 წ.).

ეკლესიაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. იგი ხომ სულიერ ღირებულებათა მცველია, და მოწოდებულია ადამიანის უფალთან შეხვედრის მომზადებისთვის; „მშვიდობასა შეუდეგით ყოველთა თანა და სიწმიდესა, რომლისა თჳნიერ ვერავინ იხილოს უფალი" (ებრაელთა 12,14), - გვარიგებს პავლე მოციქული.

ძმანო და დანო ჩემნო, ზემიწიერი სიხარულით აღვსილი ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომის დიად დღესასწაულს.

დაე, ღვთაებრივი სიყვარულის უშრეტი წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სიყვარული, იმედი და, აქედან გამომდინარე, სიხარული და მშვიდობა. უფალი გვაფრთხილებს: „უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდა ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაჲ იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ. და აჰა ესერა მოვალ ადრე და სასყიდელი ჩემი ჩემთანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს" (გამოცხ. 22, 11-12). „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი იგი ცხოვრებისაჲ. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ... რომელმან სძლოს, არაჲ ევნოს მას სიკუდილისა მისგან მეორისა" (გამოცხ. 2,10-11).

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ მეორე სიკვდილისაგან.

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

სიყვარულით თქვენთვის მოოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი

თბილისი, 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა შ ო გ ა ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

საქართველოს წმიდა ეკლესიის ღვთივკურთხეულ
სამწყსოს:

„გზათა სიმართლისათა და წყალგზისათა
პოონ ცხოვრებაჲ, შეწყალებაჲ და დიდებაჲ"
(იგავნი. 21,21).

ძენო და ასულნო ღმრთისანო!

უფალი იესო ქრისტე კვლავ რეკს კარზე ჩვენი გულისა. შვილო ჩემო, სიხარულით მიეგებე მას, რადგანაც მშვიდობა და სიყვარული მოგიტანა. იგი სანაცვლოდ არაფერს გთხოვს; არ უნდა შენი სიმდიდრე, სახელი და დიდება, მისთვის მხოლოდ შენი გულია ძვირფასი, მორწმუნე და სათნო გული, რომლის „სიყვარული სულ-გრძელ არს და ტკბილ", რომლის სიყუარულსა „არა შურნ... არ განდიდების, არ ამპარტავნებს, არ უხამსობს, არ ეძიებს თავისას, არ განრისხდების, არ განიზრახავს ბოროტსა, არა უხარის სიცრუე, არამედ უხარის ჭეშმარიტება, ყოველსა მიუტევებს, ყოველი სწამს, ყოველსა ესავს, ყოველსა მოითმენს" (I კორ. 13-4,7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის კი გული შენი ასეთი? თუ არის, ბედნიერი ხარ, რადგანაც მაცხოვარი მოვა შენთან და არც არასდროს დაგტოვებს შენ.

უფალი გრძანებს: „და აჰა ესერა ვსდგა კარსა ზედა და ვრეკ. უკუეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისაი და განაღოს კარი და შევიდე მის თანა და ვჭამო მის თანა სერი, და მან - ჩემ-თანა" (გამოცხ. 3,20).

ღვთის წყალობით, მშვიდობით ვხვდებით მსოფლიო დიდ დღესასწაულს - ქრისტეს შობას. აღსრულდა ძველი წინასწარმეტყველება, ღოდინით დაქანცულმა კაცობრიობამ იხილა მეუფე და მხსნელი თვისი. „ქალწული დღეს პირველ საუკუნეთა სიტყვისა შობად მოვალს ქუაბსა შინა, გამოუთქმელად განეწყვე სოფელო, რომელსა გესმის, ადიდე ანგელოზთა თანა და მწყემსთა, რომელმან ინება გამოჩინება ყრმამან ახალმან" (სადღესასწაულო კონდაკი).

„გიხაროდენ სოფელო, აჰა ქრისტე მოგეახლა, ბეთლემს შობილი", რომელმან მიწა ცად სცვალა, „ცად გამოსჩნდა დღეს ქვეყანაი, რამეთუ მას შინა იშვა შემოქმედი, და ბაგასა მიიწვინების ბეთლემს იუდასსა".

მაცხოვრის შობა ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლოა. ქრისტეს სახეში განცხადებული ეს საიდუმლო, - წერს ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი, - მხოლოდ საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ჭეშმარიტება როდია, იგი მთავარი ღერძია მსოფლიო ისტორიისა.

ძე ღვთისა იქმნა ძედ კაცისა და „ჩვენ ვცანთ და გურწმენა სიყვარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩვენდა მომართ" (I იოანე, 4,16). ეს სიყვარული გონებით მიუწვდომელი თავმდაბლობით გამოიხატა; ამით ამცნო უფალმან ყველას, რომ მეუფება მისი არაამსოფლიურია და რომ იგი ადამიანთა გულის იდუმალ სამყაროში განისვენებს.

იესო ქრისტემ თვისი განხორციელებით მოგვიწოდა შინაგანი ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისცვალებისა და განახლებისკენ. მოვიდა ჩვენთან, რათა ღვთის მეგობარნი და მახლობელნი გავმხდარიყავით, ვზიარებოდით ჭეშმარიტებას და აღგვედგინა დაკარგული კავშირი შემოქმედთან, ნამდვილი სიხარულისა და თავისუფლების მომნიჭებელთან.

ამისთვის კი აუცილებელია, თითეულ ჩვენგანს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს სამ საკითხზე; ესაა: შემეცნება ღვთისა და მისდამი ჩვენი დამოკიდებულების გარკვევა; შეხედულება ადამიანზე და ადამიანთა შორის ურთიერთობაზე; შეცნობა საკუთარი თავისა.

ხშირად ღმერთის სახეში ადამიანები ხედავენ არამარტო შემოქმედსა და სამყაროს განმგებელს, არამედ მრისხანე შურისმგებელსა და მკაცრ მსაჯულს; სწორედ ისეთს, როგორადაც აღიქვამდა მას ძველი აღთქმის დროის ხალხი: ულმობელსა და ქვეყნის მკვიდრთაგან შორს მყოფს.

ქრისტიანობამ სულ სხვა სახით დაგვანახა ღვთის არსი: „ღმერთი სიყუარული არს" (იოანე 4,8), - ვკითხულობთ სახარებაში. ესაა ყველაზე საუკეთესო განსაზღვრა ღვთის ბუნებისა და ჩვენდამი მისი დამოკიდებულებისა. ამიტომაც ნამდვილი ქრისტიანის მთელი მოღვაწეობა განსახიერებაა ჭეშმარიტი სიყვარულისა და სათნოებისა, რადგანაც იგი გრძნობს, რომ უფალი მისი უსაზღვროდ მოსიყვარულე, მოწყალე და ცოდვათა მიმტევებელია. სწორედ ამგვარი რწმენა აძლევს პიროვნებას ძალას, თვითონაც აპატიოს და დაფაროს მოყვასის შეცოდებანი და განწმედის კიბეზე ამაღლებულმა თქვას: „მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა".

„უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაჲ თჳსი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყუარებად?"(I იოანე 4,20), - გვასწავლის იოანე ღვთისმეტყველი.

მოყვასში ანუ საერთოდ ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატ-ება უნდა დავინახოთ, როგორც წარუხოცელი ბეჭედი ღვთის ძეობისა, უნდა დავინახოთ უნარი ღვთისადმი მიმსგავსებისა.

ღვთის მსგავსების მიღწევა თავისუფალი ნებით ხდება. ჩვენ-თვის მომადლებული თავისუფალი ნება ფართო შესაძლებლობებს იძლევა არჩევანისთვის. ზოგიერთს მცდარად მიაჩნია, თითქოს ადამიანის ცხო-ვრების წარმმართველი ბედისწერაა, მაგრამ ეს ასე არ არის. პიროვ-ნების მომავალი თვით მასზეა დამოკიდებული, იგი თვით ირჩევს ღვთ-ის საუფლოსკენ ან დაღუპვისკენ მიმავალ გზას. ადამიანური ყოფის საიდუმლოებით მოცულ პროცესში, რომლის დროსაც ერთი იქცევა კაენად, მეორე – აბელად, ერთის გული ივსება ღვარძლითა და სიკეთისადმი სი-ძულვილით, მეორისა კი – სათნოებითა და დაუშრეტელი სიყვარულით, – რა თქმა უნდა, თავისუფალი ნება გადამწყვეტ როლს ასრულებს. თუკი ვაღიარებთ ჩვენგან დამოუკიდებელ ბედისწერას, მაშინ ყველა ადამია-ნური ღირსება: სიყვარული, თავგანწირვა, თავმდაბლობა, სიმშვიდე, მოწყალება... აზრს დაკარგავს.

პირადი ღირსების, პირადი პასუხისმგებლობისა და სრულყოფის იდეა რელიგიური წესრიგის იდეაა. „აჰა სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს“ (ლუკა 17.21), გრძანებს ლუკა მახარებელი. აქ პირ-დაპირაა გაცხადებული პიროვნებისგან სულიერი სიწმიდის მოთხოვნის აუცილებლობა. ხშირად კი, ადამიანის დადებით და უარყოფით თვისე-ებებს მისი ეპოქის საზოგადოებრივი ყოფით ხსნიან და ივიწყებენ ინ-დივიდუალურ თავისებურებებსა და წინაპართაგან მიღებულ გენეტიკურ მემკვიდრეობას. თუ კაცი ცუდია, ბრალს სდებენ საზოგადოებრივ-ეკო-ნომიკურ წყობას და არა თვით მას. საზოგადოების დაშლითა და გარდა-ქმნით ადამიანი არ შეიცვლება, მგლები კრავებად არ იქცევიან.

ეჭვსგარეშეა, გარემოს გავლენა დიდია, მაგრამ მთავარი მაინ-

პიროვნებაა, მისი სურვილი და შესაძლებლობანი.

თუკი არსებობს სულიერი ფასეულობანი: რწმენა, იმედი, სიყვარული, ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება... მაშინ კაცობრიობის ისტორია ამ ღირებულებათა ცხოვრებაში თანდათანობით განხორციელებას უნდა გვიჩვენებდეს, სინათლისა და სიკეთის მიერ ბოროტისა და ბნელის დაძლევას ადასტურებდეს. ამ მეტად რთულ პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს ღვთაებრივი და ადამიანური ძალა, ანუ ამ ორი ძალის სინერგია.

უფალი მარად სამყაროშია და წარმართავს მის ბედს. იესო ქრისტე კაცობრიობის ქვაკუთხედია. ამიტომაც მისი ხელყოფა მსოფლიო ზნეობრივი საფუძვლის შერყევას ნიშნავს.

ქრისტიანობამ უდიდესი გავლენა იქონია ცივილიზაციურ სამყაროზე. ისეთი მეცნიერებიც კი, რომელნიც უარყოფენ ქრისტიანობის ღვთაებრივ წარმოშობას და მიაჩნიათ იგი უბრალოდ ისტორიულ მოვლენად, აღიარებენ მის უსაზღვრო ზემოქმედებას, როგორც საზოგადოებაზე საერთოდ, ისე პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ქრისტიანობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. მესიას დიდი ხნის მანძილზე ელოდებოდნენ, როგორც „აღსრულებას ჟამისას". ბიბლიაში არაერთგზის ვხვდებით წინასწარმეტყველებას კაცთა მოდგმის მომავალ მხსნელზე. ეს მოლოდინი იყო არსი ძველი აღთქმის რელიგიისა. ამგვარი გრძნობა ჰქონდათ წარმართებსაც. ისინი მსოფლიო ისტორიას რამდენიმე ნაწილად ჰყოფდნენ და მიაჩნდათ, რომ ქრისტეს შობის წინა პერიოდში დამთავრდა განსაზღვრული ციკლი და რომ შემდეგ სულ სხვა ეპოქა დაიწყო.

ძველ ისტორიკოსთა: იოსებ ფლავიუსის, ტაციტუსის, სვეტონიუსისა და სხვა მოწმობით, სამყარო საოცარი გარდაქმნის წინაშე იდგა, ფერისცვალების ცენტრად პალესტინა ითვლებოდა.

და ი გ ი მოვიდა, მოვიდა სულ სხვა. ბაგასა შინა იშვა ძე მაღლისა, მეზვერეთა და ცოდვილთა თანა იქცეოდა უფალი ჩვენი, გლახაკთ და ტვირთმძიმეთ შეეწეოდა, თვით კი თავის მისადრეკი ადგილიც არ ჰქონდა ქვეყნად. სოფელმან ვერა სცნა იგი, მაგრამ მის მიერ ნაქადაგებმა ჭეშმარიტებამ, მიუხედავად ყოველგვარი ადამიანური ძალის გამოყენებისა, რომის იმპერიის სიძლიერისა, და წარმართული რელიგიისა და ფილოსოფიის გავლენისა, ერთიანად დაარღვია მანამდე არსებული მსოფლმხედველობა. მან ძველი ცივილიზაციის თვით ყველაზე ცნობილ კულტურულ ცენტრებშიც ძირფესვიანად აღმოფხვრა კერპთაყვანისმცემლობა და წარმართული კულტი, განდევნა იგი იმპერატორის საუცხოო სასახლიდან და ღატაკი მოქალაქის უბრალო ქოხიდან.

რაშია ქრისტიანობის ძალა? - მის ღვთაებრიობაში და ზნეობრივი პრინციპების სიმაღლეში. იესო ქრისტე არა მარტო გენიალური ადამიანია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, არამედ იგი არის ღმერთკაცი, მეორე ჰიპოსტასი წმიდა სამებისა, სიტყვა, შობილი მამისაგან უწინარეს საუკუნეთა, ღვთის კრავი, ამღებელი ცოდვათა სოფლისათა, ადამიანის მიერ დაკარგული საუფლო დიდების აღსადგენად შეწირული გაუგონარი მსხვერპლი, ქვეყნად გარდამოსული ღვთაებრივი სიყვარული.

„რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი?"(ფს. 8,5) - თქვა გაოცებულმა დავით მეფემ.

„რაი არს კაცი?" (იობი, 7,17) - კითხულობს სულშეძრული მართალი იობი.

ადამიანი მეფეცაა და მონაც, ცოდვის სამბრძანებლო და ტაძარი სულისა წმიდისა. „ეს რა საოცარი არსებაა, - წერს ცნობილი მეცნიერი პასკალი, - დაპირისპირებულთა რა ერთიანობაა, რა სასწაულია? იგია ყოველთა საგანთა მსაჯული და, ამავე დროს, უბადრუკი ჭია მიწისა, სიმართლის დამცველი და ამასთანავე, ნარევი მერყეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და შეცოდებათა... დიდება ქვეყნისა".

„უფალო, მამა ჩუენი ხარ შენ, ხოლო ჩუენ თიხა საქმე ხელთა შენთა ყოველნი" (ესაია 64,8), - იტყვის ესაია წინასწარმეტყველი.

ადამიანი გვირგვინია ქმნილებისა. ცოდვით დაცემის მიუხედავად ღმერთს მაინც უყვარს იგი. იესო ქრისტეს განკაცება, ამისი ნათელი დადასტურებაა, რამეთუ „ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოჲ" (იოანე 3,16).

კაცთა ხსნის მნებებელი უფალი მოციქულ პეტრეს მსგავსად მიმართავს თითოეულ ჩვენგანს: „შენ მე შემომიდეგ" (იოანე 21,22). მაგრამ საკითხავია, ვინ შეძლებს მისდიოს მას ან სად მიგიყვანს იგი?

ვიდრე მაცხოვარს გავყვებოდეთ, ჯერ უნდა ვირწმუნოთ ქრისტესი, შევიყვაროთ იგი და შემდეგ აღვასრულოთ სიტყვანი მისი: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომედიგენინ მე" (მათე 16,24). უფალი კი არ გვიბრძანებს ამას, არამედ გვთავაზობს, საშუალებას გვაძლევს თავისუფალი არჩევანისას. მან იცის, რომ ყველა არ მოუსმენს და ამიტომაც ამბობს: „რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს" (მათე 10,38).

შენი ჯვარი რომ იტვირთო, შინაგანი თავისუფლება უნდა მოიპოვო. ჩვენ კი ხშირად ეგოისტური მოთხოვნილებების, შურის, სიცრუის, ამპარტავნებისა და სხვა ცოდვათა მონები ვართ. მათ დასაძლევად საკმაოდ მძაფრი, ხანგრძლივი სულიერი გრძოლაა საჭირო, რასაც ხშირად თავს ვარიდებთ. მოციქული პავლე სინანულით შენიშნავს: „ყოველნი თავთა თვისთასა ეძიებენ და არა ქრისტე იესოისა" (ფილიპელთა 2,21).

„აღიღე ჯვარი შენი“, – რა ძნელია ზოგჯერ მიხვდე, რომელია შენი ჯვარი და რომელი სხვისა.

„აღიღე ჯვარი შენი“... ეს ნიშნავს არ შეუშინდე, არ გაექცე შენი წილი ცხოვრების ტვირთს, რომლის სიმძიმეს განსაკუთრებით იგრძნობ ახლობლებისა და მეგობრების დაკარგვით, სიცრუისა და სიყალბის მოძალებით, იმედთა გაცრუებით და მრავალტანჯულ იობივით იტყვი: „დღენი ჩემნი წარხდეს სრბითა, ხოლო დაიპნეს სახსარნი გულისა ჩემისანი“ (იობი I7,II). მოისურვებ ჯვრის დატოვებას, განდგომას და გათავისუფლებას მისგან... მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. შენი ჯვარი შენთან უნდა იყოს. ნუ შეშინდები, ნუ დაგაბრკოლებს განსაცდელი. მთელი სასოებით მიენდე უფალს, რომელიც ყოველთვის განგანმტკიცებს შენ. ესეც გახსოვდეს: უჯვრო გზა იოლი ანუ ფართო გზაა, რომლითაც ცოდვილნი ვლიან და რომელიც მხოლოდ მარადიულ სატანჯველს განუმზადებს კაცს. თუმცა მარტო ცხოვრების სიმძიმის დათმენაც არ არის საკმარისი, აუცილებელია, ჩვენი სიცოცხლე იყოს „დაფარულ... ქრისტეთურთ ღმრთისა თანა“ (კოლ. 3,3).

ისევე, როგორც ყველა მცენარეს აქვს მიწის ზედა და მიწაში დაფარული ცხოვრება, ადამიანთა ყოფასაც გააჩნია გარეგნული და შინაგანი მხარე. გარეგნულად ქრისტეს მიმდევრობა ეკლიანი გზით სიარულს ნიშნავს, რომლის ბოლო გოლგოთით მთავრდება. სინამდვილეში კი ქრისტიანობა ქრისტესმიერი სულიერი სიხარულია, ნაკადულია ცხოველსმყოფელი წყლისა, მოპოვებაა ღვთის მადლისა, რომელიც უძლურთა ჰკურნავს და ნაკლულევანთა აღავსებს. ესაა ცხოვრება სხვისთვის, ანუ აღდგომა და ამაღლება სულისა.

გულდასმით მოუსმინე ვაცხოვარს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ

განსუენებაი სულთა თქუენთაი. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე II. 28-30). ამ გზით მაცალი კაცი სულ უფრო უახლოვდება ქრისტეს და შინაგანად გარდაისახება ვიდრე მის სულში ქრისტე არ აღიბეჭდება. მოციქულმა პავლემ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს პროცესი, ამგვარად გამოხატა თავისი განცდა: „რაი იგი არს ქრისტეს მიერ, ახალი დაბადებული; პირველი იგი წარხდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (2 კორინ. 5,17).

წმიდა პავლე აღნიშნავს, რომ მის ხელახალ შობას ქრისტიანად ხელს უწყობდა სხვა და სხვა გარემოებანი ანუ ყოფის გარეგნული მხარე: დათმენა „ტანჯუათა, პყრობილებათა და შფოთებათა“, მუშაკობა „შრომითა, მღვიძარებითა და მარხვითა“; სწორედ მათი წყალობით მოიპოვა მან ცხოვრება „სიწმიდითა, მეცნიერებითა და სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყვარულითა შეუორგულებელითა, სიტყვითა ჭეშმარიტებისაითა, ძალითა ღმრთისაითა, საჭურველითა მით სიმართლისაითა, მარჯვენისაითა და მარცხენისაითა“. (2 კორინ. 6, 5-7).

ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ქრისტიანული ცხოვრება ზნეობრივი გამოსწორების პროცესია; სინამდვილეში კი გაქრისტიანება ხელახალი დაბადებაა, ხელახალი ცხოვრებაა, ახალი ქმნილებაა; ცხოვრება არა თავისთვის, არამედ სხვისთვის. წმ. იოანე ოქროპირი წერს: „ნებისმიერი მოღვაწეობა უმნიშვნელო იქნება, თუ იგი სარგებლობას არ მოუტანს სხვას. ამას ცხადყოფს მაგალითი იმისი, ვინც ბოძებული ტალანტი უკან დააბრუნა და დაისაჯა, რადგანაც არ განამრავლა იგი. ასევე შენც ძმაო, ლატაკიც რომ იყო, და გამუდმებით მწუხარე ვიდოდე, სხვას თუ არ ეხმარები, იცოდე, ღირებულსაც არას აკეთებ; ძველი დროის ცნობილი შესანიშნავი პირნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ამას. გამოწვლილვით შეისწავლე ცხოვრება მათი და ნათლად

დაინახავ, რომ თითეული მათგანის მიზანი იყო სიკეთის მოტანა სხვისთვის და არა საკუთარი თავისთვის. ამით განიდიდნენ ისინი სწორედ" (წმ. იოანე ოქროპირი. სიყუარულისათვის მოყუასისა) .

გარემომცველ სამყაროში ჩვენ ვხედავთ სიკეთისადმი დაპირისპირებულ ბოროტების საშინელ ძალას, რომლის გავლენას საკუთარ თავზეც მძაფრად განვიცდით: გვტანჯავს შინაგანი გაორება, სიკეთისა და ბოროტების შინაგანი ბრძოლა, წინააღმდეგობა სულსა და ხორცს შორის. ამიტომაც მახლობელია ჩვენთვის ეს სიტყვები: „რომელსა იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი იგი მე მნებავს მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს - მას ვჰყოფ" (რომ. 7,15).

ერთიანობის, მთლიანობის დარღვევა არის მთავარი მიზეზი ჩვენი ბუნების დამახინჯებისა. სად გავექცეთ, როგორ დავძლიოთ შინაგანი გაორება?

ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსებს. მის შესასწავლად დიდი შრომა გასწია ნეტარმა ავგუსტინემაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იქ, სადაც უფალია, ჭეშმარიტებაცაა, და სადაც ჭეშმარიტებაა, იქ უფალია, და რომ მხოლოდ ღმერთია ის საწყისი, რომელშიც თანხმდება მიწიერი სინამდვილის ყველა კონფლიქტი, ქრება ჩვენი ნატურის დაპირისპირებული ხასიათი.

ბოროტებას არა აქვს ცოცხალი საწყისი, - განმარტავს იგი, - არსი ანუ სუბსტანცია, რადგანაც სუბსტანციის მქონე ბოროტება სიკეთე იქნებოდა. ბოროტება სიკეთის უარყოფაა მხოლოდ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება").

ჩვენს ეპოქაში უკეთურებამ ისე ღრმად მოიკიდა ფეხი, რომ დაღუპვით ემუქრება როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე მთელ კაცობრიობას.

მოსე წინასწარმეტყველმა ერთ დროს თავის ხალხს არჩევანი შეუსთავაზა: „აჰა ესერა მომიცემიეს თქუენ წინაშე დღეს დღე, ცხოვ-

რება და სიკვდილი, კეთილი და ბოროტი... მოწამე ვყოფ დღეს, თქუენდა ცასა და ქუეყანასა, ცხოვრებასა და სიკუდილსა, კურთხევასა და წყევასა დავსდებ თქუენ წინაშე; გამოირჩიე შენ ცხოვრებაი იგი..." (მეორე სჯული 30-15,19).

თანამედროვე მსოფლიოც ალტერნატივის წინაშე დგას: ან ბირთვული კატასტროფა, ანდა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ დაარღვია სიმშვიდე და საერთაშორისო ცხოვრების რიტმი გამაღებულმა შეიარაღებამ. ცხადია, მომავალში შექმნილი ყოველი ახალი სისტემის იარაღი კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას და ბირთვული ომის საფრთხეს მოაახლოებს.

ამიტომაც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც მშვიდობისმოყვარე მოწინავე კაცობრიობა, სიხარულით და იმედით შეხვდა ცნობას ჟენევაში ორი დიდი სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა მოლაპარაკების შესახებ. ვფიქრობ, დადგა დრო ასეთი შეხვედრების აუცილებლობისა, რადგანაც მათი დადებითი შედეგი გავლენას იქონიებს არა მარტო მოლაპარაკების მონაწილე მხარეებზე, არამედ მთელ სამყაროზე.

აღვავლენთ ლოცვას მსოფლიო მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, მათთვის, ვინც იღვწის ამ დიადი მიზნის მიღწევისათვის.

დღეს განსაკუთრებული სიცხადით აღვიქვამთ ანგელოზთა საგალობელს, ქრისტეს შობის ღამეს რომ მოეფინა კაცობრიობას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". მასში გამოვლენილია კავშირი სამ ურთიერთდამოკიდებულ მოვლენას შორის: აუცილებელია თაყვანისცემა და დიდება შევწიროთ უფალსა, შემოქმედსა და განმგებელსა ჩვენსა, რათა სუფევდეს მშვიდობა სოფლად და ხალხთა შორის სათნოება. მშვიდობა ამ ლოცვაში გუ-

ლისწმობს მშვიდობას ადამიანებს შორის, მშვიდობას ღმერთთან, საკუთარ თავთან და სინდისთან. თუ ასეთი მშვიდობითა ხარ სავსე, მაშინ შეძლებ, ჩაწვდე ღვთის ქვეყნად მოვლენის უდიდეს საიდუმლოს, შეძლებ, ღირსეულად მიეგებო გრწყინვალე შობას მისას.

ჩვენ კი როგორ ვხვდებით ახლადშობილ ყრმას, უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს?

სადღესასწაულო საგალობელში წერია: „რაი გიძღვნათ შენ ქრისტე, რომელი ცით გარდამოხედ ჩვენ ცოდვილთათვის. სამადლობელსა შეგწირავენ შენ ქმნულნი ღმრთისანი: ანგელოზნი - გალობასა, ცანი - ვარსკვლავსა, მოგვნი - ძღვენსა, მწყემსნი - სასწაულსა, მიწა - ქუაბსა, უდაბნო - ბაგასა, ხოლო ჩვენ ქალწულსა დედასა". დიახ, ქალწული დედა მიგიძღვენით ჩვენ, მაცხოვარო, უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებული სერაფიმთა ზედა; უსპეტაკესი და უწმიდესი ადამის მოდგმათა შორის, მფარველი და მეოხი კაცთა, განსაკუთრებული შემწე მისი წილხვედრი ივერიისა... და კიდევ, ძღვნად მოგვაქვს შენთან, უფალო, ჩვენი გულები. გევედრები, აღავსე იგინი რწმენითა, გაათბე ღვთაებრივი სიყვარულითა, განწმიდე და ჰყავ ტაძრად შენდა.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო და ყოველნო შვილნო უფლისანო, მკვიდრნო საქართველოისა და მცხოვრებნო სამშობლოს გარეთ! გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულსა და ბედნიერ ახალ წელს; გისურვებთ სარწმუნოებრივ სიმტკიცეს, ულევ სიყვარულსა და სიხარულს, სიმშვიდეს სულში, შინ და გარეთ. დაე, შრომა თქვენი იყოს სადიდებელი უფლისა - შედეგი თქვენი სულიერი სრულყოფისა, მოყვასზე და სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვისა. მარადჟამს იღვწოდეთ, რათა მოიპოვოთ სასუფეველი დიდებისა და სახელნი თქვენნი ჩაიწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს წიგნსა მას ცხოვრებისასა.

თვით უფალი ბრძანებს „რომელმან სძლოს, - მივსცე მას... ყოველი და ვიყო მისსა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა ძე“ (გამოცხ. 21,7).

გიხარიდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი, ა მ ი ნ!

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ქრისტეს შობა
თბილისი
1985-86 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ი ლ ი ა II

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის
ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს

„შეიყუარეთ უფალი ყოველთა ღირსთა მისია“
(ფს. XX, 23)

ახალ წელთან შეხვედრისას ყოველთვის რაღაც უჩვეულოსა და განუმეორებელის განცდა გვეუფლება. ახალი წელი... ახალი იმედები... რას მოგვიტანს იგი: რწმენას, სასოებას, სიყვარულს, მშვიდობას თუ მწუხარებასა და განსაცდელს? რა არის ჩვენთვის აუცილებელი, საით მივდივართ და რას ვესწრაფვით?

თავისი ბუნებით ადამიანი მიიღტვის ბედნიერებისაკენ. ესაა როგორც მთელი საზოგადოების, ისე თითოეული ინდივიდუმის ცხოვრების განმსაზღვრელი ყველა დროსა და ეპოქაში. თუმც საკითხავია, შეუძლია კი პიროვნებას მოიპოვოს ჭეშმარიტი სიხარული, ანდა სწორად ესმის მას ბედნიერების არსი?

იმედგაცრუებულს ეჩვენება, რომ ბედნიერება არ არსებობს, რომ ყოველივე ეს მოჩვენებითია; ღარიბს მატერიალურად უზრუნველყოფილი შეძლებული ცხოვრების მიღწევა მიაჩნია უმთავრეს მიზნად; ამიტომაც

ყოველის ღონით ცდილობს, დააგროვოს სიმდიდრე, არ ერიდება სულიერ ღირებულებათა დათრგუნვასა და უგულებელყოფას... მაგრამ, როცა ხანგრძლივი შრომის შემდეგ, და ხშირად ქონების არაკანონიერი|მოხვეჭით, სურვილს აისრულებს მიხვდება, რომ ბედნიერება ამაში არ ყოფილა. იქნებ იგი ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაშია? პასუხი აქაც უარყოფითია, რადგანაც ვნებებს აყოლილი კაცი სულ უფრო ცარიელდება და იფიტება შინაგანად. არც მხოლოდ ცოდნა და განათლებაა სიკეთის წყარო. „ცოდნათა განმრავლებითა განმრავლდებიან საწუხარნიცა", – ბრძანა ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ბრძენმა სოლომონმა. ვერც მარტო მაღალი თანამდებობა და მდგომარეობა შესძენს სიხარულს კაცს.

მაშ, სად ვეძიოთ იგი? არის კი ვინმე ბედნიერი ამ ქვეყნად?

ბედნიერნია რწმენითა და სიყვარულით გამთბარნი, ისინი, ვინც მოყვასისათვის ცხოვრობენ და მათზე ზრუნვით დაიღლებიან, ვინც ჭეშმარიტებისათვის ათასგვარ შეურაცხყოფასა და განსაცდელს უდრტვინველად გადაიტანენ... ბედნიერნი ხართ, თუ აღასრულებთ ვალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე, თუ შეუდგებით უსასრულო გზას განწმედისას და იქნებით „სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს" (მათე V, 48). აი, მაშინ მოიპოვებთ ნამდვილ სიხარულს, რომელსაც ქვეყნად ვერაფერი შეედრება და რომლის ხელყოფასაც ვერავინ შეძლებს.

ქრისტიანობა, – წერს წმიდა გრიგოლ ნოსელი, – არის ღვთისადმი ადამიანის მიმსგავსება მისი შესაძლებლობების მიხედვით. „რა არის ნიშანი ჭეშმარიტი სრულყოფილი ქრისტიანისა? – კითხულობს წმიდა ანასტასი სინელი და თვითვე განმარტავს: ერთნი ამბობენ, მართლმორწმუნეობა და ქველი საქმენიო. მაცხოვარი კი მხოლოდ ამით არ განსაზღვრავს ნამდვილი ქრისტიანის სახეს. შეიძლება სარწმუნოება გქონდეს, კეთილ საქმეთაც იქმოდე და ბრძნად მეტყველებდე, მაგრამ მა-

ინც არ იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი, რადგანაც ქრისტიანი ნიშნავს სახლს ქრისტესას... სულში ქრისტეს დავანება სხვათათვის უხილავი, სულიერი ცხოვრების საიდუმლო აქტია" (არქიმანდრიტი კვიპრიანე, წმ. გრიგოლ პალამას ანთროპოლოგია).

ასე რომ, ჭეშმარიტი სარწმუნოება, მართლმადიდებლურ დოგმატთა დაცვა, სათნოებანი, უმწიკვლო ცხოვრება... ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამა თუ იმ პიროვნების ქრისტიანობას; ეს ყოველივე მხოლოდ ხელს უწყობს მის გაქრისტიანებას, ანუ სულიერ შერწყმას უფალთან.

„დაადგერით თქუენ ჩემ თანა, - ბრძანებს მაცხოვარი, - და მე თქუენ თანა. ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ჰეულ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თჳსით, უკუეთუ არა ეგოს ვენაჳსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა... უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნასხლეტი და განჯამეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწუას" (. იოანე XV, 4,6).

ქრისტესთან ყოფნა გულისხმობს ეკლესიასთან სიახლოვეს, რადგანაც ეკლესია სხეულია მაცხოვრისა, სიცოცხლეა ჩვენთვის ჯვარცმული უფლისა. საწყისი მისი, აზრი, მიზანი და დანიშნულება ქრისტესადმი სიყვარულია და ამ სიყვარულთან მრევლის ზიარება.

ეკლესია ეხმარება პიროვნებას არა მარტო ცოდვათაგან განწმედასა და ღმერთთან მიახლებაში, არამედ ცხოვრების სწორი გზის არჩევაშიც, ეს კი ყოვლად აუცილებელია ჩვენს მეტად რთულ დროში, როცა მოვლენები კოსმიური სისწრაფით იცვლება, როცა მსოფლიო სავსეა წინააღმდეგობებით.

ერთის მხრივ, სწრაფვა მშვიდობისა და სიკეთისაკენ, სიყვარული, ჭეშმარიტების ძიების სურვილი, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, გამომთვლელი მანქანები... ხოლო, მეორე მხრივ, ეჭვი, უსამართლობა,

გაუტანლობა, სხვადასხვა განსაცდელი, ომი... განსაზღვრავს ყოფას დღევანდელი ადამიანისას. რაღა არ გადაიტანა მან. ერთხანს ურწმუნოებამ მოიცვა და განუდგა იგი უფალს. დიდხანს მაინც ვერ შეძლო შემოქმედის ხატად შექმნილმა კაცმა მის გარეშე და კვლავ დაიწყო ძიებისა და მობრუნების პროცესი; მადლობა ღმერთს, „ღამე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეახლა" (რომ. XIII, I2); ბრმანი ვიყავით და უფლის წყალობით აღგვიდგა თვალისჩინი, თუმცა სრულად მაინც არ განვკურნებულვართ. კვლავ მივისწრაფვით რაღაც გაურკვევლისკენ და გვეჩვენება, რომ ეს პროცესი ჩვენი ნების გარეშე ხდება. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. განა ჩვენ არ ვაშენებთ, ვიგონებთ სიახლეებს, ვაგროვებთ სიმდიდრეს, ვემუქრებით ვიღაცას, სადღაც მივიჩქარით?... ღვთის შეწევნით კი უნდა შევძლოთ სულიერი ძალის მოკრება, რათა ყოველივე ახლებურად დავინახოთ, დავინახოთ ისე, როგორც ეს სინამდვილეშია და ამის მიხედვით შევაფასოთ მოვლენები. ყველა მეცნიერული აღმოჩენა, მატერიალური და ეკონომიური სიკეთენი ადამიანის წინააღმდეგ მიიმართება, თუ სიყვარულის, რწმენის, თანაგრძნობის უნარს დავკარგავთ, თუ ვერ შევძლებთ ჭეშმარიტი ბედნიერების შეცნობას და გაცივდება ჩვენი გულები.

დღეს საინტერესო პროცესი მიმდინარეობს პიროვნებაში, თანდათანობით იგი თავისუფლდება მიწიერი ყოფის წვრილმანებისგან და უფრო ფართო ხასიათის პრობლემებით იფარგლება. მისი სულიერი სამყარო იღებს ჯვრის სახეს, რაც გულისხმობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური აზროვნების უნარს.

ჰორიზონტალური მზერა მოიცავს ზრუნვას საკუთარ თავზე, ოჯახსა და ზოგადად მატერიალურზე. მთავარი დადებითი მხარე ამ აზროვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ მასში შედის ზრუნვა მოყვასისთვის.

მაგრამ ადამიანმა ადრევე იგრძნო, რომ მარტო ეს არ არის საკ-

მარისი, რომ სულიერი სიცარიელის დასაძლევად აუცილებელია სწრაფვა ღვთისაკენ ანუ ვერტიკალური აზროვნება.

ვერტიკალური ჭვრეტა ცისა და მიწის ერთობაა, სრულყოფილების კიბეზე ამაღლებაა, ადამიანის სულისა და ზრახვის ღვთისკენ მიმართვა და მასთან სულიერი შერწყმაა.

როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხედვა აუცილებელია ჭეშმარიტი ბედნიერების მისაღწევად. მათი საშუალებით მორწმუნე უნდა ქმნიდეს თავისი ცხოვრების ჯვარს, რომელიც მანათობელ ვარსკვლავად წარუძღვება წინ, როგორც შედეგი უფლის უმთავრესი მცნებების აღსრულებისა: „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა... შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი" (მარკოზი XII, 30-31).

ბედნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ცოლქმრულ ყოფასთან.

ოჯახი ღვთის დადგენილი კურთხეული საიდუმლოა, მცირე სახელმწიფოა თავისი კანონებით, უფლებებით, კულტურით, განათლებითა და მსოფლმხედველობით. მეტად მნიშვნელოვანია დამოკიდებულება მეუღლეთა შორის, მშობლებსა და ბავშვებს შორის.

ქმარი თავია ოჯახისა, შეურყეველი ავტორიტეტი, იმედი და საყრდენი როგორც ცოლის, ისე შვილებისათვის. „ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თჳსნი ვითარცა ქრისტემ შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თჳსი მისცა მისთჳს... ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თჳსთა სიყუარული, ვითარცა ჴორცთა თჳსთაჲ, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თჳსი, თავი თჳსი უყუარს (ეფესელთა V, 25, 28), - წერს პავლე მოციქული.

ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედაა, ევაა - ცხოვრებაა, სიცოცხლის მიმნიჭებელია ახალი ადამიანისათვის. რაოდენ დიდი სითბოს, სინათლისა და მყუდროების შეტანა შეუძლია სახლში ქმრის დამჯერ,

ერთგულ და სათნო მეუღლეს. „დედაკაცი მჯნე ვინმე პოოს... უპატიოსნეს არს ანთრაკთა მრავალ-სასყიდლისათა ეგეგითარი იგი“ (იგავნი 31,10), - გვასწავლის მეფე სოლომონი.

დღეს ქალი მრავალმხრივადაა დატვირთული. ქალები მუშაობენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში; უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობები...

რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათი უპირველესი მოვალეობა მაინც ოჯახზე ზრუნვა და ფიქრია. შვილების კარგად აღზრდა ყველაზე დიდი ღვაწლია ერის წინაშე. ამ საქმეში კი დედის ადგილს სხვა ვერ დაიჭერს, რადგანაც მშობლის ინტუიციას, სითბოსა და სიყვარულს ვერავინ შესცვლის.

სამწუხაროდ, ხშირად გვხვდებიან სარგებლის მაძიებელი, მერყევი ხასიათის, პატივმოყვარე, გართობას აყოლილი დედები, გვხვდებიან ისეთნიც, რომელნიც გაურბიან თავის მოვალეობას, უზრუნველი ყოფის შენარჩუნების მიზნით საშინელ დანაშაულსაც არ ერიდებიან და მეუღლის ნებართვით ან მისი ნების საწინააღმდეგოდ უდროოდ უსპობენ სიცოცხლეს ნაყოფს. იმას კი ივიწყებენ, რომ ეს არის ნამდვილი მკვლელობა, მკვლელობა საკუთარი ვაჟის ან გოგონასი; რა მნიშვნელობა აქვს, რა ხნის იქნება იგი, ახლადჩასახული თუ 20-30 წლის ასაკისა?

გახსოვდეთ, ცოდვა გამოუსყიდი არ რჩება ამ სოფლად. უშუალოდ რჯულის დამრღვევთ ან მათ ნაშიერთ მოეკითხებათ იგი უცილოდ. დაინდეთ შთამომავალნი, მოჩვენებითი კეთილდღეობისათვის ნუ შეიწირავთ მათ ბედნიერებას და ნურც საკუთარ თავს განუმზადებთ მარადიულ სატანჯველს, რადგანაც ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ ამ უმძიმეს დანაშაულს ძნელად თუ ვინმე გამოისყიდის.

არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს სულ უფრო მატულობს დარღვეულ ოჯახთა რიცხვი. მიზეზი კვლავ

ურწმუნოებაა. ცოლ-ქმრულ კავშირს არა აქვს რელიგიური საფუძველი, ახალგაზრდები სულიერად მოუმზადებელნი არიან ამ საიდუმლოს აღსრულებისათვის. ისინი მხოლოდ სიამოვნებას მიელტვიან და ავიწყდებათ, რომ ოჯახი არის მოწოდება, რომლის წმინდა ვალდებულებებიც მათ ღირსეულად უნდა აღასრულონ, რადგანაც ვალდებულებების გარეშე სიყვარული ცხოველურ ყოფას უახლოვდება; ავიწყდებათ, რომ ისინი არ არიან მხოლოდ წუთისოფლისთვის გაჩენილნი, არამედ მარადიული სიცოცხლისათვის მოწოდებულნი, რომ ქორწინება ოდენ მიწიერი ურთიერთობაა, მოსამზადებელი საფეხურია იმქვეყნიური ცხოვრებისათვის.

ცოლ-ქმარმა რომ საიქიო ნეტარება მოიპოვოს, მათი ოჯახი უნდა იყოს ზნეობრივი, რაც გულისხმობს ურთიერთშორის სიყვარულითა და ერთგულებით, ნდობითა და პატივისცემით სავსე სულიერ დამოკიდებულებას, მოვალეობის გრძნობას საკუთარი თავის, მეუღლის, შვილების, ერისა და ღვთის წინაშე.

ამიტომაც ახალგაზრდებს მეტი დაკვირვება მართებთ ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას. სიყვარული, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ სხვა გარემოებებსაც უნდა მიექცეს ყურადღება: გასათვალისწინებელია ინდივიდთა შესატყვისობა ხასიათით, კულტურით, განათლებით, ასაკით... რათა არ დაირღვეს წონასწორობა მათ შორის მსხვერპლის გაცემასა და მის მიღებაში. მეორე პირობა კი არის მათი უნარი, მთლიანად ეკუთვნოდნენ ერთმანეთს, ყოველგვარი განსაცდელის მიუხედავად იყვნენ ერთად, ხელი შეუწყონ ურთიერთს ნაკლოვანებათა დაძლევასა და განწმენდაში, რათა ერთმანეთის საშუალებით და ამავე დროს ერთად მოიპოვონ სასუფეველი ღვთისა.

აი, ამ შემთხვევაში იქნება ქორწინება ზნეობრივი და ღვთივკურთხეული.

შვილნო ჩემნო, „მტკიცედ დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი

ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაჲ... აღიღეთ ფარი სარწმუნოებისაჲ, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განკურვებულთა დაშრეტად“ (ეფესელთა VI, I4,I6).

უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

როგორი დიდი ოჯახიც არ უნდა ჰქონდეს კაცს, ნათესავებისა და მეგობრების რა ფართო წრეშიც არ უნდა ტრიალებდეს ადამიანი, ადრე თუ გვიან მარტოობა მაინც ეწვევა. მორწმუნეთათვის ეს არ ნიშნავს ყველასაგან გარიყვას, რადგანაც გრძნობენ უფლის სიახლოვეს, ყოველისშემძლე ზეგარდმო ძალას და მის შეწევნას; მაგრამ ღვთისაგან განდგომილთათვის მარტოობა მეტად ძნელია. თავდაპირველად მათ ეჩვენებათ, რომ სიმშვიდე და მყუდროება მოიპოვეს და კმაყოფილნიც არიან ამით. შემდეგ იწყება ფიქრი საკუთარ თავზე, ცხოვრების მიზანსა და დანიშნულებაზე. მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ ყველასაგან მიტოვებულნი და დავიწყებულნი არიან, კარგავენ სიცოცხლის აზრს, ნიადაგ-გამოცლილთ მოწყენილობა, ტანჯვა და შიში იპყრობთ, არაწმიდა ძალა ეუფლებათ. შეძრწუნებულნი ცდილობენ, გაექცნენ საკუთარ თავს, მაგრამ აღარც ის იციან, სად ჰპოვონ თავშესაფარი.

სინამდვილეში სიცარიელე მათ გარშემო კი არ იქმნება, როგორც ჰგონიათ, არამედ სულში ისადგურებს; იქ, სადაც უფალი უნდა დავანებულიყო. ღვთისგან მიტოვებული! - რა მძიმე და აუტანელია ეს მდგომარეობა. თუ პიროვნება იგრძნობს მაინც თავის უბედურებას, მთლად განწირული არ ყოფილა, ხოლო თუ იგი ამგვარ ყოფას ნორმალურად ჩათვლის, უმძიმესი იქნება მისი ცხოვრება აქაც და იქაც.

ადამიანმა ღვთის მადლი რომ მიიღოს, ჯერ შინაგანი მშვიდობა უნდა მოიპოვოს. ამიტომაც მიმართა პირველად აღდგომილმა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს ასე: „მშვიდობა თქვენთანა!“ ღვთაებრივი სიყვარულიდან მომდინარე ამ მშვიდობის გარეშე მოციქულთა გული სამუდამოდ

დახშული იქნებოდა მარადიული ცხოვრების სიტყვათათვის. სულიერი სიმშვიდე უდიდესი წყალობაა ღვთისა. მასზეა დამოკიდებული გარეშე ყოფა: მშვიდობა ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოსა თუ მთელ სამყაროში.

კარგახანია კაცობრიობა ბირთვული ომის საფრთხის წინაშე დადგა. საერთაშორისო პოლიტიკის თანამდევი გახდა ამ საშინელი იარაღით დაშინება, ეჭვი და უნდობლობა. მაგრამ ამას წინათ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა შეხვედრამ ჟენევაში საგრძნობლად განმუხტა საერთაშორისო დაძაბულობის ატმოსფერო, გაგვიღვივა იმედი, რომ გონივრული მოლაპარაკებებისა და ურთიერთგაგების გზით შესაძლებელი იქნება საყოველთაო მშვიდობის მიღწევა. „ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ იქმნების. რამეთუ რაჲცა-იგი თესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“ (გალატ. 6,7), - გვასწავლის წმიდა წერილი. მაშ, მოვიქცეთ თესვად სიკეთისა, რწმენისა, სიყვარულისა, ურთიერთთანადგომისა, სიწმინდისა, რათა მარად ისმოდეს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“, ხოლო ქვეყანასა ზედა სუფევდეს „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ესა თუ ის ხალხი საუკუნეთა მანძილზე აყალიბებს თავის კულტურას, ენას, ხასიათს; ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის... დონე მისი გენიის მაჩვენებელია. მაგრამ ერის სულის ყველაზე ნათელი გამოხატულება მაინც ენაა. იგია იდუმალი და აუხსნელი საუნჯე, რომელსაც განსაკუთრებული მოცლა და პატრონობა სჭირდება.

ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამათმთავრისა. მასშია მთელი საქართველო... გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი

სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ქართული ენის უჩვეულობას იმთავითვე გრძნობდნენ მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი უძღვნეს შესამკობად. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"; ნუ დავივიწყებთ, რომ ენას - ღვთივბოძებულ ამ საგანძურს სასოებით დაცვა და გაფრთხილება უნდა, როგორც ერთ-ერთ საწინდარს ჩვენი ბედნიერებისას.

ღვთივკურთხეულნო ივერნო, ძენო და ასულნო უფლისანო, დადგა უამი დალოცვისა; დაგბედებოდეთ ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცე, ენის სიწმიდე, სულის სინათლე, მრავალშვილიანობა, უხვი და ბარაქა. მშვიდობა სუფევდეს თქვენს გულში, ოჯახსა და სამშობლოში... ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გადაგაფაროთ დედობრივი კალთა, დაგიცვათ და დაგიფაროთ.

ახალწლის ღამეს მაცხოვარი უხილავად შემოვა თქვენთან, რათა გაკურთხოთ და გაგათბოთ ღვთაებრივი სიყვარულით მაშ განემზადეთ ჭეშმარიტი სიხარულისა და მადლის მისაღებად. უფალი ბრძანებს:

„ნუ იამაყებს ბრძენი სიბრძნითა თვისითა, ნუ იამაყებს ძლიერი ძლიერებითა თვისითა და ნუ იამაყებს მდიდარი სიმდიდრითა თვისითა, არამედ ამით იამაყე მოქადულო, რომ გულისხმა-მყოფ და მიცნობ მე, რამეთუ მე ვარ უფალი მოქმედი წყალობისა, მსჯავრისა და სიმართლისა ქვეყანასა ზედა" (იერემია IX, 23-24).

მივყვეთ ამ ხმას და ვიქნებით ბედნიერნი. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ!

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი, 1986 წ.

საადგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

„მოვედით ყოველნო მორწმუნენო, თაყვანის-ვჰსცეთ ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა აღდგომასა“

(ზატიკი)

ყოველადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო, პატიოსანნო მოძღვარნო და დიაკონნო, ღვთისსაყვარე-ლნო ბერ-მონოზონნო, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, სულიერნო შვილნო საქართველოს წმიდა ეკლესიისა, ყოველადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი, ღვთივდაცული ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

გვიახლოვდება სიხარულითა და იდუმალებით სავსე ღამე, როდესაც ჩვენ ყველანი ერთითა ბაგითა და ერთითა გულითა ვიზეიმებთ სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევას - ქრისტეს დიდებულ აღდგომას.

პასექის სიხარულით აღვსილი, უფლისა და თქვენი სიყვარულით გამთბარი, ჩვენი ღვთისმოსავი წინაპრების მიერ თითქმის 2000 წლის მანძილზე რწმენითა და სასოებით წარმოთქმული სიტყვებით გულითადად გილოცავთ:

ქრისტე აღსდგა!

სიკვდილის დათრგუნვით ჩვენთვის ჯვარცმულმა იესო ქრისტემ სძლია თვით „მთავარი იგი ამის სოფლისაჲ“ (იოანე I2, 3I), ანუ ეშმაკი, რომელსაც ხელმწიფება ჰქონდა სიკვდილზე და ჩვენც ამ დიადი გამარჯვების თანაზიარნი გვყო. თვისი ვნებითა და აღდგომით მაცხოვარმა გვიხსნა როგორც ხორციელი, ისე, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიკვდილისაგან - ღვთის მადლისა და, მასთან ერთად, სულიერი ნათლის, სიხარულისა და ნეტარების მოკლებისაგან.

„თუმცა ადამიანის სულს, - წერს ნეტარი ავგუსტინე, - მარადად უწოდებენ უკვდავს, მაგრამ იგი თავისებურად მაინც კვდება. სიკვდილი მოდის მაშინ, როცა ღმერთი ტოვებს სულს. ამ სიკვდილს კიდევ სხვა სიკვდილი მოსდევს, რომელსაც წმიდა წერილი მეორე სიკვდილს უწოდებს... ეს სიკვდილი ყველა უბედურებაზე უფრო მძიმე და საზარელია, რადგანაც იგი სულისა და ხორცის გაყრას კი არ ნიშნავს, არამედ მათ შეერთებას საუკუნო სატანჯველისთვის“ (წმ. მამათა შრომების დამატება, ნაწილი XV, გვ. 625, მ. I856).

იესო ქრისტეს აღდგომის რწმენა ჩვენი მრწამსის ქვაკუთხედია. უფალი რომ არ აღმდგარიყო, ქრისტიანული რწმენის ყველა ჭეშმარიტება ძალასა და აზრს დაკარგავდა. მოციქული პავლე, რომელიც ადრე დაუზოგავად დევნიდა იესოს მიმდევართ, შემდეგ კი წმიდა სახარების ერთ-ერთი უპირველესი მქადაგებელი გახდა, ასე სწერს კორინთელ ქრისტიანებს: „უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ჩუენი, და ცუდად არს, სარწმუნოება ეგე თქუენი“ (I კორინ. I5, I4). „ქრისტე ღმრთისა ძალ არს და ღმრთისა სიბრძნე“ (I კორინ. I, 24).

იმდენად დიდი და მხურვალე იყო მისი რწმენა, რომ აღდგომილი მაცხოვრისათვის მან თავისი ნებით მიიღო სასჯელი და მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე რომში; იგი მოციქულ პეტრეს მსგავსად, ჯვარზე არ უცვიათ. მას, როგორც რომის მოქალაქეს, მახვილით

მოჰკვეთეს თავი. საკვირველია წმიდა პავლეს უსაზღვრო სიყვარული ღვთისა და ხალხისადმი. ამიტომაც ბრძანებს ასე: „ვიცი, რომელი იგი მრწმენა“ (2 ტიმ. I, I2); ეს სიტყვები შეუძლია გაიმეოროს ყველამ, ვინც კი ღრმად ჩასწვდა წმიდა წერილის აზრს, ვისი ცხოვრებაცა და საქმიანობაც შეესატყვისება ღვთის მცნებებს; რადგან ამ შემთხვევაში იქნება რწმენა მისი ურყევი და წყარო სიყვარულისა – დაუშრეტელი მასში. ასეთი პიროვნება თვითონ იქცევა იმ დიდებულ ტაძრად, რომელშიც ივანებს უფალი და ჩვენ ხომ სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებულნი; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „სიკეთის ქმნა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავისი სურვილით მიდის სიკეთესთან და გონებით იღებს მას“ (ვ.ს. სოლოვიოვი, რჩეული თხზულებანი, ტ. 7, გვ. I47).

ჩვენს წინაშე მეტად მნიშვნელოვანი კითხვა დგას: სად არის დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის ადგილი?

კაცობრიობის მთელ ისტორიაში ადამიანის პრობლემა ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესთაგანი იყო. ჩვენს დროში კი იგი იმდენად აქტუალური და ძნელად გადასაწყვეტი გახდა, რომ ზოგჯერ გვეჩვენება, ამ სამყაროში აღარ დარჩა ადგილი კაცისთვის.

მეცნიერებამ და ტექნიკამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო გართულება. შესძლებს კი ადამიანი ალღო აუღოს, შეისწავლოს და გამოიყენოს ეს ყველაფერი; შესძლებს, გაუმკლავდეს მის წინააღმდეგ დაძრულ რობოტების მრავალმილიონიან ჯარს, თუ ამ უსულო მანქანების მონად იქცევა კაცი? შეეფარდება მეცნიერულ პროგრესს პიროვნების შესაძლებლობათა განვითარება მაშინ, როდესაც ტექნიკური წინსვლა მომავალში გაცილებით სწრაფი იქნება?

აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ ადამიანი შინაგანი განვითარე-

ბის რა პოტენციალს ფლობს და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პოტენციალი ისე, რომ არ შევზღუდოთ ღვთის მიერ კაცისთვის მონიჭებული თავისუფალი ნება, რომლის გარეშე როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე სულიერი წინსვლა ვერ განხორციელდება.

მაგრამ როგორ მოვიპოვოთ თავისუფლება?

„სცანთ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ... უკეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავის უფალ-იყუნეთ“ (იოანე VIII, 32,36), - გრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

„უფალი სული არს, ხოლო სადა სული უფლისა, მუნ აზნაურება (ე.ი. თავისუფლება) არს“ (2-კორინ. 3,17), - გვასწავლის პავლე მოციქული.

მიწიერსა და ყოველდღიურზე ზრუნვამ არ უნდა დაგვავიწყოს სული და სულიერი კულტურა, რადგან უსულოდ ნებისმიერმა მიღწევამ შეიძლება დაკარგოს ფასი და თვით ადამიანის საწინააღმდეგოდ მიიმართოს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი გაუძლებს მატერიალურ-ტექნიკურ შემოტევას, თუ იგი რწმენას, სიყვარულს, ხალხთან კეთილ დამოკიდებულებას, მაღალ ინტელექტსა და კულტურას შეინარჩუნებს. სამწუხაროდ, ადამიანი ზოგჯერ კვლავ ძველი კატეგორიებით მსჯელობს, აუცილებელი კია თანამედროვე აღქმა მოვლენებისა და ყოველივე სიახლისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოკიდება. ამაზე ფიქრობენ დღეს ღვთისმეტყველნი და ფილოსოფოსნი, სოციოლოგები და ანთროპოლოგები, დღეს ეს საკითხი აღელვებს ყველას.

სწორედ ამიტომ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა არსებითი ცვლილებები ადამიანის პრობლემისადმი დამოკიდებულების საკითხში. ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამ ქვეყნად ადამიანზე ძვირფასი არაფერია, რომ იგია საზომი საზოგადოებრივი და მატერიალური ყოველგვარი სიმდიდრისა. თვით ისტორიაც სულ უფრო ხშირად განიხილება არა

როგორც საზოგადოების ისტორია, არამედ, როგორც ადამიანის განვითარებისა და სულიერი სრულყოფის ისტორია.

მაინც რა დადებითი და უარყოფითი ცვლილებები მოხდა ანდა მიმდინარეობს პიროვნებაში, რა ახარებს და აღიზიანებს მას, რა მიმართულებით ვითარდება იგი, როგორ მოქმედებს მასზე განსხვავებული პირობები?

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ დღეს ქვეყნად ჰუმანიზმი აღარ არსებობს, რომ იგი მოკვდა, ამოწურა თავისი შესაძლებლობები და იქცა ცარიელ, ფარისევლურ ფრაზად. ამ ფილოსოფიას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგანაც ჰუმანიზმი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, იქნება მანამ, ვიდრე ადამიანში იარსებებს ღვთის ხატება. ბეჭედი კი ღვთის ხატებისა არ ქრება; იგი შეიძლება ცოდვების გამო დაიჩრდილოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის წაშლას. ჰუმანიზმის სიკვდილი კაცობრიობის სიკვდილია.

საზოგადოების ნაწილი დიდ იმედს ამყარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე და მიაჩნია, რომ სწორედ იგი მოუტანს კაცს ბედნიერებას. მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია გარკვეულ წილად შეცვალოს ფიზიკური სამყარო, შეცვალოს ჩვენი პლანეტის გარეგნული სახე, მისი ფლორა და ფაუნა, გეოგრაფიული ზედაპირი... მაგრამ ადამიანის გარდაქმნა, მისი გაკეთილშობილება და სულიერი ამაღლება ისევ და ისევ ადამიანის ხელთაა.

ჩვენს მეტად რთულ და დაძაბულ დროში ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოების, მთელი სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების კულტურაზე. „სიტყვა კულტურა საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და განსაკუთრებით ისტორიაში ორი აზრით იხმარება. პირველის მიხედვით კულტურაში უმთავრესად იგულისხმება განათლება, როდესაც, მაგალითად, ლაპარაკობენ კულტურულ ერებზე ან საზოგადოების ფენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე და უპირისპირებენ მათ უკულტურო ერებსა და კლასებს. იგივე გაგებით იხმარება გამოთქმა, ვთქვათ, კულტურული ადამიანი, კულტურული მანერები და ა.შ. კულტურას მეორე, გაცილებით ფართო გაგებას სძენს ყოფის მნიშვნელობა საერთოდ ანუ შინაგანი მდგომარეობა" (ბროკჰაუზენისა და ეფრონის ენციკლოპედია, ტ. 33). კულტურას ასე განჰყოფენ: მატერიალური (აქ იგულისხმება ცხოვრების პირობები, ჩაცმულობა, იარაღი, შეიარაღება, ძვირფასეულობა და ა.შ.), სულიერი; მასში შედის: რელიგია, ენა, ჩვეულებანი, ზნეობა, ცოდნა, ლიტერატურა, ხელოვნება... და საზოგადოებრივი კულტურა ანუ სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფორმები და კანონები...

საზოგადოებრივი ყოფის დღევანდელი ფორმა თავისთავად ითხოვს ადამიანისაგან მრავალ სიახლეს: ახლებურად აზროვნებას, ღირებულებათა და წარმოდგენათა გადაფასებას, მაღალ სულიერ კულტურას.

ჩვენს საუკუნეში, როდესაც ძალიან ბევრია უმაღლესდამთავრებული ხოლო დანარჩენნი კი საშუალო განათლებით არიან, ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ განათლება კულტურას არ ნიშნავს.

განა კულტურული შეიძლება ეწოდოს პიროვნებას, რომელსაც შეუძლია სხვას ზიანი მოუტანოს? რომელმაც ცოდნა იმისთვის შეიძინა, რომ უფრო კარგად დაწეროს ცილისმწამებლური, ანონიმური წერილები, რომ უფრო მოხერხებულად დაუგოს მახე მოყვასს, დასცინოს და შეურაცხყოს იგი. ასეთი კაცი თავის ვიწრო ეგოიზმშია ჩაკეტილი, უსაზღვროა სიმდიდრისადმი მისი ლტოლვა და ყოველდღიური ზრუნვა მიწიერ სიკეთეთა მოსაპოვებლად.

რა შეიძლება ითქვას ისეთ კაცზე, რომელმაც არასწორი გზით მოიპოვა მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობა, რომელიც ცდილობს, დაამციროს, შეურაცხყოს მისდამი დაქვემდებარებულნი, ატყუებს ხალხს და ცხოვრობს პრინციპით: „მე ვარ ხელმძღვანელი, შენ ხარ სულე-

ლი". ასეთი ადამიანი შორსაა არა მარტო ღვთისა და რწმენისაგან, არამედ ყოველგვარი კულტურისაგან.

ცუდად აღზრდილთათვის განათლება იგივეა, რაც მახვილი უგნურთა ხელში, - წერს ერთი ღვთისმეტყველი. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რწმენის, სიყვარულის თავმდაბლობის, თავშეკავებულობის, კეთილისმსურველობის, თავაზიანობის, სხვისთვის ჭირში თანადგომის, უნარის აღზრდის გარეშე დიდი ხარვეზი იქნება დაშვებული პიროვნების ჩამოყალიბებაში. ნუ დავივიწყებთ, რომ თუნდაც ერთი მოზარდის ნაკლოვანებები განსაზღვრულ პირობებში შეიძლება ხასიათის საშიშ თვისებებად იქცეს და გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს საზოგადოებას.

ადამიანის შინაგანი კულტურა აუცილებლად გამოვლინდება გარეგნულ ქცევაში. თუმცა არცთუ იშვიათად დახვეწილ ქცევას, განათლებას, ეთიკეტის ცოდნას, გარეგნულ პრწყინვალებასა და მოჩვენებით გულითადობას იყენებენ შინაგანი სიცარიელის, შურის, ზიზღისა და ცინიზმის დასაფარად; მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არ განცხადდეს" (მათე 10,26).

რთულია პიროვნების სულიერი სამყარო, მასში ორი ძალა მოქმედებს: სიკეთისა და ბოროტებისკენ მიმართული. მოციქული პავლე, გრძნობდა რა შინაგან გაორებას, რომელთა მიმართ ეპისტოლეში წერდა: „რომელსა - იგი ვიქმ, არა ვიცი, რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს, მას ვჰყოფ" (რომ. 7. 15). მშვენივრად თქვა ჰაინრიხ ჰაინემ: „მსოფლიო ორად გაიყო და გზარმა ჩემს გულზე გაიარა".

„მე ვარ უფალი - მკურნალი შენი" (გამოსვლათა 15,26), - ბრძანებს შემოქმედი და წინასწარმეტყველ იერემიას საშუალებით გვამცნობს: „აჰა, მე მოვაწიო მათ ზედა შეგრძელება და კურნება და განვკურნნე იგინი, და ვყო მათთჳს მშუიდობა და სარწმუნოება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ღმერთია მსოფლიოსა და კაცთა მკურნალი და მხსნელი, მხოლოდ მისი შეწევნით შეიძლება შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევა, მშვიდობის დამყარება საკუთარ თავთან, მოყვასთან და ხალხთან ურთიერთობის მაღალი კულტურის მიღწევა, რაც აზრთა შემთხვევითი სხვადასხვაობისაგან თავის არიდებასა და მის სანაცვლოდ ოპტიმალური და შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს.

კულტურა არ უნდა იყოს ჩაკეტილი მხოლოდ მუზეუმებსა და თეატრებში; იგი უნდა იგრძნობოდეს ყველგან: ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებში, რესტორნებსა და კაფეებში, ყოველ ოჯახში. კულტურა არ არის მარტო სპორტსა და საზეიმო შეხვედრებში მონაწილეობა, არც მედღეგისა და ჯილდოების დამსახურება, გამოფენების დათვალიერება; ბიბლიოთეკებსა და კაფეებში სიარული... კულტურა არის მუდმივი მზადყოფნა სხვისთვის სიხარულის მისანიჭებლად, ზრუნვა მომავლისათვის, ახალგაზრდებისა და საერთოდ ადამიანისათვის ღვთივმინიჭებული უნარისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის, მოყვასში და საკუთარ თავში შემოქმედებითი ძალისა და მრავალმხრივი ტალანტის აღმოჩენისა და გამომზეურებისთვის.

დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ლიტერატურას, თეატრსა და კინოს, საერთოდ ხელოვნებას. ტალანტითა და ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსა და რეჟისორს, რომელიც თვითონაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ხედავს კაცთა გულის იდუმალ ზრახვებს, კეთილი მწყემსის მსგავსად ძალუძს, დაგვეხმაროს როგორც სინამდვილის შეცნობაში, ისე ჩვენთვის სავალი გზების მიგნებაში; ოღონდ ისე, რომ ჭრილობა მარტო კი არ გააშიშვლოს, არამედ უმკურნალოს მას ანდა გვასწავლოს მაინც, როგორ მოვიშუშოთ იგი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სათქმელი რა ფორმით მივა მსმენელამდე.

ბერტოლ ბრეჰტი „მკითხველთან ჭკვიანური საუბრის ხელოვნებას“ განასხვავებდა „რიტორიკული დიდაქტიკისაგან“. „ჭკვიანური საუბრის ხელოვნება“ მკითხველს აძლევს თავისუფლებას, ავტორთან ერთად იმსჯელოს, მრავალ საკითხში არც დაეთანხმოს მას; აღძრავს მოქმედების სურვილს. „რიტორიკული დიდაქტიზმი“ კი მკითხველს ავტორის მონად აქცევს და აიძულებს, მუდამ ეთანხმებოდეს მის აზრს. „ჩემს თეატრში, – წერს ბრეჰტი, – მაყურებელს მონარქად ვაქცევ, მაგრამ მოჩვენებითად კი არა, არამედ ნამდვილ საზოგადოებრივ მოღვაწედ და მოაზროვნედ. ჩემი თეატრი მშრომელი ხალხისთვის იქცევა ლაბორატორიად... და მე ვიმოქმედებ კლასიკოსთა მოწოდებისამებრ: „გარდაქმენი სამყარო, სამყარო ამას მოითხოვს“ (ფილოსოფიის საკითხები, №12 გვ. 5 მ. 1984).

კაცობრიობის კულტურის ისტორია გრძელი ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება, რომლის ყოველი ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა და მომდევნო რგოლებთან. მემკვიდრეობა და ურთიერთ გავლენა არის მთავარი ბიძგის მიმცემი კულტურის განვითარებისათვის.

ქართულმა ნაციონალურმა გენიამ, ეროვნულთან ერთად, შეითვისა რა ცხოველსმყოფელი წყარო რომაული, ბერძნული და აღმოსავლური ცივილიზაციებისა, შექმნა უდიდესი ტაძარი სულიერი შენობისა, რომლის მთავარი ხუროთმოძღვარი იყო ქრისტიანი ქართველი კაცი. საერთოდ ქრისტიანმა ადამიანმა მადლიერი რწმენითა და ცოდნით ამოკვეთა ზნეობრივი ცხოვრების ისეთი ბრწყინვალე კანონები და მაგალითები, რომლის მსგავსს არ იცნობდა წინარე ქრისტიანული მსოფლიო.

ასე რომ, კულტურა მხოლოდ ცალკეული ადამიანის პირადი საქმე როდია, იგი მთელი ხალხის სიმდიდრეა.

ჩვენი მიზანი არ არის კულტურის კანონებზე წერა, უბრალოდ გვსურს მეტი სერიოზულობით დავუფიქრდეთ ამ პრობლემას და მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ დროის პრობლემასაც. დროს ჩვენ ხშირად არ ვუფრთხილდებით, ანდა ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ. სად არის საზღვარი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის? ფსიქოლოგებმა იციან, რომ აწმყო დრო შეიძლება გასცილდეს დღის, თვისა და თვით ათეული წლების ფარგლებს.

თუ მწერალს ან რომელიმე საზოგადო მოღვაწეს ვკითხავთ: თქვენ ახლა რაზე ფიქრობთ? იგი არ გიპასუხებთ: ახლა ვცდილობ, პასუხი გავცე თქვენს შეკითხვასო; რადგან ის, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, აზროვნებს არა წამებითა და წუთებით, არამედ დროის გაცილებით დიდი მონაკვეთებით.

„ჩვენი მხოლოდ აწმყოა", – ასეთი პრინციპი წამოაყენა სოკრატეს ერთ-ერთმა მოწაფემ, არისტიპემ.

დიახ, აწმყო უნდა დავაფასოთ და როგორც ფუტკარმა – თაფლი, ჩვენც ქველის საქმენი უნდა შევკრიბოთ. უნდა ვიჩქაროთ, რადგან არ ვიცით, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. მუდამ უნდა გვახსოვდეს სოლომონ მეფის სიტყვები: „უარს ნუ ეტყვი გაჭირვებულს დახმარებაზე, ოდეს ხელს შენსას ძალუძს შეწევნა" (იგავნი 3, 27). შეეწიე მოყვასს და საკუთარ თავს და შენ იქნები ბედნიერი. სიხარული მოგენიჭება როცა სიკვდილისაგან იხსნი ადამიანს, დაეხმარები გაჭირვებულს, სულიერი მღელვარების ჟამს მხარში ამოუდგები მას, მხურვალედ ილოცებ, აღსარების საიდუმლოს საშუალებით გათავისუფლდები ცოდვებისაგან, წმინდა ზიარების წყალობით განიცდი უფალს შენში, აპატიებ შემცოდეთ, შეარიგებ დამდურებულთ, ჭეშმარიტების გზაზე დააყენებ შეცდომილთ – ყველა ასეთი წუთი ბედნიერების მომტანია და დიდი ხნის მანძილზე ასაზრდოებს სულს.

დროის ფაქტორი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ვფიქრობთ სამყაროს ბედზე, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურ-

ერთობაზე.

„დასავლეთი არის დასავლეთი, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და ადგილიდან მათ ვერ დაძრავ“, – წერდა XIX საუკუნეში ცნობილი მწერალი კიპლინგი. მას აღმოსავლეთი და დასავლეთი მიაჩნდა განსაკუთრებულ, დროითა და სივრცით დაყოფილ ცივილიზაციებად, რომლებიც ვითარდებიან არა მარტო დამოუკიდებლად, არამედ განსხვავებული კანონებითაც.

თანამედროვე ყოფამ მეტად დააახლოვა მიწიერი ყველა ცივილიზაცია, მაგრამ სხვაობა აზროვნებასა და შეხედულებებში კვლავ დარჩა. განსხვავებულია ადამიანთა ქცევა სხვადასხვა სიტუაციებში: ზოგი გარკვეულ წინააღმდეგობებთან შეჯახების შემდეგ იკრებს ძალას და ცდილობს, გამოასწოროს მისთვის არახელსაყრელი მდგომარეობა. სხვა კი შედარებით იოლად ეგუება მას, სამაგიეროდ თვითონ იცვლის ქცევას და მიზანს. მესამე არჩევს, განერიდოს არასასურველ ვითარებას.

ეკლესიის მთავარი მოვალეობა და დანიშნულებაა ხალხისა და ქვეყნისთვის მსხვერპლად შეწირული სამსახური, მსახურება აღმოსავლეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც, საერთოდ ყველასთვის, მსახურება მშვიდობისა და სიყვარულისთვის. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „მშვიდობა თუ არის, იქნება სიყვარულიც, და პირიქით, სადაც სიყვარულია, იქ მშვიდობა ისადგურებს“. (იოანე ოქროპირი, ტ. II, გვ. 216).

ჩვენი დროისთვის დამახასიათებელია როგორც ომის საშიშროება, ისე ომის საწინააღმდეგო ერთობლივი მოქმედება, რომელშიც რელიგიური წრეებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ. და ეს გასაგებია, რადგან მშვიდობისაკენ სწრაფვა და მისთვის ბრძოლა ყოველი ქრისტიანის წმიდა მოვალეობაა.

აღვავლენთ ლოცვებს მათთვის, ვინც ილვწის ქვეყნად ღვთივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხეული მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

აღდგომილმა მაცხოვარმა დღეს თითოეულ ჩვენგანს, გამოუთქმელი და აუხსნელი სიხარული და იმედი მიანიჭა, რომელსაც მთელი წლის მანძილზე უნდა გავუფრთხილდეთ. რა არის ეს? იგი შინაგანი დამშვიდებაა, ყოველი კეთილი ზრახვისა და მისწრაფების დაკმაყოფილებაა, მშვიდობაა უფალთან, მოყვასთან და საკუთარ სინდისთან; იგი შეგრძნებაა სიხარულისა, სიცოცხლის სისავსისა და სურვილი უმწიკვლო, წმიდა ცხოვრებისა. ამგვარი სიხარული რჩეულთა ხვედრია, მათი კუთვნილებაა, ვინც აღიარებს იესო ქრისტეს და მის გზას მიჰყვება, ვისაც ყოველთვის ესმის ხმა ღვთისა, ესმის და გრძნობს ხალხის მწუხარებას.

სიხარული მოგვეახლა, მორწმუნენო, ღვთაებრივი მადლის სიუხვისა, „რამეთუ - (ღმერთმა!) კეთილსა კაცსა წინაშე პირსა მისსა მისცა სიბრძნე, და მეცნიერება, და სიხარული“ (ეკლესიასტე 2,26), - გვასწავლის გრძენი ეკლესიასტე.

სიხარული, სიყვარული და ღვთის დიდება არ მოგკლებოდეთ აწ და მარადის.

ყოველ თქვენგანს კიდევ ერთხელ ვულოცავ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს - სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას. „სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“ (I კორინთელთა I5, 55).

გიხაროდეთ ორსავე სოფელსა შინა.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ ს დ გ ა ქ რ ი ს ტ ე!

ქრისტესმიერი სიყვარულით

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ქრისტეს აღდგომა
თბილისი, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა შ ო ბ ა ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

საქართველოს ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს:

„ვისაც სურს, იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი, ჯერ თვით ინ უნდა გახდეს ღვთაებრივი და მშვენიერი“ (პლოტინი)

„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ“, განაბრწყინვა იგინი ნათლითა, შეამკო, აღავსო და განასრულა ყოვლითა სიკეთითა. მთელი ხილული სამყაროს წარმოშობას ღვთის საკუთარი ნება ედო საფუძვლად, მხოლოდ ადამიანი შეიქმნა ყოვლადწმიდა სამების ერთიანი ნებით: „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბადება I, 26).

მხოლოდ ადამიანს მიანიჭა არსთა განმრიგემ ხატება თვისი: „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჳსა და ხატად ღმრთისა“ (დაბ I, 27).

თანდათანობით შეიქმნა იგი, სხვა ქმნილებანი კი – წამისყოფით; მხოლოდ მას შთაბერა უზენაესმა თვისი უკვდავი სული: „და შე-

ქმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მომღებელმა ქუეყანისაგან (ადამი წითელ მიწას – თიხას ნიშნავს) და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად" (დაბ.2,7).

ამიტომაცაა იგი გვირგვინი ქმნილებისა, ხოლო დანიშნულება მისი – ყველაზე მაღალი და დიადი; ამიტომაცაა ის განდმრთობის ღირსი.

მაგრამ ადამიანმა ბოროტად გამოიყენა თავისუფალი ნება, გაჩენის დღიდან რომ მოემადღა მას. მან უარყო ღვთის მცნება და, იგემა რა ნაყოფი ხისაგან შემეცნებისა კეთილისა და ბოროტისა, დაკარგა ერთობა ღმერთთან; რის გამოც დაკარგა შინაგანი მთლიანობა და სულის მშვიდობა.

პირველქმნილმა ცოდვამ დაარღვია არა მარტო ადამიანის სულიერი წონასწორობა, არამედ სამყაროში არსებული წესრიგი: „ცოდვა შემოხდა სოფლად და მასთან ერთად სიკუდილი".

ცოდვა ფიზიკურად მოედო ადამიანის სულს, მისი თანდაყოლილი სიკეთის ხარჯზე დაიწყო არსებობა. გაჩნდა შუღლი, მტრობა, სიძულვილი, ძმის მკვლელობა... ბოროტმა ძალამ მდაბალ ვნებათა მსახურად აქცია კაცი.

„ის, რასაც ბოროტება ჰქვია, სხვა არა არის რა თუარა ნაკლოვანება სიკეთისა, – წერს ნეტარი ავგუსტინე. – ის, რასაც ბოროტება ჰქვია, არის არასრული სიკეთე. ცოცხალ არსებას რაიმე სენი რომ შეეყაროს ან იარა გაუჩნდეს ეს იარა, ეს სენი ხომ ჯანმრთელობის ნაკლი ანუ არასრული სიჯანსაღე იქნება. ასევე სულიერი ნაკლიც ბუნებრივი სიკეთის დამახინჯებას ნიშნავს. ყოველგვარი ბუნება კეთილია. ეს სიკეთე დიდია, თუ ხრწნილებას არ ექვემდებარება ოა მცირდება, თუ ნაკლი ან დაზიანება აქვს.

უმეცრისა და გამოუცდელის გარდა სიკეთეს ვერავინ უარყოფს. თუ ბოროტება შთანთქავს სიკეთეს, მაშინ თვითონ ბოროტებაც მოისპო-

ბა, რადგანაც მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. ყოველგვარი ბოროტებისაგან თავისუფალი სიკეთე კი არის სწორედ ნამდვილი, სუფთა სიკეთე (ნეტარი ავგუსტინე, არასუბსტანციურობა ბოროტებისა).

ცოდვა შეიჭრა ჩვენს არსებაში; იქ გაიდგა ფესვი და დამკვიდრდა. პიროვნებაში ერთმანეთს შეეჯახა სიკეთე და ბოროტება და გული მისი კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. ეს ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.

მშვენივრად წერს წმიდა პავლე: „არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, ესა ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“ (რომ. 7, 19).

შინაგანმა გაორებამ ბუნებრივად წარმოშვა ადამიანის ცხოვრების ორი გზა. პირველი ჭეშმარიტებისაკენ მიდის, მეორე – შეუცნობელი არყოფნისაკენ.

ჭეშმარიტება ყოფიერების სათავეა, ცხოვრების წყაროა, ქმნადობის მიზეზია. ნათელია იგი დაუღამებელი, სიყვარული დაუღევნელი; მას ღმერთს ვუწოდებთ.

ცოდვის, სულიერი სიკვდილის გზას კი შეუცნობელი არყოფნისაკენ მივყავართ. ცოდვა და მისი შედეგი – სიკვდილი ბოროტებაა და, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ სიცოცხლის, სიკეთის ხარჯზე არსებობს. ანგრევს რა სიცოცხლეს, თვითონაც განქარდება, „დაინთქმება ძლევითა“ (ესაია).

პიროვნებან თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი მათ შორის. ძველი რომაელები ამბობდნენ: Similis simili gaudet – მსგავსი მსგავსს შეეხარის. ჭეშმარიტად, იდუმალი ძაფები აკავშირებთ მონათესავე სულთ. ისინი გრძნობენ მსგავსებას ურთიერთშორის და მიიღტვიან ერთმანეთისაკენ, რათა თავისი მისწრაფების შესაბამისი ნა-

ყოფი გამოიღონ.

სახარებაში ვკითხულობთ: „ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს. ვერ ხეღეწოფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მათე 7, 17-18).

„ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელ აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ“ (I იო. 4, 16), რადგან თვით ძე თვისი საყვარელი გასწირა შემოქმედმან, რათა ვნებებითა და ცოდვებით დამდაბლებული კაცობრიობა ხენეშ ხედ არ ქცეულიყო, რათა აღმდგარიყო დარღვეული კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის, განახლებულიკო ჩვენი ბუნება და მას უზენაესთან ყოფნის შესაძლებლობა დაბრუნებოდა.

„ამისთვის გამოცხადნა ძე ღმრთისა რაჲთა დაარღვივნეს საქმენი ეშმაკისანი“ (I იო. 3, 8) და ადამიანს დააძლევინოს ცოდვა. იგი ზეციდან მიწამდე დამდაბლდა, რომ კაცი მიწიდან ზეცად აღემაღლებინა, ქრისტე, „განკაცდა, რათა ჩვენ განვიღმრთთ“ (ათანასე დიდი).

ბეთლემის მღვიმეში გამობრწყინდა პირველად „ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალს სოფლად“ (იო. I, 9). არა სამეფო დარბაზებსა და მეცნიერების წიაღში, არამედ მივარდნილ გამოქვაბულში დაედო სათავე ქვეყნის ახალ ცხოვრებას.

როგორ მწვერვალსაც არ უნდა მიაღწიოს ჩვენმა ცივილიზაციამ, როგორადაც არ უნდა განვითარდეს კაცობრიობა, იგი მაინც ყოველთვის ეახლება და თაყვანსა სცემს ამ მღვიმეს, რადგან აქ დაირწა აკვანი მისი, რომელ არს „გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“ (იო. 14,6).

ღვთის განკაცების არსი - ადამიანის ღმერთთან შეერთება - ქრისტიანული რწმენის გარეშე ვერ განხორციელდება. რწმენა ანიჭებს ჩვენს ყოფას ღვთიურ აზრს. ოღონდ რწმენა არა ცივი და მკვდარი,

არამედ ცოცხალი და მოქმედი, რომელიც ქველი საქმით იცნობა.

სადაც არ არის კეთილი ქრისტიანული საქმე, იქ რწმენასაც ამაოდ დავუწყებთ ძებნას, რადგან „ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. I4, 23) და პირიქით, სადაც სიკეთის ქმნა ცხოვრების წესია, იქ, უთუოდ, ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებაა.

„მორწმუნე ის კი არ არის, – გვასწავლის წმიდა იოანე ოქროპირი, – ვისაც ყოველივე სჯერა, არამედ ის, ვისაც სწამს ღმერთი... რწმენა განანათლებს, რწმენა აკურთხებს, რწმენა სულიწმიდის ღირსად ხდის ადამიანს... სადაც რწმენაა, იქაა ძალი, სადაც ურწმუნოება, იქ – უძლურება. რწმენა სიკეთის სათავეა, რწმენა სიკეთის წყაროა, აღიჭურვე საჭურველითა მხსნელითა“.

რწმენა ზეგარდმო ნიჭია, რომელსაც გავყაცართ ყოფიერების მიღმა ეგზისტენციალურ განზომილებაში, სადაც ღვთისმიერ მხსნელ სიყვარულს ვეზიარებით; მაგრამ ამ სიმაღლეს ვერ მივაღწევთ, თუ ჯერ საკუთარი თავი არ შევისწავლეთ.

თვითშემეცნება გულისხმობს ჩვენი შინაგანი ცხოვრების, ქცევის და მოქმედების დაკვირვებულ განსჯას და მის შეჯერებას ღვთის მცნებებთან, იდეალური ქრისტიანის განზოგადებულ სახესთან. ცხადად უნდა ვიგრძნოთ, რისი ძალა შეგვწევს ან ჩვენს შესაძლებლობებს რა აღემატება; რას ვუმაღავთ სხვებს, რას ვუმაღავთ საკუთარ თავს...

ქრისტიანული რწმენა გვასწავლის სიკეთის გარჩევას ბოროტებისაგან, გვეხმარება ჩავწვდეთ ჩვენი სულის სიღრმეს და ვიგრძნოთ მასში ორი დაპირისპირებული ძალის არსებობა, მათი ბრძოლა; გვეხმარება, რათა დავძლიოთ შინაგანი გაორება და განწმედის საშუალებით – მონანიების, ლოცვის, მარხვის, აღსარების, წმიდა ზიარების

გზით ვპოვოთ განკურნება სულთა ჩვენთა; აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და შევიმოსოთ მისი ძალით და მადლით.

საიდან დავიწყო გლოვა? – კითხულობს ცოდვათა სიმრავლით სულშეძრული წმიდა ანდრია კრიტელი.

რით დავიწყო გლოვა? რით დავიწყო სულიერი განახლება? – ეს კითხვები დგას თითოეული ჩვენგანის წინაშე.

შეგახსენებთ, ზოგიერთ მომაკვდინებელ ცოდვას, ალბათ, ყველაზე გავრცელებულს და მათზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

უპირველესი და უმძიმესი ცოდვა არის ურწმუნოება. „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ იღოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს" (მარკ. 16, 16), – გრძანებს მაცხოვარი.

რწმენის ნიჭი ყოველ ადამიანს აქვს მომადლებული, ოღონდ მრავალი ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო ზოგი აღიარებს მას და ზოგი არა. ღვთის უარყოფა დამღუპველი, მომაკვდინებელი სენია, რადგან იგი ხურავს გულს და არ უშვებს შიგ.მას, ვინც მოვიდა შენთან, მოვიდა და „გახარა მშვიდობაჲ თქუენ, შორიელთა და მახლობელთა" (ეფ. 2, 17); გონებას ბინდით ბურავს, რათა ბნელში ამყოფოს სული შენი, წაგართვას მადლი და ნიჭი ღვთის მომადლებული, „რამეთუ მადლითა ხარ თ გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ, და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს" (ეფ. 2, 8).

ურწმუნოება, ღვთის უარყოფა, იგივე ღვთის გმობაა. ეს არის სიყვარულის წყაროს დაშრეტა, ადამიანის უკიდურესი დაცემა, მისი დაღუპვა, „სიკუდილი იგი მეორე".

მეორე მძიმე ცოდვა, რომელმაც კაცობრიობა მოიცვა, არის ამპარტავნება. ეს ის ცოდვაა, ანგელოზები რომ დაღუპა და ბოროტ სულებად აქცია. ამ ცოდვამ განაძევა ადამ და ევა სამოთხიდან. იგი საძირკვლამდე ანგრევს კაცის სულს.

ამპარტავნების სათავე პატივმოყვარეობაშია, ეგოიზმში, საკუთარი უპირატესობის დამკვიდრებაში. ამპარტავნებით შეპყრობილი ადამიანი მთელ ქვეყანას თავისი სურვილების დაკმაყოფილების ასპარეზად თვლის, ბუნების ძაღნი, მის სამსახურში მყოფად წარმოუდგენია. ასეთი ადამიანისათვის სხვა პიროვნებას არავითარი დირებულება არა აქვს, მოყვასი და მახლობელი მისთვის იმდენად არსებობს, რამდენადაც მას სჭირდება.

წმიდა მამები ამბობენ, რომ როგორც წყალი ვერ გაჩერდება შემაღლებულზე, ისე ღვთის მადლი ვერ დამკვიდრდება ამპარტავანის სულში. „თუ გაქვს სიმდიდრე უთვალავი, – გვაფრთხილებს წმ. ვასილი დიდი, – მიეკუთვნები მძლავრი სახელმწიფოს მოქალაქეთა რიცხვს, თუ დაჯილდოებული ხარ ჯანმრთელობით და სილამაზით, – მუდამ გახსოვდეს, მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ყვავილისა და ბალახისებრ დაჭკნება ყოველი, რაიც ხელთ გიპყრია" (პროლოგი).

ამპარტავნება საძაგელია, დამამცირებელია, დამამდაბლებელია კაცისა, რაღგან იგი დაპირისპირებაა მთელ ქვეყანასთან, გამიჯვნაა ადამიანებისაგან, თვით ღვთისაგან. მისგან გათავისუფლება მხოლოდ სიმდაბლით შეიძლება. წმიდა მამები ამბობენ: თუ თავს ჯოჯოხეთის სილრმემდე დაიმდაბლებ, ზეცამდე ამაღლდები. თუ ამპარტავნება შენი ცამდე ამაღლდა, ჯოჯოხეთამდე დაგცემს.

სიმდაბლე საკუთარი თავის შეცნობით მოიპოვება, სიყრმითგან ჩადენილი ცოდვების მხილებითა და აღიარებით. ღირსი ისიხი წერს: „სამსონზე ძლიერნი არა ვართ, არც სოლომონზე უმეტეს ბრძენნი, არც ნეტარ დავითზე გონიერნი, პეტრეზე მეტად ღვთისმოყვარენი. ნუ მივენდობით საკუთარ თავს, რამეთუ საღვთო წერილი გვაუწყებს – თუ მხოლოდ საკუთარ თავს მიენდობი დაეცემი საშინელი დაცემით", რადგან „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მისცის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღი“ (იაკ. 4, 6).

მესამე ცოდვა ვერცხლისმოყვარეობაა. „ვერცხლის მოყუარება თაყუანისცემა არს კერპთა, და ასული არს ურწმუნოებისა, წინასწარმეტყველ არს უძღურებისა, ცრუ მოშიში არს სიბერისაგან, მაუწყებელ არს სიყმილისა... დედა არს ყოველთა ბოროტთა... გარნა რომელმან მოიგო სიყუარული, მან განაგნინა საფასენი“ (იოანე კიბისაღმწერელი).

ადამიანმა ღმერთი დაჰკარგა და სიმდიდრე გააღმერთა. ვერცხლის მოყვარეს არაფერი ჰყოფნის; ყველაფერი ეცოტავება. მისთვის ყველაფერი იყიდება: „სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი, სახელი და ღირსება, სინდისი და პატიოსნება. იგი არ ფიქრობს, რომ მთელი სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი აქ დარჩება, მიჯნის აქეთ; რომ მარტო თავის საქმეებს წაიღებს თან, რომელთაც მოჰკითხავენ, გაწნსჯიან და კუთვნილს მიუზღავენ. ეს უბრალო ჭეშმარიტება თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ცოტა ვინმე-და თუ მისდევს მას. ადამიანმა თავი დაიბორკა მდაბალი ვნებებით, წვრილმანებით; ხელ-ფეხი შეიკრა, დაემონა ნივთებს, განუდგა მარადიულ იდეალებს, ღვთაებრივს, სულიერს, მშვენიერს, გადააფასა ფასეულობანი, მაგრამ არა თავის სასარგებლოდ. სიმდიდრისკენ სწრაფვამ იგი გააღატაკა.

ვერცხლისმოყვარეობიდან უშუალოდ წარმოიშვება მეოთხე ცოდვა - შური.

ყოველი შრომა და ყოველი წარმატება წარმოშობენ ადამიანთა შორის შურს და იგია ამაოება ამაოებათა. შური ქვენა გრძნობაა, ის შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას. მოშურნეს ყველაფერი შურს: მოყვასის სიმდიდრე, მისი მდგომარეობა, თანამდებობა, წარმატება. შური აღავსებს მას სიძულვილით, ნგრევის ჟინით, ის მზად არის გაანადგუროს სხვისი კეთილდღეობა. „ხოლო უკუეთუ შური მწარე გაქუნ-

დეს და ხდომაჲ გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუით ჭეშმარიტებასა ზედა. არა არს ესე სიბრძნე ზეგარდმოსრული, არამედ ქუეყანისაჲ, მშჯნვიერი და საეშმაკოჲ" (იაკ. 3, 14-16).

შური სხვათათვის არ წარმოადგენს საფრთხეს, იგი უპირველეს ყოვლისა, ვნებს თვით მოშურნეს და, როგორც რკინას ჟანგი, ხრავს ადამიანის სულს (ვასილი დიდი). „შენ მტერი ხარ არა სხვისი, - ამბობს წმიდა კვიპრიანე, - არამედ შენი სულის ხსნისა. ყველას, ვისი შურიც შენ-თან გსდევს, შეუძლია გაგეცეს, ხელიდან გაგისხლტეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი, სადაც არ უნდა იყო, მტერს ვერ დაემალები, მან შენს გულში დაიბუდა და შენში მყოფი სენი არ მოგასვენებს" (წმ. კვიპრიანე. „საკვირადღეო საკითხავი").

ღმერთმა შეიწყალოს და განათავისუფლოს ყოველი ადამიანი ამ ბოროტებისაგან.

ზოგი ფიქრობს, რომ ყოველგვარი ურთიერთობა მამაკაცისა და ქალს შორის ცოდვაა. ეს ასე არ არის. ქორწინება ღვთისაგან კურთხეული საიდუმლოა, მაგრამ სიძვა ერთ-ერთი უმძიმესია სხვა მომაკვდინებელ ცოდვათა შორის, მისგან გამომდინარეობს ყოველი სხვა არაბუნებრივი კავშირი. იგია სიბილწე არა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი. ის ამახინჯებს ადამიანის სულს და გონებას, მის ფსიქიკას, უკარგავს ჭეშმარიტების აღქმის უნარს, მრუდე გზით წარმართავს ცხოვრებას. ფართოდ გავრცელებული თეორიები მორალური და სექსუალური თავისუფლების შესახებ, ხელყოფაა ბუნებისა, დამღუპველია ადამიანისა.

ქორწინება, ოჯახი, შვილები, ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა, - ყოველი ზნესრული ადამიანის ცხოვრების წესია. იგი გულისხმობს მამაკაცსა და ქალს შორის უმწიკვლო ურთიერთობას, ურთიერთნდობას, ურთიერთთავგანწირვას, ურთიერთმსხვერპლგაღებას.

„სიწმიდეში დავანებულია ნათელი და სიხარული და მშვიდობა და მოთმინება; სიძვაში კი მწუხარება, ვაება, უძღები ძილი და წყვდიადი“ (ეფრემ ასური). „მეძავთა და მემრუშეთა „სასუფეველი ღმრთისაჲ არა დაიმკვიდრონ“ (I კორ. 6, I0), რადგან ხორცი ჩვენი სიძვას კი არა, უფალს ეკუთვნის; „არა უწყითა რამეთუ ხორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან... არა უწყითა, რამეთუ ხორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულის წმიდისანი არიან... ადიდეთ უკუე ღმერთი ხორცითა მაგით თქუენითა, რომელი იგი არს ღმერთისა“ (I კორნ. 6. I5, I9-20), - გვასწავლის პავლე მოციქული.

როდესაც იესო ქრისტეს მოუყვანეს მემრუშე დედაკაცი, რათა იგი ქვებით ჩაექოლათ, იესო „თითით ქუეყანასა წერდა და არარას ეტყოდა. შემდეგ მოუწოდა პირველ უცოდველს, დაეკრა ქვა ცოდვილისათვის და „კუალად ქვე დადრკა და წერდა ქუეყანასა“ და ოდეს მხიღებულნი თითო-თითოდ გაიკრიფნენ, მან კვლავ განაგრძო თითით ხაზვა და დუმილი. „და დედაკაცი იგი დგა შორის“.

ქვე-დადრეკილი მაცხოვარი თითით ხაზავს მიწაზე ჩვენთვის შეუცნობელს და ფიქრობს ჩვენთა ცოდვათა გამო. შემდეგ ეუბნება განზე მდგომ ქალს, შეძრულს უფლის წყალობითა და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენით, „არცა მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ“ (იოანე 8, 4-II).

ამიერიდან ნუღა სცოდავო, გვითხრა უფალმა, და მე არ განგიკითხავო შენ. მაგრამ ადამიანს აქვს უცნაური თვისება, დაიხშოს ყურნი სმენად, გამუდმებით სცოდოს თვითონ, სხვანი კი განიკითხოს.

„განკითხვა მოტაცება არს მხოლოდშობილისა პატივისა და დამაქცეველი სულისა“ (იოანე კიბისაღმწერელი). ამ ცოდვით ყველაზე მეტად ისინი არიან დამძიმებულნი, საკუთარ თავს კარგად რომ არ იცნობენ, არ იციან, რა არის ჭეშმარიტი სინანული და ბოლოს, არ ეცი-

ან, საქმენი ეშმაკისანი, რომელიც ყოვლის ღონით ცდილობს ჩვენი სულის დაღუპვას.

ხშირად კაცი ცხადად დიდ ბოროტ საქმეთ იქმს, მაგრამ უფრო მეტ კეთილს - ფარულად; ჩვენ კი მას მხოლოდ განვიკითხავთ. განმკითხველი აუცილებლად ჩავარდება იმ ცოდვაში, სხვას რომ უძრახა და სასჯელსაც მკაცრს მიიღებს. „რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, - გვაფრთხილებს მაცხოვარი, - განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ" (მათე 7, 2).

თუ ადამიანში არ არის სიძულვილი და ბოროტება, იგი ლოცვით შეეწევა დაცემულს.

მაშ, მოვიზღუდოთ თავი, რადგან „ვითარცა ამპარტავნება თავით თვისით თვინიერ სხვისა ვნებისა შემძლებელ არს წარწყმედად ჩვენდა, ეგრეთვე განკითხვა მოყვასისა მარტოდ შემძლებელ არს სრულიად წარწყმედად ჩვენდა" (იოანე კიბისაღმწერელი).

ჩავიხედოთ ჩვენს სულში და მთელის გულით შევთხოვოთ უფალს: „მომანიჭე მე განცდაჲ თვისითა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, ვითარცა კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ" (ეფრემ ასური).

სხვა კიდევ ბევრი ცოდვა გვაწევს მხრებზე. მათზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ კიდეც, რადგან „ცხად არიან საქმენი ხორცთანი, რომელ არიან: არაწმიდებანი, ბილწებანი, კერპთ მსახურებანი, მწამვლელობანი, მტერობანი, ხდომანი, შურობანი, გულისწყრომანი, წვალებანი, შფოთებანი... კაცის კვლანი, ლირწებანი, მთვრალობანი, სიღოდანი და მსგავსნი ამათნი. რომელსა წინაჲსწარ გეტყვი თქუენ, ვითარცა პირველ გარქუ, ვითარმედ ესევითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ" (გალ. 5. 19-21).

ალბათ, ბევრი თქუენგანი იკითხავს: განა შესაძლებელია უცოდველი ცხოვრება?

მართალია, უცოდველი მხოლოდ უფალია, ადამიანი კი მიდრეკილია ცოდვისაკენ, მაგრამ არ არსებობს ცოდვა, ღვთის სიყვარულს რომ აღემატებოდეს და ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით შენდობას არ მოიპოვებდეს.

ჩვენი სული პირვანდელ სახეს დაიბრუნებს და მშვენიერ ბაღს დაემსგავსება, თუ განუწყვეტლივ მოვუვლით მას, მოვაშორებთ ეკალ-ბარდსა და სარეველას, გავწმენდთ ჭუჭყისაგან, თუ მოვიმკით ნაყოფს სულისა.

„ხოლო ნაყოფი სულისა არს: სიყუარული, სიხარული, მშვიდობაჲ; სულგრძელობაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალატ. 6, 2).

ბედნიერია, ვინც თავისი ცხოვრების გზად „გზა ჭეშმარიტი“ აირჩია, ვინც არა მარტო ხორცისთვის ზრუნავს, თუ რა ჭამოს, რა სვას და რა შეიმოსოს, არამედ ემზადება საუკუნო ცხოვრებისათვის.

ღმერთმა გაგვიხსნა სრულყოფის კარი და თუ მისი ნათლით გაბრწყინვებულნი, რწმენითა და სიყვარულით აღვსილნი წარვმართავთ კაცობრიობის პროგრესს, ჩვენს მომავალს საფრთხე არ დაემუქრება.

დღეს, როგორც არასდროს მთელი კაცობრიობა ესწრაფვის მშვიდობას, მშვიდობას ბირთვული იარაღის გარეშე. სიკვდილის იარაღი ადამიანმა დააგროვა ისეთი რაოდენობით, რომ ძალის პოლიტიკით საუბარი უკვე შეუძლებელია. აუცილებელია ახალი პოლიტიკური აზროვნება; მორატორუმი, რომელიც ბირთვულ აფეთქებებზე ცალმხრივად ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მიერ, სწორედ ამ ახალი აზროვნებით იყო ნაკარნახევი.

გულისტკივილით შეხვდა მსოფლიო საზოგადოება ამერიკის შეერ-

ებული შტატებისაგან ამ დიდმნიშვნელოვანი წინადადების უგულვებელ-
ყოფას. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მორატორიუმის უარყოფა საერთაშო-
რისო დაძაბულობის შენელების უარყოფაა.

გვწამს, დედამიწაზე ადრე თუ გვიან აიკრძალება ბირთვული გა-
მოცდები, რადგანაც უარი ამ ნაბიჯის გადადგმაზე, თვითმკვლელობას
ნიშნავს.

ყოვლადსამღვდელონო მწყემსთმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო,
ბერ-მონოზონნო, ძმანო და დანო ჩემნო, მოგვეახლა ბრწყინვალე დღესა-
სწაული - დღე ღვთის უნაპირო სიყვარულის გამჟღავნებისა, დღე კაცობ-
რიობის უშრეტი სიხარულისა; ბეთლემში იშვა უფალი, მაგრამ დღეს იგი
იბადება ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანის გულში. მოვემზადოთ, რათა მი-
ვიღოთ იგი ჩვენი არსების განწმედილ ტაძარში და ეგოს იქ უკუნისამდე.

„ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვიღინე სოფლად, რაჲთა
ვწამო ჭეშმარიტი. ყოველი, რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს, ისმინოს
ხმისა ჩემისა", - ბრძანებს იესო ქრისტე. დიდ არს ჭეშმარიტება ესე.
იგია ჭეშმარიტება მარადიული სიყვარულისა; იგია ჭეშმარიტება ღვთი-
სა და ადამიანის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს გზას საუკუნო ნეტა-
რებისას და გვყოფს ჩვენ უფლად თავისა ჩვენისა. „სცანთ ჭეშმარიტი
და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" (იოანე 8, 32), - ვკი-
თხულობთ საღმრთო წერილში.

ყველას გილოცავთ მაცხოვრის შობის დღესასწაულს.

დაე, მშვიდობამ და სიყვარულმა დაივანოს თქვენს გულში, თქვენს
ოჯახში, მთელს მსოფლიოში.

დმერთი მშვიდობისაჲ და სიყვარულისაჲ და ჭეშმარიტებისაჲ იყავნ
თქუენ თანა მარადისა.

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი,
ქრისტეს შობა
1986/87 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

საქართველოს წმიდა ეკლესიის ღვთივკურთხეულ შვილებს:

ძენო და ასულნო ღვთისანო, სულიერნო შვილნო ჩემნო!

„ღმერთმან... კეთილსა კაცსა წინაშე
მისსა მისცა სიბრძნე და მეცნიერებაჲ
და სიხარული“ (ეკლესიასტე 2,26).

„სიბრძნით აღემართენით“, – ორიათასი წლის მანძილზე ყოველდღიურად მოგვიწოდებს წმიდა ეკლესია. უნდა აღვივსოთ სიბრძნით, რათა შევძლოთ ჩვენი სულისა და გულის მომზადება ღვთაებრივი ნიჭის მისაღებად, რათა შევძლოთ მადლის შეცნობა.

რა არის ჭეშმარიტი სიბრძნე და როგორ მოვიპოვოთ იგი?

სიბრძნე ორგვარია: მიწიერი და ღვთაებრივი.

მიწიერი სიბრძნე არცთუ იშვიათად ნაკარნახევია ადამიანთა ქვენა გრძნობებით, ანგარებით, ამპარტავნებით. მას არ ძალუძს შეცნობა დიადისა. სიბრძნე „ქუეყნისაჲ მშვინვიერი და საეშმაკოჲ“ არს (იაკობი 3,15) და „სიბოფე... წინაშე ღმრთისა. უფალმან უწყის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“ (I კორინ. 3, 19-20).

ამიტომაც „ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თვისითა ღმერთი“ (I კორ-ინ. I, 21).

ღვთიური სიბრძნის სათავე ღვთისმოშიშებაა – „დასაბამი სიბრძ-ნისაჲ შიში უფლისაჲ“ (ფს. 110, 10); იაკობ მოციქულის განმარტე-ბით, „ზეგარდმოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშუიდო-ბაჲ, სახიერებაჲ, მორჩილებაჲ, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქ-მეთა კეთილთაჲთა განუკითხველ და შეუორგულებელ“ (იაკ. 3, 17).

ჭეშმარიტი სიბრძნე ყოველდღიურ ყოფაში მჟღავნდება და ადამი-ანს ბედნიერებას ანიჭებს. საოცარია ბრძენი კაცის ხედვა; თავისე-ბურად აღიქვამს იგი სამყაროს, ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს, ადამიანთა ქცევას, მათ ურთიერთობას. მისთვის ყველაფერი მნიშვნე-ლოვანია, ყველაფერი იდუმალი აზრით არის განმსჭვალული. ასეთი პი-როვნებისთვის სხვისი მწუხარება და სიხარული განუყოფელია საკუთა-რისაგან, ყოველივე მისია, ყოველივე მას ეკუთვნის. ბრძენი სრულ-ყოფის კიბეზე ადის და სხვათაც ეხმარება ზესვლაში. ეს ის კიბეა, წმიდა პეტრე მოციქული რომ გვიჩვენებს: „მოიპოვეთ და ყავთ სარწმუ-ნოებასა შინა თქუენსა – მეცნიერებაჲ, და მეცნიერებასა შინა – მო-თმინებაჲ, მოთმინებასა შინა – ღმრთის მსახურებაჲ, ღმრთის მსახუ-რებასა შინა – ძმათ მოყუარებაჲ და ძმათ მოყუარებასა შინა – სი-ყუარული“ (2 პეტრე I, 5-7). ჭეშმარიტი სიბრძნე მხოლოდ ამ გზით მოიპოვება.

ადამიანები კი უფრო ხშირად მხოლოდ მიწიერი სიბრძნით ცხოვრო-ბენ და ამიტომაც ვერ აღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას. ისინი ეძე-ბენ ბედნიერებას მოჩვენებითს, ფუჭს, წარმავალს, ბედნიერებას, რომელსაც მუდამ თან სდევს უბედურება. ამ აზრს ადასტურებს ძველი ჩინური სიბრძნეც:

„თუ ადამიანი უბედურია, მისი გული შეშფოთებულია და მოცულია

შიშით. თუ მისი გული შეშფოთებულია და მოცულია შიშით, მისი მოქ-
მედება გამიზნულია და ზუსტი. თუ მისი მოქმედება გამიზნულია და
ზუსტი, გონება მისი პოულობს საჭირო გადაწყვეტილებებს და იგი აუ-
ცილებლად წარმატებას მიაღწევს; თუ ის წარმატებას მიაღწევს, გახ-
დება მდიდარი და სახელგანთქმული. სიმრთელე და დღეგრძელება, სიმ-
დიდრე და სახელი, - ყოველივე ამას ბედნიერება ჰქვია; მაგრამ ბედ-
ნიერებაში უბედურების ფესვები იმალება.

ამიტომ ამბობენ: „ო, უბედურებავ, შენა ხარ სათავე ბედნიერე-
ბისა".

თუ კაცი ბედნიერია, სიმდიდრესა და სახელს მოიხვეჭს. თუ სიმ-
დიდრე და სახელი მოიხვეჭა, ტანსაცმელი და საჭმელი კარგი ექნება.
თუ ტანსაცმელი და საჭმელი კარგი აქვს, ამპარტავნება იპყრობს; თუ
ამპარტავნებამ შეიპყრო, მისი საქციელი მანკიერი გახდება. თუ საქ-
ციელი მანკიერი აქვს, მის სიცოცხლეს საფრთხე და სიკვდილი ემუქრე-
ბა. თუ მის სიცოცხლეს საფრთხე და სიკვდილი დაემუქრა, ის კარგავს
წარმატებასა და დიდებას, - ეს დიდი უბედურებაა.

ამიტომ ამბობენ: „ო, ბედნიერებავ, შენა ხარ სათავე უბედურე-
ბისა" (ძველი ჩინური ფილოსოფია, მ., 1973, II, გვ. 239-240).

ბედნიერებისა და უბედურების მონაცვლეობა ჩაკეტილ წრეს ქმნის.
ეს არის ეგოცენტრიზმის, საკუთარი ინტერესების მონობის წრე.

თუ მე მხოლოდ პირადი ინტერესებით ვცხოვრობ, ესე იგი ჩემი
სურვილების ტყვე ვარ; მაგრამ თუ შემწევს უნარი, გავცდე საკუთარი
წარმოდგენების, ჩვეულებებისა და მოთხოვნილებების ფარგლებს, თუ
შემიძლია აღვიქვა და განვიცადო სოციალური პრობლემები, თუ ძალა
შემწევს ვალიარო სხვისი შრომის სირთულე, სიმძიმე და სარგებლობა,
მაშინ განსჯა ჩემი და საქმე ჩემი იქნება ამ ჩაკეტილი წრის მიღმა.

თუ კაცი გადაწყვეტს, რომ მან უკვე ყველაფერი იცის და სხვის-

გან არაფერი ესწავლება, ის ვერასოდეს ვერაფის ვერ გაუგებს და ვერც ვერავინ გაუგებს მას. ურთიერთგაგება, ურთიერთგამდიდრებას, ურთიერთშეძენას გულისხმობს. უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისაგან, უნდა გამოვამჟღავნოთ ურთიერთაღქმის უნარი, ფართოდ უნდა გავაღოთ ჩვენი გულის კარი, უნდა გავხსნათ ერთმანეთისათვის ჩვენი შინაგანი სამყარო.

ჩვენ კი თანდათან სულ უფრო ცუდად გვესმის ერთმანეთის.

იგივე ხდება თაობათა შორის:

უფროსები ხშირად უკმაყოფილონი არიან, ერთთავად განიკითხავენ უმცროსებს. ხშირად არც ახალგაზრდებს სჯერათ უფროსების;

შეკითხვაზე - იცნობ თუ არა მისაბაძ პიროვნებას? - მათი პასუხი მეტწილად უარყოფითია. მიაჩნიათ, რომ იდეალი შეიძლება მხოლოდ კრებითი იყოს.

ამ იდეალს შვილები ყოველთვის ვერც მშობლებში ხედავენ.

თუ მშობლების ერთადერთი საზრუნავი სიმდიდრის მოხვეჭაა, თუ ამ სიმდიდრეს ისინი მრუდე გზით იძენენ, თუ განურჩევლად ყოველ სურვილს უსრულებენ შვილებს, თუ არ აღზრდიან მათში შრომისმოყვარეობას, სხვისი დახმარების სურვილს, დროთა განმავლობაში, ისინი მათ მტრად იქცევიან.

როდესაც ჩვენს შვილებს „სხვაზე უკეთ ცხოვრების" ინსტიქტს ვუღვიძებთ, მათში მომხმარებლის მსოფლმხედველობას ვაღვივებთ. მისწრაფება - „არ ვიცხოვრო სხვაზე უარესად", უსათუოდ გადაიქცევა „სხვაზე უკეთ ცხოვრების" ჟინად. ხშირად ეს ხდება ჩვენს უნებურად, დარწმუნებული ვართ, რომ საუკეთესო აღზრდას ვაძლევთ შვილებს, მაგრამ სინამდვილეში ვაღრმავებთ უფსკრულს ჩვენს შორის.

სოციოლოგები ამტკიცებენ, ადამიანის სურვილი, მოიხმაროს იმაზე მეტი, ვიდრე მას სჭირდება, ძლიერდება სწორედ მაშინ, როცა კეთილდღეობა იზრდება.

თითოეული ჩვენგანი მომხმარებელია, მაგრამ უნდა გვქონდეს ჩვენს მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობას შორის წონასწორობის დაცვის უნარი.

მაგრამ, როგორ განვსაზღვროთ, რა არის აუცილებელი და რა არა? აკმაყოფილებს კი ადამიანს მხოლოდ აუცილებელი? აი, რას გვეუბნება შექსპირისეული სიბრძნე:

„რა საჭიროა? ნუ ახსენებ საჭიროებას! ..
თვითონ გლახაკსაც მის განწირულ სილატაკეში
უპოვი ისეთ რამეს, რაც მისთვის მეტია.
რაც საჭიროა, მასზედ მეტი რომ კაცს არ მივსცეთ, –
ადამიანი ხომ პირუტყვად გარდიქცეოდა“.

მაშ, რამდენი ჭირდება ადამიანს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია და ამავე დროს ძალიან ადვილი. რაც უფრო შორს არის პიროვნება ღვთისაგან, მით უფრო ძნელია მისთვის ამის განსაზღვრა, რადგან იგი იმაზე კი არ ფიქრობს, რამდენი ეკუთვნის, არამედ სულ უფრო მეტის შესაძენად ეძებს გზებს და ყველა გზა მისთვის დასაშვებია. ჭეშმარიტი სიბრძნე გვასწავლის, რომ სიმდიდრე ძალიან ადვილად იქცევა მორალურ სილატაკედ.

გლახაკისათვის სავსე მუჭა ღვთის წყალობაა, მეუდაბნოე ბერისათვის – პური და წყალი, მეფისათვის – სავსე ხაზინა; შენთვის? – იფიქრე ამაზე.

ყველაფერი მაინც ბავშვობიდან იწყება.

ოჯახი არის ის გარემო, სადაც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ისმენს ის პირველ ზღაპარს, აქ ეზიარება რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა პიროვნებად.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს, თანდათან უფრო შემაშფოთებელია მისი რღვევის ნიშნები.

მხოლოდ ქალს შეუძლია გადაარჩინოს ოჯახი, მასზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. დედა ასწავლის შვილს პირველ ლოცვას, უკითხავს მას პირველ ლექსს, უამბობს პირველ ზღაპარს. დედა შვილით ცხოვრობს, შვილით სუნთქავს, სხეულით გრძნობს, როცა მას საფრთხე ემუქრება; როცა შვილი განსაცდელშია იგი ნათელმხილველი ხდება, მისი ლოცვა სასწაულთმოქმედ ძალას იძენს. წმიდა მამები ამბობენ, რომ დედის ლოცვას შეუძლია ჯოჯოხეთიდან ამოიყვანოს შვილის სული.

კარგახანია გაჩნდა ქალისა და მამაკაცის გათანაბრების ტენდენცია. ეს თეორია ქალისთვის მაცდუნებელ ძალად იქცა. ქალის წინაშე წამოიჭრა უამრავი პრობლემა: ვინ არის იგი, რისთვის არის მოწოდებული, რა როლი აკისრია ოჯახში, საზოგადოებაში, რა გავლენას ახდენს ცხოვრებისეული და საზოგადოებრივი ცვლილებანი მის სულიერ სამყაროზე, გარეგნულ იერზე???

ქალმა დაიწყო თავისი ადგილის ძებნა ოჯახის გარეთ. ცივილიზაციამ, ცივმა განსჯამ, პრაქტიციზმმა გამოიწვია მისი ფაქიზი ქალური ბუნების რღვევა. მას გაუნელდა შვილების ყოლისა და მათი აღზრდის სურვილი. ქალები მიილტვიან ოჯახიდან, რადგან იგი მათთვის მძიმე ტვირთად იქცა. გამოვიდა რა ოჯახიდან, ქალმა დაკარგა შინაგანი სიმშვიდე, კდემამოსილება. შეიცვალა მისი მზერა, მიმოხვრა, მისი იერი.

ვუყურებთ ძველ ფოტოსურათებს და ვხედავთ მაღალ შუბლს, რომლის იქით იგრძნობა დაფარული აზრი; ფართო, ბავშვისებრ შუქჩამდგარ თვალებს, საიდანაც შინაგანი სისპეტაკე იმზირება. მორცხვ ღიმილს, რომლისაგან გული გინათლდება. ამ სახის გამომეტყველებაში არის რაღაც განუმეორებელი, თვითმყოფადი, ერთადერთი, რასაც სახელი არა აქვს. ამ სახეზე აღბეჭდილია საკუთარი ღირსების შეგრძნების ნიჭი. აბა, შეხედეთ მათ ჩაცმულობას, როგორი სადაა, დახვეწილი, დარბაისლური. სამოსიც კი აიძულებდა მამაკაცს, თაყვანი ეცა ქალისათვის.

სისადავე, შინაგანი სილრმე, გაუმჯდავნებელი განცდა, იდუმალების კვალი ნელ-ნელა ქრება თანამედროვე ქალის სახიდან. ამავე დროს ქრება ის მომხიბლაობა, ის მიმზიდველი ძალა, რომელიც ყოველთვის იყო მისი კუთვნილება. დროსტარების სურვილი, მოდის აყოლა, ხვალინდელი დღის შიში, საკუთარი თავისადმი უნდობლობა, ყოველდღიური უარყოფითი განცდები, თანდათან განდევნიან მის სილამაზეს.

მამაკაცთან გათანაბრების სურვილი ქალისათვის შეჯიბრად იქცა და ძალიან საეჭვოა, რომ ეს შეჯიბრი მისი გამარჯვებით დამთავრდეს.

თანასწორია ორი კვიპაროსი ერთმანეთის გვერდით რომ ხარობს, ორივე ცალკეა, ორივე გვერდიგვერდ ერთადაა და ორივე მშვენიერია.

ძველმა პატრიარქალურმა ოჯახებმა შექმნეს ბიბლიური წყვილები: აბრაამი - სარრა; ისააკი - რებეკა; იაკობი - რაქილი... მათი თანასწორობის პრინციპი იყო თანაბარი პასუხისმგებლობა ოჯახის, შვილებისა და შთამომავლობის წინაშე.

თუ კაცობრიობის ისტორიას ისეთი კუთხით განვიხილავთ, როდესაც ცივილიზაციის განვითარებას მამაკაცი წარმართავს და ქალს მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება, ჩვენს წინაშე ქალი უუფლებო, მონურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, საიდანაც მისი გათავისუფლება და მამაკაცთან მისი უფლებების გათანაბრება აუცილებელია. ეს აზრი სწორი იქნება ცხოვრებისეული სიბრძნის ლოგიკით.

მაგრამ ჭეშმარიტი სიბრძნე გვარწმუნებს, რომ ქალი დაჯილდოებულია თავისი მისიისადმი განსაკუთრებული ერთგულების უნარით; ის შეიმეცნებს თავის თავს დედობის პირველსაწყისიდან წარმომდინარე წყაროდ ცხოვრებისა. მას ვერ დაიმონებ, ვერ დაამცირებ, რადგან ბუნებრივი, თანდაყოლილი სიმდაბლე აქვს ვომადლებული. მისი მორჩილება ნებაყოფლობითია, მისი თავისუფალი ნების გამოხატულებაა. ქალის ცხოვრება რთული, დრამატიზმით აღსავსე პროცესია. ქალის ცხოვ-

რება თავგანწირვაა; მასშია სიცოცხლის უშრეტი ძალა; მისი ხვედრია სიყვარული, რომელიც ესწრაფვის მთლიანობას სრულს, განუყოფელს. იგი მიელტვის მაღალ იდეალებს და მის ლტოლვას ვერავითარი განსაცდელი, თვით სიკვდილიც ვერ დააბრკოლებს. გავიხსენოთ როგორ მიატოვეს შეშინებულმა მოციქულებმა ჯვარცმული მაცხოვარი, თვით „კლდე სარწმუნოებისა“ – პეტრე განუდგა მას. მხოლოდ იოანე ღვთისმეტყველმა და მენელსაცხებლე დედათ არ დატოვეს უფალი განსაცდელის ჟამს.

ოჯახის, ქალის პრობლემა გლობალურია, საყოველთაო და იგი ფართოდ უნდა იქნეს განხილული და შესწავლილი; ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას ჩვენთან, საქართველოში; ჩვენ ეს საკითხი სხვაგვარად გვაღელვებს, სხვაგვარად გვტკივა ეს სატკივარი. ქალი ხომ საქართველოში ოდითგანვე სათაყვანებელი იყო.

მშვენივრად წერს დიდი ილია ჭავჭავაძე:

„ქართველთათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს „დედა-ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს „დედა-აზრს“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გალონიერებული და თავმოსაწონებელი“.

დიახ, ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ყოველთვის ნათლად ვერ ვგრძნობთ მის მნიშვნელობას; ვერ გრძნობენ ამას დედებიც. მაშ, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართველნი არ ვმრავლდებით, რომ ოჯახებში შვილიერება ასე მცირერიცხოვანია? ნუთუ არ გვესმის რა სერიოზული საშიშროების წინაშე ვდგავართ?

თუ ყოველი ქართველი ქალი აღიქვამს თავის თავს როგორც ერის დედას, მისი ერთადერთი მიზანი გახდება ერისთვის მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობის ასპარეზი შვილების აღზრდაა, ოჯახია.

ქართველი ქალი იტვირთებს ამ მოვალეობას. საქართველო ხომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრია. ღვთისმშობლის კურთხევით, ღვთისმშობლის მფარველობით მოგვევლინა ჩვენ წმიდა ნინო, რომელმაც გვაზიარა მაცხოვრის მადლს, მის სიბრძნეს და გვიხსნა სულიერი სიკვდილისაგან. მომავალშიც გამოჩნდებიან ახალნი რჩეულნი ღვთისანი, განმანათლებელნი საქართველოჲსანი და აღსრულდება ჩვენი დიდი წინაპრის წინასწარმეტყველება: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა" („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ"). ღვთისმშობლის მეოხებით, ღვთის ლოცვა-კურთხევით ქართველ დედას, ქალს, დას, დარწმუნებული ვარ, კვლავ დაუბრუნდება სულიერი ძალა. იგი კვლავ აღივსება ღვთის რწმენითა და სიყვარულით, კვლავ აღადგენს ქრისტიანულ მტკიცე ოჯახს და ჩვენს ქვეყანას ბურჯად დაუდგება.

ქორწინება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ოჯახის შექმნაა. ეს, უპირველესად ყოვლისა, ღვთის სიყვარულის გამოვლინებაა. ქორწინება ქრისტიანულ ეკლესიაში მარტო კაცის და ქალის შეერთება კი არ არის, იგია ღვთიური საიდუმლო, რომელიც ამ კავშირს ახალ შინაარსს ანიჭებს.

ჯვრისწერის დროს მეუღლეებს თავზე გვირგვინებს ადგამენ. ამას აქვს ღრმა რელიგიური მნიშვნელობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გვირგვინია დიდებისა, მეუფებისა, ხელმწიფებისა, გვირგვინია სიხარულისა და ბედნიერებისა - ყოველივე იმისა, რაც ღვთის წყალობით ენიჭება ადამიანს. მაგრამ, ამასთანავე, ეს გვირგვინია განსაცდელისა. გვირგვინები მოუხმობენ ჯვარდაწერილთ, მისდიონ ქრისტეს გზას, რომელიც „იწრო არს" და ეკლიანი, მაგრამ წმიდაა და მადლიანი, და გოლგოთის გავლით მიემართება აღდგომისა და ამაღლებისაკენ. თავს საქორწინო გვირგვინის დადგმამ მეფე-დედოფალს კიდევ ერთხელ უნდა

აუწყოს, რომ ქორწინება თავგანწირვაა, თავდაგიწყებაა, სხვაში დაკარგვაა, რომ ქორწინება ბრძოლაა, ურთიერთჭიდილია; და ბოლოს, ეს გვირგვინებია საუკუნო ზეციური მეუფებისა, უსასრულო, მაგრამ რეალური მეუფებისა, რომლის მემკვიდრენიც ჩვენ შევიქმნებით ჩვენის რწმენით, ჩვენის ცხოვრებით მამისა, ძისა და სულიწმიდის ძალით.

ჯვარისწერის დროს მეფე-დედოფალი ერთი სასმისიდან სვამენ ღვინოს. ეს სიმბოლოა არა მარტო მათი ერთად ყოფნისა, არამედ იესო ქრისტესთან, ეკლესიასთან მათი ერთობისა.

ახალდაქორწინებულთა ცხოვრება უნდა იქცეს „ლიტურგიად", მსახურებად ღვთისა და ქვეყნისათვის. მხოლოდ ამ შეგრძნებით, ამ რწმენით უნდა ეზიარონ ისინი ქორწინების საიდუმლოს. თასი ბოლომდე მხოლოდ ასეთი ცხოვრებით შეისმება.

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში წმიდა მოციქული პავლე გვამცნობს ქრისტიანული ქორწინების ჭეშმარიტ არსს:

I. „დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა ქრისტესითა.

ცოლნი, თვისთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა და იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისაჲ.

2. არამედ ვითარცა ეკლესიაჲ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოვლითა.

3. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიაჲ და თავი თვისი მისცა მისთვის.

4. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე ერთხორც.

საიდუმლო ესე დიდ არს" (ეფ. 5, 2I-25, 3I-32).

ურთიერთკავშირი, ურთიერთსიყვარული, ურთიერთშერწყმა - აი, რა არის ქრისტიანული ქორწინების საფუძველი.

ერთგულებას ღვთისადმი, ერთგულებას სიკეთისადმი, ერთგულებას სიმართლისადმი, ერთგულებას ერისა და ოჯახისადმი, - აი, რას მოითხოვს ჩვენგან უფალი. მხოლოდ ამ გზით მოიპოვება ჭეშმარიტი ბედნიერება. უნდა ვეძიოთ სიხარული არა ხანმოკლე და სწრაფწარმავალი, არამედ ისეთი, იესო ქრისტე რომ ბრძანებს: „და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მოგიღოს თქუენგან" (იოანე 16, 22). უნდა ვეძიოთ სიყვარული, რომელიც გარდაქმნის ცხოვრებას; უნდა ვეძიოთ და მოვიპოვოთ მშვიდობა; მშვიდობა ჩვენ სულში, შინ და გარეთ.

დღეს სულ უფრო ახალ ფორმას იძენს მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლა, სულ უფრო აქტიური ხდება მისი მოქმედება, სულ უფრო ახალ-ახალი ძალები ებმევიან მშვიდობის დასაცავად, რადგანაც ბირთვული ომის აცილება დაკავშირებულია კაცობრიობის უშიშროების პრობლემასთან. დადგა ისეთი დრო, როცა სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან ძალის პოლიტიკაზე, სამხედრო მანქანის სრულყოფასა და გაძლიერებაზე, უნდა ეძებონ გზები ურთიერთთანამშრომლობისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობისა.

ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, რომელიც ცალმხრივად იტვირთა ჩვენმა სახელმწიფომ და რომელიც უკვე თითქმის წელიწადნახევარია გრძელდება, გამოხატულებაა მსოფლიო ბედზე დიდი პასუხისმგებლობისა, გამოხატულებაა კაცობრიობის უშიშროებისათვის ზრუნვისა. სამწუხაროა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ გამოეხმაურა ამ დიდმნიშვნელოვან ინიციატივას. თუმცა გვწამს, ადრე თუ გვიან ისინი აღიარებენ თაციანთი პოზიციის საშიშროებასა და უსაფუძვლობას, გვწამს, ღვთის წყალობით, იზეიმებს მშვიდობა.

ვაცილებთ წელსა ამას და ვეგებებით ახალსა წელს.

წარსული წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მშვი-

დობის წლად იყო გამოცხადებული და, მართლაც, მშვიდობისათვის სწრაფვით ხასიათდებოდა იგი, რისთვისაც ვმადლობთ უფალს.

ვმადლობთ უფალს იმ სიხარულისათვის, რაც განვიცადეთ ამ წლის მანძილზე; ვმადლობთ იმ მწუხარებისთვის, რაც წილად გვერგო.

წარსულ წელს ბევრი ჩვენი ახლობელი და მეგობარი გამოგვაკლდა, მაგრამ მათი სული ხომ უკვდავია; ისინი მკვიდრნი გახდნენ ზეციური საქართველოსი და იქიდან აღავლენენ ჩვენთვის ლოცვებს. ჩვენც არ დავიშუროთ ლოცვა მათთვის, არ დავიშუროთ ლოცვა ერთმანეთისათვის, ჩვენი სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის, ჩვენი ერის მომავლისათვის; მივართვათ საჩუქრად ერთმანეთს წრფელი ღიმილი, გულის სითბო და კეთილი სიტყვა; დაე, რწმენა და სიყვარული განმტკიცდეს ჩვენს შორის; მშვიდობა სუფევდეს გულთა შინა ჩვენთა, სახლსა ჩვენსა და ქვეყანასა ზედა. სათნოებამ დაიდოს ბინა ყოველი ადამიანის გულში და დაივანოს სიყვარულმა. უფალმა დალოცოს და კეთილად აღზარდოს ჩვენი შვილები, მიანიჭოს მათ სიყვარული ღვთისა, სიყვარული მამულისა და მშობლებისა, სიყვარული მოყვასისა. ბედნიერი და მშვიდობიანი ყოფილიყოს ეს წელიწადი ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, მთელი მსოფლიოსათვის. ყველას გეხვევით და გლოცავთ.

საახალწლო ეპისტოლე მინდა დავამთავრო წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის ღვთისადმი ლოცვით:

მოდი, ნათელო ჭეშმარიტო, მოდი, ცხოვრებაო საუკუნოო. მოდი, საიდუმლოო დაფარულო. მოდი, საუნჯეო სახელდაუდებელო. მოდი, საგანო გამოუთქმელო. მოდი, ხატო განუჭვრეტელო. მოდი, სიხარულო განუწყვეტელო. მოდი, იმედო გადამრჩენელო. მოდი, აღდგომაო განსვენებულთაო. მოდი, ძლიერო!

ყოველივეს ქმნის, გარდაქმნის და სახეს უცვლის ნება შენი. მოდი, სრულიად უხილავო, შეუხებელო, ხელუხლებელო. მოდი, უძრაობაში

მარად მყოფო და ყოველჟამს ყოველგან მიმომავალო. შენ, დავანებული უმაღლეს ყოველთა ზეცათა ზედა, ქვესკნელშიც მოგვეახლები დაცემულთ. მოდი, არსო სანატრელო და ჩვენთვის შეუცნობელო. მოდი, ლხენაო მარადიულო. მოდი, გვირგვინო ფერუცვლელო, მარად ცხოველო. მოდი, დიდებულისა ღმრთისა და მეუფისა ჩვენისა მეწამულო სამოსელო. მოდი, სარტყელო თვალ-მარგალიტით შემკულო. მოდი, თავშესაფარო მიუდგომელო. მოდი, სამეფო შესამოსელო, მარჯვენაო საღმრთო დიდებისაო. მოდი, გელოდა და კვლავაც გელის უბადრუკი სული ჩემი, მოდი, მარტოო, ჩემთან, მარტო მყოფთან. ხომ ხედავ, სულ მარტო ვარ. შენ გამომარჩიე ყოველთაგან და მქმენ ობლად. მოდი, ძნელია ყოფნა უშენოდ. შეუძლებელია არსებობა ჩემი შენს გარეშე, მიზეზი ამისა თვით შენ ხარ, მიუწვდომელო ყოველთათვის. მოდი, სუნთქვავ და სიცოცხლევ ჩემო. მოდი, უსასო სულისა ჩემისა სასოებაო. მოდი, სიხარულო, დიდებაო და დაულეველო სიტკბოებაო ჩემო. მადლობას გწირავ, რომ ამ მშფოთვარ, ცვალებად, მბრუნავ წრეში შენ ჩემთან ერთ სულად იქეც და თუმც ხარ ღმერთი ყოველთა უზენაესი, იქმენ ჩემთვის შენ ყოველივედ ყოველსა შინა.

სასმელო გამოუცნობო! ვერავინ განმაშორებს შენგან. შენ დაგეწაფნენ ბაგენი სულისა ჩემისანი და უხვად მოედინები წყაროთა შინა გულისა ჩემისათა. მბრწყინავო შესამოსელო, ბოროტთა ფერფლად მქცეველო, განმწმედელო სამსხვერპლო! შენ განმბან მე დაუშრეტელ და წმიდა ცრემლში, უხვად რომ სდის ყველას შენს სიახლოვეს.

მადლობას გწირავ, რამეთუ დაულამებელ დღედ იქეც ჩემთვის, მზეო დაუვალო. შენს არსებას ვერსად დაფარავ, დიდებით შენით აღავსე სამყარონი. შენ არასდროს არავისგან დაგიფარავს თავი შენი. ჩვენ თვითონ, ვიდრე მოვალთ, ვიმალვით შენგან. ანდა სად უნდა შეეფარო? სად გაქვს ადგილი, რომ მიიდრიკო თავი შენი? ანდა რად უნდა შეეფა-

რო? არავინ არ გძულს, არავისი არ გეშინია. ჩემში დაიდე ბინა, უდ-
რტვინელო. დაიცანე ჩემში და სიკვდილამდე ნუ განმეყოფი მონასა
შენსას, რათა ოდეს აღვესრულები, მეც ვიყო შენში და ვმეფობდე შენ-
თან ერთად - მეუფესთან ყოვლთა ზედა. დარჩი ჩემთან, ღმერთო! ნუ
დამტოვებ მარტო. ოდეს მოვლენ მტერნი ჩემნი, რომელნიც მუდამ მეძი-
ებენ, რათა შთანთქან სული ჩემი, შენც მოგიხილონ ჩემში დავანებუ-
ლი და უკუიქცნენ და არ გაიხარონ ჩემ ზედა, გიხილავენ რა შენ,
ყოვლადძლიერს, ჩემი მდაბალი სულის სიღრმეში დასახლებულს. ჭეშმა-
რიტად, როგორ გახსოვდი, ღმერთო, როს ვიყავ სოფლად? შენ თვითონ
ჩემს გარეშე როგორ გამომარჩიე და განმაშორე სოფელს და სახიერის
შენის დიდების წინაშე დამაყენე. ახლაც დამიფარე შენ, ჩემში მყო-
ფო, და წინაშე დიდებისა შენისა დამადგინე. დღესაც მიცევ მე, უც-
ვლელო, სრულყოფილო და მარად მყარო ჩემში, რათა დღეყოველ შენმა
მხილველმა, მე მოკვდავმან, ვიცოცხლო, მოგიპოვო შენ და არასმქონე
ვიქმნე მდიდარი. მაშინ ვიქნები ძღევამოსილი ყოველთა მეფეთა შო-
რის, საზრდოო და სასუმელო და სამოსელო ჩემო, და აღვივსები სახი-
ერებით და გამოუთქმელი ნეტარებით შენით, რამეთუ შენ ხარ ყოველი-
ვე სიკეთე და ყოველივე სამკაული და ყოველივე ნეტარება და შენდა
დიდება გშვენის წმიდასა სამებასა ერთარსსა, რომელი იდიდების მა-
მით, ძით და სულით წმიდითურთ, შეიცნობი და თაყვანისცემები კრე-
ბულთა მიერ მართალთასა, აწ და მარადის და უსასრულობასა საუკუნე-
თასა. ამინ!

ი ღ ი ა II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქ

ქრისტეს შობა

1986 - 1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ა ღ დ გ ო მ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის

ი ლ ი ა II

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ღვთივკურთხეულ შვილებს, რომელთაც უხარის
აღდგომა ქრისტესი

„მოვიდა ქორწილი კრავისაჲ"
(გამოცხადება 19,7)

ქრისტეს აღდგომის გრწყინვალე დღესასწაული კვლავ უჩვეულო სიხარულით ავსებს ჩვენს გულებს. მისი სახით თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოდის ჩვენთან და ღვთაებრივის მადლით იმდენად აღავსებს ჩვენს შინაგან სამყაროს, რომ ეს მადლი, გულში დაუტევნელი, უხვად იღვრება და უნაწილდება ყველა გარშემო მყოფს.

თავისი სიძლიერით ამ გრძნობას ვერ შეედრება მიწიერი კეთილდღეობით გამოწვეული ვერცერთი განცდა. ამ იდუმალ ღამეს, როგორც არასდროს, ჩვენი სული თბება რწმენით, სასოებითა და სიყვარულით; უფალი მოდის თითოეულ ჩვენგანთან და გვეუბნება: „ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ" (ლუკა 8,50).

რით შეგვიძლია ვუპასუხოთ ამ დიდ სიყვარულს?

მოწიწებით უნდა მივიღოთ იგი, გულის სიღრმეში უნდა მივუჩინოთ სამყოფელი და გარეშევარტყათ მთრთოლვარე სიყვარული. მაშინ ჩვენს სიყვარულთან შეერთებული ღვთაებრივი სიყვარული გვყოფს ტაძრად სულიწმიდისა და შევიმოსებით მისი დიდებით. „ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობაჲ, სულგრძელობაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, მყუდროებაჲ, მარხვაჲ, მოთმინებაჲ“ (გალატ. 5,22).

სულიწმიდის მადლით აღვსებას გისურვებთ, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ღირსნო პერ-მონოზონნო, უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო და ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს წმიდა ეკლესიისა; სიყვარულით მოგესალმებით და გულით მოგილოცავთ წმიდა პასექის დიად დღესასწაულს.

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა!

„აღსდგა იგი ღმერთი, რომელმანც გვიანდერძა ჩვენ ურთიერთის სიყვარული და გვითხრა: „ესე არს მცნება ჩემი, რათა იყვარებდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყვარეთ თქვენ“.

აღსდგა იგი მეუფეთა მეუფე, რომელმანც აღადგინა ღირსება ადამიანისა და ჰრქვა მონებით შეგინებულს ქვეყნიერებას: „არღა გეტყვით თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასა იქმს უფალი მისი; ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყეთ თქვენ“, - წერს სააღდგომო მიმართვაში ჩვენი ერისა და ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილი დიდი ილია ჭავჭავაძე.

აღდგომა ქრისტესი სიცოცხლის გამარჯვებაა სიკვდილზე.

აღდგომა ქრისტესი სიკეთის გამარჯვებაა ბოროტებაზე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო ძლევაჲ შენი?“ (I კორინ. I5,55).

ადამიანი, როგორც ნაწილი ქრისტეს ბუნებისა, უშუალო მონაწილეა ამ ძლევისა. გამარჯვება მოპოვებულია, მაგრამ მას გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა.

სად პოვოს კაცმა ძალა მის დასაცავად?

პასუხი ერთია: ეკლესიაში, რომელი არს სხეული ქრისტესი.

ჩვენთვის განხორციელებული, ჯვარცმული და აღდგომილი ქრისტე განუყოფელია ეკლესიისგან ისევე, როგორც ეკლესია წარმოუდგენელია ქრისტეს გარეშე. ეკლესიის საიდუმლოთა მეოხებით ნათლად შევიგრძნობთ, რომ ქრისტეში და ქრისტეთი დაიწყო მსოფლიო პასექი, დაიწყო ქორწილი კრავისაჲ, დაიწყო ჩვენი სვლა სასუფევლისკენ.

ჩვენ სულიერად ვნათლდებით ეკლესიის სიწმიდით, მაგრამ ეკლესია არ შეილახება ჩვენი ცოდვებით, რადგან მისი სიწმიდე ჩვენსმიერი კი არა, მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტესეულია.

ეკლესია შედგება ჩვენგან, მაგრამ არსი მისი და ცხოველსმყოფელი ძალა მისი ჩვენში არ არის. ადამიანის ხორციელი ბუნებაც ხომ შეიცავს ქსოვილს, სისხლს, ღიმფას... მაგრამ ჩვენი რაობა მათში კი არა, იმ მაცოცხლებელ ძალაშია, რომელიც ორგანული შერწყმით ქმნის ერთიან მთელ სხეულს; მსგავსად ამისა, ეკლესიაც არის არა მხოლოდ ადამიანთა კრებული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის ძალა, ხალხს რომ აერთიანებს და ამ ერთობით მათ ღვთის ნაწილად ხდის.

ღმერთკაცის – იესო ქრისტეს მიერ დაარსებული ეკლესია მასავით ორბუნებოვანია – ღვთაებრივ-ადამიანურია. ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ იესო ქრისტე სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცია, ეკლესიამ კი ჯერ ვერ მიაღწია სრულყოფილ ღვთაებრივ-ადამიანურ საფეხურს. მისი ადამიანური არსი გამუდმებით უნდა მიისწრაფოდეს სრულქმნისაკენ, რათა შეეფარდოს თავისსავე სულიერ-ღვთაებრივ საწყისს. მიუხედავად ეკლესიის ადამიანური ბუნების ნაკლოვა-

ნებისა, ნიკეო-კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებაზე დადგენილ მრწამსში ვამბობთ: „მრწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ეკლესია განწმედილია თავისი ღვთაებრივი დამაარსებლის სისხლითა და სულიწმიდის მადლით, რომელიც წმიდა საიდუმლოთა შესრულებისას მოეფინება მლოცველთ.

მაინც რა არის ეკლესია, რა ძალაა მასში? რატომ არ არის საკმარისი ვიყოთ მხოლოდ მორწმუნე?

ქრისტიანული ცხოვრება ეკლესიაში ავლენს თავის ფორმას. ამიტომაც უწოდებს მას წმიდა პავლე მოციქული „სახლს ღმრთისას“ (I ტიმ. 3,15), „ქალაქსა ღმრთისა ცხოველისა“ (ებრ. 12.22), „დედას მორწმუნეთა“ და უფალ იესო ქრისტეს სხეულს, თავი რომლისაც თავად იგია (რომ. 12,5; I კორინ. 6,15; 12, 12-28).

წმიდა მამები სახარებაში ფქვილისა და საფუარის შესახებ იგავს რომ განმარტავენ, ამტკიცებენ, რომ სწორედ ეკლესიაა ამ ქვეყნისათვის მოვლენილი ახალი ცხოვრების საფუარი. „რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18, 20), - გრძანებს უფალი.

წმიდა მღვდელმოწამე კვიპრიანე პირდაპირ ამბობს: „ვისაც კავშირი და გულწრფელი ურთიერთობა არა აქვს ეკლესიასთან, ქრისტეს სახელისათვის მან თავიც რომ გასწიროს, ცოდვას სისხლითაც ვერ განიბანს; წარუხოცელ და მძიმე ბრალს განყოფისას ტანჯვითაც კი ვერ განიწმენდს. არაეკლესიური არ შეიძლება იყოს მოწამე, ვერ ეღირსება იგი მეფობას“ (ქრისტიანული სწავლება, ნაწ. I, ქრისტიანული ეკლესიის ერთობის შესახებ; 1837 წ.).

ღირსი მამა ეფრემ ასური კი ასე წერს: „ნეტარ ხარ შენ, ეკლესიავ მართლმორწმუნეთა, რამეთუ თვით მეფემ მეფეთა დაიდგინა შენში სავანე. მტკიცეა შენი საძირკველი, რადგან უფალი გიცავს შენ. ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ გძლევენ და მტაცებელნი მგელნი ვერ შეგმუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავენ, ვერ შეარყევენ სიმაგრეს შენსას.

ო, რა დიდი და გრწყინვალე ხარ შენ, სახლო ღვთისა" (შრომები, მ. 1858, გვ. 28).

„მეზღვაურთათვის, - გვასწავლის წმიდა თეოფილე ანტიოქიელი, - ღმერთმა თავშესაფრად კუნძულნი განაწესა; ცოდვით დაცემულ მსოფლიოს კი მიმადლა წმიდა ეკლესიები, რომელნიც ინახავენ სწავლებას ჭეშმარიტის შესახებ".

„ეკლესია ბურჯი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა", - ნეტარი ავგუსტინე.

„ეკლესია ერთადერთი სამეფოა ქვეყანაზედ უზენაესის კანონებით არსებული... ეკლესია უჭეშმარიტესი დამტკიცებაა მომავალი უკვდავებისა და უგანალებულესი სიბრძნეა ზეგარდმო მონიჭებული", - ბერი აღექსი შუშანია.

ამგვარი გამონათქვამები სხვაც ბევრი შეიძლება მოვიტანოთ, რადგან წმიდა მამები თავისი დიდი სულიერი გამოცდილებით მთელი არსებით გრძნობდნენ ეკლესიის მაცოცხლებელ ძალას, იმას, რომ მხოლოდ ეკლესიის წიაღში ხდება ადამიანის ფერისცვალება, რომ მხოლოდ ეკლესიას შეუძლია მისცეს მას ის უმთავრესი, რაც კაცმა დაკარგა და რასაც ის შეუცნობლად ასე ეძებს და ესწრაფვის.

ეკლესია ის ერთადერთი ადგილია, რომელიც გვიხსნის სულიერი სრულყოფის გზას, ის ოაზისია, სადაც ქრისტესთან ერთობა მიიღწევა და მარადიული ნეტარება მოიპოვება. „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ, არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ" (იოანე 14,6) - გვაფრთხილებს უფალი.

ეკლესიის არსს მხოლოდ ის მიხვდება და იგრძნობს, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს. გარეშე მაყურებელი კი მხოლოდ მის ზედაპირულ მხარეს ხედავს; სული, ძალა და დიდება ეკლესიისა მისთვის უხილავი

და შეუცნობელი რჩება, რადგან თვითონაც უსულოდ ცხოვრობს.

მშვენივრად წერს ნეტარი ავგუსტინე: „სულიწმიდის მადლით დაჯილდოებული პიროვნება ეკლესიურია... ეკლესიის გარეშე მყოფნი მოკლებულნია სულიწმიდას. თუ სხეულს რომელიმე ნაწილს მოვკვეთთ, იგი შეინარჩუნებს ფორმას, ვთქვათ, თითის, ხელის ან ყურისას, მაგრამ მასში არ იქნება სიცოცხლე; ასეთია მდგომარეობაც არაეკლესიურთა“ (ქადაგება 268,2).

იესო ქრისტეს ძალდატანებით არავინ მოჰყავს ეკლესიაში, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც სურთ, მისდიონ ეას და იყვნენ მონაწილე მისი არამიწიერი, ღვთაებრივი სიყვარულისა. „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, – გრძანებს იგი, – უარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (მათე 16,24).

ძნელია განდგომა საკუთარი თავისგან; ძნელია უარყოფა ვიწრო ეგოიზმისა, არაწმიდა აზრებისა და გრძნობებისა. ზოგჯერ გვგონია, ვერ შევძლებთ, წინ აღვუდგეთ მიწიერ სურვილთ და ბორტებას. როგორ დავძლიოთ იგი, როგორ განვიძარცვოთ ტანსაცმელი ძველი კაცისა და შევიმოსოთ სამოსელი სიმართლისა, სიყვარულისა, სამოსელი თანაგრძნობისა, მორჩილებისა, სიწმიდისა?

ჩვენი სულიერი ფერისცვალება მხოლოდ ეკლესიას შეუძლია.

ნუ შიშობ, იტვირთო ჯვარი უფლის მიერ შენთვის განკუთვნილი. მაცხოვარი მოგვევლინა არა დასასჯელად და წარსაწყმედად, არამედ ხსნისათვის თაყვანისმცემელთა მისთა. იგი ყოველ ჩვენგანს განუმზადებს ისეთ ჯვარს, რომლის ტვირთვაც ძალგვიძს, ოღონდ უნდა მივენდოთ, ვუსმინოთ და მივსდიოთ მას. მორწმუნედ გახდომა არ არის საკმარისი, რომ ქრისტიანი გვერქვას, რომ ეკლესიის ნაწილი ვიყოთ. აუცილებელია ხელახლა შობა, ახალ ადამიანად ქცევა, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება.

ეკლესიაში აღესრულება საიდუმლოებები: ნათლობისა, მირონცხებისა, აღსარებისა, ზიარებისა, მღვდლობისა, ქორწინებისა, ზეთისცხებისა და სხვა მღვდელმოქმედებანი, რომელთა მიღება ყოვლად აუცილებელია ქრისტიანისთვის.

მონათვლით ადამიანი ეკლესიაში შედის, ქრისტეს ნაწილი ხდება, ხელახლა იბადება; თავისუფლდება იგი როგორც ადამისმიერი პირველქმნილი შეცოდებისგან, ისე ყველა სხვა ცოდვისაგან; აღდგება მასში ხატება ღვთისა, მიენიჭება სულიწმიდის მადლი და ყველა სიკეთე მისი.

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, – მიმართავს იესო ქრისტე საქადაგებლად მიმავალ თავის მოწაფეებს, – და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ" (მათე 28, 19-20). ხოლო სხვა ადგილას გრძანებს: „უკეთუ ვინმე არა იმცეს წყლისაგან და სულისა, ვერ ეელ-ეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა" (იოანე 3,5).

წმიდა ნათლობის ძალით სულიერი დაბადება ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყებას, საკუთარი თავის დავიწყებას და მსახურებას ქრისტესთვის და მოყვასისათვის. ამაში პოვებს ნამდვილი მორწმუნე სიხარულსა და ბედნიერებას, თავისი არსებობის აზრსა და მიზანს.

ნათლობისას პიროვნებას ღმერთი უვლენს მფარველ ანგელოზს, რომელსაც ევალება მისი დაცვა და სულიერ სრულყოფაში შეწეობა.

ინათლებიან როგორც სრულასაკოვანნი, ისე მცირეწლოვანნი. ეკლესიაში ბავშვების ნათლობა უძველესი ხნიდან დაწესდა. ბავშვს მღვდელი ნათლავს მშობლებისა და ნათლიების რწმენის ძალით, რომელთა წმიდა მოვალეობაა, ასწავლონ ყრმას სარწმუნოების კანონები და ღვთისსათნო ქრისტიანული ცხოვრება.

ნათლობისას სრულდება ასევე მეორე დიდი საიდუმლო – მირონცხება. მღვდელი მოსანათლს ჯვრის სახით რომ სცხებს მირონს, ამბობს: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ“.

იღებენ რა ამ ორ უდიდეს საიდუმლოს ზოგიერთნი, სამწუხაროდ, ამით ამთავრებენ ეკლესიაში ცხოვრებას. თუ ახალშობილს საზრდოს დროზე არ მივაწვდით, მოკვდება; ასეა სულიერ ცხოვრებაშიც.

ისინი რომელნიც არ აღაღლენენ ლოცვებს, არ მარხულობენ და ქრისტიანულად არ ცხოვრობენ, სულიერად კვდებიან კიდეც; მოეკვეთებიან ხეს ცხოვრებისას – ეკლესიას, რომლისგანაც გამუდმებით უნდა მიეღოთ სულიერი საზრდო. ჭეშმარიტი ქრისტიანნი კი ნათლობისა და მირონცხების შემდეგაც უხვად იღებენ სულიერ საკვებსა და მადლს.

ნათლობით თუმც განვეშორეთ სატანას და ყოველთა საქმეთა მისთა, მაგრამ თვითონ იგი არ გვტოვებს ჩვენ; მუდამ ცდილობს, კვლავ დაგვიპყროს, კვლავ მოგვიპოვოს. ამიტომაც ჩვენი გული კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივი ბრძოლის ასპარეზია.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ ადამიანისაგან განდევნილი არაწმიდა სული ურწყულ ადგილებს მიაშურებს და რაკი იქ განსასვენებელს ვერ პოვებს, ცდილობს, ძველ სამყოფელს დაუბრუნდეს. თუ კაცი განლაღებული დახვდა, სხვა უბოროტესს ეშმაკთაც მოიყვანს და მათთან ერთად დაემკვიდრება მასში. და კაცი იგი შეიქმნება უფრო ცოდვილი, ვიდრე ადრე იყო (მათე I2, 43–45). ამიტომ საჭიროა ცოდვისგან მუდმივი განწმენდა, მისგან გათავისუფლება.

ჩვენს მიერ ჩადენილი ყოველი ბოროტება ცოდვაა. იგი დვთისა და თვით ჩვენი თავის საწინააღმდეგო მოქმედებაა, ყოფის არყოფნად გარდაქმნაა, ჩვენი ბუნების დამახინჯებაა, ჩვენი დამაქცეველი ძალაა; ესაა მსვლელობა დამლუპველი მიზნისაკენ.

ბოროტებას თავისი შესაბამისი ბოროტი შედეგი მოჰყვება. ცოდ-

ვის შედეგია ღვთისგან განდგომა, სიყვარულის, მშვიდობისა და ბედნიერების დაკარგვა, სულიერი სიდატაკე, სიკვდილი... „ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით სიკუდილი“ (რომ. 5,12).

დარღვეული შინაგანი მთლიანობა რომ აღდგეს, ადამიანმა აღსარება უნდა თქვას და ღვთის წინაშე მოინანიოს ცოდვები. ასეთ შემთხვევაში მისი დახმარება მხოლოდ მოძღვარს შეუძლია, რადგანაც შენდობის უფლება ღვთისგან მასა აქვს მონიჭებული.

მაცხოვარმა მოციქულებს მისცა განსაკუთრებული ძალა ცოდვილთა მიმართ: „ამინ გეტყვი თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 18, 18). ეს მადლი მოციქულებიდან მათი საქმის გამგრძელებლებს - ეპისკოპოსებსა და სამღვდელოებას გადაეცა და დღემდე მოდის.

აღსარებისთვის მომზადებული უნდა მივიდეთ. ეს საიდუმლო უნდა აღვასრულოთ ისე, თითქოს იგი იყოს ჩვენი უკანასკნელი, სიკვდილის წინა აღსარება. მამები აღსარებას მეორე ნათლობას უწოდებენ, რადგანაც ამ დროს, ისევე როგორც ნათლობისას, პიროვნებას მიეტევება ცოდვები, ოღონდ მხოლოდ ის ცოდვები, რომელთა შენდობასაც მოძღვრებისგან მიიღებს.

აღსარებას თვით უფალი იესო ქრისტე იღებს. იგი უხილავად ესწრება ამ საიდუმლოს, მღვდელი კი არის მოწმე და ადამიანისადმი ღვთის დიდი მოწყალების გამოცხადების საიდუმლო აღმსრულებელი.

აღსარებით განწმენდილი ადამიანი მზად არის, მიიღოს მეორე უდიდესი საიდუმლო - ზიარება.

განა შეიძლება ქრისტიანი გვერქვას და არ ვიყოთ მონაწილე წმიდა ევქარისტიისა - ზიარებისა?! იგი მარტო სიმბოლო არ არის, არც მხოლოდ საიდუმლო სერობის გახსენებაა. ესაა ჩვენი ერთობა

მაცხოვართან, ჩვენზედ ვარდამომავალი უდიდესი საიდუმლო ძალა, ჩვენი განღმრთობა.

წმიდა ზიარების მიღების აუცილებლობაზე მიუთითებს მაცხოვრის ეს სიტყვები: „უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუაი სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იოანე 6.53).

ეკლესიის ისტორიის დასაწყისიდანვე წესად იყო მიღებული ხშირი ზიარება. მეორე საუკუნის ცნობილი მამა ეგნატე ღმერთშემოსილი წერს: „ეცადეთ, ხშირად შეიკრიბოთ ზიარებისთვის და ღვთის სადიდებლად“ (XIII ეპისტოლე ეფესელთა მიმართ).

წმიდა იოანე დამასკელი კი ამბობს: სულისა და ხორცისგან შემდგარ ადამიანს სჭირდება როგორც სულიერი, ისე ხორციელი საკვები. სულიერ საზრდოდ იესო ქრისტემ მოგვცა თვით თავისი ხორცი და სისხლი, რომელსაც წმიდა ევქარისტიაში ღვინისა და პურის სახე აქვს.

რატომ მისცა უფალმა მოციქულებს საჭმელად თავისი სისხლი და ხორცი ღვინისა და პურის სახით? – კითხულობენ ზოგნი.

პური სიმბოლოა ღვთის ძალისა, სიმბოლო კაცთა ერთობისა. თორმეტი მოციქულის სწავლანში – „დიდაქეში“ ვკითხულობთ: „როგორც ეს პური (ხორბლის სახით) იყო განბნეული სხვა და სხვა გორებზე და შემდეგ შეკრებილი გახდა მთლიანი, დე, ასე შეერთდეს შენს საუფლოში ქვეყნის ყველა კიდიდან ეკლესია შენი (უფალო)“ (დიდაქე 9).

ყურძენშიც ღვთის იდუმალი ძალაა დაფარული. წმიდა ესაიას წიგნში წერია: „როცა ყურძნის მტევანში წვენი ჩადგება, მაშინ ამბობენ, ნუ შელახავ მას, რამეთუ მასშია კურთხევა“ (ესაია 65,8).

მრავალჯერ ზიარებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ზოგიერთნი, მიაჩნიათ რა თავი ულირსად, წელიწადში ერთხელ ან რამდენიმე

წელიწადში ეთხელ ეზიარებიან. ეს მიუტევებელი შეცდომა და ბოროტებაა საკუთარი თავის მიმართ.

როგორადაც არ უნდა მოვემზადოთ, განა ოდესმე ვიქნებით ღირსი, მივიღოთ ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი? ჩვენი ცოდვების სიმძიმის შეგნებითა და უფლის მოწყალების იმედით უნდა მივეახლოთ ამ უდიდეს საიდუმლოს.

პირველ საუკუნეებში ქრისტიანები ყოველ წირვაზე იღებდნენ ზიარებას. ეს იყო ხალხი სულით ძლიერი, ყოველ წუთს მზად რომ იყვნენ, თავი გაეწირათ ქრისტესთვის. მაგალითად, წმიდა ბასილი დიდი კვირაში ოთხჯერ ეზიარებოდა: კვირას, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს და, აგრეთვე, ყოველ დღესასწაულზე.

ძმანო და დანო ჩემნო, ნურც თქვენ მოიკლებთ ამ დიდ, გადამრჩენელ საიდუმლოს. მარხვის დროს გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ეზიაროთ ყოველ კვირას და, ასევე, ყოველ დიდ დღესასწაულზე. ეს მოგცემთ სულიერ ძალას როგორც ხილულ, ისე უხილავ მტერთან საბრძოლველად და იქცევით იმ სულიერ ტაძრად რომელსაც უფალი არასდროს დატოვებს; მოგეცემათ მშვიდობა და სიხარული.

ზიარებით, ისევე როგორც აღსარებით, მივეახლებით ცოდვაზე და სიკვდილზე უძლიერეს მარადიულ და ყოვლის მომცველ სიყვარულს ღვთისას.

სიყვარულმა გაითვალისწინა ყველაფერი, რაც კაცს სჭირდება. თავის მოწაფეებს, ქადაგებისთვის რომ გზავნიდა, სნეულთა განკურნების ძალაც მისცა უფალმა (მათე 10,1). ჭეშმარიტ მორწმუნეებს ისინი ზეთს სცხებდნენ და ავადმყოფნიც სნეულებისგან თავისუფლდებოდნენ (მარკ. 6,13). იაკობ მოციქული ეპისტოლეში წერს: „უძლურთუ ვინმე არს თქუენს შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი

უფალმან. ღაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მოვე-ეტეოს მას" (იაკ. 5,14-15).

ასე დაწესდა საიდუმლო ზეთისცხებისა. ეკლესიის ზოგიერთი წმიდა მამა ამბობს, რომ ზეთისცხებისას უფალი შეუნდობს ავადმყოფს დავიწყებულ ცოდვებს. ამ საიდუმლოს მადლით მრავალნი განკურნებულან.

ზეთი ყველამ უნდა ვიცხოთ, რადგან ყველას გვაქვს დავიწყებული ცოდვები და მოკლებულნი ვართ როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სიმრთელეს.

ეკლესია ის სულიერი კანაა გაღიღეისა, სადაც უფალმა დაღოცა ქორწილი.

ქორწინება ქალსა და კაცს შორის სიყვარულით განმტკიცებული კავშირია; ეს ურთიერთობა მათი თავისუფალი ნებით ხორციელდება, ერთმანეთისადმი ერთგულების პირობას გულისხმობს და ეკლესიისა და ქრისტეს ერთობის სახით იკურთხება. „რომელნი - იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ" (მათე 19,6), - ბრძანებს წმიდა წერილი.

ამ საიდუმლოთი ღმერთი აკურთხებს ოჯახურ ცხოვრებას, ბავშვების ყოლასა და მათ აღზრდას. ბავშვი ეგოიზმის დაძლევაში ეხმარება მშობლებს; ისინი ორნი ეწიერებიან მესამეს და ამით დიდ ბედნიერებას იღებენ.

როცა ეკლესიაზე და იქ აღსრულებულ ადამიანის ღრმა და იდუმალ ფერისცვალებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევეხოთ თვით მოძღვარს, რომელიც ამ საიდუმლოთა მთავარი მონაწილეა.

სასულიერო ხარისხში კურთხევა შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია. ეპისკოპოსები, მღვდელნი და დიაკონნი ქმნიან საეკლესიო იერარქი-

ას. მათი ვალია სახარების ქადაგება, საიდუმლოთა აღსრულება და საეკლესიო საქმეთა წარმართვა.

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი წერს, რომ ეპისკოპოსი ეკლესიაში განასახიერებს უფალ იესო ქრისტეს, ხოლო მღვდელი სახეა მოციქულისა, ჯვარცმული პიროვნებისა.

ეპისკოპოსის ხელდასხმითა და წარმოთქმული ლოცვით რჩეულ კეთილმორწმუნე ქრისტიანზე სამღვდელო ხარისხში კურთხევისას გადადის განსაკუთრებული მადლი სულიწმიდისა.

მოძღვარი თავშეკავებული პიროვნება უნდა იყოს. წმიდა პავლე თავის მოწაფეს, მოციქულ ტიმოთეს, ასე არიგებს: „ხოლო სიჭაბუკისა მათ გულის თქუმათა ევლტოდე; შეუდეგ სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყვარულსა, მშვიდობასა მათ თანა, რომელნი ჰხადიან უფალსა გულითა წმიდითა“ (2 ტიმ. 2,22).

ნამდვილი სასულიერო პირი თავისი თავით კმაყოფილი არასდროს არის; მუდამ ებრძვის ცოდვას, რომ უკეთესი გახდეს და იქცეს მაგალითად სამწყსოსათვის.

მას განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებაში უხდება მსახურება. ამიტომაც იგი უნდა იყოს არა მარტო კარგი ღვთისმეტყველი, არამედ სულიერი, განათლებული, კულტურული პიროვნება, მშვიდობისმყოფელი, მოსიყვარულე, მოწყალე მამა.

ხალხი სამღვდელოებას გამადიდებელი შუშით უყურებს და მას მცირე შეცდომასაც არ აპატიებს. მოძღვრის შეუფერებელი საქციელი ან სიტყვა-პასუხი მაშინვე განკითხვის საგნად იქცევა როგორც მორწმუნეთათვის, ისე, მითუმეტეს, ურწმუნოთათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ მღვდელიც ადამიანია თავისი ადამიანური სისუსტეებითა და უძლურებით. უნდა გვახსოვდეს, რომ მას ბორტი ძალა გაცილებით ძლიერ ებრძვის, რათა დაამციროს, დაამდაბლოს

იგი და ამით მრევლის რწმენა შეარყიოს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ზოგიერთის მიზეზით სხვებს შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ. განა იუდა ისკარიოტელის გამო შეიძლება [illegible]ულველყოთ ღვაწლი და შრომა სხვა მოციქულებისა, რომელთაც თავისი წმიდა ცხოვრებითა და მოწამებრივი აღსასრულით დიდების გვირგვინი მოიპოვეს?

ასე რომ, ეკლესია ერთადერთი სულიერი სავანეა, რომელში ყოფნაც აუცილებელია ქრისტიანისთვის, ყველასთვის, ვისაც სულის ხსნა სურს.

ეკლესიაში ყველაფერი მნიშვნელოვანია და ემსახურება იმ მიზანს, რომ ჩვენში ქრისტე აღიბეჭდოს, რომ ჩვენ ღმერთშემოსილნი გავხდეთ. და რაოდენ საწყალობელია მდგომარეობა მათი, ვინც ამ მადლს მოკლებულია.

ერთადერთი გზა ღმერთთან სიახლოვეშია.

ეშმაკი ეპატრონება იმათ რომელნიც არ ლოცულობენ და არ მარხულობენ. სახარებაში პირდაპირ წერია: „ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მათე I7,2I).

ძალიან დიდი ძალა აქვს ფსალმუნის კითხვას. ყველა მორწმუნემ ზეპირად უნდა იცოდეს 50-ე ფსალმუნი. ამ ლოცვით ცოდვებისაგან იწმინდება კაცი, რადგანაც ეს სინანულის საგალობელია.

ბოროტ ძალებთან საბრძოლველად ღვთისაგან დიდ შემწეობას იღებს ის, ვინც რწმენითა და სასოებით წარმოთქვამს 90-ე ფსალმუნს.

ნუ გამოტოვებთ დილის და საღამოს ლოცვებს, ზიარების წინ და შემდეგ ლოცვებს, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, საქმის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ ლოცვებს. შეძლებისდაგვარად იკითხეთ ფსალმუნი.

ყოველი შაბათი მიცვალებულთა დღეა. ნუ დაივიწყებთ გარდაცვლილ მშობლებს, წინაპრებსა და ახლობლებს. ამ დღეს გაკეთებული საკურთხი ეკლესიაში წაიღეთ და პანაშვიდზე მოძღვარს მოახსენებინეთ

მათი სულები.

გახსოვდეთ, ადამიანი კი არ კვდება, გარდაიცვლება მხოლოდ. მისი სული უკვდავია, იგი თხოულობს ჩვენგან დახმარებას. ამავე დროს, ისიც შეგვეწევა ღვთის წინაშე თავისი ლოცვით.

თუ ყოველივე ამას გააკეთებთ, ღვთის კურთხევა არ მოგაკლდებათ.

როცა ეკლესიაზე და კაცობრიობისათვის ეკლესიის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი სამშვიდობო მოღვაწეობა.

ყველას კარგად გვესმის, რომ ჩვენთვის აუცილებელია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მშვიდობა. ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე სულიერობა, საერთოდ არსებობა.

ჩვენ მეტად საპასუხისმგებლო დროს ვცხოვრობთ. საშინელი განსაცდელის წინაშეა თითეული სახელმწიფო, მთელი მსოფლიო. თუ მოვლენები კვლავ ასე განვითარდა, ექნება კი საერთოდ აზრი რაიმეს ან მომავალი?

გულგატეხილობამ და ურწმუნოებამ მოიცვა ჩვენი გული, თუმცა მათ ბოლომდე მაინც ვერ დაგვიმორჩილეს, რადგან ყოველ ჩვენგანში წარუხოცელი ბეჭედია ღვთის მსგავსებისა, რადგან, ტერტულიანეს თქმისა არ იყოს, სული ყოველი კაცისა ბუნებით ქრისტიანია. ოღონდ საჭიროა უფრო ღრმა აზროვნება, ახლებურად აღქმა და გააზრება ყოველივე იმისა, რაც ადება. სახელმწიფოთა შორის კულტურულმა, პოლიტიკურმა თუ სოციალურმა სხვაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმის შეგნებას, რომ ჩვენ ყველა ვცხოვრობთ ერთ სახლში, რომლის სახელიც დედამიწაა და მთავარი საუნჯე ამ დედამიწაზე ადამიანია.

დღეს, როცა კაცობრიობა იტანჯება შიმშილისაგან, სიღარიბის, ავადმყოფობისა და სოციალური უსამართლობისაგან, სულ უფრო მეტი ხარჯები მიდის შეიარაღებაზე. მდგომარეობა რომ გამოსწორდეს აუცი-

ლებელია თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ-მორალური ცხოვრების დონის შეცვლა უფრო მაღალი კრიტერიუმებით, ხოლო ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალი ფორმების გამოძებნა.

ამ საკითხების გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიას, მის ლოცვასა და იმ საქმიანობას, რასაც იგი სამშვიდობო მიზნით ანხორციელებს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მორწმუნენი, ისევე როგორც რელიგიის გარეშე მყოფი სხვა ხალხი მოწონებით შეხვდა ჩვენს ქვეყანაში სულიერი და მატერიალური განახლების პროცესის დაწყებას.

სულიერი და მატერიალური პრობლემები ჩვენი მუდმივი თანამდევია. ისინი განუყრელნია, როგორც სახარებისეული დები მართა და მარიამი. მაგრამ ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლულთ კრავის სიტყვები არ უნდა დაგვავიწყდეს: „აპა ესერა მოვალ ადრე და სასყიდელი ჩემი ჩემ თანა მიგებად თითეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს" (გამოცხადება 22,12); არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოახლოებულია ქორწილი კრავისა. სხვა და სხვა საშუალებებით გვაფრთხილებს უფალი.

მძიმე ,ანსაცდელით დაიწყო ჩვენთვის ეს წელიწადი. დასავლეთ საქართველოში, სვანეთსა და სხვა მთიან რაიონებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დიდი მწუხარება და ცრემლი მოგვიტანა. ფეხზე დადგა მთლად საქართველო... გაჭირვებამ ყველა გაგვაერთიანა.

„მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის", - წარმოსთქვა წმიდა იოანე ოქროპირმა. ჩვენც, მის მსგავსად. მადლიერნი ვარ უფლისა ყოველივესთვის: ჩვენი ჯვრისათვის, განსაცდელისა და მწუხარებისთვის, ღვთის ჩვენდამი უნაპირო სიყვარულისა და ჩვენთვის თავგანწირვისთვის. გული უნდა გავუხსნათ ამ უსაზღვრო სიყვარულს, ღრმად დავიმარხოთ იგი და არასოდეს განვშორდეთ მას. მაშინ ჩვენი ცხოვრების გზა იქნება ერთადერთი და გადამრჩენელი, მაშინ სულში მუდამ პასე-

ქის ზეიმი იქნება.

„იქმენ მორმწუნე ვიდრე სიკუდილადმდე, და მოგცე შენ გვირგვინი იგი ცხოვრებისაჲ“ (გამოცხადება 2,10), - გვმოძღვრავს უფალი.

კურთხეული ივერიის ღვთისსათნო შვილნო! ღვთაებრივი სიყვარულით გამთბარი ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომის უბრწყინვალეს დღესასწაულს. „მოვედით, და ვიდოდით ნათელსა უფლისასა“ (ესაია 2,5), „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“.

მხოლოდ მისი მადლით მოსილნი მოვიპოვებთ ჭეშმარიტ ბედნიერებას, მხოლოდ მასშია ნამდვილი სიყვარული და სიხარული.

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა!

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ ს დ გ ა!

ი ლ ი ა II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

პასექი ქრისტესი
თბილისი
1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციქულთა კათოლიკე ეპისტოლეები

წმიდა მოციქულთა ეპისტოლეები ცალკეულ პირთა ან საზოგადოებებისადმია მიმართული. ისინი წმიდა წერილის არსია და ღვთივგანცხადებულ ქრისტიანულ მართლმორწმუნეობასა და ღვთისმსახურების წესებს მოიცავენ.

მოციქულთა ეპისტოლეები იმ გარემოებებმა წარმოშვეს, რომელშიაც მაშინდელი ეკლესია იმყოფებოდა. ქრისტიანობის საქადაგებლად და ეკლესიების დასაფუძნებლად მოციქულები გამუდმებით მოგზაურობდნენ როგორც სულიწმიდის შთაგონებით, ისე დევნის გამო (საქმ. XIII, 4; VIII, 4). ამიტომ მათ ხშირად უხდებოდათ ადგილსამყოფლის გამოცვლა; ხოლო მათ წამოწყებულ საქმეებს მათივ მოწაფეები განაგრძობდნენ.

მოციქულთა განშორების ჟამს, ხან მათივ თანდასწრებითაც, ახლადშექმნილ ქრისტიანულ საზოგადოებებში ხშირად თავს იჩენდა ცრუსწავლება, და ავტორიტეტულ პირებს ამოფარებული ცრუმოძღვარნი ეკლესიის გამოუცდელ წევრებს აცდუნებდნენ, ქრისტიანულ ნიადაგზე სთესდნენ იუდეურ, წარმართულ და სხვა მცდარ მოსაზრებებს. ცრუმოძღვარნი ბოროტ საქმეებში წარსამატებლად მოციქულთა სიწმიდისა და ქადაგებების დამცირებას ეწეოდნენ, ხოლო მოციქულები ხან ზეპირი ქადაგებებით, ხანაც ეპისტოლეებით ცდილობდნენ დაბნეული სამწყსოს გამოხსნას, მათ დამშვიდებასა და გამხნევებას.

ამგვარი იყო წინაპირობები და გარეგანი მიზეზები სამოციქულო მწერლობის წარმოშობისა. მაგრამ ძირითადი და უმნიშვნელოვანესი

მიზეზთაგანი, რაღა თქმა უნდა, სულიწმიდის ზრახვა იყო: ეკლესიისათვის ქადაგება-მოძღვრების მუდმივი და შეუცვლელი სახის დადგინება და მისი ღვთაებრივი წარმომავლობის წერილობითი სახით შემონახვა.

მოციქულთა ეპისტოლეების რაოდენობა. ეპისტოლეებს ყველა მოციქული არ წერდა. მხოლოდ ხუთმა მათგანმა დაგვიტოვა წერილობითი სახელმძღვანელო: იაკობმა, პეტრემ, იოანემ, იუდამ და პავლემ. ერთი ეპისტოლე ეკუთვნის იაკობს, ორი პეტრეს, სამი იოანეს, ერთი იუდას და თოთხმეტი პავლე მოციქულს. ამგვარად, სულ 21 ეპისტოლე არსებობს. პირველი ოთხი მოციქულის მიერ შედგენილი შვიდი ეპისტოლე ცალკე განყოფილებას ქმნის და კათოლიკე ეპისტოლენის სახელითაა ცნობილი. დანარჩენ თოთხმეტ ეპისტოლეს კი პავლე მოციქულის ეპისტოლენი ჰქვია. ძველად როგორც კათოლიკე, ისე პავლეს ეპისტოლეები ერთ წიგნად ერთიანდებოდა და სამოციქულოდ იწოდებოდა.

კათოლიკე ეპისტოლენი

სახელწოდების განმარტება. ახალი აღთქმის ყველა ხელნაწერსა თუ გამოცემაში იაკობის, პეტრეს, იოანესა და იუდას შვიდი ეპისტოლე კათოლიკე ეპისტოლეებად იწოდებიან. ძნელი ასახსნელია ამ სახელწოდების წარმოშობა. თავდაპირველად მოციქულ პეტრესა და იოანეს პირველი ეპისტოლენი იწოდებოდნენ კათოლიკედ. შემდეგ ეს სახელწოდება გავრცელდა მოციქულ იაკობის, იუდასა და პეტრეს მეორე ეპისტოლეებზედაც (მას მერე, რაც ამ ეპისტოლეთა ორიგინალობა დადასტურდა). ვარაუდობდნენ, რომ კათოლიკე ეპისტოლეთა ჯგუფში გაერთიანდა ერთნაირი შინაარსიისა და ერთი და იმავე პირთადმი დაწერილი

ეპისტოლეები. ამ ჯგუფში დამკვიდრდა აგრეთვე იოანეს ორი მცირე ეპისტოლეც, რომლებიც ოდითგანვე მისი პირველი ეპისტოლის დამატებად მიიჩნეოდა. მე-4 საუკუნის დასაწყისისათვის ევსებევი შვიდ კათოლიკე ეპისტოლეს ითვლის და აქედან მოყოლებული წმ. ეკლესია ამ რიცხვს უკვე მუდმივად ინარჩუნებს, თუმცა არც ერთი წყარო და არც ერთი ავტორი არ იძლევა განმარტებას, თუ რა გაგებით ეწოდა ზემოხსენებულ ეპისტოლეთა კრებულს კათოლიკე ეპისტოლენი. მხოლოდ ის ახსნა, რომ ამ სახელწოდების ქვეშ საზოგადო ანუ საერთო-საეკლესიო ეპისტოლენი ერთიანდებიან, მიუღებელია, რადგან ამავე პრინციპით პავლე მოციქულის ეპისტოლენიც კათოლიკედ უნდა იწოდებოდენ. არსებობს მოსაზრება, რომ კათოლიკე ეპისტოლეებად იწოდებოდნენ და იწოდებიან საყოველთაოდ აღიარებული, ყალბ უსტართაგან გამორჩეული მოციქულთა კანონიკური ეპისტოლენი (რომის ეკლესიამ კათოლიკე ეპისტოლეებს დღემდე შემოუნახა კანონიკურის სახელი); მაგრამ მას შემდეგ, რაც წმ. ეკლესიამ მკაცრად განსაზღვრა ახალი აღთქმის კანონიკური შედგენილობა და უარყო მოციქულთა სახელით შეთხზული ყალბი წერილები, მოციქულთა ცალკეული ეპისტოლე აღარ შეიძლება კანონიკურის სახელს ატარებდეს. საინტერესოა აგრეთვე ნეტარი თეოდორიტეს აზრი, „რომ მოციქულთა ეპისტოლენი კათოლიკედ იწოდება, რადგან ისინი არა ხალხისათვის ან ქალაქისათვისაა დაწერილი (მსგავსად პავლე მოციქულის ეპისტოლეებისა), არამედ მათში მიმართვაა საერთოდ ყველა მორწმუნეთადმი, ყველა ქრისტიანეთადმი". ამ მნიშვნელობით, კათოლიკეს სახელწოდება იმავე გაგებით მიეკუთვნება ეპისტოლეებს, რა გაგებითაც ამ სახელწოდებას ეკლესია ატარებს. ამავე აზრს ავითარებენ კლიმენტი აღექსანდრიელი, ორიგენე და ევსებევი.

კათოლიკედ შეიძლება იწოდოს აგრეთვე ებრაელთადმი მიწერილი მოციქულ პავლეს ეპისტოლე, რომელიც იმავე პირებს ეგზავნება, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც პეტრე მოციქული წერდა; მაგრამ ეს ეპისტოლე პავლეს სხვა ეპისტოლეებთან ერთიანდება და მას კათოლიკედ აღარ მოიხსენიებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კათოლიკე ეპისტოლეთა ადგილი და თანამიმდევრობა ახალი აღთქმის სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაა. ბერძნულ ბიბლიებში (მაგ. აღექსანდრიის სინოდ. გამოც.), მსგავსად ლათინურისა, კათოლიკე ეპისტოლენი მეტწილად პავლენის შემდგომ მოდის, ხოლო ჩვენში პავლენზე წინ. არც ეპისტოლეთა რიგს ჰქონია ერთიანი წესი. წმ. მოციქულთა წესდებით (წეს. 85), და ნეტარი ავგუსტინეს მოწმობითაც, ლათინურ ბიბლიებში პირველი ადგილი მოციქულ პეტრეს ეპისტოლეთ განეკუთვნებოდა. ევსევის მოწმობით, ლაოდიკიის კრების მესამოცე კანონი, და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის მამები, პირველ ადგილს იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეებს აკუთვნებდა.

წმ. იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე

ავტორის ვინაობა. წინამდებარე ეპისტოლის ავტორი თავს იხსენიებს ღვთის მონა იაკობად (I. I). ეკლესიის სწავლით, იგი იყო უფლის ძმა, ერთი 70 მოციქულთაგანი, რომელიც უნდა განვასხვაოთ იაკობ ღვთისმეტყველის ძმის, იაკობ ზებედესისაგან და თორმეტ მოციქულთაგანის იაკობ ალფესისაგან. უძველესი საეკლესიო გადმოცემით, რომელიც ორიგენემ, ევსევიმ, ეპიფანემ, ოქროპირმა, ამბროსიმ და აპოკრიფებმაც შემოგვინახეს, იაკობი იყო იოსებ დაწინდულის შვილი პირველი ცოლისაგან; და რადგანაც იაკობის მამა იესო ქრისტეს მამად იწოდებოდა, ამიტომ იაკობიც უფლის ხორციელ ძმად მიიჩნევა (გალატ. I,19), მარად ქალწული მარიამი კი იაკობის დედად იხსენიება (მათე XIII, 55; მარკ. VI,3).

წმიდა წერილში გვხვდება სახელწოდება მცირე ანუ უმცროსი (მარკ. XV, 40),რომელიც შესაძლოა უფლის ძმას იაკობს, ან სხვა

იაკობს ეწოდებოდა, ან ეგებ სულაც იაკობის მოციქულებრივ მოღვაწეობას გამოხატავდა.

ერთხელ, კვირაძალზე მაცხოვარი გამოეცხადა იაკობ მოციქულს (I კორინთ. XV, 7). გადმოცემა გვიდასტურებს, რომ ღვთის ნებით მოციქულებმა იაკობი იერუსალიმის ეპისკოპოსად დაადგინეს. წმ. იაკობი თავმჯდომარეობდა აგრეთვე მოციქულთა კრებას იერუსალიმში (საქმ. XV, I3) და დიდი პატივით სარგებლობდა როგორც მოციქულთა, ასევე მორწმუნეთა შორის, რისთვისაც მოციქულ პეტრესთან და იოანესთან ერთად ეკლესიის ბურჯად იწოდა (საქმ. XV, XII, I7 გალატ II,9). სამოციქულო მოღვაწეობის მთელი დრო წმ. იაკობმა იერუსალიმში გაატარა და მკაცრი უმწიკვლო ცხოვრებით თვით ებრაელებშიაც წმიდანის სახელი მოიხვეჭა (ევსევი კესარიელი). 62-63 წლებში პროკონსულ პორცია ფრესტის გარდაცვალების შემდგომ და მის შემცვლელ ალბინას ჩამოსვლამდე, მღვდელმთავარმა ანანამ (სახარებაში ხსენებულ ანნას შვილმა) იაკობს უბრძანა, რომ ეკლესიის სახელით იესო ნაზარეველი მატყუარად გამოეცხადებინა ხალხში, რათა არავის ერწმუნა მისი. წმიდა იაკობმა, ნაცვლად ამისა, იესო ქრისტე ძედ ღვთისად გამოაცხადა. წმიდა იაკობის ქადაგებით მრავალი მოიქცა ქრისტიანობაზე, რასაც საეკლესიო ისტორიკოსებიც ადასტურებენ (ევსევი, იერონიმე, ეპიფანე). ფლაბიანეს ცნობით (ძვ. იუდ. 20, 9,I), გაცხარებულმა ანანამ წმ. იაკობის მთის წვერიდან გადაგდება და ჩაქოლვა ბრძანა. მოგვიანებით იმ მთაზე ტაძარი ააგეს. გადმოცემით, დამსხვრეული წმიდა იაკობი თავის მკვლელებზე ილოცებოდა, როცა მთის ძირში მყოფმა ერთმა მემაუდემ ქსოვილის სამღებრო ხელსაწყოთი განგმირა იგი. ეს მოხდა 62 (66) წელს. ორიგენეს ცნობით, წმიდა იაკობის სიკვდილს იუდეველებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და რომაელთა თავდასხმა იაკობის მკვლელობისათვის მოვლენილ ღვთის რისხვად მიუჩნევიათ.

ეპისტოლის ზოგადი განხილვა. წმიდა იაკობის ეპისტოლე განსაცდელთა დათმენას, მორჩილებასა და მრისხანებაში თავდაჭერას გვასწავლის. ჭეშმარიტი კეთილსინდისიერება მოწყალებაა და მორჩილება (I, I9-27). ამიტომ მორწმუნეთა კრებულში მდიდართა პატივდება და ღატაკთ სიძულვილი მოყვასის სიყვარულის მცნების პირდაპირი დარღვევაა, ყველა სხვა მცნების შეგინება და საბოლოოდ ღვთის გმობაა (I, I-I3). მოციქული გვასწავლის, რომ მცნების აღსრულება არა ოდენ რწმენაა, არამედ საქმის ყოფაა. მისაბაძ მაგალითად წმ. იაკობი აბრაამსა და რაababს ასახელებს (2, I4-26). შემდეგ სიტყვის დაოკებასა და შურის განშორებას ჰქადაგებს იგი (III, I-I3). შური ადამიანზე ღვთის მაღლის გარდამოსვლას აბრკოლებს. ასევე ანჩხლობა ანუ ჭირვეულობა ადამიანს ეჭვიანს ხდის (IX, I-I2). ჭირვეულნი კი მეტწილად მდიდრები არიან, სიმდიდრე კი ხრწნადია და წარმავალი (IX, I3-I7). და ვინც უკანონოდ იხვეჭს, მასზე ღვთის რისხვა მოიწევა (V, I-6). დასასრულ, მოციქული კვლავ უბრუნდება თავისი ეპისტოლის იმ მთავარ აზრს, რომ მოთმინებაში ძველი აღთქმის მამებს უნდა ვბაძავდეთ და რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას იძლევა ჭირვების დათმენასა და მოყვასისადმი სიყვარულს რომ გვასწავლის (V, I2-20).

ეპისტოლის ადრესატები, მისი შექმნის მიზანი და მიზეზები. ეპისტოლე გაფანტულ ებრაელთა I2 ტომის მიმართ დაიწერა. ავტორი ღვთის მონად იხსენიებს თავს და მკითხველს იესო ქრისტეს სარწმუნოებასა და უფლის მეორედ მოსვლამდე დათმენას შეაგონებს (V, 7), სამსჯავროზე და სარწმუნოებით ცხოვრებაზე საუბრობს (I, I, 5; VII, II, I2). ეპისტოლე ქრისტიანული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. იგი იუდეველ ქრისტიანეთადმია მიმართული, რომელთაც მოციქული აბრაამისათვის აღთქმული ქვეყნის ჭეშმარიტ შთამომავლებად მიიჩ-

ნევს. ებრაელი ქრისტიანების ქრისტიანობა მიაჩნდათ იმავე იუდაიზ-
მად, რომელშიც მესია განხორციელდა; ასევე იუდაიზმი იყო ქრისტიან-
ობა აღთქმული მესიით. გაქრისტიანებით იუდეველებმა აღთქმული ღვთის
სასუფეველი განიმტკიცეს. სამწუხაროდ, ქრისტიანულ ეკლესიაში შემო-
სულ ბევრ ებრაელს თავისი იუდეური, მცდარი შეხედულება შეჰქონდა.
მაგალითად: იუდეველები მომავალ მესიაზე დიდ იმედს ამყარებდნენ
და მიაჩნდათ, რომ მათთვის აბრაამისაგან წარმომავლობა საკმარისი
იყო და რომ მოწყალება და მცნების აღსრულება მათ არ მოეთხოვებოდათ;
ისინი თვლიდენ, რომ ღვთის სასუფეველზე მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლე-
ბა და რომ ეს უფლება მათ მემკვიდრეობით მოსდგამდათ. აქედან წარ-
მოდგებოდა იუდეველთა ამპარტავნობა და თავდაჯერებულობა, რაც მათ
ქრისტიანობის მიღების მერეც არ მოიკვეთეს და რამაც ისინი სიმდიდ-
რის მონად აქცია. აქედანვე წარმოდგება მათი რწმენა, რომ ისინი
სხვა ხალხებში გამორჩეულნი არიან შინაგანი კეთილშობილებით და ამ-
იტომ უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ. ებრაელებს მიაჩნდათ, რომ
მესიის მოსვლამდე ყოველგვარ გაჭირვებას იტანდნენ, რადგან ისინი
წინაპართა ცოდვებს ზღავდნენ და რომ ქრისტეს მოსვლით ყველაფერი
შეიცვლებოდა - ისინი სხვა ხალხებზე უპირატესობას მოიხვეჭდნენ და
მსოფლიოს დაეპატრონებოდნენ. გასაგებია, თუ რა მოუთმენლობაში, იჭ-
ვსა და გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ ისინი როგორც განსაცდელის
ჟამს, ისე მაშინ, როცა ჩანაფიქრი არ უსრულდებოდათ. გასაგებია
ისიც, თუ როგორ უპირატესობას მიანიჭებდნენ ისინი ებრაელ ქრისტი-
ანებს, და როგორ დაამცირებდნენ სხვებს, როგორი შური, შფოთი, თავ-
დაუჭერლობა, უმოწყალობა თუ სხვათა დამოძღვრის ენება აღიძვროდა
მათში. წმიდა იაკობმა, შეიტყო რა იუდეველ ქრისტიანთა ამგვარი
მდგომარეობა, როგორც ქრისტიანმა სამხილებლად მიაბარა მათ და შეა-
გონებდა როგორადაც მწყემსი სამწყსოს. მოციქული განსაკუთრებული

ყურადღებით მოეკიდა ქრისტიანთა შორის შუღლისა და განხეთქილების აღმოფხვრას. ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების ყოველ სწავლებას მოციქული მაცხოვრის მეორედ მოსვლის მოახლოვებით განამტკიცებდა (V, 7-9). ეპისტოლეში ნაჩვენებია განსხვავება სარწმუნოების ახლებურ გაგებასა და ძველებურ, კანონის აღსრულებას შორის: აბრაამი გამართლდა რწმენით და არა კანონის აღსრულებით. მაგრამ მისი რწმენა ცოცხალი იყო და ამიტომ ქმედითი; მისი რწმენა გამოვლინდა უშუალოდ მის საქმეებში (VIII, 2, 21-26).

ეპისტოლის დაწერის თარიღი და ადგილი. ისტორიული წყაროებით, მოციქულს არასოდეს დაუტოვებია იერუსალიმი (საქმ. XV, 13; გალატ. I,15). ცხადია, აქვე დაიწერა აღნიშნული ეპისტოლეც. დაწერის თარიღის დადგენა გაციღებით ჭირს. მცირეაზიულ იუდეაში (ვის მიმართაც ეპისტოლე დაიწერა) სახარების გავრცელების დროით და ებრაელთადმი პავლე მოციქულის მიწერილობით (რომელიც 62 წელზე უადრეს არ უნდა დაწერილიყო) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაკობ მოციქულის ეპისტოლეც ამავე პერიოდში, ე. ი. პავლე მოციქულის სიცოცხლეშივე დაიწერა. ბევრი იაკობ მოციქულის უკანასკნელ ეპისტოლედ აღიარებს მას. ადრე ქრისტიანთა თავშესაყარიც სინაგოგად იწოდებოდა; „ეკლესია" მას მოგვიანებით ეწოდა (კორინთ. XI, 22; XIV, 23 და სხვა); ადამიანის ხსნაზე ზრუნვა იაკობ მოციქულთან ჯერ კიდევ ბუნდოვნადაა გადმოცემული. პავლე მოციქულის ეპისტოლეში უფრო ვრცლადაა ეს საკითხი გაშუქებული, რამდენადაც მისი ეპისტოლენი მოციქულთა კრების მერე დაიწერა; წმ. იაკობი კი არც შეგნებით და არც მათი გამომხატველი საშუალებებით ძველ აღთქმას არ სცილდება. ჩანს, რომ ეპისტოლის მკითხველი ჯერ კიდევ არ არის მზად წმიდა ქრისტიანულ ჭეშმარიტებასთან შესახვედრად. მოციქულის ეპისტოლე მათეს სახარებაში

გადმოცემულ უფლის საუბრებს გვაგონებს, რაც მისი წარმოშობის ადრეულ, კერძოდ მოციქულთა შეკრებამდელ პერიოდზე მიგვანიშნებს. მცირე აზიაში სახარების გავრცელების თარიღად 44 წელია მიჩნეული (საქმ. XI, 26; XIII, I-I4); ხოლო მოციქულთა კრება, როგორც ვარაუდობენ, 52 წელს შედგა; გამოდის, იაკობ მოციქულის ეპისტოლეთა დაწერის დროდ 44-52 წლები უნდა მივიჩნიოთ.

შინაარსის თანმიმდევრული განხილვა

შეგონება განსაცდელის შეწყნარებასა და საჭიროებაზე(I,I-I8).

ეპისტოლის შესავალში წმ. იაკობი მოკითხვას უთვლის ქრისტიან იუდეველებს და უსურვებს მათ განსაცდელის სიხარულით შეწყნარებას, რადგან განსაცდელის დათმენა სრულყოფს ადამიანს (I, I-4). ჭირთუთმენლობა სიბრძნის ნაკლებობის მაუწყებელია და მისი უნარი უნდა ვითხოვოთ ღვთისაგან (5-8). გაჭირვება უნდა გვიხაროდეს, დამცირებით უნდა ვამაყობდეთ; ყოველივეს უნდა დავითმენდეთ, რადგან ისინი აღთქმულ ცხოვრების გვირგვინთან მიგვიყვანენ (I, 9-I2). მოციქული აქვე განგვიმარტავს, რომ ღვთის მოვლენილი განსაცდელი უნდა განვასხვაოთ საკუთარ ხორციელ ვნებათაგან: ხორცისაგან წარმომავალი ვნება ცოდვაში გვაგდებს; ხოლო ღვთისაგან, ვითარცა ნათლის მამისაგან გარდამომავალი განსაცდელით მადლი მოიპოვება. და ერთი ამ მადლთაგანია ღვთის ჭეშმარიტი სიტყვით ჩვენი განახლება (V, I3).

მოციქული ღვთის მონად იხსენიებს თავს და ამით გვასწავლის, რომ მისთვის და ყველა სხვა მოციქულისათვის ყველაზე დიდი პატივი მამისა და ძისა და სულიწმიდის სამსახურია.

სიხარულის სურვილი ოდითგან ახასიათებს ადამიანს (საქმ. XXIII, 26; XV, 23; XV, 23,I). სიხარული იყო მოციქულთა შორის და განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურნებულ სიხარულს განიცდის მრავალ განსაცდელგამოვლილი ქრისტიანი. წმ. იაკობი გვასწავლის: „ყოველივე სიხარულად შეჰრაცხეთ ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შესცხვეთ პირად-პირადსა" (იაკობი I, 3). მხოლოდ განსაცდელით, მწუხარებით, დევნით გარდამოდის მორწმუნეზე მადლი და სულიერი სიხარული. [არსებობს აგრეთვე ეშმაკისაგან წარმომდგარი ვანსაცდელი, რომელსაც შვება მოსდევს (I კორინთ. X, 13)]. რწმენა მტკიცდება და ადამიანი იძენს მოთმინებას, რომელსაც კაცი სრულყოფისაკენ მიჰყავს (Iპეტრე I, 6, 7). მაგრამ მოთმინება სიჩლუნგესა და მოვლენებისადმი სტოიკურ გულგრილობას კი არ გულისხმობს, არამედ ღვთის ნების აბსოლუტურ მინდობასა და რწმენას, რომ ჩვენი გასაჭირი ღვთითაა დაშვებული და რომ ღმერთი, ვითარცა მამა ჩვენი, არ დაუშვებს ჩვენზე ჩვენთვის აუტანელ ტანჯვას [განსაცდელს კი შვება მოსდევს, რათა გამოვიცადნოთ (I კორინთ. 13)]. ამგვარი მოთმინება ადამიანს სრულყოფს და იყავით სრულნიო - მოგვიწოდებს მოციქული. ვინც ყოველს დაითმენს, იგი ყოველ გასაჭირზე ამაღლდება და სრულყოფილი არანაირ წინააღმდეგობას აღარაფრად შეერაცხავს. თუ ვისმე განბრძნობა სურს, ითხოვოს ღვთისაგან და მიეცემა; მწუხარებაში ილოცოს და უეჭვო, მტკიცე რწმენით წარმოთქმული მისი თხოვნა შეიწყნარება. მოციქული განსაცდელებს განასხვავებს და ამბობს, რომ ზოგიერთნი საკუთარ ვნებათაგან იძღვევიან და ცოდვაში ჩავარდნილნი ღმერთს ადანაშაულებენ. როგორადაც უფალი არ განიცდება ბოროტისაგან და როგორადაც მას არ ხელეწიფება ცოდვა, ისევე არავის არ განცდის ღმერთი და არ მოუვლენს მას ბოროტს. ხოლო ღვთით დაშვებული განსაცდელის მიზანია ადამიანის კეთილში განმტკიცება. ზოგიერთთა აზრით, ბოროტი ადამიანი ღვთით არ განიცდება, არამედ ეშმაკსა და საკუთარ ვნებებს მისცა ისინი უფალმა განსაცდელად. პავლე მოციქულიც ასევე ფიქრობს (რომაელთა მიმართ I, 28).

მოძღვრება ჭეშმარიტ ღვთისმოსაობაზე (II, I3-II, I0). გული შეწყნარებული ჭეშმარიტების სიტყვა საქმით უნდა აღსრულდეს, რადგან მხოლოდ სიტყვით ნაყოფი არ გამოიღება. ნეტარია არა მსმენელი კანონისა, არამედ აღმასრულებელი. ჭეშმარიტ ღვთისმოსაობა დაჩაგრულის შეწყნარება და სარწმუნოების უბიწოდ დაცვაა (I, I9-27). სამწუხაროდ, ქრისტიანები ადამიანის გარეგნულ უპირატესობებს დებენ პატივს და ამდენად მდიდრებს, ამა ქვეყნის ძლიერთ, პატივით აღამაღლებენ და გამოარჩევენ ღარიბთა და ჩაგრულთაგან; ხოლო ღმერთმა ღატაკნი უპირველეს შეიწყნარა სასუფეველში. უანგარონი უნდა ვიყვნეთ მოყვასის სიყვარულში; საქმით უნდა ვუყოფდეთ კეთილს, რამეთუ მოწყალება სამსჯავროზე შეიწყნარება (II, 8-I3).

სარწმუნოება კეთილი საქმის გარეშე ნაყოფს ვერ გამოიღებს, ისევე როგორც თუ ტკბილი სიტყვა საქმით არ აღსრულდა, იგი ლიტონია, ხოლო საქმით აღსრულებული სარწმუნოება ყველასათვის ცხადლივ სიკეთეა. „რამეთუ ვიტყვით განმართლებასა კაცისასა თვინიერ საქმეთა სჯულისათა" (რომაელთა 3, 28; გალატ. I, I6). მოციქულები გვასწავლიან, რომ სჯულის აღსრულება თვინიერ სარწმუნოებისა ფუჭია და რომ სარწმუნოება გონებით აღიარებული უბრალოდ ჭეშმარიტება კი არაა, არამედ სარწმუნოება „სიყვარულისაგან შეწევნილია" (გალატ. 5, 6). იაკობ მოციქული ცდილობს შეგვაგონოს, რომ მარტოოდენ რწმენით კაცი არ ცხოვნდება; რომ წეს-ჩვეულების შეუსრულებლობით ზნეობა არ ირღვევა და რომ უპირველესი კანონი ქრისტიანობისა სწორედ ზნეობის კანონია.

პავლე მოციქულს მიაჩნია, რომ კანონით არ განმართლდება კაცი და მაგალითად აბრაამი მოჰყავს; თავის მხრივ იაკობ მოციქულიც აბრაამის მაგალითზე მიგვითითებს, როგორც კანონის საქმით აღმასრულებელზე. ერთი შეხედვით აქ ორ მოციქულს შორის წინააღმდეგობას ვა-

წყდებით, მაგრამ თუ ყურადღებას მიგაპყრობთ, მიგხვდებით, რომ პავ-
ღე მოციქული აქ სჯულს კი არ უარყოფს, არამედ სჯულის მონებს, რო-
მელთაც კანონი ხსნის ერთადერთ გზად მიუჩნევიათ და რომელთაც ქრი-
სტიანობაც ასე ესმით. განსაკუთრებით კი რიტუალებსა და წინადაცვე-
თის კანონს ვერ ეღეოდნენ ებრაელები; როგორც პავლე მოციქული ამ-
ბობს: „ხოლო ისრაელი სდევდა შჯულსა მას სიმართლისასა და შჯულსა
მას სიმართლისასა ვერ მისწუდა. რაისათვის-მე? რამეთუ არა სარწ-
მუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთაგან შჯულისათა. რამეთუ შეჰ-
ბრკოლდეს ღოდსა მას შებრკოლებისასა“ (რომაელთა 9 31,32). მოცი-
ქულ პავლესა და იაკობის მოძღვრება ურთიერთს ავსებს. იაკობი უარ-
ყოფს უსიყვარულო, კეთილ საქმეებს მოკლებულ მშრალ სარწმუნოებას;
ხოლო პავლე მოციქული - ოდენ სჯულის მონებას, წეს-ჩვეულებათა აღ-
სრულებას თვინიერ სარწმუნოებისა.

იმის მაგალითად, თუ რაოდენ არასრულყოფილია და საშიში სარწმუ-
ნოება თვინიერ კეთილ საქმეთა, მოციქულს არაწმიდა სულები მოჰყავს,
რომელნიც იგივ ღმერთს აღიარებენ, მაგრამ არაოდეს თმობენ მათთვის
განჩინებულ ხვედრს. მათი რწმენა არავითარ გავლენას არ ახდენს
მათ ზნეობაზე, თუმცა სწამთ კი, რომ ადრე თუ გვიან ღვთის რისხვა
მოიწევა მათზე და ძრწიან (მათე VIII, 29).

<u>შეგონება უწმინდურისაგან თავის დაცვაზე</u> (III 5, 6). ა. ენის
აღაგმისათვის. საქმის ნაცვლად ხშირად მრავალმეტყველებთ და ყვე-
ლაზე მეტად სწორედ უსაქმურები მიელტვიან სხვების დამოძღვრას.
მოციქული ურჩევს მორწმუნეებს თავი შეიკავონ სხვების სწავლებისა-
გან, ამ დიდი პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც ადამიანის ცოდვი-
სადმი საყოველთაო მიდრეკილებათაგან სხვათა დამოძღვრა ყველაზე
მეტად გვაგდებს ენით ცოდვაში. ხოლო ენით ჩადენილი ცოდვები ყველა

ცოდვაზე აღმატებულია, მისგან თავისუფალი ადამიანი კი სრული კაცია; ენის ამღაგმველი მთელ სხეულს აღაგმავს, როგორადაც აღვირით ცხენი აიღაგმება, ანდა პატარა საჭით დიდი გემი იმართება. ენა დაუკავებელი ძალით მოქმედებს მთელ სხეულზე (III, I-8), მისგან კეთილიც წარმოსდგება და ბოროტიც. როგორადაც ყოველ ქმნილებას თავისი დანიშნულება აქვს და მას უნდა მსახურებდეს, ასევე სასიკეთოდ შექმნილი ენაც კეთილს უნდა მორჩილებდეს (III, 9-I2).

ბ. ვინც თვლის, რომ მას სხვების დამოძღვრა ხელეწიფება, მან სათნო საქციელით უნდა დაამტკიცოს ბრძენობა, ხოლო ვინც მოშურნეა და ანჩხლი, მას არც ჭეშმარიტი სიბრძნე აქვს და არც სხვისი სწავლების უნარი. ამგვარი ადამიანის სიბრძნე არა ზეგარდამოვა, არამედ მიწიერი და ეშმაკეულია, რომელსაც უწესრიგობა და ყოველგვარი ბოროტი მოსდევს. ჭეშმარიტი სიბრძნე სიყვარულითა და სიმშვიდით გამოირჩევა. მხოლოდ მშვიდობისმყოფელ მოძღვართ შეუძლიათ სიკეთის თესვა (III, I3-I8). ამგვარი სიბრძნე მათ ვერ ექნებათ, ვისშიაც შური და მიწიერი საგნებისადმი ლტოლვა მძლავრობს, რადგანაც ჭეშმარიტ სიბრძნეს ღმერთი იძლევა და მხოლოდ მათთვის, ვისაც ღმერთი უყვარს; ხოლო სიყვარული სოფლისა - მტერობაა უფლისა. განა შესაძლოა, ღმერთმა რომელმაც სული მოგვცა, ჩვენგან სიყვარული არ ითხოვოს?! ხოლო სანაცვლოდ ჩვენზედაც თავის წყალობა არ მოილოს?! (IV, I-6). ამიტომ სინანული და თავმდაბლობაა საჭირო, რათა არ განვიკითხოთ ერთმანეთი, რადგან სჯულის დამრღვევის განკითხვა არა თუ კაცს, არამედ სჯულისმდებელს, ღმერთს ხელეწიფება (IV, 7-I2).

გ. თავდაჭერილობაზე. როცა ადამიანი სხვების განკითხვას ესწრაფვის, ეს უკვე მისი პატივმოყვარეობის, საკუთარ ძალასა და გონებაში თავდაჯერებულობის მაუწყებელია. მაგრამ თავდაუჭერლობა უფრო მეტად მაშინ ვლინდება, როცა ადამიანი ივიწყებს, რომ ყოველივე

ღვთის ხელთაა და ქედმაღლურად აცხადებს თავის გადაწყვეტილებას. ამგვარი დიდგულობა ცოდვაა, მაშინ როცა ადამიანმა უწყის, რომ ღმერთზეა იგი დამოკიდებული (IV, I3-I7). ღვთის ნებას რომ დაამორჩილოს ადამიანი, მოციქული სიმდიდრის წარმავლობას ქადაგებს და მიუთითებს, რომ სწორედ სიმდიდრეზეა დამყარებული ადამიანის თავდაჯერებულობა; სიმდიდრე განქარდება და თან მის მფლობელსაც წარიტაცებს, რადგან უსამართლოდ მოიხვეჭა მან და დათრგუნა მართალი (V,I-6).

<u>რწმენაში სიმტკიცისა და ძლიერებისათვის</u> (V, 7-20). ეპისტოლის დასასრულს მოციქული კვლავ მოთმინებას შეაგონებს ქრისტიანებს და ხან მთესველთა მაგალითით, ხანაც უფლის მეორედ მოსვლის სიახლოვით აფხიზლებს. ამხნევებს მათ წინასწარმეტყველთა და განსაკუთრებით იობის ცხოვრების მაგალითებით. სარწმუნოებაში განსაკუთრებულად მოციქული გვასწავლის აგრეთვე, რომ თავი შევიკავოთ ფიცისაგან (V, I2, მათე; V, 34, I6,3), ვიღოცოთ მწუხარების ჟამს (V, I3), აღვასრულოთ ზეთის კურთხევის საიდუმლო მძიმე ავადმყოფობის დროს (V, I4, I5); აქვე მოციქული წმიდანის ლოცვის მნიშვნელობას განმარტავს და მის მოქმედებას სულის გამოხსნის საქმეში (V, I6-20).

ჩამოთვლილ საშუალებათაგან მოციქული ლოცვასა და ზეთის კურთხევას გამოყოფს, რომ სწორედ ზეთის კურთხევას გულისხმობს აქ იაკობი, მრავალი ნიშნით დასტურდება: „ავადმყოფმა თავად უნდა მოიხმოს ეკლესიის პრესვიტერები და მათ უნდა ულოცონ ავადმყოფს და ცხონ ზეთი"; ცხადია, აქ ზეთის ცხებაში არ იგულისხმება აღმოსავლური ჩვევა ავადმყოფთა ან დაჭრილთა ზეთის ცხებისა (ლუკა X, 34), რადგან მათებური ზეთის ცხება არც პრესვიტერს და არც განსაკუთრებულ ლოცვას არ საჭიროებს; ზეთი ღვთის სახელით უნდა იცხოს იმ განსაკუთრებული ძალისა და უფლების მეოხებით, რაც მოციქულებსა და მათი საქმის

გამგრძელებლებს საიდუმლოდ მიენიჭათ (საქმ. III, 6; I კორინთ. 5, 4).

ზეთის ცხებით ავადმყოფი არა მხოლოდ ხორციელ სნეულებათაგან განიკურნება, არამედ ცოდვებიც მიეტევება. ცოდვა კი მთავარი მიზეზია ადამიანის ხორციელი სნეულებისა.

მოციქული ცოდვათა აღიარებას არა მხოლოდ ღვთის წინაშე, არამედ ურთიერთადმიც გვირჩევს. აქ იგულისხმება აღსარება პრესვიტერთან, რომელსაც მიცემული აქვს უფლება ცოდვათა მიტევებისა. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ აქ მღვდელთან აღიარებული აღსარების საიდუმლო კი არ იგულისხმება, არამედ თითქოს ერთმანეთს ურდა აღუაროთ ჩვენი ცოდვები.

პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლე

ავტორის ვინაობა. პეტრე მოციქული, ძმა ანდრია პირველწოდებულისა, შვილი იონესი, წარმოშობით ბეთსაითიდან, იორდანის გაღმა, გალილეის პატარა ქალაქიდან იყო (მათე XVI, 17; იოანე I, 44), ეწეოდა მეთევზეობას (მათე IV, 18), ჰყავდა მეუღლე და კაპერნაუმში სახლი ჰქონდა (მარკ. I, 20-30); უფლის მოწოდებამდე სვიმონი ერქვა. მოწოდების მერე მტკიცე რწმენისაოვის კეფა ანუ პეტრე, ბერძნულად კლდე შეარქვა უფალმა (იოანე I, 42; მათე XVI, 18). მთელი ცხოვრება ამ სახელს ერთგულად ატარებდა და ამართლებდა. ხოლო უფალი ყოველთვის გამოარჩევდა მას სხვა მოციქულთაგან და ღირსყოფდა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა და ყველა მის დიდ სასწაულთა ხილვას (ლუკ. VIII, 5,1; მათე 17, 1,26, 3,7).

პეტრე მოციქული ქრისტიანული ეკლესიის უპირველესი დამაარსებელია. მან პირველმა იქადაგა ქრისტიანობა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს სინოდის წინაშე (საქმ. II, 14); პირველმა დაარსა ეკლესია

იერუსალიმს გარეთ (VIII, 14), პირველმა იფიქრა წარმართთა შორის ქრისტიანული ეკლესიის აგება, რაც კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში გამოთქვა (თ. X), და ბოლოს, ქრისტესათვისაც პირველი ეწამა (XII, 3). სამოციქულო მოღვაწეობას ეწეოდა ანტიოქიაში (გალატ. II, II), მცირე აზიაში (ევს. ისტ. II, III, I,4), სადაც შემდეგ ეპისტოლეებს აგზავნიდა (პეტრე I, I,2; პეტრე III, I). პეტრე მოციქულმა იქადაგა აგრეთვე ბაბილონში, საბერძნეთში და სიცოცხლის უკანასკნელი წლები რომში დაჰყო, სადაც ნერონის მეფობისას 66-67 წლებში წამებით აღესრულა ჯვარზე თავდაღმა დამოკიდებული, რადგან მაცხოვარივით სიკვდილის ღირსად არ სცნო თავი. პეტრე მოციქულის ხსენების დღეა 29 ივნისი (ძვ. სტ.).

ეპისტოლის შინაარსის ძირითადი მონახაზი და მისი თავისებურებანი. პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლის შინაარსი არ გამოირჩევა იმ შინაგანი მთლიანობითა და თანამიმდევრობით, რითაც იაკობ მოციქულის ეპისტოლე ხასიათდება. ეპისტოლე ფორმით რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარ თხზულებას წარმოადგენს. ავტორი ზნეობრივ მოვალეობათა აღსრულების რამოდენიმე რჩევას იძლევა, ამხიდებს ეკლესიის მტრებს და მოგვიწოდებს სიწმიდით ცხოვრებისაკენ. მოციქული ამ ეპისტოლეში კვლავაც ქრისტეს ერთგულ მოწაფედ წარმოგვიჩნდება და აღვსებულია სიყვარულის, სიმშვიდისა და მორჩილების სულით. უწყის რა ადამიანური სისუსტე, წმიდა პეტრე განსაკუთრებული თანაგრძნობით უხმობს ქრისტიანებს მღვიძარებისა (V, 8), მოთმინებისა (IV, 19), მტკიცე სარწმუნოებისა (V, 9) და ურთიერთსიყვარულისაკენ (VI, 8). ეპიტოლეში აღწერილია მაცხოვრის წამება და შემდეგ აღდგომა. რადგან მოციქულ იაკობისა და პეტრეს ეპისტოლეთა ადრესატები ერთი და იგივენი იყვნენ და იმავე დროს პეტრე მოციქული წმ. იაკობის ეპის-

ტოლის შინაარსსაც იცნობდა. ამიტომ მათი ნაწერები დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს მოსაზრებებითა და ფორმითაც. შესამჩნევი მსგავსებაა აგრეთვე პეტრე და პავლე მოციქულთა ეპისტოლეებს შორის.

ეპისტოლის შექმნის მიზეზი და მიზანი. პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლე მიმართულია გალატელ, კაპადოკიელ, ასიელ და ბითინიელ ქრისტიანეთადმი, ე. ი. მათდამი, რომელთაც პავლე მოციქულიც მოძღვრავდა მის განუშორებელ სილოვანესთან ერთად (საქმ. XVI, I, 2). სავარაუდოა, რომ პეტრე მოციქულმა პირველი ეპისტოლე სწორედ მაშინ დაწერა, როცა წმ. პავლეს დაპატიმრების ამბავი შეიტყო ბაბილონში სილოვანესაგან (საქმ. XXIII, 33). შემდეგი ეპისტოლე დაიწერა რომში, მცირე აზიაში ქრისტიანთა დევნაზე (საქმ. XXVIII, 30).

არასახარბიელო იყო საზოგადოებრივი აზრი ქრისტიანობაზე. მას ცრუ მოძღვრებად მიიჩნევდნენ და მის მიმდევრებს შეურაცხყოფდნენ. საკუთარი ოჯახის წევრებიც კი მტრად ეკიდებოდნენ ქრისტიანებს. კერპების უარყოფას წარმართები უღვთოობად რაცხდნენ, საზოგადოების უწესრიგობისაგან განშორებას-- ადამიანის სიძულვილად, ფარულ ღვთისმსახურებას - შეთქმულებად და დანაშაულად. ამგვარი იყო ქრისტიანული გარემო. გარეგნულ წინააღმდეგობებს შემდგომ შინაგანიც მიემატა; როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლედან ჩანს, გამოჩნდნენ ცრუმოძღვრები, რომელთაც მოციქულთა სახელით სურდათ ჭეშმარიტ მოციქულთა, კერძოდ პავლე მოციქულის ავტორიტეტის დამდაბლება, რომელიც დაუცხრომლად იღვწოდა მოსეს კანონის უღლისაგან წარმართთა გამოსახსნელად. პავლე მოციქულის ეპისტოლენი თუმცაღა მიზანდასახულად მოქმედებდნენ ცრუმოძღვართა წინააღმდეგ, მათი მავნებლობა სრულებით მაინც ვერ აღიკვეთა.

ამგვარ გარემოში პეტრე მოციქული ცდილობს დაამშვიდოს, განამ-

ტკიცოს, განსწავლოს წარმართებთან ბრძოლაში და დაარწმუნოს ქრისტიანები, რომ პავლე მოციქული ჭეშმარიტი და მადლმოსილი წინამძღვარია (I, 25; V, I2). რომ ნამდვილად პავლე მოციქულის თანადგომას იზრახავდა წმ. პეტრე, ეს მტკიცდება წმ. პეტრეს I და წმ. პავლეს კორინთელთადმი მიწერილ ეპისტოლეებს შორის ცალკეული აზრებისა და ფორმის მსგავსებით. წმ. პეტრე ცდილობს ცრუმოძღვართა ცილისწამებისაგან დაიცვას პავლე მოციქულის ქადაგებები და ამდენად ზოგიერთ ადგილს მისი ეპისტოლეებიდან სიტყვა-სიტყვით იმეორებს თავის პირველ ეპისტოლეში.

ეპისტოლის დაწერის ადგილი. პეტრე მოციქული ეპისტოლის დასასრულს აღნიშნავს, რომ იგი დაიწერა ბაბილონში (V, I3). მიუხედავად ამგვარი სიზუსტისა, აღნიშნული საკითხი მაინც გადაუჭრელია. ზოგიერთი მწერალი ცდილობდა დამტკიცებას, რომ ბაბილონში პეტრე მოციქული რომს გულისხმობდა. არგუმენტად მოჰქონდათ ჯერ ერთი ის, რომ წმ. პეტრე რომში ცხოვრობდა, ხოლო მეორეც ის, რომ აპოკალიფსში ნახსენებ ბაბილონში სწორედ რომი იგულისხმებოდა. მაგრამ საბოლოოდ მაინც არ დასტურდება, რომ აპოკალიფსში და პეტრე მოციქულის ეპისტოლეში ნახსენები ბაბილონი რომის სიმბოლოა; ზოგიერთნი ეპისტოლეში ნახსენებ ბაბილონში ევფრატზე მდებარე ძველ ბაბილონს გულისხმობენ; მეორენი ტიგროსთან ახლად დაარსებულ ბაბილონს, ხოლო სხვანი ნილოსთან მდებარე ნაკლებ ცნობილ ბაბილონს. გადაჭრით ერთი შეიძლება ითქვას, რომ ეპისტოლეში ნახსენებ ბაბილონში ძველი ბაბილონი უნდა ვიგულისხმოთ, სადაც მიმოფანტული იუდეველებისათვის სახარება უნდა ექადაგა პეტრე მოციქულს. აქვე უნდა მოენახულებინა წმ. პეტრე პავლე მოციქულის თანამგზავრებს სილოვანესა და მარკოზს. რაც შეეხება პეტრე მოციქულის 25 წლის ეპისკოპოსობას რომში (რომელსაც იერონიმე რომის

ეკლესიის წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს), ეს სარწმუნოდ არ მიიჩნევა, რამდენადაც საქმე მოციქულთას წიგნში არაფერია ნათქვამი წმ. პეტრეს რომში ყოფნაზე (საქმ. XXVIII, I6, 3I); არც პავლე მოციქული იხსენიებს წმ. პეტრეს რომაელთადმი მიწერილ წერილში. ოდონდ ყველა ძველი წყარო ერთხმად აღიარებს რომში პეტრე მოციქულის მოწამებრივ აღსასრულს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლო წლებში უნდა ჩასულიყო. ევსევის გადმოცემით, 43 წელს წმ. პეტრე რომში ჩასულა და იქ ეპისკოპოსად იყო 49 წლამდე, ე. ი. სანამ კლავდიუსს რომში იუდეველთა დევნა არ დაუწყია (საქმ. XVIII, 2). შემდეგ პეტრე მოციქულს იძულებით დაუტოვებია რომი და კვლავ აღმოსავლეთს დაბრუნებია, სადაც 52 წელს იგი მოციქულთა კრებას დაესწრო. 54 წელს იმყოფებოდა ანტიოქიაში (გალ. II, II), ხოლო 63 წელს ბაბილონში.

ეპისტოლის დათარიღება. პირველი ეპისტოლის წერის პერიოდში წმ. პეტრესთან იმყოფებოდა პავლე მოციქულის თანამგზავრი სილოვანე, რომელიც მოძღვარს მის რომში გამგზავრებამდე, ე. ი. უგვიანეს 60 წლისა ვერ დაცილდებოდა; პეტრე მოციქული, როგორც ჩანს, იცნობს რომაელთა და ეფესელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეებსაც (უკანასკნელი ეპისტოლე 63 წელს დაიწერა). წმიდა პეტრეს პირველ და მეორე ეპისტოლეებს მცირე დრო უნდა აცილებდეთ, რამდენადაც მეორე ეპისტოლე იმავე შეგონებებს ეხება და იმეორებს, რასაც პირველი. ხოლო მეორე ეპისტოლე ავტორს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უნდა დაეწერა. აქედან გამომდინარე, პირველი ეპისტოლე 63-64 წლებში უნდა დაწერილიყო. ამავე პერიოდში, 62 წელს მარკოზმა პავლე მოციქულის რომში დატოვება და მცირე აზიაში გამგზავრება გადაწყვიტა (კოლას. IV, 6), საიდანაც ის შემდეგ პეტრე მოციქულთანაც ჩავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისტოლის თანმიმდევრული შინაარსი

ქრისტიანთა მოკითხვა და სამადლობელი ღვთისა, რომელმაც მოგვიწოდა წმიდა ცხოვრებისაკენ (I, I-I2). პეტრე მოციქული მოკითხვას უთვლის მცირე აზიის ქრისტიანებს, რომელნიც ღმერთმა გამოირჩია (I, I,2) და შეაგონებს მათ, რათა მორწმუნენი მადლობდნენ უფალს იესო ქრისტეს მიერ ბოძებული სამარადისო ზეციური მემკვიდრეობისათვის; და რათა გამოიცადონ განსაცდელებით, რისთვისაც ისინი გვირგვინს მიიღებენ (I, 3-9). ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი ქრისტიანთადმი განჩინებულ მადლს ეძებდნენ და მათთვის ქრისტეს სულით განცხადებული მხოლოდ ჩვენ მოვიღეთ და არა მათ. ხოლო ჩვენი ხსნის საიდუმლოსათვის „გული უთქვამს ანგელოზთა ხილვად"(I, I0-I2).

შეგონება ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისათვის (I, I3-II, I0).წინა თავი წმიდად ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა მორწმუნეებს. ამჯერად იგი წმიდა ცხოვრების გზას შეაგონებს ქრისტიანებს. პირველად გონების, ე. ი. ჩვენი სულიერი ძალების ყურადღებით მოკრებას, მოღვაწეობისათვის მზადყოფნას და მღვიძარებას, ანუ ცოდვათაგან სულის განწმენდას გვასწავლის მოციქული (I, I3). ამისთვის საჭიროა, რათა ვმორჩილებდეთ ღვთის ნებას (I, I4), რის მაგალითსაც თავად იძლევა მაცხოვარი, ვინაც მოგვიწოდა ჩვენ წმიდა ცხოვრებისაკენ (I5-I7). ხოლო სიწმიდისაკენ ლტოლვის აზრი იმაშია, რომ ქრისტიანები გამოსყიდულნი არიან უხრწნელი კრავის ქრისტეს სისხლით, რათა გვრწმენეს და ცსასოებდეთ ღმერთს (I8-2I). პირველი ნაყოფი სიწმიდისაკენ ამგვარი სწრაფვისა დაუცხრომელი კაცთმოყვარეობაა, რადგან ღვთის სიტყვით მეორედ შობილნი ღვთაებრივ თვისებას იძენენ (23-25). შემდეგი თვისება სიწმიდეს მიღტოლვილისა სიმშვიდე და ურისხველობაა,

(II, I-3); ქრისტიანები ქრისტეს ეკლესიის ცხოველ ლოდებად უნდა გამოჩნდნენ და სათნო უნდა ეყვნენ ღმერთს; ისინი სათნო ცხოვრებით უნდა ამართლებდნენ თავიანთ რჩეულობას და სრულყოფას უნდა ესწრაფოდენ (II, 9-10).

ქრისტიანის ქცევის ნორმები წარმართთა შორის (II, I3; IV,9). ხელისუფლების მორჩილებისა და უსამართლობის უდრტვინველად დათმენისათვის. ქრისტიანული ცხოვრების რაობის განმარტების შემდგომ მოციქული სთხოვს მორწმუნეებს, რათა ყოველივეს განეშორონ, რაც მათ ამ ცხოვრებისაკენ დააბრკოლებს, უპირველესად კი ხორციელ ვნებათაგან განკრძალვას შთააგონებს მათ. ქრისტიანი უზადოდ უნდა ცხოვრობდეს და წარმართთა საკიცხველი კი არ უნდა შეიქნეს, არამედ მისით ღმერთს განადიდებდნენ (II, II-I2). მოციქული ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ხელისუფლების ნებაყოფლობით და უსიტყვო მორჩილებაზე. უმჯობესია უდანაშაულოდ დავითმინოთ, ვინემ ჩვენი საქმეებისათვის დავისაჯოთ. ქრისტეც უდანაშაულოდ ეწამა, რათა ჩვენთვის მოთმინების მაგალითი ეჩვენებინა და ტანჯვა-გვემულს ჩვენ ცოდვებისაგან გავეწმიდეთ (II, 20-25). შემდეგ ოჯახის სიწმიდეზე საუბრობს წმ. პეტრე, რომ ქრისტიან მეუღლეებს შორის წმიდა ურთიერთობის მაგალითით უსჯულოებიც მოექცეოდნენ. ქრისტიანი დედაკაცი უსიტყვოდ უნდა მორჩილებდეს ქმარს და სჯულის აღსრულებაში უნდა მისდევდეს მას. ხოლო ცოლის ღირსება არა თმის ვარცხნილობითა და მოსართავებით განიზომება, არამედ სულიერი თვისებებით: სიმშვიდით, მდუმარებით, ქმრის მორჩილებით, რისი მშვენიერი მაგალითიც აბრაამის მეუღლე სარაა (III, I-6). ქმარიც კეთილგონივრულად და მდაბლად უნდა ეპყრობოდეს ცოლს მისი ბუნების სისუსტისა და ზეციურ მემკვიდრეობაში დიდი წილდებულებისათვის (III, 7). შემდეგ მოციქული მკითხველებს სათნოებათა

არსს განუმარტავს, მოუწოდებს მათ განეშორონ ბოროტს და აღასრულონ ძმათმოყვარება, მოწყალება, სიმშვიდე, მტრის სიყვარული, ენის აღაგმვა (III, 8-13). განსაკუთრებით განსაცდელსა და დევნილებაში დგომას შეაგონებს ქრისტიანებს წმ. პეტრე (14-17) და მოუწოდებს, რომ იყვნენ ისინი უანგარონი და უპოვარნი. ამგვარ სათნოებათა საფუძველი ჩვენ ცოდვილთათვის უცოდველი ქრისტეს წამებაა, მისი ჩვენდამი სიყვარული, ცოდვილთათვის ჯოჯოხეთში მისი ჩასვლა და იქ სინანულის ქადაგება (18-20). ნოე ოჯახიანად კიდობნით იქნა წარღვნისაგან გამოხსნილი, ხოლო ჩვენ ნათლისღებით გამოვიხსენით (21-22).

ეპისტოლე ღაპარაკობს აგრეთვე ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთის მოხილვაზე, რომელსაც მხოლოდ პეტრე მოციქული ეხება. ოღონდ აქ ბრავალი გაურკვეველი საკითხია: რით და როგორ ჩავიდა იესო ქრისტე ჯოჯოხეთში; ჯოჯოხეთი იყო ეს თუ სხვა ადგილი, და ვის უქადაგა იქ?

მოციქულის მიხედვით, ქრისტე ხორცით გარდაიცვალა, სულით კი ცოცხალი დარჩა და როდესაც მისი სხეული ჩასასვენებელში განისვენებდა, სული ჯოჯოხეთს მოიხილავდა; შემდეგ კი ღვთის ძალით კვლავ ხორცს შეუერთდა და იესო ქრისტე აღსდგა. ამის შემდეგ მისმა ხორცმა შეიძინა ახალი და მაღალი თვისება, იგი გახდა სულიერი. ამიტომაც წერია: პირველი ადამი სამშვინველში იყო, ხოლო მეორე სული ცხოველი.

მოციქული იმ ადგილს, რომელიც იესო ქრისტემ მოვლო, სულთა საპყრობილედ იხსენიებს. ეს გამოთქმა ამავე ეპისტოლეს სხვა ადგილზეც გვხვდება და მათი შედარებიდან ჩანს, რომ მასში მიცვალებულთა საუფეველი იგულისხმება, სადაც არა მარტო ბოროტთა, არამედ მართალთა სულებიც იყვნენ ქრისტეს იქ ჩასვლამდე. ზოგიერთები (მაგ. კათოლიკე მწერლები) მაცხოვრის იგავიდან გამომდინარე (ლუკა XVI, 23, 26), ჯოჯოხეთს ორ ნაწილად ყოფენ: წინაპართა წიაღი და გენია, ანუ

წამების ადგილი. მათ შორის დიდი უფსკრულია, რომლის გადალახვაც, ზოგიერთთა აზრით, თვით უფალმაც არ ცნო საჭიროდ, არამედ მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭემდე, ანუ წინაპართა წიაღში ჩავიდა, სადაც უბრალო ადამიანთა სულებიც იყვნენ. საეკლესიო საგალობლებით იესო ქრისტე ჯოჯოხეთის საძირკვლამდე ჩავიდა და სრულად შემუსრა ეშმაკის სამფლობელო.

ის პირნი, ვის შესახებაც მოციქული ლაპარაკობს, სულად იწოდებიან. ვამოდის, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან (IV, 6). მკვდრად სახელდება მკაფიოდ გამოყოფს მათ ბოროტ სულთაგან, ხოლო ნოეს ურჩებად მათი მოხსენიება პირდაპირ მიუთითებს, რომ ისინი წარღვნის დროს დაღუპული სულები არიან. წმ. იუსტინეს მოწაფე კლიმენტი აღექსანდრიელი და ეპიფანე ფიქრობენ, რომ იესო ქრისტემ ჯოჯოხეთში შესვლით წარმართთა და განსაკუთრებით ფილოსოფოსთა შორის თავისი მოსვლა იქადაგა, რომელნიც თუმცაღა ღმერთს აღიარებდნენ, მაგრამ „არა ღმრთეებ ადიდებდნენ" (რომაელთა I, 21); ხოლო ჯოჯოხეთში მათთან ჩასული მესია მათ ირწმუნეს და ცხოვნდნენ. ნეტარი ავგუსტინე და იოანე დამასკელი თვლიდენ, რომ მაცხოვარი ჯოჯოხეთში ყველა იმ სულის გამოსახსნელად ჩავიდა, ვინც მის ქადაგებებს მიიღებდა. ორიგენე, იზიარებდა რა ამ მოსაზრებას, თვლიდა, რომ იოანე წინასწარმეტყველი უფრო ადრე ჩავიდა ჯოჯოხეთში, ფერისცვალების შემდეგ კი მოსე და ილიაც იმყოფებოდნენ იქო. და ბოლოს, იყო ისეთი მოსაზრებაც, რომ იესო ქრისტემ არა მარტო მისი აღმსარებელნი, არამედ ყოველი სული აღმოიყვანა ჯოჯოხეთიდან. ტექსტიდან გამომდინარე კი ჩანს, რომ მაცხოვარმა გამოხსნა უქადაგა პირველი ქვეყნის იმ ადამიანებს, რომლებიც თუმცაღა წარღვნისაგან გარდაიცვალნენ, მაგრამ წარღვნამდე 40 დღიანი წვიმების ჟამს მათ გულწრფელად შეინანეს ღვთის ურჩება. მაგრამ ეს მოსაზრება არ გამორიცხავს წმ. მამათა-

გან და საეკლესიო საგალობლებში აღიარებულ აზრს, რომ უფალი იესო ქრისტე ჩავიდა ჯოჯოხეთში და შემუსრა ეშმაკის სამყოფელი საძირკვლითურთ და აღმოიყვანა იქიდან ადამის დროიდან მოყოლებული ყველა მართალი სული. ეკლესიის ეს ნათლად განმარტებული სწავლება უეჭვოა; იმისთვის, რომ პეტრე მოციქულის ქადაგება განვმარტოთ და გავიგოთ, თუ რატომ მხოლოდ ნოეს ურჩ სულებს იხსენიებს იგი, ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ წმ. პეტრე კაცობრიობას ორად გაყოფდა: პირველს - წარღვნით აღსრულებულს და წარწყმედილს, ხოლო მეორეს - თანამედროვეს და განწირულს (2 პეტრე II, 5; III, 6,7). წმ. პეტრე ადამიანთა წარღვნის შემდგომ მოდგმას ერთ ქვეყნად აერთიანებს; შემდეგ ქადაგებს ცხოვრებაზე, რომელზედაც იესო ქრისტეს მრავალ თანამედროვეთაგან, მოციქულთაგან და თვით მაცხოვრისაგანაც სმენია. ხოლო ადამიანთა ცხოვრებაზე ჯერ კიდევ იესო ქრისტეს მოგზრძანებამდე მის მიერი სულით ეუწყა კაცობრიობას წინასწარმეტყველთა პირით. მოციქულის განმარტებით, ჯოჯოხეთშიაც ცხოვნების საქადაგებლად ჩავიდა მაცხოვარი; ცხოვნების შესახებ აზრი საყოველთაო იყო, ხოლო რაგვარად იმოქმედა მაცხოვრის ქადაგებამ ჯოჯოხეთში დატყვევებულ სულებზე, ამაზე მოციქული დუმს; მკვდართა ხარებაზე კი პირდაპირ ეკლესიის სწავლებას იმეორებს (IV, 6): ჯოჯოხეთში დატყვევებული მართალთა სულები მხსნელს რწმენით ელოდნენ და ამ სულებმა მათთან ჩასული მაცხოვრის ქადაგება რწმენით შეიწყნარეს.

<u>მოძღვრება ღვთის სადიდებელ ცხოვრებაზე.</u> მოციქული მკითხველს მოაგონებს ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვრის ცნებებს და ქრისტიანებს უწინდელი ცხოვრების დატევებას, წარმართთა მაცთურებისა და ზრახვის განშორებას შეაგონებს (VI, I-4), რათა ღვთისმოსავი არ შედრკეს დევნილობის ჟამს, რადგან სულ მაღე ყოველი აღსრულდება და

წარმართთა განკითხვის, ხოლო მორწმუნეთა შვების ჟამი დადგება; ქრისტიანები ეხნედ უნდა მოელოდნენ ამ ჟამს - ურთიერთსიყვარულით და ღვთის სადიდებელ საქმეთა აღსრულებით (I5-II).

<u>განსაცდელის მნიშვნელობა ქრისტიანისათვის</u>. ღვთის სადიდებელი ნაწილის შემდგომ მოციქული ასწავლის ქრისტიანებს, რომ ყოველგვარი სატანჯველი ქრისტეს წამებაში თანაზიარების რწმენით დაითმინონ და მით მიემთხვიონ ღვთაებრივ დიდებას; წარმართთა ცილისწამება და აცენაობა კი მათ განადიდებს (IV, I2-I4). ქრისტიანი სასჯელს არ უნდა გაურბოდეს და არ უნდა თაკილობდეს ქრისტიანობისათვის შეურაცხებას; იგი უნდა მადლობდეს ცოდვებისათვის მასზე სამართლიანად მოწეული მსჯავრისათვის. სახარების უარმყოფლებს კი მკაცრი სასჯელი ელით (I5-I9).

<u>ეკლესიაში ქრისტიანის ქცევის ნორმები</u> (V, I-II). მ ო ძ ღ ვ ა რ თ ა თ ვ ი ს. განიხილავს რა საზოგადოებაში ქრისტიანის ქცევის ნორმებს, მოციქული პირველად ეკლესიის მოძღვრებს მიმართავს. (იგი ხომ თავად იყო მწყემსი და კარგად უწყოდა თავისი სამწყსოს ტკივილი). ერთგულად, უანგაროდ და არა თვითნებურად საქმის აღსრულებას ასწავლის მოციქული მოძღვრებს, იმას, რომ საზღაურს ისინი ყოველ საქმეში მხოლოდ უზენაესი მწყემსმთავრისაგან უნდა ელოდნენ (I-4).

ზ ო გ ა დ ა დ. როგორადაც მოძღვრებს მართებთ, რომ თავიანთი ცხოვრებით მაგალითი უჩვენონ სამწყსოს, ასევე სამწყსოს მოძღვრის მორჩილება მართებს. მორწმუნე უპირატესობას კი არ უნდა ეძიებდეს, არამედ განსაცდელის ჟამს ღვთის მორჩილებითა და ღვთის სასოებით უნდა განისწავლებოდეს (5-7); იგი მღვიძარებით და რწმენით უნდა

შეებრძოლოს ეშმაკის გამუდმებულ მზაკვრობას და განსაცდელის ჟამს მას ღმერთი განამტკიცებს, დათმენისათვის კი სამარადისო დიდებით შემოსავს (10-14).

დ ა ს კ ვ ნ ა. დასასრულ პეტრე მოციქული მკითხველს აუწყებს, რომ ეპისტოლეს მათდამი კეთილგანწყობილ სილოვანეს ატანს და მოუწოდებს სამწყსოს, რათა ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გზას ადგნენ (გკ. 12). შემდეგ მოიკითხავს მათ ბაბილონის ეკლესიისა და თავისი ძის მარკოზის სახელით და იესო ქრისტეს ამბორის ყოფით ურთიერთსიყვარულს უთვლის.

პეტრე მოციქულის მეორე ეპისტოლე

ეპისტოლის ორიგინალობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეპისტოლე პეტრე მოციქულს მოიხსენიებს და იმავე პირთადმია მიწერილი, ვისდამიც პირველი (2 პეტრე, III, I), მაინც მისი ორიგინალობის საკითხი დიდხანს იდგა ეჭვქვეშ და დღესაც სადავოა. ეს საკითხი რომ ყოველთვის სადავო იყო, ორიგენე, ევსევი და ამფილოქე გვიდასტურებენ. არც ძველ სირიულ თარგმანში და არც მურატორის კატალოგში მეორე ეპისტოლე კონკრეტულად არ მოიხსენიება; მე-4 საუკუნის დასავლეთელ მწერალთა წყაროებიც გარკვევით არაფერს მიგვითითებენ, ოლონდაც ყველა ზემოხსენებულ წყაროში ამ ეპისტოლის არსებობა დასტურდება და მის ავტორად მოციქული იხსენიება. დაბეჯითებით ის შეიძლება ითქვას, რომ უკვე მეორე საუკუნიდან აღნიშნული ეპისტოლე ალექსანდრიის ეპისკოპოსმა დედნად შერაცხა. პეტრე მოციქულის ავტორობა ეპისტოლეშივე მრავალგზის დასტურდება. მწერალი იესო ქრისტეს მონად, სვიმონ-პეტრედ იხსენიებს თავს. გვაუწყებს, რომ იგი მაცხოვრის ფერისცვალების ხილვის ღირსი შეიქნა (I, 17);

ერთგან სახარების მქადაგებელ მოციქულთა შორის და პავლე მოციქულის საყვარელ ძმად იხსენიებს თავს (III, I5); აღნიშნავს, რომ ეს მისი მეორე ეპისტოლეა (III, I) და მსგავსად პირველი ეპისტოლისა, აქაც სიყვარულითა და მზრუნველობით მიმართავს მკითხველს. ეპისტოლის სული და ხასიათი წმიდად მოციქულებრივია. ენობრივი სხვაობაც კი, რომელსაც ზოგიერთი მიუთითებს, უმნიშვნელოა და ეპისტოლის ორიგინალობაში დაეჭვების საფუძვლად არ გამოდგება.

ეპისტოლის წარმომშობი გარემო. ეპისტოლიდან ჩანს, რომ მოციქული იმავე პირებს მიმართავს, ვისდამიც პირველი ეპისტოლე დაიწერა და რომ მიზეზი ამ მეორე ეპისტოლის დაწერისა ცრუმოძღვართაგან ქრისტიანთა დაცვა იყო (2 ტიმოთე III, I).

ცრუმოძღვრები ცდილობდნენ გამოუცდელი ქრისტიანები ეცდუნებინათ და ქრისტიანობა აღვირახსნილობისა და თვითნებობის შემწყნარებელ რელიგიად დაესახათ (პეტრე I, 2, I0). ისინი აპოკრიფულ წიგნებზე დაყრდნობით ცდილობდნენ უარეყოთ მაცხოვრის მეორედ მოსვლის ძალა და მნიშვნელობა, უარყოფდნენ ქვეყნის აღსასრულსა და მოახლოებულ სამსჯავროს (III, 4) და ამგვარად ძირშივე ანადგურებდნენ ქრისტიანობის ზნეობრივ და დოგმატურ სწავლებას. პეტრე მოციქულმა გაითვალისწინა მოსალოდნელი საშიშროება და მწვალებელთა წინააღმდეგ ჭეშმარიტი მოძღვრების ეპისტოლე მიწერა მცირეაზიელ ქრისტიანებს. ცრუმოძღვრები განსაკუთრებით პავლე მოციქულის სწავლებასა და ღირსებას ერჩოდნენ და წმ. პეტრეც ცდილობდა მათი ჭეშმარიტი ღვთაებრივი მნიშვნელობის დამტკიცებას (I, I2, III, I7). ეპისტოლის შეთხზვის უპირველესი მიზეზთაგანი მოციქულის სიკვდილთან სიახლოვეც იყო (I, I2, I4). ამდენად, მეორე ეპისტოლე მოწაფეთა და ეკლესიების მიმართ დაწერილ სიკვდილისწინა ანდერძად ჩაითვლება, რომელიც მამობრივი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებითა და მოძღვრების წინასწარმეტყველური ქადაგებითაა გამსჭვალული.

ეპისტოლის დაწერის დრო და ადგილი. მოციქულმა ეპისტოლე სიცოცხლის აღსასრულის ჟამს დაწერა და ამდენად მისი დაწერის დროც აქედან ირკვევა. გადმოცემის მიხედვით, მოციქული 66-67 წლებში უნდა გარდაცვლილიყო. ამ პერიოდში მოციქულ პავლესა და პეტრეს ეპისტოლეებს თუმცაღა იცნობდნენ მცირე აზიის ეკლესიებში, ცრუმოძღვრება მაინც ვრცელდებოდა, რადგან თავად მოციქულები და მათი მოწაფეები უშუალოდ აღარ იმყოფებოდნენ იქ.

ეპისტოლე რომში დაიწერა, რამეთუ ცხოვრების ბოლო წლები პეტრე მოციქულმა იქ გაატარა.

ეპისტოლის ზოგადი მიმოხილვა. წმ. პეტრეს მეორე ეპისტოლის შინაარსი და აზრობრივი წყობა უფრო მთლიანი და შინაგანად ერთიანია, ვინემ პირველი ეპისტოლე. ცრუმოძღვართა სახიფათო გავლენისაგან გამოსახსნელად მოციქული ორივე ეპისტოლეში ქრისტიანობის ზნეობის ძირითად საკითხებს მიმოიხილავს; ახასიათებს თვით ცრუმოძღვრებს და უარყოფს მათ სოფიზმს (I, II, III თავი). ეპისტოლეები დამრიგებლობითი ხასიათისაა. პირველი თავი უფრო მორალურ შეგონებას მოიცავს, ხოლო მეორე - მხილებას.

ეპისტოლის თანმიმდევრული შინაარსი

მოძღვრება ქრისტიანული ცხოვრების წესზე (I, I-2I). მეორე ეპისტოლე იწყება ქრისტიანთა მოკითხვით. შემდეგ იგი მკითხველებს მოაგონებს, რომ მინიჭებული მადლი და ძალი ქრისტიანულ სათნოებათა

კიბეზე აღსვლას უნდა მოახმარონ, რადგან უამისოდ იესო ქრისტესა და მისი სასუფევლის შემეცნება შეუძლებელია (I, I-8, 9-I4). ეპ-ისტოლედან ჩანს, რომ მოციქული სიკვდილის მოახლოებასა გრძნობს და მოწაფეებს მტკიცე სარწმუნოებასა და მაცხოვრის მეორედ მოსვლის მო-ლოდინს უანდერძებს (I2-I4, I5-I8), რომელზედაც სულიწმიდით შთაგო-ნებული წინასწარმეტყველები წერდნენ (I9-2I).

მოციქული 8 საფეხურიანი სათნოებათა კიბის (სარწმუნოებიდან - სიყვარულამდე) ნიმუშს წარმოადგენს, რომლითაც უნდა სრულიყოს ქრის-ტიანი (კოლას. III, I4; I კორინთ. XIII, I3). ყოვლის საფუძვლად, ანუ საწყისად, რწმენა აქვს დადებული წმ. პეტრეს, შემდგომ მისი აღსრულება კეთილი საქმეებით (იაკობ. II, 27), კეთილ საქმეთა სა-ყოფელად ღვთის საიდუმლოთა ცოდნა და ქრისტიანულ მოვალეობათა აღ-სრულებაა საჭირო, ურომლისოდაც თავად სიკეთე ბრმის საქციელს მიემ-სგავსება. ცოდნასთან ერთად თავდაჭერა, გრძნობათა დაოკება და ყო-ველგვარი ზომიერება გვმართებსო, ამბობს მოციქული (რომ. II, 3). უმეტესად კი განსაცდელში მოთმინება და სიმტკიცე უნდა ვისწავლოთ, ე. ი. ყოველი გონებითა და ყოველი საქმით ღვთისაკენ ვითარცა ერთად-ერთი მიზნისაკენ გვმართებს მიდრეკა. აქედან წარმოსდგება შემდეგ მოყვასის სიყვარული, რომელიც გულისხმობს სიყვარულს ჯერ სისხლით, ცხოვრებით, სარწმუნოებით მახლობლისას, ხოლო შემდეგ სიყვარულს ზო-გადად მოყვასისას - განურჩევლად სარწმუნოებისა, წარმომავლობისა და თვით მტრისაც კი, რასაც მივყავართ აღმატებულ სიყვარულთან - ერთი ზეციური მამის სიყვარულთან.

პეტრე მოციქულის ქადაგება მაცხოვრის მეორედ მოსვლაზე განსხ-ვავდება ხალხში გავრცელებულ ცრუმოძღვართა, წარმართთა და წინადაც-ვეთილთა ქადაგებათაგან (შდრ. I ტიმოთე I,4; ტიტ. I,I0); ისინი ცდილობდნენ ქრისტეს ღვთაებრივი წარმომავლობა თავიანთი შეთხზული,

მაცხოვრისადმი მიწერილი სასწაულებით დაედასტურებინათ და ამტკიცებდნენ, თითქოს იესო ნაზარეველი ბავშვობაშიაც იქმოდა სასწაულებს, მოციქული კი იმას აღწერს, რაც საკუთარი თვალით ენახა და რისი მოწამეც თავად იყო. ხოლო ფერისცვალების სასწაულს წმ. პეტრე გამოყოფს თავისი რჩეულობისა და მაცხოვრის მეორედ მოსვლის დასამოწმებლად.

ცრუმოძღვართა სამხილებლად (II, I-22). სულიწმიდით შთაგონებულ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთა დახასიათების შემდგომ პეტრე მოციქული ამხელს ცრუწინასწარმეტყველებს, წარმართებს, მწვალებლებსა და ცრუმოძღვრებს. მათ სამხილებელ პირველ ნიშნად მოციქული მიიჩნევს იესო ქრისტეს მიერ ჩვენი გამოხსნის უარყოფას, მათ მისწრაფებას წინასწარმეტყველებისადმი და მათ პატივმოყვარეობას. მათი ხვედრი კი მარადიული სიკვდილია, ამბობს წმ. პეტრე და დასძენს, რომ ისინი მარადიულ სიკვდილს ისევე ვერ ასცდებიან, როგორც ვერ ასცდნენ ღვთის რისხვას დაცემული ანგელოზები და უწმინდური ქალაქები სოდომი და გომორი. მათგვარ ადამიანთა ძირითადი ვნებებია: გარყვნილება, თავხედობა, ავსიტყვაობა, წუთიერით ტკბობა, პატივმოყვარეობა; ისინი უწყლო ღრუბელს ჩამოჰგვანან და უქმსიტყვაობით თავგზას უბნევენ გამოუცდელ ადამიანებს, რომლებსაც თავისუფლების სახელით ცოდვის მონად ჰყოფენ, და ბოლოს, ამგვარი მონება უფრო სამარცხვინოა, ვიდრე ნათლისღებამდელი ცოდვის მონება. სწორედ ამგვარი ყოფა გვაგონებს ძაღლს, „რომელიც ნათხევსა თვისსა მიექცა და ღორს, რომელიც მწვირესა მიბრუნა“ (I7-22).

სწავლა იესო ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და მოციქულის დასკვნითი შეგონებანი (III, I-I8). მწვალებელთა ზნედაცემულობა თანდათან ძლიერდებოდა და სახიფათოდ ვრცელდებოდა. ისინი ურცხვად დასცინოდ-

ნენ ქადაგებას ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და ეჭვით უცქეროდნენ ქვეყნის აღსასრულზე მოძღვრებას. მოციქული მოაგონებს ქრისტიანებს, რომ მათი ქვეყნად გამოჩენა და მაცხოვრისა და მოციქულების მიერ მათგან ხალხის გამოხსნა ნაწინასწარმეტყველები იყო (III, I-3). ცრუმოძღვრები ივიწყებდნენ ქვეყნის ქმნის და წყლითა და ცეცხლით მისი აღსასრულის გარდუვალობას. არ ჯეროდათ, რომ ძველი ქვეყანა წყლით დაიღუპა, ხოლო ახალი ცეცხლს უნდა მოესრა (4-7). ეს უკანასკნელი მაღე იქნება, ოღონდ თუ ვინმე ფიქრობს, რომ უფალი აყოვნებს, ეს ისევ ადამიანთა გამოსახსნელადაა ასე, რადგანაც უფლის მეორედ მობრძანება უეცარი და საზარელი იქნება. ამიტომ მისი მომლოდინე წმიდანი უნდა იყოს, რადგან განახლებულ ქვეყანაში მხოლოდ სიმართლე იცხოვრებს (8-II).

დასასრულ მოციქული ქრისტიანებს მეორედ მოსვლის ღირსეულად შეხვედრას უანდერძებს და პავლე მოციქულის ქადაგებებსაც იხსენებს მეორედ მოსვლაზე; ჰგმობს ამ სასწაულების უარმყოფელ ცრუმოძღვართ; მკითხველებს მადლს ზიარებასა და სულიერ ზრდას უსურვებს და განასრულებს ეპისტოლეს იესო ქრისტეს დიდებით (I4-I8).

ეპისტოლეში ვხვდებით ფრაზას: ჩვენი საყვარელი ძმა პავლე, რომელიც ზოგიერთებს მეორე ეპისტოლის გასაბათილებელ არგუმენტად მოჰყავთ და რომელიც მხოლოდ ორ დიდ მოციქულს შორის ახლობლობისა და კეთილგანწყობის მაუწყებელია. ხელოვნურია ის მოსაზრებაც, თითქოს ეს ფრაზა პეტრე და პავლე მოციქულებს შორის ქიშპის მაუწყებელია და იგი, თითქოს, იმისათვის დაწერა პეტრე მოციქულმა, რომ მით საკუთარი უპირატესობა წარმოეჩინა (გალატ. II, II). რომ წმ. პეტრე კეთილგანწყობილი არ ყოფილიყო პავლე მოციქულისადმი, ანუ ცრუმოძღვრად შეერაცხა იგი (რის დამტკიცებასაც ცდილობს ზოგიერთი განმმარტებელი), მაშინ იგი თავის ეპისტოლეებში უეჭველად აღნიშნავდა ამას, როგორადაც სა-

ერთოდ მოციქულები ამხელდნენ ცრუმოძღვრებს (აპოკალიფს. II, 2). პირიქით, პეტრე მოციქულის ეპისტოლეებში ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა იგი წმ. პავლეს ნაშრომებს და რომ ადრიდანვე, პირველსავე ქრისტიანულ ეკლესიებში, აგროვებდნენ და უფრთხილდებოდნენ ქრისტეს ყველა მოწაფის ნაწერებს.

იოანე მოციქულის ეპისტოლეები

ავტორის ვინაობა. იოანე ღვთისმეტყველი წარმოშობით გალილეის ბეთსაიდიდან იყო (მათე IV, 21). მის მშობლებს ზებედე და სალომე ერქვათ (მათე XXVII, 66; XV, 40). თეოფილაქტეს მოწმობით, სალომე იოსებ დანიელის ქალიშვილი იყო პირველი ქორწინებიდან. როგორც ჩანს, იესო ქრისტე იოანეს ბიძა ყოფილა. ადრეულ ახალგაზრდობაში იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, ხოლო იესო ქრისტეს ნათლობის შემდეგ დაემოწაფა (იოანე I, 35 და სხვ.). გარკვეულ დროს წმ. იოანე ძმასთან და მამასთან ერთად მეთევზეობას ეწეოდა, სანამ უფალმა მას არ მოუწოდა თავისთან (ლუკა V, 10; მათე IV, 21). მოციქულთაგან განსაკუთრებული სიყვარულით გამოარჩევდა მაცხოვარი პეტრეს, იოანეს და იაკობს. ღვთის ერთგულებისათვის მას ბანერგოს, ე. ი. ძე ქუხილისა ეწოდა (მარკ. III, 17), და სიყვარულის ნიშნად სერობის ღამეს მკერდზე მიიყრდნო იგი უფალმა, ჯვარცმული მაცხოვრისაგან კი ღვთისმშობელ მარიამის ძეობა მიენიჭა (იოანე XIX, 26). მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ წმ. იოანე, მოციქულ პეტრესთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა იერუსალიმის ეკლესიის ჩამოყალიბებაში (საქმ. III, I); შემდეგ კვლავ პეტრე მოციქულთან ერთად ილოცა და იქადაგა ახლად მოქცეულ სამარიაში (საქმ. VIII, 14), ხოლო ღვთისმშობლის მიძინებამდე იერუსალიმში დაჰყო მთელი დრო,

ე. ი. ქ. შ. 48 წლამდე. იერუსალიმში მის მოღვაწეობას ნათელყოფს ქრისტეს აღმსარებელთაგან შერქმეული სახელი „ბურჯი ეკლესიისა“ (გალატ. II). ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ იოანემ დატოვა პალესტინა და ცოტა ხნით ეფესოში წავიდა. გადმოცემა გვაუწყებს, რომ ეფესოდან რომში ჩასულა წმ. იოანე საქადაგებლად, სადაც ადუღებულ ზეთში ჩაუგდიათ საწამებლად, მაგრამ სასწაულის ძალით გამოხსნილა და იმპერატორ დომიციანს კუნძულ პატმოსზე გაუსახლებია. საეკლესიო ისტორიკოსები: ნერორონი, ნეტარი თეოფილაქტე და ისტორიული წყაროები (სირიული აპოკალიფსი) გვაუწყებენ, რომ მტრების გარდაცვალების შემდგომ წმ. იოანე პატმოსიდან კვლავ ეფესოში დაბრუნდა და დარჩენილი სიცოცხლე იქ გაატარა. გამოდის, რომ იოანე მოციქული ტრაიანეს მეფობამდე, პირველი საუკუნის მიწურულს, ან მეორე საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა (ევსევი, ეკლ. ისტ. III, 20, 23).

<u>შენიშვნები ეპისტოლეს წარმოშობაზე</u>. გადასახლებიდან დაბრუნებულ იოანე მოციქულს მცირე აზიის ეკლესიები უმწეო მდგომარეობაში დაუხვდა. დიდი ქრისტიანი მოღვაწეების პეტრეს, იაკობის, იუდასა და განსაკუთრებით პავლე მოციქულის წამოწყებულ საქმეებს არბევენ, ქრისტიანებს დევნიდნენ და ამით ყოველგვარი მწვალებლური ცრუმოძღვრება მძლავრობდა. დამარცხებული იუდაიზმის სანაცვლოდ ეკლესიები მოიცვა წარმართულმა ცრუსწავლებამ. ისინი ეყრდნობოდნენ ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერების საიდუმლოებებს, საეჭვო ჩვენებებს, ურცხვად ქადაგებდნენ მრუშებას, აბუჩად იგდებდნენ მაცხოვრის მეორედ მოსვლის აღთქმას, უარყოფდნენ მიცვალებულთა აღდგომას, ქვეყნის აღსასრულს და ძე ღმერთის განხორციელებას. ამგვარმა სწავლებამ განსაკუთრებით მოიცვა ფუფუნების მოყვარე მცირეაზიული ქალაქები, სადაც უზნეობამ და ბერძნულმა მეცნიერებამ ე. წ. „გნოსტიკური“ მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოულება მიიღო. ჯერ კიდევ პატმოსიდან აგზავნიდა იოანე მოციქული აპოკალიფსურ წერილებს ცრუმოძღვართა საწინააღმდეგოდ, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ საერთოდ დასახლდა ეფესოში, სადაც წერილობითი და ზეპირი ქადაგებებით შეეწეოდა ხალხს ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ცრუმოძღვრების გარჩევაში, რითაც იმდენად ააღორძინა მთელ მცირე აზიაში ქრისტიანული სარწმუნოება, რომ მეორე საუკუნის დამდეგს პლინიუს უმცროსი იმპერატორ ტრაიანეს წერილობით შესჩიოდა წარმართობის დაცემას. მცირე აზიაში მოღვაწეობის ჟამს სულიწმიდის მეოხებით დაწერა იოანემ სახარება და სამი ეპისტოლე.

იოანეს პირველი ეპისტოლე

ეპისტოლის ორიგინალობის საკითხი. ტექსტში არსად არ იხსენიებს ავტორი თავის თავს, მაგრამ რომ ეპისტოლე იოანე მოციქულს ეკუთვნის, ეს ეპისტოლის ქვეტექსტში ჩანს. ავტორი თავს იხსენიებს იესო ქრისტეს ცხოვრების თვითმხილველად და მოწმედ (I, I-3). ამგვარი მითითებები, ეპისტოლის ცალკეული გამოთქმები, აზრები და შინაარსის ხასიათის მსგავსება იოანეს სახარებასთან ადასტურებს, რომ ეს ეპისტოლე იოანე მოციქულს ეკუთვნის. წმ. ირინეოსი, კლიმენტი აღექსანდრიელი და ორიგენე ამ ეპისტოლიდან ციტირებული ტექსტის ავტორად იოანეს ასახელებენ. ხოლო ევსევი ამტკიცებს, რომ ეს ეპისტოლე ძველთაგანვე დედნად მიიჩნეოდა.

ეპისტოლის დანიშნულება და მისი კავშირი სახარებასთან. იოანეს პირველ ეპისტოლეს არავითარი დასათაურება არა აქვს და მასში არსად არ ჩანს, თუ ვის მიმართაა დაწერილი იგი, არც ფორმის მიხედვით ეთქმის წმ. იოანეს ამ ნაწერს ეპისტოლე, მაგრამ ყველა ძველი წყარო

მაინც ეპისტოლედ იხსენიებს მას. ყველაზე სწორი აღბათ ის იქნება, თუ ამ ეპისტოლეს საზოგადოს, ანუ საყოველთაოს ვუწოდებთ, რადგან იოანე მოციქული მცირე აზიის ეკლესიების მეთაური იყო და ამდენად ეპისტოლეც მან ყველა ეკლესიის მიმართ დაწერა. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ეპისტოლის ფორმა და დანიშნულება, ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული ეპისტოლის სახარებასთან კავშირს.

ეპისტოლის შინაარსისა და ცალკეული გამოთქმების შესწავლამ ცხადყო სახარებისა და მისი მსგავსება. ეპისტოლის დასაწყისში მოციქული მკითხველს პირდება აღწეროს მხოლოდ ის, რაც მას და მოციქულებს საკუთრივ უნახავთ, უგრძვნიათ და სმენიათ (II, I-5); შესაბამისად, ეპისტოლე სახარების შინაარსს გადმოგვცემს (II, I2-I4), ხოლო დასასრულ ნათქვამია (V, I3), რომ ეს (რა კონკრეტულად, არაა მითითებული) დაიწერა სარწმუნოებაში მათ განსამტკიცებლად; იოანეს სახარებაც ამასვე აღნიშნავს (XX, 30-3I). და ბოლოს ყველა ეპისტოლე იმ მწვალებელთა წინააღმდეგ დაიწერა, ვის წინააღმდეგაც იოანეს სახარებაა მიმართული. ამიტომ სრულიად დასაშვებია მოსაზრება, რომ პირველი ეპისტოლე სხვა არაფერია, თუ არა იოანეს სახარების წინასიტყვაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეპისტოლეში, იქ სადაც იოანე მოციქული პირველი პირით საუბრობს, მხოლობითი რიცხვი ხშირად მრავლობითითაა შეცვლილი (შდრ. თავ. I, I-5; IV, I4). ცნობები სახარების შექმნის შესახებ ამტკიცებენ, რომ სახარება მოციქულმა იოანემ დაწერა და გააგზავნა სხვა მოციქულთა და მოწაფეთა სახელით. მაშასადამე, როგორც იოანე მოციქულის სახარება, ასევე მისი ეპისტოლეც ერთობლივ ყველა ეკლესიისათვის და ეკლესიისავე სახელით დაიწერა.

<u>ეპისტოლის მიზანი.</u> იოანე მოციქულის ეპისტოლისა და სახარების მიზანი ერთი და იგივეა. ეპისტოლიდან ჩანს, რომ ქრისტიანთა შორის

მედიდური ცრუსწავლულნი გამოერევნენ, რომელნიც იესო ქრისტეს ძე ღვთისად არ ცნობდნენ (V, I5; IV, 5), უარყოფდნენ მაცხოვრის განხორციელებასა და მესიანურ დანიშნულებას (IV, 3, II, 22) და უარყოფდნენ ყველა მტკიცებას, რომლითაც მამა ღმერთი აღიარებდა იესოს (V, I0); ზნეობრივად ცრუსწავლულებს მხოლოდ ცოდნა აკმაყოფილებდათ და ამ ვითომდა უმაღლეს ცოდნაზე დაყრდნობით სრული ზნეობრივი აღრევა შეჰქონდათ ხალხში, რითაც მოციქულთა ქადაგებებს აქარწყლებდნენ (III, 23; IV, 9, I4; V, I3, 20). მოციქული მათ მწვალებლებსა და ანტიქრისტიანებს უწოდებს (II, I8) და ამბობს, რომ ისინი ყველაზე მეტად მორწმუნეთა შორის წარმოიშვნენ (II, I9). აპოკალიფსში მინიშნებულია, რომ ეს მწვალებლები იუდეველები იყვნენ. წმ. იოანეს ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი და მიმდევარი, წმ. იერონიმე მწვალებელთა მეთაურად კერინავს აცხადებს, რომელიც იუდეველი იყო, და რომელიც ეპიფანეს მოწმობით, პეტრე და პავლე მოციქულების მოწინააღმდეგე იყო (საქმ. X, I, 3; IV, I). უშუალოდ მოციქულების მოწაფეთა შორის კიდევ სხვა მრავალი მწვალებლური მიმდინარეობა წარმოიშვა. მათ შორის იყვნენ ნიკოლანტები, ანუ ბალაამელები (ებრაულად ბილეამი. ეს სახელი ერთ-ერთ შვიდ დიაკვანთაგანს, ნიკოლაოსს ერქვა). მათ თანამზრახველებად იხსენიებიან ემენოს და ფილიტოს (2 ტიმოთ. II, I7, I8), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ აღდგომა უკვე იყო ნათლობასა და სინანულში; ისინი იესო ქრისტეს მიერ ცოდვილთა გამოსყიდვას უარყოფდნენ (2 პეტრე, II, I; ებრ. IV; აპოკალიფს. II, 6, I6) და ძე ღმერთის გარდამოსვლასა და წამებას მოჩვენებად სთვლიდნენ, რისთვისაც მოგვიანებით დოკეტებად იწოდნენ. წყაროებით, სწორედ ამ ცრუმოძღვართა საწინააღმდეგოდ დაუწერია იოანეს სახარებაცა და პირველი ეპისტოლეც. მას სურდა დაემტკიცებინა მათთვის მაცხოვრის განხორციელება, ცოდვილთა გამოხსნა; და ის, რომ მხოლოდ ძე ღმერთის

აღიარებითა და მის მცნებათა აღსრულებით დაიმკვიდრებენ ისინი მარადიულ ცხოვრებას (V, I3; III, 23, 24); იოანეს სურდა აგრეთვე ხალხისათვის მწვალებელთა ამოცნობა ესწავლებინა (II, 4, 22; IV, 6). ძირითადად ამგვარი იყო ეპისტოლის დაწერის მიზნები.

ეპისტოლის დაწერის დრო და ადგილი. ეპისტოლის დაწერის დროსა და ადგილზე არანაირი ისტორიული მოწმობა არ შემონახულა და არც ეპისტოლეშია მინიშნებული რაიმე. ოღონდ ყველა განმმარტებელი ერთხმად შენიშნავს, რომ ეპისტოლე დაიწერა სახარების შემდგომ ან მის პარალელურად, და რომ იოანეს ღრმად მოხუცების ჟამს უნდა დაეწერა იგი, კერძოდ, გადასახლებიდან დაბრუნების შემდგომ; რამდენადაც წმ. იოანეს გადასახლება იმპერატორ დომიციანეს დროს მოხდა, ამდენად საფიქრებელია, რომ სახარება და მასთან ეპისტოლეც არა უგვიანეს 96 წელს დაიწერა. ე. ი. დომიციანეს გარდაცვალების შემდგომ პერიოდში; უფრო ზუსტი იქნება, თუ დაწერის თარიღად 97-98 წლებს მივიჩნევთ, როცა იოანე მოციქული მცირე აზიის ვითარებას საკმაოდ იცნობდა. ამ მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ იოანეს სახარება თითქმის უკანასკნელი წერილობითი ძეგლია მოციქულებრივი დროისა. სახარებისა და ეპისტოლის განახლებული ბერძნული ენა და ეპისტოლეში მწვალებელთა მომძლავრების აღნიშვნა გვაფიქრებინებს, რომ საკმაოდ გვიან უნდა დაეწერა იოანე მოციქულს სახარებაცა და ეპისტოლეც. წმ. ეპიფანე აღნიშნავს, რომ 90 წლისამ დაწერა იოანემ სახარებაო. ხოლო რამდენადაც სრულიად ყმაწვილს უხმო უფალმა იოანეს სამოციქულოდ, ამდენად 90 წლის იგი პირველი საუკუნის მიწურულს, ე. ი. ქ. შ. 97-98 წლებში იქნებოდა.

ყველა ძველი საეკლესიო მწერლის მოწმობით, სიცოცხლის ბოლო წლები მოციქულმა იოანე ღვთისმეტყველმა ეფესოში გაატარა. გამოდის, ეპისტოლეც მან იქვე დაწერა.

ეპისტოლის ძირითადი იდეები. იდეები ეპისტოლის შინაარსში არა-თანაბრადაა განვითარებული, მაგრამ ცალკეული მოსაზრებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. შესავალში მოკლედ გადმოცემულია მოციქულთა კეთილუწყება (I, I-4), შემდეგ განმარტებულია, რომ იესო ქრისტეს სიკეთილით ვართ ჩვენ გამოსყიდული და შერიგებული მამა ღმერთთან, რაც მცნებათა აღსრულებას გვავალებს (I, I-4; I, 5, II); ცრუმოძღვრები უარყოფენ იესო ქრისტეს განხორციელებას, ჩვენს გამოსყიდვას, უარყოფენ ღმერთთან და მოყვასთან ჩვენს მიმართებას - ამ ნიშნებით გამოიცნობიან ისინი (II, I2; IV, 6); ხოლო ქრისტიანებს უყვართ მოყვასი, ღმერთი და მოელიან მარადიულ ცხოვრებას (IV, 5-7, 2I).

ეპისტოლის ხასიათი. წმ. იოანეს ეპისტოლე სიყვარულის სულისკვეთებით გამოირჩევა, რომელიც ქრისტიანს სარწმუნოების, მოყვასისა და ღვთის სიყვარულისაკენ უხმობს.

მოციქული, როგორც მესაიდუმლე და მოძღვარი ღვთაებრივი სიყვარულისა, სულიერ შვილებს ჭეშმარიტი და ყალბი სიყვარულის გარჩევას შეაგონებს: თეორიულად ჭეშმარიტი სიყვარული ღვთის შემეცნებაა (IV, 3), პრაქტიკულად - მცნებათა აღსრულება (II, 5; V, 3). ღმერთთან მიმართებაში სიყვარული რწმენას შობს (IV, 6), მოყვასთან მიმართებაში სიყვარულს (IV, II), საკუთარ თავში კი განკითხვის დღეს იმედსა და მხნეობას (IV, I7). ამგვარი სიყვარულის საფუძველს ქრისტიანი ღმერთში, მის ჩვენდამი სიყვარულში ჰპოვებს, რამეთუ ღმერთი სიყვარულია და მამა ღმერთმა ადამიანის სიყვარულისათვის მოავლინა ძე თვისი დედამიწაზე და მით განახორციელა კაცობრიობის გამოხსნა (IV, 8-I0). ხოლო სხვაგვარი, მიწიერი, ამქვეყნიური სიყვარული, რომელიც ხორციელ, ცხოვრებისეული ყოფიერისადმი ვნებებში ვლინდება (II, I5, I6), ღვთის გმობა, სიცრუე და ცოდვაა, რამეთუ ეშმაკისა-

გან იშვება და ადამიანი წყვდიადისაკენ მიჰყავს (II, 21; III, 8, II; V, 20). მოციქული ზოგადად ეხება ამ ბნელ სიყვარულს, თითქოს არ სურს მასზე საუბრით ენის შებღალვა.

ეპისტოლის თანმიმდევრული შინაარსი

შესავალი (I, I-14). იოანე მოციქული, სხვებისაგან განსხვავებით, მკითხველის მოკითხვით არ იწყებს ეპისტოლეს და არც თავის ვინაობას ახსენებს სადმე; იგი წერს როგორც ღვთის სიტყვის მოწმე და მოწაფე, თვითმხილველი და თანაზიარი. და ამ თანაზიარებით სურს დაამტკიცოს მოციქულმა თავისი ნაწერის უტყუარობა, რათა მოციქულთა მსგავსად მკითხველიც ეზიაროს მამასა და ძესა, და რომ მით ყოველმა ჰპოვოს სრული სიხარული (I, I-4).

რათა ვიდოდეთ ნათელში (I, 5-II; II). ეპისტოლის მიზანია მორწმუნეებს აუწყოს, რომ მოციქულების მეშვეობით მათ ღმერთთან მიმართება შეუძლიათ. ხოლო ღმერთი ნათელია და მასთან ურთიერთობისათვის ნათელში უნდა ვიდოდეთ. ე. ი. ჩვენი ცოდვები უნდა ვაღიაროთ, რადგან მხოლოდ მაშინ მოვიწადინებთ მაცხოვრის სისხლით განბანვას, იმის სისხლით, ვინც მსხვერპლად გაიღო თავისი თავი ქვეყნის ცოდვათაგან გამოსასყიდად (I, 5-10; II, I, 2); შემდეგ ღვთის მცნებები უნდა დავიცვათ, რადგან მხოლოდ მცნებათა აღსრულებით შევიმეცნებთ ღმერთს (3-6). უმთავრესი ამ მცნებათაგან მოყვასის სიყვარულია, რომელიც უძველესი მცნებათაგანია და მნიშვნელობით უახლოესია, რადგან იგია მიმყვანებელი ჩვენი ნათელში (7-II).

ცრუმოძღვართაგან განკრძალვაზე (II, I2-28). მოციქული ყოველ ასაკის მორწმუნეს განსაკუთრებულად ურჩევს სოფლისა და მისი საქმე-

ების მოძულებას (I2-I7); გვასწავლის, რომ აწინდელი დროის საშიშ-
როება ანტიქრისტეთა მოვლენაში მდგომარეობს, რომელნიც იესო ქრის-
ტეს უარყოფით გამოიცნობიან (I0-23). ცრუმოძღვართაგან გასარიდებ-
ლად პირვანდელ სწავლებაზე მტკიცედ დგომა გვმართებს (24-28).

ღვთისმსახურთა და ბოროტისმსახურთა განსხვავებაზე (II, 29; IV, 6). ცრუმოძღვართა მხილების შემდეგ მოციქული ცოდვათაგან თავდაჭერას შეაგონებს ქრისტიანებს, რამეთუ ისინი სახიერი ღმერთით დანაბადნი არიან, შვილს კი მართებს მამის მსგავსებას ელტვოდეს (II, 29; III, I-3). ცოდვა, როგორც ღვთის კანონის დარღვევა, კაცს ღმერთისაგან განაშორებს. უცოდველმა იესო ქრისტემ თავისი გამოცხადებით ცოდვა მოსპო და ცოდვასთან ყველა წიდდებული მერმე უკვე აღარა სცოდავდა; ხოლო თუ ვინმე სცოდავს, ის არა ღვთის, არამედ ეშმაკის მსახურია (4-9). ღვთისმსახურნი ეშმაკისმსახურთაგან მით განირჩევიან, რომ პირველთ მოყვასი უყვართ, ხოლო მეორეებს სძულთ. ასეთი სიძულვილით კაენმა თავისი ძმა მოკლა, რადგან ძმა იგი აბელი კეთილი იყო; და სოფელსაც სიკეთის გამო არ უყვარს ქრისტიანი (I0-I3); ხოლო ქრისტიანებს უყვართ მოყვასი, მსგავსად მაცხოვრისა, რომელიც ივნო სხვებისათვის (I4-I7). ოღონდაც მოყვასის სიყვარული არა ოდენ სიტყვით, არამედ საქმითაც გვმართებს, რათა გულშიაც არ განვიკითხავდეთ მას. და მაშინ ღვთისაგანაც ყოვლის თხოვნა ხელეწიფებათ, როგორც ღვთის კანონის აღმსრულებლებსა და ღმერთთან თანაზიართ. მაგრამ აქ ღვთიური სულისა და მაცდური სულის ადამიანები უნდა განვასხვაოთ. პირველად უნდა გავარჩიოთ, აღიარებენ თუ არა ისინი ძე ღვთისას, და იწყნარებენ თუ არა მოციქულის ჭეშმარიტ ქადაგებებს მაცხოვრის განხორციელების შესახებ (IV, I-6).

ვიყვარებდეთ ურთიერთას (IV, 7; V, 5). ღმერთი სიყვარულია, ბრძანებს მოციქული. და მკითხველებს ურთიერთსიყვარულს შეაგონებს. სიყვარულით წარმოგზავნა მამა ღმერთმა თავისი ძე მიწაზე (IV, 7-10). ამიტომ ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ და იესო ქრისტეს ძედ ღვთისად უნდა აღიარებდნენ. მოყვასის სიყვარულით ადამიანი ღმერთს მიეახლება, განკითხვის დღეს მხნევდება და ყოველგვარი შიშისაგან თავისუფლდება (16-18). მოყვასის სიყვარული ღვთის სიყვარულის გამოვლენაა (19-21); და ბუნებრივია, მამის მოსიყვარულეს მისი შვილებიც უნდა უყვარდეს; უნდა აღასრულებდეს ღვთის მცნებებს და იესო ქრისტეს რწმენით გამარჯვებული ვიდოდეს (V, 1-5).

იესო ქრისტე ჭეშმარიტად ძე ღვთისაა (V, 6-12). ღვთის შვილები იესო ქრისტეს ძედ ღვთისად აღიარებენ და მის მეორედ მოსვლას მოელიან. მაგრამ ეს რწმენა უსაფუძვლო რომ არ იყოს, მოციქულს იესო ქრისტეს ღვთიური და ადამიანური ბუნების სამგვარი მტკიცება მოჰყავს (გვ. 6). პირველი ზეციური მტკიცებაა, ყოვლადწმიდა სამების სამპიროვნებაა (გვ. 7); მეორე მტკიცება მიწიერია, სულით, წყლითა და სისხლით დამოწმებული (გვ. 8 და 3), და ბოლოს თვით მორწმუნეებშივე არსებული შინაგანი ხმა. დასასრულ იოანე ღვთისმეტყველი ქრისტიანებს განუმარტავს, რომ ღმერთმა მარადიული ცხოვრება მიანიჭა ადამიანს ძე ღმერთში (10-12).

ეპისტოლის დასკვნა (V, 13-21). დასასრულ მოციქული მორწმუნეებს ეუბნება, რომ ეპისტოლე ერთი მიზნით დაიწერა - რათა ახსოვდეთ, რომ მარადიული ცხოვრებისათვის გადარჩებიან მხოლოდ იესო ქრისტეს გზით (13), ჭეშმარიტი სარწმუნოებით მლოცველს ყოველი მიეცემა თავისთვისა და მოყვასისათვის (14-17). ღვთისმსახურნი ცოდვისა და

ეშმაკისაგან თავისუფლდებიან და მაცხოვარში იღებენ ჭეშმარიტ ცოდნასა და ცხოვრებას (18-20). ეპისტოლე მთავრდება შეგონებით, რომ მორწმუნეები განერიდონ კერპთაყვანისმცემლებს (21).

იოანე მოციქულის მეორე ეპისტოლე

ეპისტოლის ორიგინალობა. წმ. იოანეს მეორე ეპისტოლის ორიგინალობის საკითხი მეოთხე საუკუნემდე სადავო იყო. უკანასკნელ დროს კვლავ განაახლეს კრიტიკოსებმა დავა და ისინი, ევსევისა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, აღნიშნულ ეპისტოლეს მიაწერენ ეფესელ პრესვიტერ ვინმე იოანეს, რომელსაც პაპი თავის მასწავლებლად იხსენიებს და რომლის საფლავიც ნეტარ იერონიმეს უნახავს (ეკლეს. ისტ. III, 25; ევსევი, ეკლეს. III, 39). ძველთაგანვე ეპისტოლის ორიგინალობაზე ეჭვი აღძრა მისმა მომცრო მოცულობამ და იმანაც, რომ იგი ნაკლებად იყო ცნობილი, და რომ არსად ავტორის ვინაობა მასში ხსენებული არ არის. მოციქული თავს იხსენიებს „მოხუცებულად" (პრესვიტერად), რაც აღბათ მიზეზს აძლევდა ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი შეეტანათ წმ. იოანეს ავტორობაში. მაგრამ საეკლესიო წყაროებით სწორედ იოანე მოციქულის ორიგინალადაა აღიარებული განხილული ეპისტოლე. მურატორის კატალოგში იოანეს რამდენიმე ეპისტოლე იხსენიება; წმ. ირინეოსსაც მოჰყავს ამ ეპისტოლიდან სამი სტრიქონი (7, 8, 11). ავრელიუს აფრიკელი კართაგენის ტაძრის საქმეებში ამ ეპისტოლეს ეყრდნობა. კლიმენტი აღექსანდრიელს, ორიგენს და თვით ევსევის ეს ეპისტოლე დედნად მიაჩნიათ. იერონიმეს ამ ეპისტოლის დასაწყისი აქვს მოყვანილი. და ბოლოს, მეორე ეპისტოლის სულისკვეთების მსგავსება იოანეს პირველ ეპისტოლესთან შესამჩნევია. მეორე ეპისტოლე პირველთან შედარებით მოცულობით მცირეა, მაგრამ მათ შინაარსსა და ენას

შორის აშკარა მსგავსებაა. და ბოლოს, ეპისტოლის ორიგინალობას ადასტურებს და ყოველგვარ ეჭვს განაქარვებს მე-4 საუკუნის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება (ლაოდიკ. კრება 364 წ. კან. 60 და მე-3 კართაგ. კრება 39 წ. კან. 47).

ეპისტოლის ადრესატი. ეპისტოლე მიწერილია რჩეული ქალბატონის მისამართით, რომელშიაც იგულისხმება არა ვილაც საპატიო წარმოშობის ქრისტეს აღმსარებელი ქალი, რომელმაც სარწმუნოება იოანე მოციქულისაგან მიიღო, არამედ მცირე აზიის ერთ-ერთი ეკლესია, როგორც ამას განმარტავენ კლიმენტი ალექსანდრიელი და მასთან სხვებიც. (როგორც ამას ვხვდებით პეტრე მოციქულთან. Iეპისტ. V, 13).

ეპისტოლის ზოგადი შინაარსი. ეპისტოლეს ნარკვევის ფორმა აქვს და მასში მოყვანილი ცალკეული ჭეშმარიტებები ნაწყვეტებად, შეუკავშირებლად და არათანმიმდევრულადაა წარმოდგენილი.

შემდგომ მისალმებისა, იოანე გამოთქვამს პატივცემული ქალბატონის შვილების სიყვარულსა და სიხარულს იმის გამო, რომ ისინი ჭეშმარიტებას შედგომიან და ამასთან მოაგონებს მათ უპირველეს მცნებას ურთიერთსიყვარულისას. განუმარტავს, რომ სიყვარული ღვთის მცნებათა აღსრულებაა (4-6); მოციქული აღარ იმეორებს, რომ უპირველესი მცნებათაგანი იესო ქრისტეს ძე ღვთისად აღიარებაა, რადგან მიაჩნია, რომ მკითხველმა ეს უწყის (I იოანე III, 23). დასასრულ აფრთხილებს სულიერ შვილებს, რომ მრავალი მაცდური და ანტიქრისტე გამოჩნდა, რომელთა ცრუმოძღვრებებსაც უნდა განერიდონ.

ბოლოს, ეპისტოლე მკითხველს ურჩევს არ შეიწყნარონ სახლში მსგავსი მწვალებლები და ცრუმოძღვრები. ხოლო დანარჩენს პირისპირ შეყრის ჟამს განგინარტავთო, ბრძანებს იგი. მოციქული ეპისტოლეს ქალბატონის შვილების მოკითხვით ამთავრებს (10-13).

Ш Е Н И Ш В Н А: ავტორი ეპისტოლის დასაწყისში „მოხუცებულს“ უწოდებს თავის თავს. და სრულიად დასაშვებია, რომ ეპისტოლის წერის ჟამს მოციქული ღრმად მოხუცებული ყოფილიყო. თუმცა შეიძლება წმიდა იოანე იმასაც გულისხმობდეს, რომ ის ერთადერთი მოციქულიღა იყო დედამიწაზე დარჩენილი.

იოანე მოციქულის მესამე ეპისტოლე

ეპისტოლის ორიგინალობა. წმ. იოანეს მესამე ეპისტოლე (მსგავსად მეორე ეპისტოლისა) გვიან აღიარეს დედნად. ეჭვს იწვევდა როგორც ეპისტოლის სიმოკლე, ისე ის, რომ იგი კერძო პირისადმია მიწერილი. ამასთან, მოციქული იხსენიებს ვინმე დიოტრეფს, რომელიც სდევნიდა მის სამფლობელოში მისულ სახარების მქადაგებლებს და რომელმაც მრევლს დაუმაღა მეორე ეპისტოლე (9), რაც, კომენტატორთა აზრით, მოციქულს არ უნდა შემთხვეოდა. მაგრამ დიოტრეფი სხვა მოციქულის მოწაფე იყო და არა იოანესი, ამიტომ იგი არა მარტო იოანეს მოწაფეების მტერი იქნებოდა, არამედ თვით იოანე მოციქულისაც (3 მოანე, გვ. 9-I; კორინთ. I, II, I2).

ეპისტოლის ადრესატი. ეპისტოლე ვინმე გაიოზის მიმართაა დაწერილი. წმ. წერილი სამგზის იხსენიებს გაიოზს (რომ. XVI, 23-I; კორინთ. I, I4; საქმ. XIX, 29; XX, 4), მაგრამ არც ერთი ამ სამთაგანი არ გულისხმობს წმ. იოანეს ეპისტოლეში მოხსენიებულს, რადგან ისინი პავლე მოციქულის მოწაფეები იყვნენ; თუმცაღა ზოგი ამტკიცებს, რომ იოანე ღვთისმეტყველის ეპისტოლეში ხსენებული გაიოზი მცირე აზიის ეკლესიათაგან ერთ-ერთის წევრი უნდა ყოფილიყო, რადგან მოციქული მის პირადად ნახვას აპირებს (გვ. I0 და I4).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წმ. იოანეს მეორე და მესამე ეპისტოლეების სტილსა და აზრებს შორის დიდი მსგავსებაა და შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ისინი ერთდროულად დაიწერა. მათი დაწერის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დიოტრეფმა იოანე მოციქულის მოწაფეები არ მიიღო, ხოლო ისინი გაიოზს შეეკედლნენ. იოანე ღვთისმეტყველმა მადლობის ნიშნად გაიოზს წინამდებარე ეპისტოლე მიწერა.

ეპისტოლის შინაარსის მთავარი აზრი. მოციქული ღმერთს ავედრებს გაიოზს და მოხარულია მისი სტუმართმოყვარეობის. თხოვს მას, რომ შემდგომაც ასევე მოეპყრას მწირებსა და მოგზაურებს ღვთის გულისათვის(I-3); დიოტრეფის უკეთურ საქციელს იხსენებს და მის მხილებას აღუთქვამს გაიოზს (9-I0) და სთხოვს, რათა ბოროტებაში არ მიემსგავსოს მას; შემდეგ აქებს ვინმე დიმიტრის კეთილზნეობას. და ბოლოს, გაიოზს პირისპირ შეყრასა და ყოველივეზე ბჭობას აღუთქვამს; მოკითხვას უთვლის მის მეგობრებსა და მახლობლებს (II-I5).

მოციქულ იუდას ეპისტოლე

ავტორის ვინაობა. წინამდებარე ეპისტოლის ავტორი თავს იესო ქრისტეს მონა იუდას სახელით გვაცნობს და აღნიშნავს, რო იგი იაკობის ძმაა. ამგვარად, იუდა მოციქული იყო მაცხოვრის ძმა, ე. ი. იოსებ დაწინდულის შვილი პირველი მეუღლიდან და ძმა იაკობ მოციქულისა. იუდა მოციქული ერთ-ერთი თორმეტთაგანია; გადმოცემით, იგი თავისი ძმის იაკობის მემკვიდრე იყო იერუსალიმის საეპისკოპოსო ეკლესიაში და ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დომიციანეს იმპერატორობამდე (ევსევი, ეკლესიის ისტორია III, 20). სხვა რამ ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

ეპისტოლის ადრესატები. ეპისტოლე მიმართულია იუდეის ქრისტიანებისადმი და ააშკარავებს იმავე ცრუმწვალებლებს, რომელთა წინააღმდეგაცაა მიმართული პეტრეს მეორე ეპისტოლე და რომელშიაც შენახულია იუდას ეპისტოლესთან ნაცნობობის კვალი.

ეპისტოლის დაწერის მიზეზი და მიზანი. ეპისტოლის დაწერის ერთ-ერთ მიზეზად მწვალებლობისა და ცრუმოძღვრების მომძლავრება ჩაითვლება, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდნენ იაკობ, პეტრე და იოანე მოციქულები. წმ. იუდა პირდაპირ ამბობს, რომ ქრისტიანებში უწმიდური ხალხის შერევამ და მათმა ზნედაცემულობამ გადააწყვეტინა მას ეპისტოლის წერა. აქედან შეიძლება დასკვნა, რომ მოციქულ იუდას ძირითადად ვალაამიტები, ან სხვა გნოსტიკოსები ყავდა მხედველობაში, რომლებიც იესო ქრისტეს განხორციელებას უარყოფდნენ (გვ. 4). ეპისტოლის მიზანს თვით მოციქული განმარტავს: მას საჭიროდ მიაჩნია ქრისტიანებს უანდერძოს სარწმუნოებაში ერთხელ ამოკვეთილი წმიდა გზით მოღვაწეობა (გვ. 3); მკითხველებს მოაგონებს ღვთის მკაცრ სამსჯავროზე (გვ. 5), რაც ცრუმოძღვრებს ელით და თხოვს ქრისტიანებს დაიცვან თავი და მოყვასი დაცემისაგან.

დაწერის დრო. არც ეპისტოლის შინაარსი და არც რაიმე გადმოცემა არ გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ეპისტოლის დაწერის დრო. ეპისტოლეში აღწერილ ქრისტიანთა საზოგადოების მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ეპისტოლე იმპერატორ დომიციანეს დროს უნდა დაწერილიყო. ვარაუდობენ, რომ მოციქულიც ამავე პერიოდში გარდაიცვალა (ევსევი, ეკლესიის ისტორია, III, 20). მაგრამ ის, რომ ეპისტოლე არსად არ იხსენიებს იერუსალიმის დაცემას, გვაფიქრებინებს, რომ ეპისტოლე გაცილებით ადრე დაიწერა, სახელდობრ , იაკობ მოციქულის

გარდაცვალების მერე (63-65 წლებში), პეტრე მოციქულის მეორე ეპისტოლის დაწერამდე.

შინაარსის მიმოხილვა. მოციქულ იუდას ეპისტოლე ძირითადად სარწმუნოებისათვის ღვაწლს შეგვაგონებს. მოკითხვის მერე წმ. იუდა ქრისტიანებს განუმარტავს, რომ იგი საყოველთაო ხსნისათვის იღწვის და ეპისტოლეც მისთვის დაწერა, რომ დაიხსნას ისინი მწვალებელთა და მაცდურთა ხელიდან. მკითხველებს მკაცრ სამსჯავროზე მოაგონებს და მიუთითებს ებრაელების მაგალითზე, რომლებიც თუმცაღა ღმერთმა ეგვიპტის მონობისაგან გამოიხსნა, მაგრამ ურწმუნოებისათვის უდაბნოში ამოწყვიტა ისინი; წმ. იუდა მიუთითებს აგრეთვე ანგელოზებზე, რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი ბუნება და მარადიულ საკვეღით შეიბორკნენ; მკაცრი სამსჯავროს მაგალითად მოჰყავს აგრეთვე ქალაქები სოდომი და გომორი, რომლებიც სიძვისათვის მარადიულ ცეცხლს მისცა ღმერთმა. მწვალებელთაც იგივე დღე მოელით მათი ზმნობებისა და ხორციელი სიბილწეებისათვის, ხელისუფლების გმობისა და ძვირისმეტყველებისათვის (5-8). როდესაც მიხეილ მთავარანგელოზი მოსეს სხეულისათვის ეშმაკს ედავებოდა, მან კი არ განკიცხა იგი, არამედ მხოლოდ უფლის სახელით შერისხა. მწვალებლები და ცრუმოძღვრები ყველას კიცხავენ, ამიტომ მათ კაენსა და ვალაამზე მეტი უბედურება ელით (9-II); ენოქი მათ უწინასწარმეტყველებდა მათი სიტყვებისა და საქმეებისათვის საზღაურს (I2-I3). მოციქული გვასწავლის, რომ ამ ცრუმოძღვართა მსგავსი ადამიანები ყველათი და ყველაფრით უკმაყოფილონი და საკუთარ ვნებებს აყოლილნი არიან, და რომ მორწმუნენი მათ უნდა განერიდონ (I6-20). დასასრულ, მოციქული ადიდებს ღმერთს, რომელსაც ოდენ ხელეწიფება ყოველი დაცემულის აღდგინება და უბიწოდ დაცვა (24-25). ეპისტოლე თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი ცრუმოძღვართა სამხილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა თანამიმდევრულ კითხვისათვის. „ანგელოზნი იგი რომელთა არა დაიმარხეს თვისი იგი სამთავროი, არაძედ დაუტევეს სამკვიდრებელი მათი“ (მოციქ იუდას ეპისტოლე). ამ მაგალითით მოციქული ღვთის ნების უარმყოფელ ანგელოზებზე მიგვითითებს, რომელთაც თავიანთი ღირსება, პირვანდელი სიმაღლე არ დაინარჩუნეს. ამაში მათი ამპარტავნება და ღვთის ნების წინააღმდეგობა ჩანს. „თვის სამკვიდროს დატევება“ მათ თვითნებობას, ურჩობას მოასწავებს და ეს მათ ცოდვას აორკეცებს; რისთვისაც დაისაჯნენ: მარადიული საკვეღით წყვდიადში გამომწყვდეული ბოროტი ანგელოზები მოაკლდნენ ნათელს, სიხარულსა და თავისუფლებას.

შემდეგ მოციქულს ენოქის წინასწარმეტყველება მოჰყავს: „აჰა ესერა, მოვიდა უფალი ბევრეულითა წმიდათა მისითაითა ყოფად, სასჯელისა ყოველისათვისვე“. ენუქი ადამის ჩათვლით, მეშვიდე პატრიარქი იყო წარღვნამდელ პერიოდში. ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებიდან მის წინასწარმეტყველობაზე არაფერია ცნობილი. მაგრამ მსგავსად მოსეზე შედგენილი მრავალი თქმულებებისა ებრაელებმა ენუქზეც მრავალი ლეგენდა შექმნეს (აღბათ იმიტომ, რომ „დაბადებაში“ ენუქის ცხოვრება-გარდაცვალებაზე ძუნწი ცნობებია მოცემული. დაბად. V, 24). ეკლესიის ცხოვრების პირველ წლებში დიდად გავრცელებული იყო ენუქის აპოკრიფული ძეგლები, რომლებშიაც პატრიარქ ენუქის ვითომდა წინასწარმეტყველებები და მასზე შეკრებილი ცნობები იყო თავმოყრილი. ეკლესიის მამებმა მკაცრად აკრძალეს ხსენებული წიგნების ხმარება და იგი თანდათან სრულ დავიწყებას მისცეს. მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები შემორჩა საეკლესიო მწერლობას, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს ეთიოპურ თარგმანებში და რომლებიც გამოიყენებოდენ აბისინიელ ქრისტიანებში. ლაიპციგში, გერმანულ ენაზე გამოიცა თარგმანი დილამანის შენიშვნებით. ამ წიგნის მთელი შინაარსი დაცემულ ანგელოზებს ეხება

და მასში აღწერილია ნაირგვარი იდუმალი ამბები, რომლებიც თითქოსდა ღვთითწარგზავნილ ენუქს მიწასა და ზეცაზე მოგზაურობის ჟამს ეხილოს, როცა იგი ანგელოზებს მორჩილებას შეაგონებდა. ენუქის წიგნში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი წინასწარმეტყველური სიტყვები და სიზმრები ქვეყნის პირველ და მეორე სამსჯავროს შესახებ, ადამიანთა ხვედრსა და სიკვდილზე, ზეციური სასუფევლის საიდუმლოზე, მკვდართა აღდგომასა და მესიის მოსვლაზე. და ბოლოს, მოტანილია ენუქის შემაგონებელი და დამამშვიდებელი სიტყვა მტკიცე სარწმუნოებისა და ყოველგვარ განსაცდელში ჭეშმარიტების შენარჩუნებაზე; მოთხრობილია, რომ ერთხელ ენუქმა იხილა მომავალი სამსჯავრო და ამ ჩვენებისას ანგელოზმა ენუქს უთხრა ზუსტად ის სიტყვები, რომლებიც მოციქულ იუდას მოჰყავს ეპისტოლეში. ვარაუდობენ, რომ ჩვენს მიერ განხილული წიგნის ებრაული ან ბერძნული ვარიანტებით ისარგებლა მოციქულმა იუდამ ეპისტოლის წერისას. ნეტარი იერონიმე პირდაპირ ამბობს, რომ წმ. იუდას ეპისტოლე უარყვეს, რადგან მან დაიმოწმა ენუქის აპოკრიფული წიგნი. მაგრამ ძველი და ახალი განმარტებები მიიჩნევენ, რომ მოციქულ იუდას აღნიშნული წინასწარმეტყველება ენუქზე ზეპირგადმოცემებიდან მოჰყავს და ბოლოს იმდენად ქრისტიანულია აპოკრიფი, რომ იგი მე-2 საუკუნეზე ადრე ვერ დაიწერებოდა. მაშასადამე, არც წმ. იუდას შეეძლო ამ აპოკრიფიდან რაიმეს ამოღება. და კიდეც რომ ესარგებლა წმ. იუდას ამ აპოკრიფით, მაინც უტყუარად ჩაითვლება და არაფერი მოაკლდება ეპისტოლის ღირსებას. შესაძლოა სულაც სპეციალურად ისარგებლა მოციქულმა მწვალებელთა თხზულებით, რომ მათივე იარაღით დაემარცხებინა მოწინააღმდეგე და მათივე საპატიო წიგნიდან მოტანილი ადგილით თავისი ეპისტოლის ჭეშმარიტება დაემტკიცებინა. სხვა მოციქულებიც იქცეოდნენ ამგვარად. მაგ.

პავლე მოციქულს ცალკეული გამოთქმები ზოგარის წიგნიდან მოაქვს (ტიტ. I, II; შესაქმ. XVII, I7, 28; I კორინთ. XV, 33).

შეადგინა ეპისკოპოსმა ზ ო ს ი მ ე მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტურგიკული ცნობები

I. პარაკლისთა შესახებ. პარაკლისი არის საეკლესიო ლოცვა. ქართულში ასეთი სახელწოდება შემოვიდა ბერძნული სიტყვიდან -

მას აღვასრულებთ ორ შემთხვევაში: I. როდესაც ღმერთს, ყოველადწმიდა ღვთისმშობელს ან რომელიმე წმიდანს ვევედრებით რაიმე წყალობის მონიჭებას; 2. როდესაც ვმადლობთ მათ ჩვენზე გარდამოვლენილი რაიმე წყალობის გამო.

უეჭველია, რომ პარაკლისთა ლოცვის ჩვეულება ქრისტეს ეკლესიის პირველივე საუკუნეებიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ ქრისტიანები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქრისტესთვის წამებულთ, იკრიბებოდნენ მათ საფლავებზე და იქ აღასრულებდნენ ლოცვებს, ადიდებდნენ ღმერთს და ევედრებოდნენ წმიდა წამებულთ, რათა ისინი ყოფილიყვნენ მოწყალე შუამავალნი ღმერთსა და მორწმუნეთა შორის, სთხოვდნენ შეწევნას ამქვეყნიურ საქმეებში და სხვა. ასევე, ქრისტიანები არანაკლებ პატივს მიაგებდნენ არა მარტო ქრისტესთვის წამებით აღსრულებულთ, არამედ წამებათა დამთმენელთ და იმათ, ვინც არ წამებულან, მაგრამ თავიანთი ქრისტიანული, წმიდა ცხოვრებითა და მოღვაწეობით ღვთისგან განსაკუთრებული მადლი მიიღეს და ღვთაებრივი სიწმიდით შეიმოსნენ; ასევე პატივს სცემდნენ ძველი აღთქმის წმიდანთ (წინასწარმეტყველთ და სხვ.). დროთა განმავლობაში, როგორც უფრო და უფრო მდიდრდებოდა ქრისტიანული ღვთისმსახურება გარეგნულად და შინაარსობრივად, ასევე, ღვთისმსახურების ეს სახეობაც უფრო გამდიდრდა შინაარსობრივად, დაიხვეწა, ემოციური მხარეც მიემატა და სხვა. ამჟამად არსებობს მრავალი პარაკლისი, რომელთაგან ზოგი უცვლელადაა გა-

დათარგმნილი მსოფლიოს ყველა ეკლესიაში; არის პარაკლისთა ვარიანტებიც, ანუ პარაკლისის ერთი, საერთოდ მიღებული ტექსტის გარდა სხვა, იმავე წმიდანის სახელზევე შექმნილი პარაკლისი ამა თუ იმ ეკლესიაში; საზოგადო პარაკლისები, მაგალითად მოციქულთა, წინასწარმეტყველთა მიმართ და სხვა; არსებობს პარაკლისები ეროვნულ წმიდანთა მიმართ და სხვ.

ქართულ ეკლესიაში პარაკლისები ძირითადად ორ ნაბეჭდ წიგნშია თავმოყრილი. ესენია სამღვდელო დიდი ლოცვანი და წიგნი - საველრებელნი გალობანი. ორივე წიგნი დაბეჭდილია მრგვლოვანი და ნუსხური შრიფტით. ამათ გარდა არსებობს ძველად ცალცალკე, ნუსხურითა და მხედრული შრიფტით დაბეჭდილი პარაკლისებიც. ბოლო ხანებში ჩვენი ეკლესიის მიერ მხედრული შრიფტით დაიბეჭდა და იბეჭდება სხვადასხვა პარაკლისი და გამოიცემა ქართულ საეკლესიო კალენდართან ერთად ერთ წიგნად.

ქართულ ეკლესიაში ძირითადად ორი სახის პარაკლისი გვაქვს: I. ღვთის, ყოველდწმიდა ღვთისმშობლის და წმიდათა და სიწმიდეთა პარაკლისები, რომლებიც ერთნაირი წესით არიან დაწერილი, ანუ „კანონიანნი", სადაც ჩართულია ციკრის ლოცვის მსგავსად ძლისპირნი და ტროპარნი და სხვა; 2. „უკანონონი", ანუ ძლისპირ-ტროპართა გარეშე დაწერილნი.

ამათგან პირველი ჯგუფის პარაკლისები ზოგადად ასე არიან აგებულნი: ასამაღლებელი, დასაწყისი ლოცვები „მეუფეო ზეცათაოდან", I2-ჯერ უფალო შეგვიწყალენ; დიდება-აწდაჲ; მოვედით, თაყვანისვცეთ, სამჯერ; I42-ე ფსალმუნი; ღმერთი უფალი - თავისი მუხლებით; ტროპარნი; 50-ე ფსალმუნი; I და მე-3 ძლისპირ-ტროპარნი; გვიხსენ განსაცდელთაგან... მოიხილე ჩვენს ზედა... კვერექსი - „შეგვიწყალენი" ასამაღლებითურთ; პარაკლისის წარდგომა; მე-4, მე-5 და მე-6 ძლისპირ-ტროპარნი; კვლავ გვიხსენ განსაცდელთაგან... მოიხილე

ჩვენს ზედა... მცირე კვერექსი ასამაღლებლითურთ; კონდაკი; სახარების წარდგომა; რამეთუ წმიდა ხარ... ყოველი სული და სხვაჲ სახარება და მეოხებითანი; გერი; აცხოვნეჲ... 12-ჯერ უფალო შეგვიწყალენ; წყალობითა და მოწყალებითა... მე-7, მე-8 და მე-9 ძლისპირტროპარნი... ღირსარსი; - ამ დროს მღვდელმან აკმიოს; ტროპარნი; წმიდაო ღმერთო და სხვაჲ, მამაო ჩვენოს ჩათვლით; მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ... დიდებაჲ; უფალო, შემიწყალენ ჩვენ... აწდაჲ, მოწყალებისა კარი განგვიღე... შეგვიწყალენი ასამაღლებლითურთ, მუხლთმოდრეკით სათქმელი ლოცვა; ჯვარზე ან ხატზე მთხვევის ჟამს საგალობელი.

მეორე ჯგუფის პარაკლისები, ანუ საცევრებელნი გალობანი ასეთნაირად არიან აგებულნი: ასამაღლებელი - კურთხეულ არს მეუფება... ამინ. მოვედით, თაყვანის ვსცეთ... - სამგზის; 64-ე ფსალმუნი; მშვიდობიანი კვერექსი დამატებული მუხლებითა და ასამაღლებლით; ღმერთი უფალი... - მუხლებითურთ; ტროპარნი; წარდგომა სამოციქულოსი; სამოციქულო, სახარება; მეყსეულად ითქმის „შეგვიწყალენი" დამატებული მუხლებითურთ; შეისმინე ჩვენი... რამეთუ მოწყალე... მუხლთმოდრეკის ლოცვა და განტევება. ამ ჯგუფის პარაკლისთა დასასრული ერთმანეთისაგან განსხვავდება. მაგალითად, ზოგის განტევებამდე დიდება-მაღალიანი ანუ სხვა საგალობელი ითქმის და სხვა. ეს ყველაფერი თითოეულ პარაკლისშია აღნიშნული.

პარაკლისთაგან ერთი ნაწილი აღესრულება მორწმუნის ან მორწმუნეთა ჯგუფის თხოვნით. მაგალითად, პარაკლისი წმიდა იოანე ნათლისმცემელისა, მთავარანგელოზთა, წმიდა ნიკოლოზისა და სხვა. არსებობს პარაკლისები, რომლებიც წელიწადში მარტო ერთხელ აღესრულებიან და ისიც საზოგადო ლოცვის ჟამს, მაგალითად, „საცევრებელი ლოცვა ახლისა წელიწდისა" და სხვა.

მეორე ჯგუფის პარაკლისები შეიძლება ვილოცოთ წირვა-ლოცვები-

საგან დამოუკიდებლად, სხვა, თავისუფალ დროს; შეგვიძლია მწუხრის ან ცისკრის ლოცვას მოვაბათ ჩამოლოცვის შემდეგ და შეიძლება წირვაშიც ჩავურთოთ.

პირველი ჯგუფის პარაკლისები უმეტესად წირვა-ლოცვის შემდეგ გადაიხდება ხოლმე, ანდაც სხვა, თავისუფალ დროს.

მორწმუნე ერისკაცებმა პარაკლისი შეიძლება გადაიხადონ როგორც მღვდლის, ანუ მღვდელმთავრის მიერ შესრულებით, ასევე უიმათოდ, პირადად. ამასთან დაკავშირებით, პარაკლისთა გადახდის წესიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზემოთ ზოგადად აღვნიშნეთ პარაკლისთა ლოცვის წესი, როდესაც მღვდელმსახური ასრულებს მას, მაგრამ უკეთუ პარაკლისს მორწმუნე იხდის უმღვდელმსახუროდ, ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ პირველი ჯგუფის პარაკლისთა ლოცვა შეუძლია და ისიც შემდეგნაირად:

ერისკაცი: სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ამინ. დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა. მეუფეო ზეცათაო... და ა. შ. - მამაო ჩვენოს ჩათვლით, ასამაღლებლის გარეშე. 12-ჯერ - უფალო შეგვიწყალენ; დიდება-აწდაჲ; ამის შემდეგ ყველაფერი ითქმის ზემოაღნიშნულისებრ; წავიკითხავთ I და მე-3 ძლისპირ-ტროპარებს; გვიხსენ განსაცდელთაგან... მოიხილე ჩვენს ზედა... კვერექს-„შეგვიწყალენისა" და ასამაღლებლის მაგიერ ითქმის მარტო უფალო შეგვიწყალენ - 15-ჯერ; შემდეგ წაიკითხება ყველაფერი, ხოლო მე-6 ძლისპირ-ტროპართა შემდეგ სათქმელი მცირე კვერექსის, ანუ - „მერმე და მერმესა" და ასამაღლებლის მაგივრად ითქმის კვლავ მარტო უფალო შეგვიწყალენ, - სამჯერ; ამის შემდეგ წაიკითხება ყველაფერი, სახარების წარდგომამდე, წარდგომისას არ ითქმის მღვდლის მიერ სათქმელნი, როგორიცაა უფლისა მიმართ ვიღოცოთ და რამეთუ წმიდა ხარ... არამედ აქაც მხოლოდ სამჯერ იტყვის მკითხველი. უფალო შეგვიწყალენს. შემდეგ სახარება წაიკითხება და მის შემდგომი, ვიდრე აცხონემდე. აცხონე ღმერთოს მაგიერ ითქმის 13-

ჯერ უფალო შეგვიწყალენი. წაიკითხება შემდგომი ძლისპირ-ტროპარნი, ხოლო ბოლო კვერექს-„შეგვიწყალენის“ მაგივრად ითქმის 40-ჯერ უფალო შეგვიწყალენი. ამის შემდეგ ყველაფერი წაიკითხება, მაგრამ ჩამოლოცვას არ იტყვის, არამედ მის მაგივრად იტყვის: „სასოებად ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სულიწმიდა, სამებაო წმიდაო, დიდება შენდა!“

ერისკაცს შეუძლია მუხლთმოდრეკის ლოცვაში ჩაურთოს და ისე მოიხსენიოს სხვათა სახელებიც, რომელთათვის ვედრებას აღასრულებს იგი.

უკეთუ ვინმეს ენებება ყოველდღე პარაკლისის ლოცვა, მიღებულია ასეთნაირად ილოცოს კვირის დღეთა მიხედვით:

ორშაბათს – ანგელოზთა ან მთავარანგელოზთა პარაკლისი;

სამშაბათს – წმიდა იოანე ნათლისმცემლისა;

ოთხშაბათს – ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა;

ხუთშაბათს – მოციქულთა;

პარასკევს – ჯვარისა;

შაბათს – რომელი წმიდანის დღეც გათენდება – მოწამისა ანუ წინასწარმეტყველისა და სხვა;

კვირას – იესო ტკბილის პარაკლისი.

გარდა ამისა, კარგი იქნება, უკეთუ ამა თუ იმ წმიდანის ხსენების დღეს მის პარაკლისსაც ვილოცებთ.

უკეთუ ჩვენთვის სასურველი წმიდანის პარაკლისი არა გვაქვს ან ასეთი პარაკლისი არ არსებობს, მაშინ ვილოცებთ საზოგადო პარაკლისს და მასში ჩავურთავთ ამ წმიდანის სახელს. ე. ი. ვთქვათ, გვინდა ვილოცოთ წმიდა გალაქტიონის პარაკლისი. წმდა გალაქტიონი მოწამეა, ე. ი. ვილოცებთ მოწამეთა საზოგადო პარაკლისს და შიგ ჩავურთავთ ამ წმიდანის სახელს. ანდა, უკეთუ ჯვსურს მოციქულთა სწორის პარაკლისი გადავიხადოთ, – ვილოცებთ მოციქულთა პარაკლისს და სხვა.

უკეთუ ვინმეს ენებება ერთდროულად ორი წმიდანის პარაკლისის

გადახდა, იღოცებს ასეთნაირად: ჩვეულებრივ დაიწყებს ლოცვას, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ პირველი ჯგუფის პარაკლისებში, ტროპარს, I და მე-3 გალობებს, მე-3 საგალობლის შემდეგ წარდგომას; მე-4, მე-5 და მე-6 გალობებს; სახარების წინ კონდაკს; სახარების წარდგომას; სახარებას; მის შემდეგ დიდება-აწდაში ჩასართველს; გერს; მე-7, მე-8 და მე-9 საგალობლებს; ღირსარსის შემდეგ ტროპარებს; მუხლთმოდრეკის ლოცვებსა და ჩამოლოცვის შემდგომ საგალობლებს ორივე პარაკლისისას წაიკითხავენ და იგალობებენ ერთდროულად. ამათგან პირველად წაიკითხავენ უპირატესი წმიდანისას. მაგალითად, უკეთუ ვლოცულობთ მოციქულისა და ღირსის პარაკლისებს, ჯერ წავიკითხავთ მოციქულის ტროპარს, მერე - ღირსისას; ჯერ წავიკითხავთ მოციქულის პარაკლისის პირველ გალობას, მერე - ღირსისას და ა. შ.

პარაკლისთა გადახდისას აუცილებელია შემდეგის ცოდნა:

I. ლოცვა - „მეუფეო ზეცათაო" არ ითქმის ქრისტეს აღდგომის დღიდან დაწყებული 50 დღის განმავლობაში, ანუ სულთმოფენის დღემდე. სულთმოფენობის, ანუ სულიწმიდის დღეს საღამოთი ეკლესიებში შესრულდება მწუხრის ლოცვა სამი დიდი მეტანიითა და მუხლთმოდრეკის ლოცვით და იმ უამიდან შეიძლება პარაკლისებისა თუ სხვა რამ ლოცვისას ვიღოცოთ „მეუფეო ზეცათაო".

2. ბრწყინვალე შვიდეულში, ანუ ქრისტეს აღდგომიდან დაწყებული იმავე კვირის შაბათის საღამომდე არ ითქმის არა მარტო „მეუფეო ზეცათაო", არამედ მისი მომდევნო სხვა ლოცვებიც. მათ მაგივრად იგალობება „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით..." - სამგზის.

3. ბრწყინვალე შვიდეულშივე დაიყენება ყველა სხვა პარაკლისთა გადახდა და იღოცება მხოლოდ ქრისტეს აღდგომის პარაკლისი. უკეთუ ამ დღეებში დაემთხვევა რომელიმე დიდი წმიდანის დღესასწაული, მაგალითად, წმიდა გიორგისა, მაშინ კვლავ ქრისტეს აღდგომის პარაკლისი იღოცება, მაგრამ ზოგი რამ საგალობელი ჩაერთვება წმიდა

გიორგის პარაკლისიდან.

4. ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი დღის საღამოდან დასაწყის ლოცვებს ვიწყებთ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“-ის სამგზისი გალობით, ამის შემდეგ ვიტყვით „წმიდაო ღმერთოს“ და მის შემდეგ ჩვეულებრივად „მამაო ჩვენოს“, და ასე ვილოცებთ აღდგომის დღესასწაულის წარგზავნამდე, ანუ ამაღლების დღესასწაულის წინა დღემდე.

5. ქრისტეს ამაღლების დღესასწაულის წინა საღამოდან დაწყებული ვიდრე სულიწმიდის მოფენის, ანუ სულთმოფენობის დღის საღამომდე დასაწყის ლოცვებს ვიწყებთ პირდაპირ „წმიდაო ღმერთოდან“.

6. „ღირსარსი“ ყოველთვის არ იგალობება, არამედ ქრისტეს აღდგომიდან ამაღლების წინა დღემდე იგალობება „ანგელოზი ღაღადებს..“, „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ...“; ამაღლებიდან ამაღლების დღესასწაულის წარგზავნამდე იგალობება ამ დღესასწაულის მეცხრე საგალობლის ძღისპირი და სხვა. ამიტომაც მორწმუნემ დაწვრილებით უნდა წინდაწინ გაიგოს ხოლმე თავისი მოძღვრისაგან, თუ ახლო ხანებში რა საგალობელი იცვლება.

7. უნდა ვიცოდეთ, რომ დაჩოქება არ შეიძლება შემდეგ დღეებში:

ა) ქრისტეს აღდგომიდან დაწყებული ვიდრე სულიწმიდის მოფენის დღის მწუხრის ლოცვამდე, ანუ 50 დღის განმავლობაში.

ბ) საუფლო დღესასწაულებში: ბზობას, ამაღლებას, სულთმოფენობას, ნათლისღება-განცხადებას, მირქმას, ხარებას, ფერიცვალებას, ღვთისმშობლის მიძინებას, ანუ სიონობას, ღვთისმშობლის შობას, ჯვართამაღლებას, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებასა და ქრისტესშობას.

გ) ყოველ კვირა დღეს და შაბათ საღამოს.

აქედან გამომდინარე არ შეიძლება პარაკლისების გადახდისას მუხლთმოდრეკის ლოცვების წაკითხვისას დაჩოქება არც მღვდელმსახურის და არც ერისკაცის. ამ დღეებში მუხლთმოდრეკის ლოცვას ვკითხულობთ და ვისმენთ ზეზე მდგომნი, თავდახრილნი და ხელების ჯვარედინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკავებელნი მკერდზე.

პარაკლისს ვიხდით სხვა და სხვა მიზეზით:

ა) ამა თუ იმ წმიდანის ხსენების დღეს;

ბ) ჩვენი მფარველი წმიდანის დღეს. მაგალითად, ვისაც ნიკოლოზი ჰქვია, იგი წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულზე ილოცებს ამ წმიდანის პარაკლისს; ვინც ატარებს წმიდა დავით გარეჯელის სახელს, იგი მამადავითობას ილოცებს მამა დავითის პარაკლისს და სხვა.

გ) ჩვენი დაბადების დღეზე ვიხდით ან ჩვენი სახელწოდების წმიდანის პარაკლისს, ან ჩვენი საგვარეულო სალოცავის წმიდანის პარაკლისს, ან იმ ტაძრის წმიდანის პარაკლისს, სადაც ძირითადად ვლოცულობთ ხოლმე, ან სხვა რომელიმე წმიდანის პარაკლისს, რომლისადმი განსაკუთრებული სულიერი წყურვილი გვექნება და სხვა.

დ) რაიმე დიდი და კეთილი საქმის დაწყების წინ ვილოცებთ იმ წმიდანის პარაკლისს, რომელსაც, წმიდა მამათა სწავლებითა თუ გადმოცემით, ღვთისგან აქვს მინიჭებული ამა თუ იმ საქმეში განსაკუთრებით შესაწევნი მადლი.

ე) როდესაც გვსურს ჩვენი ოჯახის წევრთათვისა თუ მოყვასთათვის ვილოცოთ. მაგალითად, როცა ჯარისკაცისთვის ვევედრებით, ჩვეულებრივად მიღებულია, რომ ვილოცოთ წმიდა გიორგის ან წმიდა იოანე მხედრის პარაკლისი და სხვა.

ვ) პარაკლისს ვიხდით არა მარტო რაიმე თხოვნის შესრულებისათვის, არამედ ამ თხოვნის შესრულებისასაც, ანუ სამადლობელ პარაკლისს. მაგ., უკეთუ წმიდა გიორგის შევევედრეთ რაიმე და თხოვნა შეგვისრულდა, აუცილებლად ამ წმიდანის სახელზე უნდა ვილოცოთ სამადლობელი პარაკლისი.

არსებობს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეორე ჯგუფის პარაკლისებიც, რომელთაც ქართულად ჰქვია „სავედრებელნი გალობანი". ეს გალობანი

დაბეჭდილია მრგვლოვან- ნუსხური შრიფტით თბილისში 1889 წელს და მასში არის შემდეგი საეკლესიო: ახალი წლისა, როდესაც ყრმა ანუ ბავშვი სწავლას იწყებს; ომიანობის ჟამს; უწვიმრობისას; დიდი და გადუღებელი წვიმისას; მგზავრობის მნებებელთათვის; ჭის ამოთხრისას; თხოვნის შესრულებისას სამადლობელი ლოცვა და სხვანი. პირველად ნახსენებ პარაკლისთაგან განსხვავებით, ესენი უშუალოდ მღვდლის ან მღვდელთმთავრის მიერ გადაიხდებიან ეკლესიაში მწუხრის და ცისკრის ლოცვათა შემდეგ, წირვის შემდეგ ან წირვაში ჩართვით და საერო კანონმდებლობით დასაშვებ ყოველ ადგილას, მაგ., მორწმენეთა ბინებში და სხვა.

აქ ნახსენებ პარაკლის-საეკლესიოთა გარდა მე-19 საუკუნიდან რუსეთის ეკლესიაში და იქიდან კი ჩვენთან შემოვიდა წესად მცირე პარაკლისის ლოცვა. მუდამ აჯობებს ზემოთ ნახსენები ორივე სახის პარაკლისთა სრულად, შეუმოკლებლად ლოცვა, მაგრამ უკეთუ რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ ხერხდებოდეს ვრცელი პარაკლისის გადახდა, როგორიცაა მღვდელმსახურის გადაღლა, ფიზიკური უძლურება, უკეთუ თავად მორწმუნე ჩქარობს და სხვა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მცირე პარაკლისის გადახდა.

მცირე პარაკლისის ტიპიკონი ასეთია:

მღვდელმა ანუ მღვდელმთავარმა: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...

მკითხველმა, მგალობელმა ანუ თავად მლოცველმა ერისკაცმა: ამინ. მეუფეო ზეცათაო... და შემდგომი, მამაო ჩვენოს ჩათვლით.

მღვდ. - რამეთუ შენი არს სუფევა...

მგალ. - ამინ.

მღვდ. - ღმერთი უფალი... - თავისი მუხლებით.

მგალ. - თითოეული მუხლის შემდეგ გალობს პირველსავე მუხლს - ღმერთი უფალს, ამის შემდეგ ერთხელ იგალობებს იმ წმიდანის ტროპარს, ვის პარაკლისსაც ლოცულობენ.

მღვდ. – იტყვის გალობით სამჯერ იმ წმიდანის საევედრებელს, ვის მიმართაც ლოცულობენ. მაგ., უკეთუ ლოცულობენ წმიდა გიორგის პარაკლისს, იგალობებს: წმიდაო მთავარმოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის.

მგალ. – მღვდლის თითოეული გალობის შემდეგ იმეორებს მასვე.

მღვდ. – დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მგალ. – აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღვდ. – იტყვის სახარების იმ წარდგომას, რომელი წმიდანის პარაკლისსაც იხდის. უფლისა მიმართ ვიღოცოთ. უფალო შეგვიწყალენ. რამეთუ წმიდა ხარ, შენ, ღმერთო ჩვენო... ამინ. ყოველი სული აქებდით უფალსა და შემდგომი. წაიკითხავს სახარებას.

სახარების შემდეგ:

მგალ. – დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა.

მღვდ. – სამჯერ იგალობებს საევედრებელს, როგორც უკვე ითქვა. მაგ., წმიდაო მთავარმოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის.

მგალ. – მასვე გაიმეორებს თითოეული გალობის შემდეგ.

მღვდ. – დიდება მამასა და ძესა და წმიდა სულსა.

მგალ. – აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ...

მღვდელი ამ დროს აკმევს შემდეგნაირად: ხატს, რომლის წინაშეც ლოცულობენ, – ირგვლივ, ავა ამბიონზე და თუ აღსავლის კარები ღია აქვს, შევა საკურთხეველში აღსავლის კარებიდან და აკმევს საკურთხეველს, გამოვა აღსავლის კარებიდანვე, აკმევს კანკელის მაცხოვრის ხატს, მერე – ღვთისმშობლისას, შემდეგ მაცხოვრის ხატის გვერდითა ხატებს, შემდეგ ღვთისმშობლის ხატის გვერდითა ხატებს, ხალხს აკმევს ამბიონიდან, – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, შებრუნდება კანკელისაკენ, აკმევს მაცხოვრის ხატს, ღვთისმშობლის ხატს,

ამბიონიდან ჩამოვა, სამჯერ აკმევს იმ ხატს, რომლის წინაშეც ლოცულობდნენ და ამით დაამთავრებს კმევას.

მღვდ. - შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გევედრებით, ისმინე ჩვენი და შეგვიწყალენ.

მგალ. - უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის.

მღვდ. - მერმეცა გევედრებით ღვთივდაცულისა ერისა ჩვენისა, მთავრობისა და მხედრობისა მათისათვის.

მგალ. - უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის იტყვის.

მღვდ. - მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩვენისა ილიასათვის, და მაღალყოვლადუსამღვდელოესისა (ანუ - ყოვლადუსამღვდ...) ... (აქ ახსენეთ ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი და ისინიც, ვინც ლოცვის ჟამს იქ იქნებიან), პატიოსანთა მღვდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა და ყოვლისა სამღვდელოისა დასისა და ერისა მათისათვის.

მგალ. - უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის.

მღვდ. - მერმეცა გევედრებით წყალობისა, სიცოცხლისა, სარწმუნოებისა, სინანულისა, სიყვარულისა, ცოდვათა შენდობისა და კეთილად წარმართებისათვის ჟამთა და წელთა ცხორებისა მათისათვის მონათა და მხევალთა ღვთისათა... (აქ მოიხსენეთ სახელდებით ისინი, ვისთვისაც ლოცულობდეთ).

მგალ. - უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის.

მღვდ. - შეისმინე ჩვენი, ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო... რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ...

მგალ. - ამინ.

მღვდ. - მერმე და მერმე მუხლთმოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგალ. - უფალო შეგვიწყალე, - სამგზის.

მღვდ. - წაიკითხავს მუხლთმოდრეკის ლოცვას.

მგალ. - ამინ.

მღვდ. - სიბრძნით. ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ.

მგალ. - უპატიოსნესსა ქერუბიმთასა...

მღვდ. - დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა.

მგალ. - დიდება-აწდაჲ, უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის; გვაკურთხენ.

მღვდ. - ჩამოიღოცავს იმ წმიდანის მოხსენებით, ვის მიმართაც ლოცულობდნენ.

მგალ. - ამინ. უფალო შეგვიწყალენ, - სამგზის.

მღვდელი და მლოცველნი ემთხვევიან ხატს, მღვდელი თავადაც ისხურებს და მლოცველთაც ასხურებს ნაკურთხ წყალს, დამოძღვრავს მლოცველთ და განუტევებს.

პარაკლისები შეიძლება ვიღოცოთ წყლის კურთხევითაც. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად ვლოცულობთ იმ წმიდანის ვრცელ პარაკლისს, რომლის მიმართაც ერისკაცს ჰსურს ლოცვა, დავასრულებთ მე-9 გალობას თავისი ძლისპირებითა და ტროპარებით და აქედან მოვაბამთ მცირე აიაზმას შემდეგნაირად:

მგალობლები: მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, - სრულად.

მღვდელი: უფლისა მიმართ ვიღოცოთ.

მგალ. - უფალო შეგვიწყალენ.

მღვდ. - რამეთუ წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩვენო...

მგალ. - ამინ, და ტროპარნი: აჰა, წარმოსდგა ჟამი ყოველთა განწმედისაჲ და მართლმსაჯული მიგველის ჩვენ... - აქედან დაწყე-

ბული წაიკითხება ყველა შემდგომი საკითხავი და საღოცავი მცირე აიაზმისა.

პარაკლისს წყლის კურთხევით მხოლოდ მღვდელმსახური აღასრულებს. ეს ლოცვა ვეუფლებრივად სრულდება ხოლმე ან თავად მღვდელმსახურის სურვილით და ანდაც მორწმუნე ერისკაცისა თუ ერისკაცთა თხოვნით. ჩვეულებრივად, პარაკლისი წყლის კურთხევით სრულდება ხოლმე წირვის შემდეგ, ზედმობმით, მას შემდეგ, როდესაც მღვდელი იტყვის ამბიონის ლოცვას: „რომელი აკურთხევ მაკურთხეველთა შენთა, უფალო...". შეიძლება წირვის გარეშეც, სხვა დროს შესრულდეს ეს ლოცვა.

პარაკლისს წყლის კურთხევითურთ მორწმუნეთა თხოვნით მღვდელი ასრულებს მათი სახლისა თუ ბინების კურთხევისასაც. ასეთ შემთხვევაში მღვდელი ამ წესით შეასრულებს მცირე აიაზმას და ზედ მოაბამს სახლის კურთხევის ლოცვას.

პარაკლისი წყლის კურთხევით შეიძლება შესრულდეს სახლის საძირკვლის გათხრისასაც და ყველა სხვა შემთხვევაში, როცა მღვდელს ან ერსკაცს ენებებათ რომელიმე პარაკლისის გადახდა როგორც ეკლესიაში, ასევე მათ საცხოვრებელ ბინებში.

როგორც ეკლესია გვასწავლის, რომელი პარაკლისის გადახდაც ენებება ვინმეს - „...სახელდობრ ვისიცა ვის ენებოს დღესა შობისა მისისა, გინა ნათლისღებისა მისისა, ანუ თუ მარტივთა დღეთა შინა, ყოველად-პატიოსან, ღვთივ-სათნო და ფრიად კეთილ არს გარდახდაჲ ამათი, ვითარცა უძვირფასესთა და საკმეველთა მსგავსთა ლოცვათა, ვითარცა აღასრულებენ რუსნი და ბერძენნი თვისთა მართლმადიდებელთა ეკლესიათა შინა".

2. <u>დავითნის კითხვის წესი ერისკაცთათვის</u>. ერისკაცი სამჯერ დაიწერს პირჯვარს და იტყვის: ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ. მეუფეო

ზეცათაო... წმიდაო ღმერთო... ყოვლადწმიდაო სამებაო... მამაო ჩვენო...

ამ, ანუ დასაწყის ლოცვათა თქმის შემდეგ იტყვის: მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოველისავე სიტყვის მაცემისაგან ულონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ, მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

პატიოსნისა წინასწარმეტყველისა შენისა მიერ - უფალო, ცაჲ ეკლესიად გამოაჩინე, რათა კაცნი ანგელოზთა თანა ვიხარებდეთ, მისითა ვედრებითა, ქრისტე ღმერთო ჩვენო, სოფელსა მშვიდობა გარდამოუვლინე, და ცხოვრება ესე ჩემი მშვიდობით განაგე, რათა გიგალობდე შენ: აღიღუია.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩვენთანი, წმიდაო ღვთისმშობელო, შენდა მოვიღტვით, ქალწულო უბიწოო, და ვითხოვთ წყალობასა, მოხედენ წყლულებასა ზედა სულისა ჩემისასა, ევედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა მოტევებად ურიცხვთა მათ ბრალთა ჩემთა, მხოლოო კურთხეულო.

ამის შემდეგ ერისკაცი ორმოცჯერ იტყვის უფალო შეგვიწყალენს. შემდეგ დაიჩოქებს იმდენჯერ, რამდენჯერაც სული მოსთხოვს და შეეძღება და იტყვის წმიდისა და ცხოველმყოფელი სამების ლოცვას:

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო, ერთღვთაებაო, შემოქმედო ყოველისა სოფლისაო, შემწე მეყავ მე ჟამსა ამას, განახვენ გონებაჲ ჩემი გულისხმისყოფად, რათა გონიერად და გულსმოდგინედ ვიწყო აღსრულებად კეთილთა საქმეთა და აღმოვსთქვნე ღვთისმეტყველებანი ამის წიგნისანი, რომელი სთქვენ სულითა შენით წმიდითა პირითა დავითისითა, რომელ აწ მნებავს თქმად მე ულირსსა, რათა გონიერ ვიქმნა და ვსცნა ძლიერება შენი. ამისთვის შეგივრდები და გევედრები შენ,

რათა მომიტევნე უსჯულოებანი ჩემნი, რამეთუ შენ მიერ ვითხოვ შეწევნასა, უფალო, განაბრძვნე გონებაჲ ჩემი და დაამტკიცე გული ჩემი შიშსა შენსა, რათა დაუცხრომელად გაქებდე და გიგალობდე ბაგითა ჩემითა და ვსცნა საიდუმლონი ესე სიტყვანი, და სიხარულით განვემზადო კეთილთა საქმეთა ზედა, და ვისწავლნე მცნებანი შენნი' და აღვასრულო ნება შენი და საქმითა კეთილითა განბრწყინვებული ღირს ვიქმნე წარდგომად სამსჯავროსა მას საშინელსა, დგომად წმიდათა რჩეულთა შენთათა; აწ, მეუფეო, მაკურთხე, რათა სულთ ვითქვნე გონებითა და გიგალობდე ენითა ჩემითა და ვსთქვა ესრეთ: მოვედით, თაყვანის ვჰსცეთ მეუფესა ღმერთსა ჩვენსა; მოვედით, თაყვანის ვჰსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა; მოვედით, თაყვანის ვჰსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა.

ამის შემდეგ მკითხველი მცირედ დადუმდება, გაირინდება და შინაგანად უმეტესად განეწყობა კითხვა-ლოცვისათვის, ხოლო იგრძნობს რა ღვთისგან კურთხევას, შემდგომ ამისა დაიწყებს დავითნის კითხვას, არა აჩქარებით, არც ნელა და ზოზინით, არამედ საშუალოდ, მდაბალი ხმით, გარკვევით და თავადაც ყურს დაუგდებს სიტყვებს, მათს შინაარსს.

დავითნს ვკითხულობთ სამი ძირითადი მიზეზით:

1. ვაქებთ ღმერთს და ვევედრებით მას, ვინანით ცოდვებს და ვმადლობთ მოწყალებისა გამო;

2. როცა საგანგებოდ ვინმეს საჯანმრთელოდ, ანუ კეთილწარმართებული ქრისტიანული ცხოვრება-მოღვაწეობისათვის ვლოცულობთ;

3. როცა მიცვალებულთა განსვენებისათვის ვლოცულობთ.

სამივე შემთხვევაში ასეთნაირად ვიწყებთ ლოცვას, ანუ კითხვას დავითნისას.

უკეთუ ვინმეს საჯანმრთელოდ ანუ განსვენებისათვის ვლოცულობთ,

მაშინ დავითნში ჩავურთავთ დამატებით შესაბამის ლოცვებს.

დავითნის 150 ფსალმუნი ოც კანონად იყოფა, თითოეული კანონი კი სამ დიდებად, ანუ სამ ჯგუფად. თითოეული კანონის პირველი ორი ჯგუფის, ანუ დიდების დასასრულს ასე ვლოცულობთ: წავიკითხეთ ფსალმუნები, შემდეგ ვამბობთ: დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო. უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ. დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. ამის შემდეგ განვაგრძობთ ფსალმუნთა ანუ შემდეგი დიდების კითხვას. როცა კანონთა კითხვას დავასრულებთ, მაშინ ვიტყვით კვლავ დიდება აწდას და ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

უკეთუ ვინმეს უშუალოდ ვახსენებთ კითხვისას საჯანმრთელოდ ანუ განსვენებისათვის, მაშინ მიღებულ ლოცვებს ჩავურთავთ ან ყოველი დიდების შემდეგ, ან კანონის დასასრულს დიდების შემდეგ, როგორც მკითხველს ენებება. ეს ასე ხდება: როცა ვიტყვით დიდება აწდას, ალილუიას და შემდგომს, და ბოლოს კვლავ „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა", - აქ წავიკითხავთ საჭირო ლოცვას სახელდებით მოხსენიებით იმათი, ვისთვისაც ვლოცულობთ, შემდეგ განვაგრძობთ: აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ, და განვაგრძობთ დავითნის კითხვას. უკეთუ ლოცვებს ჩავურთავთ კანონის დასასრულს, მაშინ ჩვეულებრივად დავასრულებთ დავითნის კანონს თავისი დიდება აწდა და ალილუიათი და სულ ბოლოს წავიკითხავთ ლოცვას.

ლოცვა მიცვალებულთათვის:

მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთანი, მშობელთა ჩემთანი და ყოველთა ტომ-მონათესავეთა ჩემთანი, სულიერთა და ხორციელთანი (აქ მოიხსენიებთ სახელებით მათ, ვისთვისაც ლოცულობთ), და სასოებით მკვდრეთით აღდგომისა და საუკუნოჲსა ცხორებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა, დედათა და დათანი, მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება.

ანუ ესე: წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულთა მონათა და მხევალთა შენთასა (აქ მოიხსენიეთ სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხორება იგი დაუსრულებელი.

ლოცვა ცოცხალთათვის:

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მშობელნი ჩემნი, ძმანი და ყოველნი ნათესავნი ჩემნი, სულიერნი და ხორციელნი (მოიხსენიე სახელები), და ყოველნი მახლობელნი და მეგობარნი ჩემნი და მიანიჭე მათ მშვიდობა შენი და აღავსენ იგინი ყოვლითა კეთილითა.

უკეთუ სასულიერო პირთათვის ევედრებოდეთ, იტყვით:

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე, მამაჲ ჩვენი ილია, ყოვლადსამღვდელონი მღვდელმთავარნი, პატიოსანნი მღვდელნი და დიაკონნი (აქა თითოეული ხარისხის ხსენებისას ჩაურთავთ მათ სახელებს) და ყოველნივე ზიარნი ეკლესიისანი, რომელნი დაადგინენ მწყსად სიტყვიერთა ცხოვართა შენთა ზედა და ლოცვითა მათითა მეცა, ცოდვილი, შემიწყალე და მაცხოვნე.

დავითნის წაკითხვა-ლოცვა შეიძლება სრულიად წლის განმავლობაში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, სახლში, ეკლესიაში და სხვა. გა-

მონაკლისია ბრწყინვალე შვიდეული, ანუ აღდგომიდან პირველი კვირა - შვიდეული. იმ დღეებში დავითნის კითხვა დაიყენება. შეიძლება მხოლოდ მიცვალებულთათვის ლოცვა და მაშინაც სააღდგომო ცვლილებით, ანუ შემდეგნაირად:

ვიტყვით - ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა... შემდეგ სამჯერ ვიგალობებთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით... აღარ ვიტყვით „მეუფეო ზეცათაოს" და მის შემდგომს, „მამაო ჩვენოს" ჩათვლით, არც მეტანიებს გავაკეთებთ, არამედ ვიტყვით დასაწყისი ლოცვების შემდგომ სათქმელ ლოცვებს, ხოლო დავითნის კითხვის დასასრულს ვიგალობებთ კვლავ სამჯერ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით..., სრულიად.

როცა დავითნს ვკითხულობთ საჯანმრთელოდ ანუ ზოგადად, მაშინ კითხვას ვიწყებთ პირველი კანონიდანვე, პირველი ფსალმუნით: „ნეტარ არს კაცი..."

უკეთუ მიცვალებულთათვის ვკითხულობდეთ, ქართულ ეკლესიაში ძველთაგანვე მიღებულია, რომ კითხვა დავიწყოთ მე-17 კანონიდან - „ნეტარ არიან უბიწონი". რომლის დამთავრების შემდეგ კითხვას განვაგრძობთ უკვე პირველი კანონიდან და ასე დავასრულებთ დავითნს.

ყველა შემთხვევაში შეიძლება დავითნის ერთდროულად, მთლიანად წაკითხვა შეუსვენებლივ, ანდაც დღეში ერთი ან რამდენიმე კანონისა, ეამგამოშვებით. ასეთ შემთხვევაში, როცა დავითნის კითხვას ხელახლა ვიწყებთ, თითოეული წაკითხვის წინ ზემოაღნიშნულ მოსამზადებელ ლოცვებს ვკითხულობთ, რომლის შემდეგ კითხვას განვაგრძობთ იმ ადგილიდან, რა ადგილზეც შევწყვიტეთ კითხვა.

უკეთუ დავითნს ერთ ადგილზე ჯგუფურად, ანუ შენაცვლებით კითხულობდნენ, მაშინ დამწყები მკითხველი იტოცებს მოსამზადებელ ლოცვებს, სხვები გულისყურით მოისმენენ და თან ილოცვენ, შემდეგ ერთი წაიკითხავს დავითნის ერთ კანონს, მეორე წაიკითხავს შემდგომს და ასე შემდეგ, ე. ი. ასეთ დროს თითოეული განმაგრძელებელი კითხვი-

საკ პირდაპირ განაგრძობს კითხვას, საგანგებოდ, ხელახალი საღოცავად მომზადების გარეშე.

ძველად მიღებული იყო და ახლაც შეიძლება, რომ ერისკაცებმა დავითნი წაიკითხონ მიცვალებულთან ახლოს, მის დაკრძალვამდე და მთლიანად ორმოცი დღის განმავლობაში. ასეთ დროს დავითნს აკითხვინებენ პატიოსანი ცხოვრებით გამორჩეულ ერისკაცთ. მიცვალებულს ორმოცი დღის განმავლობაში მოიხსენიებენ ხოლმე როგორც ახლადმიცვალებულს, ორმოცის შემდეგ კი მარტო სახელით.

მიცვალებულებს ვახსენებთ მათი სასულიერო ხარისხით ან წოდებით, მაგალითად: კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი, არქიმანდრიტი ევაგრი, დეკანოზი ბიქტორი, მღვდელი თომა, პროტოდიაკონი ამბროსი, იეროდიაკონი ნიკოლოზი, კერძოდიაკონი მიხეილი, ბერი ისაია, მონაზონი სალომე და სხვა. ერისკაცებს მხოლოდ ვახსენებთ: მონა ღვთისა ნიკოლოზი, მხევალი ღვთისა ბარბარე და სხვა. ბავშვებს შვიდი წლის ასაკამდე ვახსენებთ: ჩვილი ნესტანი და სხვა. ზოგი ლოცვის დროს ახსენებს ხოლმე: მხედარი, წყალში დამხრჩვალი და სხვა, მაგრამ მიცვალებულთა ასეთნაირად მოხსენიება მართლმადიდებელ ეკლესიაში მიღებული არ არის.

აქ აღნიშნული წესით კითხულობენ დავითნს ერისკაცნი, მაგრამ ასევეა მიღებული წესი სასულიერო პირთათვისაც, ბერ-მონაზონთათვისაც, მორჩილთათვისა და განდეგილთათვისაც, უკეთუ ვინმე მათგანი ინებებს დავითნის თვისად კითხვას.

3. მცირედი რამ სწავლება აღსარების შესახებ. აღსარება განუყოფელია სინანულისაგან და იგი არის შვიდ საღმრთო საიდუმლოთაგანი. საიდუმლო იმიტომ ეწოდება, რომ წმიდა გული მონანულ აღმსარებელზე იდუმალად გარდამოდის ღვთიური მადლი და იგი იღებს შენდობას და განიწმიღება ცოდვებისაგან.

აღსარებას ამბობს როგორც ყველა მორწმუნე ერისკაცი, ასევე თითოეული სასულიერო პირი, მიუხედავად მისი ხარისხისა. თითოეულ საერო თუ სასულიერო პირს უნდა ჰყავდეს მისი პირადი მოძღვარი მღვდელთაგან ან მღვდელმთავართაგან და მას უნდა განუღებდეს თავისი გულის კარებს, ეუბნებოდეს სინანულით თავის ცოდვებს და თავის ხორციელსა და სულიერ ცხოვრებას თავისი მოძღვრის სულიერ-მამობრივი ხელმძღვანელობით წარმართავდეს.

აღსარების თქმა აუცილებელია ზიარების წინ, მაგრამ ასევე აუცილებელია აღსარების თქმა რაც შეიძლება ხშირად, მაშინაც, როდესაც რაიმე ცოდვა დაამძიმებს ერისკაცსა თუ სასულიერო პირს და სხვა დღეებშიც, რათა მოძღვარმა უკეთესად წარმართოს მათი სულიერ-ხორციელი ცხოვრება.

აღმსარებელმა არა მარტო უნდა აღიაროს თავისი ცოდვები, არამედ იმავე ჟამს უნდა კიდევაც მოინანიოს ისინი. უკეთუ იგი მხოლოდ აღიარებს ცოდვებს, მაგრამ არ მოინანიებს, ასეთ შემთხვევაში ვერ მიიღებს იგი ცოდვათაგან განხსნასა და მიტევებას.

აუცილებლად საჭიროა, რომ აღსარების წინ მოძღვარმა აღმსარებელს ულოცოს „პარაკლისი ღვთისმშობლისა აღსარებასა ზედა ცოდვილისასა", რომელიც სწერია დიდ ქართულ კურთხევანში. პარაკლისი გადაიხდეპა როგორც ერთი, ასევე მრავალი აღმსარებლისათვის, მაგრამ ცოდვათა აღიარებას მოძღვარი უკვე თითოეულს ცალკე, საიდუმლოდ მოუსმენს, დამოძღვრავს და განაკანონებს. ამის შემდეგ დაწესებულ ლოცვებს ყველას ერთდროულად წაუკითხავს მოძღვარი. უკეთუ მოძღვრის შენდობით აღმსარებელი ეზიარება, წირვის შემდეგ მოძღვარი მზიარებელთ ყველას ერთად წაუკითხავს ლოცვას „შემდგომად ზიარებისა"

უკეთუ აღმსარებელს ზიარება ჰსურს, პარაკლისი აღმსარებელსა ზედა ილოცება წირვის წინა დღეს, ჩვეულებრივად წინა საღამოს, ლოც-

ვის შემდეგ, ან უფრო ადრე, მაგრამ წირვის დღეს, ზიარებამდე აღსარების მიქმელმა მაინც უნდა მიიღოს შენდობა მოძღვრისაგან, რადგანაც აღსარებიდან ზიარებამდე შეიძლება მან რაიმე ახალი ცოდვა ჰქმნა და საჭიროა სიფრთხილით მიღება ზიარებისა.

უკეთუ რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა ამ წესით აღსარების წინდაწინ თქმა (მაგ., უკეთუ ტაძრიდან ძალიან შორს ცხოვრობს მორწმუნე და მხოლოდ წირვის მოსასმენად მოდის და სხვა), ასეთ შემთხვევაში მოძღვარი უშუალოდ წირვის წინ ან განიცადეთა გალობის ჟამს იღებს აღსარებას მორწმუნეთაგან და თითეულს წაუკითხავს შენდობის მცირე ლოცვას. ამავე ლოცვას წაუკითხავს მოძღვარი მათაც, ვინც წინდაწინ სთქვა აღსარება და წირვის დღეს შენდობის მისაღებად მივიდნენ მასთან.

დაამუშავა ეპისკოპოსმა ზ ო ს ი მ ე მ

მართლმადიდებლური დიასფორა და მასზედ იურისდიქციის გავრცელების საკითხი

ტერმინი „დიასფორა“ ბერძნული სიტყვაა, აღებულია საღვთო წერილიდან. ნიშნავს განბნევას, გაფანტვას ანუ გაფანტულობას. ძვ. აღთქმაში ამ ტერმინით აღინიშნებიან ებრაელები და პროზელიტები, რომელნიც განბნეულნი იყვნენ წარმართთა შორის. მაგალითად, მეორე სჯულის წიგნში ნათქვამია: „გიღხინოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ცოდვათა შენთა და შეგიწყალოს შენ და შეგკრიბოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველთაგან ნათესავთა, რომელსაცა იგი განბნეულ იყო შენ მუნ“(30,3). როგორც აგრეთვე ივდითისა და იობის წიგნებში, ასევე ძველ საეკლესიო მწერლობაში (კლიმენტი რომაელთან და სხვ.) ეს ტერმინი იხმარება ამავე აზრით. ეს სიტყვა გვხვდება ახალ აღთქმაშიც. იოანეს სახარებაში (7,35) იესო ქრისტე ეუბნება იუდეველებს: „იქ, სადაც მე ვიქნები, თქვენ არ შეგიძლიათ მოსვლა“. იუდეველები ერთმანეთში ამბობდნენ: სად წავა იგი, რომ ვერ ვიპოვოთ? საბერძნეთში გაფანტულებთან ხომ არ წავა, რათა ასწავლოს ბერძნებს?

ხშირად ეს ტერმინი ნიშნავს არაქრისტიანთა შორის განბნეულ ქრისტიანებს. მოციქული იაკობი თავის ეპისტოლეს უგზავნის „თორმეტ განბნეულ ტომს“(I,I), ე. ი. ქრისტიანებს, მცხოვრებთ ებრაელთა შორის, რომლებიც თვითონაც განბნეულნი იყვნენ. მოციქული პეტრე თავის პირველ ეპისტოლეს უგზავნის პონტოს, გალატიის, კაპადოკიის, ასიისა და ბითინიის განბნეულთა რჩეულებს (I პეტრე I,I). ამავე

მნიშვნელობითაა გამოყენებული ეს ტერმინი შედარებით გვიანდელ ქრისტიანულ მწერლობაშიც (მაგ. ბასილი დიდის 85-ე კანონში და სხვ.).

ამგვარად ტერმინ „დიასფორას" არა აქვს გეოგრაფიული ან პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ მას აქვს კონფესიაღური შინაარსი და ნიშნავს მორწმუნეთა უმცირესობას, განურჩევლად იმისა თუ სად ცხოვრობენ ისინი, თავისსავე სახელმწიფოში თუ მის საზღვრებს გარეთ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მოციქული პეტრე „დიასფორას" უწოდებს რომის იმპერიაში და არა მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქრისტიანებს.

მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი..." (მათე 28,19). იესო ქრისტეს ამ მოწოდების შედეგად პირველი საუკუნიდანვე გაჩაღდა მისიონერული მოღვაწეობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას და „დიასფორას" არსებობას. სხვადასხვა ადგილას ქრისტიანული დიასფორის მცირე ჯგუფებს შეადგენდნენ ის ქრისტიანები, რომელთა ნაწილი ცხოვრობდა წარმართთა შორის. ყველა ქრისტიანი, რომელიც ცხოვრობდა შორს თავისი მშობლიური თემისაგან (იუდეველთა, წარმართთა და ბარბაროსთა შორის), წარმოადგენდნენ ქრისტიანულ დიასფორას.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სამიტროპოლიტო, სამთავარეპისკოპოსო და საპატრიარქო ორგანიზაციის სისტემა, ქრისტიანული დიასფორის ყოველი ერთეული ეკუთვნოდა და ჰქონდა ურთიერთობა იმ ეკლესიასთან, რომლისგანაც ის გამომდინარეობდა, და ემორჩილებოდა იმ ეპისკოპოსს, რომლის იურისდიქციაშიც ეს ეკლესია იმყოფებოდა. შემდგომში, როდესაც საეკლესიო მართვის ორგანიზაცია გართულდა და რომის ბატონობამ წარმოშვა ახალი ტერიტორიული და იურისდიქციული ერთეულები, ქრისტიანული დიასფორის ცალკეული ნაწილები დაექვემდებარა მიტროპოლიტებს, მთავარეპისკო-

პოსებს, ეგზარქოსებსა და პატრიარქებს. ცხადია, ამგვარი დამორჩილება და მართვის ორგანიზაცია შემოღებული იქნა რელიგიურ-მისიონერული მოღვაწეობის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა შემდგომში მას პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყენებდნენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დიასფორაზე იურისდიქცია იმთავითვე სადავო საკითხი იყო, თუმცა ზოგიერთი იერარქიული ტახტისათვის იგი წარმოადგენდა განსაკუთრებულ პატივს. ეს იურისდიქცია დაკავშირებული იყო დიდ და რთულ ვალდებულებებთან, მატერიალურ ხარჯებსა და მძიმე შრომასთან, ამიტომ რაიმე გაუგებრობა, გამოწვეული ქრისტიანულ დიასფორაზე იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებით, ადრე არ არსებობდა. გაუგებრობამ და უთანხმოებამ თავი იჩინა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში. ეს უთანხმოება, რა თქმა უნდა, არ ეხება მთელ ქრისტიანულ დიასფორას, არამედ მხოლოდ მართლმადიდებლურს და გამოწვეულია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქის არაკანონიკური მოქმედებით.

როგორც ცნობილია, ავტოკეფალიის მიღებამდე როგორც სლავიანური, ასევე საბერძნეთის, რუმინეთისა და აღბანეთის ეკლესიები იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, როგორც ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე, ასევე მისი დაცემის შემდეგაც, თუმცა ზოგიერთ ეკლესიას (მაგ. ბულგარეთი, სერბეთი) უკვე ჰქონდა საპატრიარქო ავტოკეფალია. ამგვარი მდგომარეობა ნაწილობრივ გრძელდებოდა თურქეთის იმპერიის ეპოქაში, როდესაც ზოგიერთი ავტოკეფალური ეკლესია, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, იმყოფებოდნენ თურქთა ბატონობის ქვეშ.

მთელი ამ დროის განმავლობაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ზრუნავდა მართლმადიდებლურ დიასფორაზე ბიზანტიის საზღვრებს გარეთ - იტალიაში, სიცილიაში და სხვა. პრაქტიკულად მან მათზე გაავრცე-

და თავისი იურისდიქცია. ამას გარდა კონსტანტინოპოლმა გააჩაღა მისიონერული მოღვაწეობა ბარბაროსთა შორის და ზრუნავდა მონასტრებზე, საეპისკოპოსოებზე და აგრეთვე ცალკეულ ავტონომიურ ეკლესიებზეც კი, რომლებიც მდებარეობდნენ ბიზანტიის საზღვრებს გარეთ, და ნაწილობრივ ავრცელებდა მათზე იურისდიქციას. ასეთ საეკლესიო ერთეულებს განეკუთვნებოდნენ ათონის მთა, კიევის სამიტროპოლიტო, პერის მონასტერი მარმაროშში და სხვ.

სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ზრუნვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დიდი სამსახური გაუწია მართლმადიდებლობას, რისთვისაც მართლმადიდებელი ხალხები იყვნენ და იქნებიან მისი მადლიერნი.

თურქთა პატონობის დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მთლიანად გაავრცელა თავისი იურისდიქცია მართლმადიდებლური დიასფორის ბერძნულ თემზე, იმიტომ, რომ სხვა აღმოსავლეთის პატრიარქები თვითონ იმყოფებოდნენ რთულ და მძიმე მდგომარეობაში და არ შეეძლოთ ეზრუნათ არა თუ სხვაზე, არამედ საკუთარ თავზეც კი, და კიდევ იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო ეთნარქი, ე. ი. პოლიტიკური და ნაციონალური თავი თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძენი ხალხისა. ყოველ შემთხვევაში, ასე სთვლიდნენ მას როგორც თურქეთის სულთნები, ასევე სხვა ბერძენი ხალხის მეთაურები.

იმის შედეგად, რომ (როგორც ზემოთ აღინიშნა) კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მძიმე გაჭირვების ჟამს დახმარებას უწევდა და ზრუნავდა ზოგიერთ, უმეტეს შემთხვევაში ბერძნულ, დიასფორაზე, რომელნიც არ ექვემდებარებოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, კონსტანტინოპოლის ზოგიერთმა პატრიარქმა შემდგომში სცადა გაევრცელებინა მათზე თავისი იურისდიქცია, მაგრამ ისინი ყოველთვის აწყდებოდნენ აღმოსავლეთის პატრიარქთა წინააღმდეგობას.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ კონსტანტინოპოლის საპატრიარ-ქოში ყალიბდებოდა აზრი და იქმნებოდა ახალი თეორია იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მართლმადიდებლური „დიასფორა" აუცილებლად უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, და რომ სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს არა აქვთ უფლება ჰქონდეთ მისია თავისი ეკლესიების საზღვრებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მტკიცებას არ გააჩნია კანონიკური საფუძველი, მაინც 1922 წლიდან დაწყებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თანდათან დაიწყო ამ არაკანონიკური თეორიისა და აქციების განხორციელება. პირველი პა-ტრიარქი კონსტანტინოპოლისა, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია, იყო მელეტიოსი, რომელმაც ამავე 1922 წ. თავის იურისდიქციას დაუმორ-ჩილა ამერიკაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი მორწმუნე. მან-ვე დააარსა კონსტანტინოპოლის ოთხი ეპარქია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. ამავე წელს მელეტიოსმა დანიშნა ცენტრალური და დასავ-ლეთ ევროპისათვის ეგზარქოსი და მიანიჭა მას თიატირის მიტროპოლი-ტის ტიტული. 1923 წელს მანვე პრაღის და სრულიად ჩეხოსლოვაკიის მთავარეპისკოპოსად დანიშნა საბატიოსი, მიუხედავად იმისა, რომ პრაღას ჰყავდა თავისი კანონიერი მთავარეპისკოპოსი გორაზდი. ამ-ით მელეტიოსს უნდოდა კირილესა და მეფოდისდროინდელი უფლებების აღდგენა და ამ ეკლესიის კვლავ დამორჩილება. ამავე წელს მელეტი-ოსმა ისარგებლა რუსეთის ეკლესიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და 1923 წლის 9 აპრილს დაიმორჩილა ფინეთის, ხოლო ამავე წლის 27 აგვისტოს ესტონეთის ეკლესიები. ერთი წლის შემდგომ, უკვე პატრი-არქმა გრიგორი VII აგრეთვე სრულიად უკანონოდ დაიმორჩილა პოლონე-თის ეკლესია, დაუდგინა მას ავტოკეფალია, მაგრამ ამავე დროს მა-ინც დატოვა თავისი იურისდიქციის ქვეშ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხდა პოლონეთის მთავრობის თხოვნით, რომლებმაც დიდძალი ფულადი თანხა გადაუხადეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რათა ზემოხსენე-

ბული ეკლესიისათვის მიეცათ ავტოკეფალია და ამით განთავისუფლებულიყვნენ რუსული გავლენისაგან. იმავე 1924 წელს პატრიარქმა გრიგორი VII ავსტრალიაში შექმნა ორი ეპარქია და დაუმორჩილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. იმავე პატრიარქმა იმავე წელს შექმნა უნგრეთის სამიტროპოლიტო და ცენტრალური ევროპის საეგზარქოსო. 1926 წელს პატრიარქი ვასილი III უგზავნის წერილს მოსკოვის პატრიარქს, სადაც იგი ამბობს, რომ რუსეთის ეკლესიას არა აქვს უფლება მისი კუთვნილი დიასფორის მართვა-გამგეობისა და დასძენდა, რომ ეს უფლება მთლიანად ეკუთვნოდა „მსოფლიო საპატრიარქოს".

1928 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ დამორჩილებულ იქნა რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსი ამერიკის შეერთებულ შტატებში და 1931 წელს რუსი მიტროპოლიტი პარიზში. „მსოფლიო საპატრიარქო" აგრეთვე ცდილობდა გაევრცელებინა თავისი იურისდიქცია სერბეთისა და სხვა დიასფორებზე. ყოველივე ამ უფლების დასაბუთებას კონსტ ნ-ტინოპოლელი კანონისტები ცდილობენ საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, ისინი თავისებურად მარტავენ. პატრიარქმა მელეტიოსმა და მისმა მიმდევრებმა თავიანთ თეორიას საფუძვლად დაუდეს შემდეგი კანონები: მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონი; მესამე მსოფლიო კრების მე-8 კანონი და მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონი.

ახლა ვნახოთ თუ სინამდვილეში რა პრივილეგიებს აძლევენ ეს კანონები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონში ნათქვამია: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება გასცდეს თავის ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონთა თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს,

აღმოსავლეთის ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აღმოსავლეთის ეკლესიებს. დაცული უნდა იყოს ნიკეის კანონებით დაწესებული პატივი ანტიოქიის ეკლესიისა. აზიის სოფლების ეპისკოპოსნი უნდა განაგებდნენ მხოლოდ აზიის ეკლესიებს, პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს.

ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამრევლო ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის, ან სხვა რაიმე საეკლესიო განგებისათვის მოწოდების, ანუ მიწვევის გარეშე. თითოეულ სამთავროს (ეპარქიას), ნიკეაში განსაზღვრული კანონის თანახმად, განაგებს ამავე სამთავროს კრება, ხოლო წარმართთა შორის არსებული უცხო ტომთა ეკლესიები უნდა განაგონ მამათა მიერ დაწესებული ძველი კანონების მიხედვით".

როგორც აქედან ჩანს, ეს კანონი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ აძლევს არავითარ პრივილეგიას. ან რა პრივილეგიაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ამ კანონში კონსტანტინოპოლი საერთოდ არ არის მოხსენიებული. უფრო მეტიც, ეს კანონი უკრძალავს ყველა ეპისკოპოსს და მათ შორის კონსტანტინოპოლისასაც, გაცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. ეს კანონი, ერთი მხრივ, უკრძალავს ყველა ეპისკოპოსს სხვა რომელიმე ეკლესიის ფარგლებში შეჭრას და მის დამორჩილებას, რომელიც არ შედიოდა მის იურისდიქციაში, მეორე მხრივ კი, კანონი არ უკრძალავს არც ერთ ეპისკოპოსს მისიონერულ მოღვაწეობას (მარკოზი 16,15), თითქმის იმავეს ამტკიცებს III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რაც უკვე დაადგინა მეორე მსოფლიო კრებამ მე-2 კანონით. აქ ნათქვამია:

„კვიპროსელმა ეპისკოპოსებმა (რიგინოსი, ზინონი და ევაგრე) ეფესოს. კრებას წარუდგინეს სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი იმის

შესახებ, რომ ანტიოქიის ეპისკოპოსი მოქმედებდა საეკლესიო წესთა და წმიდა მამათა კანონის საწინააღმდეგოდ, როდესაც ბედავდა კვიპროსზე ხელდასხმას. კრების განჩინების თანახმად, კვიპრელ ეპისკოპოსებს საეკლესიო კანონებისამებრ თვით უნდა ჰქონდეთ თავისივე ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება. ეს წესი შეუცვლელად დაცული უნდა იყოს სხვა განსაგებელთა (ოლქთა) და ეპარქიათა მიმართაც.

ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა განმგებლობის ქვეშ. ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს და დაიმორჩილებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებულ უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონი და მღვდელთმთავრებში თავი არ იჩინოს საერო მთავრობის მოყვარეობის ამპარტავნებამ და მედიდურობამ.

წმ. მსოფლიო კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ თითოეულმა ეპარქიამ წმინდად უნდა დაიცვას ძველი ჩვეულება და წესი. თითოეულმა მიტროპოლიტმა უნდა წაიღოს ამ კანონის ასლი თავისი სიმტკიცისათვის. თუ ვინმე ამ დადგენილების საწინააღმდეგო წესს შემოიღებს, მსოფლიო კრება მას დაუმტკიცებლად ჩათვლის და მას არ ექნება ძალა".

როგორც ვხედავთ, მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონის მსგავსად, ეს კანონიც არ აძლევს არავითარ პრივილეგიას არც ერთ ეკლესიას და მათ შორის კონსტანტინოპოლისასაც. იგი აგრეთვე უკრძალავს ყველა ეპისკოპოსს სხვა ეპარქიის მიტაცებას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ. ასე რომ, მესამე მსოფლიო კრების მე-8 კანონი კონსტანტინოპოლის ეკლესიას კი არ აძლევს რაიმე უფლებებს მართლმადიდებლურ დიასფორაზე, არამედ უკრძალავს მას ამ უკანონო და უსაფუძვლო აქციებს. შემდეგი კანონი, რომელზეც

დაყრდნობით კონსტანტინოპოლი ცდილობს თავისი უფლებების დასაბუთებას მთელ მართლმადიდებლურ დიასფორაზე, არის მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონი. ამ კანონში ნათქვამია: „ყოველმხრივ წმიდა მამათა დადგენილებას მივყვებით და მეფე თეოდოსი დიდის დროს შეკრებილი ასორმოცდაათი წმინდა ეპისკოპოსის დღეს წაკითხულ კანონს ვიზიარებთ. ამ კანონის მცოდნენი იმავეს ვადგენთ ჩვენც კონსტანტინოპოლის, ახალი რომის ეკლესიის დიდებულებათა შესახებ.

ძველი რომის საყდარს მამებმა სამართლიანად მიანიჭეს უაღრესი პატივი, რადგან იგი სამეფო ქალაქია. ამავე ფიქრით აღძრულმა ასორმოცდაათმა ღვთისმოყვარე ეპისკოპოსმა თანასწორი პატივი დაუწესა ახალი რომის უწმინდეს საყდარს. სამართლიანად განსაჯეს, რომ თუ კონსტანტინოპოლი და ძველი სამეფო რომი ტოლია იმით, რომ ორივე სატახტო და სინკლიტის (სენატის) ქალაქია, საეკლესიო საქმითაც განდიდდეს კონსტანტინოპოლი, როგორც რომი და მეორე იყოს მის შემდეგ. პონტოს, აზიისა და თრაკიის განსაგებელთა მიტროპოლიტებმა და ამ მხარეში მყოფმა არაბერძნული მოსახლეობის ეპისკოპოსებმაც ხელდასხმა მიიღონ კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიისაგან. ზემოთ მოხსენიებული განსაგებლების (დიოცეზების) თითოეულმა მიტროპოლიტმა ამავე განსაგებლის ეპისკოპოსებთან ერთად ხელნი დაასხან ეპარქიის ეპისკოპოსს, როგორც ამას საღვთო კანონი ბრძანებს. თვით მიტროპოლიტი ზემოხსენებული მხარეებისა, როგორც ითქვა, ხელდასხმული უნდა იყოს კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის მიერ, ოღონდ ჩვეულებისამებრ ერთხმად უნდა იყოს არჩეული წინასწარ და შემდეგ წარუდგეს ხელდასხმისათვის (კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსს)“.

როგორც ამ კანონიდან ჩანს, კრებამ კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს დაუმორჩილა მხოლოდ სამი დიოცეზი და არა მთელი მსოფლიოს ქრისტიანული დიასფორა; აგრეთვე არაფერია ნათქვამი იმაზე,

რომ სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს არა აქვთ უფლება ჰქონდეთ თავიანთი მისია საკუთარ საზღვრებს გარეთ. ამას რომ თავი დავანებოთ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეს პრეტენზია ეწინააღმდეგება თვით მაცხოვრის სიტყვებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...“ ყველა ძველ ნომოკანონთა ავტორიტეტული განმმარტებლები (ა. არისტინი, ი. ზონარა, ფ. ბალსამონი) ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქალკედონიის კრებამ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მისცა ის უფლება დიასფორაზე, რაც მანამდე ჰქონდა პონტოს, აზიისა და თრაკიის დიოცეზებს, რომელნიც კრების შემდგომ შევიდნენ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციაში.

ეს სამი კანონი კონსტანტინოპოლის ეკლესიას სხვა ეკლესიებთან შედარებით მართლაც აძლევს გარკვეულ პრივილეგიებს. მაგ., ის, რომ II მსოფლიო კრების მე-3 და IV მსოფლიო კრების 28-ე კანონების მიხედვით კონსტანტინოპოლი ითვლება ახალ რომად და ამ ეკლესიას მიენიჭა ძველი რომის ეკლესიის თანატოლი პატივი. აგრეთვე პონტოს, აზიისა და თრაკიის მიტროპოლიტებისა და ამ მხარეების ბარბაროსი ხალხის ეპისკოპოსების ქიროტონიის უფლების პრივილეგია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური დიასფორა უნდა შედიოდეს აუცილებლად „მსოფლიო საპატრიარქოს“ იურისდიქციაში და მხოლოდ მას ერთს ჰქონდეს უფლება გაგზავნოს ეპისკოპოსები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მისიონერული მოღვაწეობისათვის, ხოლო სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს არ უნდა ჰქონდეთ ეს უფლება.

ამ ზემოხსენებული კანონების ობიექტური განხილვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქვს ის უფლება მართლმადიდებლურ დიასფორაზე, რაც გააჩნიათ სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს. ე.ი. ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას აქვს უფლება ჰქონდეს მისია თავის საზღვრებს გარეთ და მართავდეს თავის დიასფორას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, კონსტანტინოპოლის ეკლესიას უფლება აქვს ჰქონდეს მისია და მართოს თავისი დიასფორები, თუ ისინი ოდითგანვე ეკუთვნოდნენ მას. ასევე ეს უფლება გააჩნია ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს, ვინაიდან კართაგენის კრების 99(II2) კანონების მიხედვით, ეპისკოპოსებმა, რომლებიც მოაქცევენ ხალხს კათოლიკე სარწმუნოებაში უნდა ამყოფონ ეს ხალხი თავიანთი ხელისუფლების ქვეშ და მართონ და განაგონ ისინი.

საქართველოს ეკლესიას მეხუთე საუკუნიდან დაწყებული უამრავი ეკლესია-მონასტრები ჰქონდა საზღვარგარეთ, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ეკლესიას და მათ შორის კონსტანტინოპოლისას, განეცხადებინოს პროტესტი იმის თაობაზე, რომ ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა ამის უფლება.

ამჟამად პარიზში არსებობს ქართული მართლმადიდებლური წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, რომელიც ძირითადად ქართველი ემიგრანტებისაგან შედგება და თავის მხრივ შეადგენს ქართულ მართლმადიდებლურ დიასფორას. მართალია, და ეს უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიის დაარსებაში ქართველებს ხელი შეუწყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, მაგრამ ისარგებლა რა ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობით, კონსტანტინოპოლმა თავისი იურისდიქცია გაავრცელა ამ ქართულ დიასფორაზე. საეკლესიო კანონების მიხედვით კი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) ქართული დიასფორა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ეკლესიას და უნდა შედიოდეს მის იურისდიქციაში.

ა. თანდილაშვილი

სას. სემინარიის პედაგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

წიღკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზ ო ს ი მ ე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ი ღ ი ა II აღსაყდრების I0 წლისთავი 3

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ი ღ ი ა II ეპისტოლეები (I985-I987) II

მოციქულთა კათოლიკე ეპისტოლეები, შეადგინა ეპისკოპოსმა ზ ო ს ი მ ე მ I28

ლიტურგიკული ცნობები, დაამუშავა ეპისკოპოსმა ზ ო ს ი მ ე მ I78

ა. თ ა ნ დ ი ღ ა შ ვ ი ღ ი, მართლმადიდებლური დიასპორა და მასზე იურისდიქციის გავრცელების საკითხი I99

ก 6/2